

მისილ შანგელია

**უძველესი
ქოლხურ-იბერიული მელიძინა**

წიგნში განხილულია ძველი წელთაღრიცხვის III—II—I ათასწლეულების კოლხურ-იბერიულ ტომებში მედიცინის განვითარების ცალკეული საკითხები და ეტაპები (ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული მასალები, ამირანიანი, *Cura Mediana*, მითრიდატე პონტოელი და კოლხურ-იბერიული მედიცინა და სხვ.), შესწავლილია ამ პერიოდის ქართული არქეოლოგიური მასალები, ბერძნულ-რომაული ისტორიული წყაროები და განსაზღვრულია კოლხურ-იბერიული მედიცინის ადგილი მსოფლიო მედიცინის ისტორიაში.

50 102—003

III ————— 226—79

M 601(08)—79

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1979

კოლხურ-იბერიული სამყარო II ათასწლეულის შუა საუკუნეებში

კოლხურ-იბერიულ სამყაროში ჩვენ ვგულისხმობთ იმ მრავალრიცხოვან ქართველურ ტომთა ერთობლიობას, რომელიც განსახლებული იყო აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, დღევანდელ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, იმ ტომებს, რომელთაც შემდეგ, გვიან, ძვ. წ. აღ. VI—IV საუკუნეებში, შეადგინეს საკმაოდ ძლიერი სამეფო კოლხეთისა და იბერიისა. „არგონავტებზე“ არსებული თქმულებისა და სხვა ბერძნულ-რომაული წყაროების თანახმად, კოლხეთის სამეფო ძვ. წ. აღ. ადრეულ საუკუნეებშიც ბრწყინავდა თავისი პოლიტიკური სიძლიერითა და მაღალი კულტურით. ამ ტომთა მაღალი კულტურა გამოვლინდა სამედიცინო-ბიოლოგიური აზროვნების მაღალი დონითაც, რაც აისახა ზემოხსენებულ ქართულ არქეოლოგიურ მასალებში, ბერძნულ-რომაულ წყაროებში, ეთნოგრაფიულ-ფოლკლორულ მასალებში, ყველაზე სრულყოფილად უძველესი კოლხეთის კულტურა და, კერძოდ მედიცინა, აისახა „არგონავტიკასა“ და მედეაზე არსებულ თქმულებებში, რაც ჩვენ მიერ ერთ-ერთ ძირითად წყაროდ პრის გამოყენებული ამ გამოკვლევებში. თქმულებას კოლხეთზე — აია-ქვეყანაზე, მედეასა და „არგონავტებზე“, უკვე კარგახანია ლეგენდისა და მითიურობის საბურველი თანდათან ეხსნება და თქმულებაში აღწერილი ქვეყანა, პიროვნებები, მოვლენები ისტორიაში ნამდვილად არსებულ და მომხდარ ფაქტებად გვევლინება. მედეას დედა ჰეკატე, დაჰ ცირცეა და თვით მედეა ამ თქმულების ყველა ვარიანტის მიხედვით, ძველი რომაელი და ბერძენი მწერლების ისტორიულ და ამ თემაზე დაწერილ მხატვრულ ქმნილებებში გამოჩენილ, განსწავლულ მკურნალებად არიან მიჩნეულნი.

„არგონავტიკასა“ და მედეას შესახებ შემონახული ცნობების ისტორიულობას არა მარტო უძველესი კოლხეთის განვითარებული კულტურა (რაც კოლხეთის არქეოლოგიური მასალებით დასტურდებ-

ბა) და ამ ცნობების ბუნებრიობა ხდის რეალურ, კანონზომიერ მოვლენად, არამედ თვით უძველესი ბერძნული და რომაული ისტორიული წყაროები. ცნობილია, რომ მეტალურგიის განვითარების დონე მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ერის, სამეფოს, სახელმწიფოს საწარმოო ძალთა განვითარებას, მისი საერთო განვითარების დონეს. ისიც ცნობილია, რომ ძველი კოლხეთი და იბერია მეტალურგიის ერთ-ერთ პირველად კერად არის აღიარებული მთელს მსოფლიოში. თვით ბერძნები წერენ ხალიბებზე, რომ მათ „...აღმოაჩინეს რკინის მადნები“... ამასვე მოიხსენიებს კალიმაქეც. „დაიღუპოს მოდგმა ხალიბთა, რომელთაც აღმოაჩინეს დედამიწიდან აღმოსული ის მავნე საგანი“, — ვკითხულობთ აპ. როდოსელის II წიგნის სქოლიოებში¹. ავტორს იგი „მავნე საგნად“ მიაჩნია იმიტომ, რომ მისგან საბრძოლო იარაღები კეთდებოდა.

ავტორს აქვე ხალიბები და ტიბარენები (იბერთა წინაპარი ტომი) ერთ მონათესავე ტომებად მიაჩნია და თვლის, რომ „ისინი ყველაზე სამართლიან ადამიანებად ითვლებიან“.

გამოჩენილი ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე (384—322) წერს ხალიბების შესახებ: „ამბობენ, რომ ხალიბური და ამისური რკინა მეტად განსაკუთრებული წარმოშობისა არის...“ „მადანს (ქვიშას) აღნობენ და მერე“... უმატებენ ეგრეთწოდებულ ცეცხლგამძლე ქვას, რაც მრავლადაა ამ ქვეყანაში. ეს რკინა სხვებზე ბევრად უკეთესია... არ გამოირჩევა ვერცხლისაგან. ამბობენ: მხოლოდ (ეს რკინა) არის უქანგავიო, მაგრამ მრავლად არ მოიძეება“². მართალია, არისტოტელე ძვ. წ. აღ. IV საუკუნეში ცხოვრობდა, მაგრამ ხალიბების უძველესი მეტალურგიული კულტურის შესახებ უფრო ადრინდელი წყაროებიც მიუთითებენ.

არისტოტელე მოსინიკური სპილენძის შესახებაც წერს: „ამბობენ, ყველაზე უფრო მბრწყინავი და ქათქათა მოსინიკური სპილენძია, მას უზავებენ არა კალას, არამედ იქ არსებულ რალაც მიწას, რომელიც (სპილენძთან) ერთად გამოიღნობა. ამბობენ: (ამ) ნარევის აღმომჩენმა არავის არ ასწავლა (საიდუმლოება); ამის გამო გამოირჩევა იმ ადგილებში წარმოქმნილი სპილენძის ნაკეთობა“³. ამრიგად, მოსინიკებს სპილენძის დამუშავების საკუთარი მეთოდი ჰქონიათ

1- პრაფ. აკ. ურუშაძე, „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“, თბილისი, 1964. გვ. 293.

2 იქვე, გვ. 373.

3 იქვე, გვ. 293.

და მის საიდეუმლოებას არ უმხელდნენ სხვა ხალხებს. ამიტომ განიჩეოდა მათი სპილენძი სხვაგან დამზადებული სპილენძისაგან. ცნობილია, რომ ბერძნული სახელი „ხალიფს“ ხალიბურ ლითონს აღნიშნავს და ხალიბური ტომების სახელიდან არის ნაწარმოები. სპილენძის სახელწოდება ზოგიერთ ევროპულ ენაში მოსინიკების სახელს უკავშირდება ეტიმოლოგიურად. მაგალითად, ბერძნული „მესინგ“ — სპილენძი.

არ შეიძლება ამ მონაცემებთან არ გავიხსენოთ „არგონავტიკაში“ აღწერილი მედეას დროინდელი კოლხეთი: „სიმდიდრითა და სილამაზით ბრწყინავდა აია. მალალი სასახლეები, ფართო კარები და სვეტების მწყობრი რიგი კედლების გარშემო, სპილენძით გამაგრებული ბურჯები, ფოთოლმწვანე მდიდრულად დაბურული ვაზები, დაუშრობელი წყაროები, რომელთაც რძე, ღვინო, სურნელოვანი ზეთი და წყალი სდიოდა“¹. აქვე აღწერილია „სპილენძის ჩლიქებიანი ხარები“ სპილენძისავე პირით, „ფოლადისაგან გაქედილი სახენელი“, რომელიც სწორსა და ღრმა ხნულებს ავლებს მიწაზე, რაც მეტალურგიისა და მიწათმოქმედების განვითარების მალალ დონეზე მიუთითებს. ყოველივე ეს არაა მითიური, ლეგენდური, აპ. როდოსელი უთუოდ არსებულ ისტორიულ წყაროებს ეყრდნობა. ამაზე თვით ბერძენი ისტორიკოსები აშკარად და ხაზგასმით აღნიშნავენ. სტრაბონი (64 ძვ. წ. აღ. 24 ახ. წ. აღ.) თავის „გეოგრაფიაში“ წერს: „კოლხეთში მეფობდა აიეტი, სარწმუნოდაა მიჩნეული, იქაურებში ეს სახელი ადგილობრივია. მოგვითხრობენ გრძნეულ მედეაზეც; იქაური ქვეყნის სიმდიდრე: ოქროთი, ვერცხლით, რკინითა და სპილენძით გვიხსნის ლაშქრობის სწორ საბაბს. მოიპოვება ორივე ლაშქრობის ძეგლებიც: ფრიქსესაც მიუთითებენ — კოლხეთისა და იბერიის საზღვრებზე, ხოლო იასონისას — ბევრგან... ამბობენ, რომ იასონისა და ფრიქსეს ლაშქრობათა დამამტკიცებელი მრავალი კვალი არსებობს სინოპის მიდამოებში და მის სანაპიროზე...“ „მრავალი კვალი არსებობს აგრეთვე „არგონავტების“ მდევართა (კოლხიდელების) ნამყოფობისა“ და ა. შ.²

ამგვარად, სტრაბონს „არგონავტიკაში“ შემონახული ცნობები კოლხეთსა და მედეას შესახებ ისტორიულ სინამდვილედ მიაჩნია, სტრაბონი თვით სინოპელია — პონტოელია (დედის მხრიდან) და

¹ ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჭავჭავიშვილი, ს. ჭანაშია, საქართველოს ისტორია, 1948, გვ. 48.

² აკ. ურუშაძის დასახ. წიგნი, გვ. 415-416.

თვითმხილველის დამაჯერებლობით გვეუბნება, რომ ამ „ლაშქრობათა დამამტკიცებელი მრავალი კვალი არსებობს სინოპის მიდამოებში და მის სანაპიროზე“. კოლხეთში აიეტის მეფობაც „სარწმუნოდაა მიჩნეული“, ამბობს იგი, და მის თანამედროვე კოლხეთში ამ სახელის (აიეტის) გავრცელებულობაზედაც მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ ეს სახელი გვიან საუკუნეებშიც გვხვდება ისტორიულ წყაროებში: ცნობილია ერთი კოლხი დიდებულთაგანი სახელად აეტი, რომელმაც თავის მკერმეტყველებით მოხიბლა რომაელები. აიეტი—აეტი, ჩანს, ადგილობრივი კოლხური სახელია, რომელიც უთუოდ ეტიმოლოგიურად აია-ეას უკავშირდება და საუკუნეების განმავლობაში საკმაოდ გავრცელებულიც. ერთი ანონიმი ავტორი წერს ოქროს საწმისის შესახებ, რომ „კოლხეთში დაცული (ტყავი) ნამდვილად ოქროს საწმისი კი არ იყო (ეს პოეტური გამონაგონია), არამედ ტყავზე ნაწერი წიგნი, რომელიც შეიცავდა იმის აღწერას, თუ როგორ შეიძლება მივიღოთ ოქრო ქიმიის საშუალებით“ (იქვე, გვ. 439), ე. ი. ტყავზე ნაწერი წიგნი ოქროს მიღების, გამოდნობის, ქიმიის შესახებ რეალურია, ისტორიულია.

პოეტური გამონაგონია „არგონავტიკაში“ მხოლოდ „ოქროს საწმისი“. „ოქროს საწმისის“ რეალურობაზე, რომ ის, წიგნი იყო „ოქროს მოპოვების ქიმიის“ შესახებ და არა „პოეტური“ გამონაგონი, მიუთითებენ აგრეთვე ხარაქას პერგამონელი, იოანე ანტიოქელი (VII-ს.) თავის „ისტორიაში“, სვიდა თავის „ლექსიკონში“ და სხვ.¹

მთელი ამ საუკუნეების განმავლობაში უაღრესად ფართოდ გავრცელებული თქმულების ისტორიულობასა და რეალურობაზე აშკარად მიუთითებს აგრეთვე პლუტარქეც (46—120). თავის „კიმონში“ იგი წერს: „ბერძენთა შორის კიმონამდე და რომაელთა შორის ლუკულუსამდე არავის არ უწარმოებია ომი ასე შორეულ მხარეებში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პერაკლესა და დიონისეს საქმეთ... და ძველთაგან ჩვენამდე მოღწეული დიდი „ნდობის ღირს თქმულებას იასონის გმირობის შესახებ“. მის მეორე ნაწარმოებში „ალექსანდრე მაკედონელი“ ის კვლავ ეხება ამ „მითის“ ჭეშმარიტების საკითხს და ამბობს: „კაცმა რომ თქვას, ჭეშმარიტებასთან ახლოს არიან ისინი, რომლებიც მითის სიმართლის დასამტკიცებლად ამბობენ: (ნავთობი) იყო მედვას შხამი, რომლითაც მან ტრაგედიით ცნობილი გვირგვინი და წამოსასხამი გაჟლინთა. ცეცხლი თავისთა-

¹ აკ. ურუშაძე, დასახ. წიგნი, გვ. 480.

ვად არ გასჩენია ამ საგნებს: როცა ალი მიუახლოვდა, მოხდა მკვეთრი მიზიდვა და შეუმჩნეველი დაკავშირებაო“ (გვ. 445). პლუტარქესა და იმ პირებს, რომლებსაც პლუტარქე იმოწმებს, აშკარად მიანიხნიათ „ქეშმარიტებად“ და დამტკიცებულ „სიმართლედ“ თუნდაც მედვას ის „ჯადოსნური“ საშუალებაც, რომლითაც მან გლავკა ცეცხლის ალში გახვია შურისძიების მიზნით, ევრიპიდეს ტრაგედიის მიხედვით.

სრულიად ბუნებრივია, რომ საერთოდ ძველი ბერძენი და რომაელი ავტორები და კერძოდ, აპოლონიოს როდოსელი თავის „არგონავტიკაში“ ისტორიულ ფაქტებს, მოვლენებს, მხატვრული ნაწარმოების სახის მისაცემად ურთავდა მონაგონ სიუჟეტს, აძლევდა მითიურ, ზღაპრულ, ლეგენდურ სახეს. ეს ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა. საერთოდ დღესაც, ისტორიულ თემატიკაზე შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებში, ასე იყო ეს უძველეს დროსაც. აღსანიშნავია, რომ სტრაბონი ამბობს ჰომეროსის შესახებაც: „პოეტი (ჰომეროსი) ამგვარ ცნობებს რომ იყენებს, იცავს როგორც საზოგადო, ისე პირად წესს და ერთი მხრივ, ეთანხმება ისტორიკოსებს, ხოლო მეორე მხრივ, თავისას უმატებს“. ე. ი. სტრაბონის მიხედვით „საზოგადო წესი“ ყოფილა, რომ ნაწარმოები (თუნდაც მხატვრული), ერთი მხრივ, ეთანხმებოდეს ისტორიკოსებს, მეორე მხრივ კი — „თავისას უმატებდეს“. კარგად ამბობს ამის შესახებ მწერალი გრიგოლ აბაშიძე თავისი ისტორიული რომანის „დიდი ღამის“ შესახებ დაწერილ სტატიაში: ისტორიულ ნარკვევში, ნაწარმოებში „ზღაპრული ელემენტების ჩართვა შეიძლება ითქვას, უცხო არ არის. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება წარსულის ყველა ისტორიკოსი და არა მარტო მონაგოლთა დროის ისტორიკოსები; თუკიდე და პლუტარქე, ტიტუს ლიბიუსი და ტაციტუსი, სალიუსტი და სვეტონიუსი, იბნ ალ ასირი და რაბად აღინი და მრავალი სხვ. ისტორიული მწერლობის არც ერთი კლასიკოსი ათეისტი-მარქსისტი არ ყოფილა, ისინი თუ წარმართები არ იყვნენ, ქრისტეს ან მაჰმადს აღიარებდნენ. მათ თავიანთი რელიგია ღრმად სწამდათ და სასწაულებისა ისევე სჯეროდათ, როგორც რეალური ფაქტებისა“¹. „არგონავტიკაში“ ჩვენ არაფერი ისეთი ზღაპრული და ლეგენდური არა გვაქვს, რომელიც ისტორიულ სინამდვილეს იყოს მოკლებული. „არგონავტიკაში“ ყვე-

¹ გრ. აბაშიძე, „მწერალი და ისტორია“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, № 16, 1974 წ. — 19/IV.

ლაზე ზღაპრული და დაუჯერებელი რაც თითქოს მითიურ სახეს აძლევს ამ თქმულებას, ეს არის ბოსფორის გადალახვა არგონავტების მიერ და სრუტეში მოძრავი კლდეების არსებობა.

ირ. ღამბაშიძე თავის გამოკვლევაში¹ მეტად ორიგინალურად და დამაჯერებლად ხსნის ამ მოვლენის საიდუმლოებას. სრუტე გაუვალი იყო თითქოს იმიტომ, რომ მოძრავი კლდეები „გამუდმებულად რიტმულად, პერიოდულად ეჯახებოდნენ ერთმანეთს. ეს ისეთი სწრაფი დაჯახება ყოფილა, რომ ჩვეულებრივი გემები ჩვეულებრივი ეეიპაჟით ვერ ასწრებდნენ „მოძრავ კლდეებში“ გავლას. უცაბედი შეჯახების დროს კლდეებს შორის შეჩერებულ გემს თურმე საპირისპირო მხრიდან ძლიერი ტალღა დაარტყამდა და ამსხვრევდა“... რას წარმოადგენდა (თქმულების მიხედვით) ასე ფანტასტიკურად წარმოსახული მოძრავი კლდეები?

მოძრავი კლდეები, ანუ სიმპლეგადები, წარმოადგენდა ხალხის მიერ მითოლოგიურ ფერებში აღქმულ სურათს შემდეგი რეალობისა: როცა შავი ზღვის ჩრდილოეთში ყინულები დნებოდა და წყლის ცივი ნაკადი, ცივ ქარეულ მასებთან ერთად მოედინებოდა ბოსფორისაკენ, ბოსფორის სრუტის დონე მალა იწევდა, კლაკნილ და მეჩხერ ხეებში წარმოიშობოდა არეული სიჩქარეები. აქეთ-იქით კლდეებზე მგრგვინავ ზვირთთა ჯახება ქმნიდა მუქ, საშიშ სურათს. შემთხვევითი არ არის, რომ შავ ზღვას პირველად „არასტუმართმოყვარეს“ უწოდებდნენ ბერძნები. საშიში იყო იმ ხანებში მასთან მიკარება. 2—3-მეტრიანი ტალღა იჭრებოდა ბოსფორის ხევში და სიმპლეგადების ცარიელ სივრცეებს გარკვეულ სიმაღლემდე ავსებდა. წაწვეტებულ კლდეებს ფართო ძირები ჰქონდათ და ერთმანეთზე იყვნენ გადაბმულნი, როცა ტალღა ავსებდა კლდეების ძირებში არსებულ იწროებს, წყლის დონის აწევასთან ერთად მნახველს ეჩვენებოდა, რომ კლდეები ერთმანეთს შორდებოდნენ. ეს ხდებოდა იმის გამო, რომ წაწვეტებულ კლდეებს შორის მანძილი ბევრად დიდი იყო, ვიდრე მათი ძირების ადგილას, სადაც ხომალდი ვერ გადიოდა. ხოლო, როგორც ვთქვით, როცა წყალი დაფარავდა ამ იწროს, მაშინ თითქოს კლდეები გაიწეოდნენ—ერთმანეთს შორდებოდნენ. ამგვარი ზღვიური მოძრაობა სტოვებდა შთაბეჭდილებას არა ტალღების, არამედ კლდეების მოძრაობისა, და ეს

¹ ირ. ღამბაშიძე, თქმულება არგონავტებზე და ბოსფორის საიდუმლოება, გაზ. „ლიტ. საქართველო“, № 33—1972 წ.—18/VIII.

სავსებით ბუნებრივი „ცრუ შთაბეჭდილება“ გახლავთ¹. ვფიქრობთ, საკმაოდ დამაჯერებელია ი. ლაშაშვიდისეული ახსნა ბოსფორის სრუტის გაუვალობისა და „კლდეების მოძრაობის“ შესახებ „არგონავტიკაში“ შემონახული ფანტასტიკური ცნობისა.

ცნობილია, რომ ზღვებისა და ოკეანის ნაპირები, სრუტეები და უბეები, საუკუნეების განმავლობაში იცვლებიან, იცვლება მათი რელიეფი, ზოგან ნაპირები იზრდება, ზოგან კი მთელი ქალაქები და ყოფილი დასახლებული ადგილები წყალქვეშ ექცევიან. იცვლება კლიმატური პირობები, ქარების მიმართულება, ციკლონები და ა. შ. ბოსფორის სრუტეც სწორედ ძვ. წ. აღ. XIV საუკუნისათვის ჩვეულებრივად მეჩხერი და ნაკლებწყლიანი უნდა ყოფილიყო და ხომალდებისათვის გაუვალი, მაგრამ წლის გარკვეულ მომენტებში, წყლის მიქცევა-შუქქევის დროს, რომელსაც უთუოდ თან სდევდა ძლიერი ქარები და შტორმი, სწორედ ირ. ლაშაშვიდის მიერ ზემოაღწერილ სურათთან ექნებოდა საქმე სრუტეში გამავალ ხომალდსა და მის ეკიპაჟს. დღეს ბოსფორის სრუტე ხომალდებისათვის გამავალია, მაგრამ შავი ზღვის სანაპიროებიც საკმაოდ შეცვლილია: ფაზისს, ოდესღაც ზღვისნაპირა ქალაქს, ნავსადგურს, დღეს ზღვის ნაპირიდან 30—40 კილომეტრით ქვეყნის სიღრმეში ეძებენ. დიოსკურია კი, პირიქით, ზღვის ფსკერზეა მოქცეული და ა. შ. ამდენად სრულებით არაა გასაკვირი, რომ ბოსფორის სრუტე 3 400 წლის წინათ სულ სხვანაირი ყოფილიყო, ვიდრე დღეს არის და ყოფილიყო სწორედ ისეთი, როგორც „არგონავტიკაშია“ მოცემული და ირ. ლაშაშვიდის მიერ ინტერპრეტირებული.

აღსანიშნავია, რომ არა მარტო ბოსფორი, თვით დარდანელის სრუტეც, რომელიც უფრო განიერია ბოსფორზე, გაუვალი ყოფილა ძველად და ჰომეროსის მიხედვით ცნობილი ტროას ომიც, ტროელაქაველთა ბრძოლაც, დარდანელის სრუტის გაუვალობით ყოფილა გამოწვეული. „ტროელთა და აქაველთა ომის მიზეზთა ძიებამ მეცნიერებს შორის წამოჭრა პრობლემური საკითხი. მათი აზრით, ომის მიზეზი გამხდარა ჰელესპონტის (დარდანელის სრუტე) გაუვალობა, რადგან ჰელესპონტი გაუვალი ყოფილა, ბერძნებს ტროელები სახმელეთო გზის დათმობისათვის დიდ ბაჟს ახდევინებდნენ. ამან გამოიწვია ტროას ომი. აქედან ჩვენთვის მეტად საინტერესოა ჰელესპონტის გაუვალობის თვით ფაქტი — რეალობა. ამის მიზეზად

¹ იხ. ირ. ლაშაშვიდი, „მნათობი“, № 6—1972 წ.

კი თვლიდნენ დიდ ზედაპირულ სიჩქარეებს. ამრიგად, გაუვალობის მიზეზად და ტროა-აქვევლების ომის მიზეზად მიჩნეულია ზედაპირული სიჩქარეები სრუტეში¹. ჰელოსპონტის გაუვალობასა და ტროას ომის ამბავთან დაკავშირებით საინტერესოა, თვით ჰომეროსის „ილიადა“ და „ოდისეას“ გახსენება მათი ისტორიულობის თვალსაზრისით. ცნობილია, რომ ჰომეროსი თვით ითვლებოდა არა-ისტორიულ მითიურ პიროვნებად და მის ნაწარმოებებში აღწერილი ამბები ზღაპრებად, ლეგენდებად, მითებად იყო აღიარებული. მაგრამ ჰეროდოტესა და თუკიდიდეს ტროას ომი მაინც ისტორიულ სინამდვილედ მიაჩნდათ, ხოლო ტროას გამირები — აქილეესი, პატროკლოსი, აგამემნონი, ჰექტორი, ენეოსი და სხვები — ნამდვილად არსებულ ისტორიულ ადამიანებად. „არგონავტიკაში“ აღწერილ ამბებსაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, სტრაბონი და პლუტარქე ისტორიულ სინამდვილედ მიიჩნევდნენ, მიუხედავად მათში აღწერილი ბევრი მითური და ზღაპრული ეპიზოდებისა. აღსანიშნავია, რომ თვით ჰომეროსი ახსენებს „ილიადაში“ იასონის ძეს. „ილიადასა“ და „ოდისეის“ სქოლიოებსა და განმარტებებში კი საკმაოდ დეტალური ცნობებია გადმოცემული „არგონავტიკის“ გამირებსა და პერსონაჟებზე, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საერთოდ იცნობდნენ ჰომეროსი და მისი სქოლიატები „არგონავტიკის“ კოლხეთში მოგზაურობის ისტორიას და, რადგან ძირითადად „ილიადა“ და „ოდისეა“ საბოლოოდ თვით ისტორიულ სინამდვილედ დამტკიცდა, მასში მოცემული ცნობები „არგონავტიკიდანაც“ უფრო მეტ დამაჯერებლობას იძენს ისტორიულობის თვალსაზრისით.

1870-1873 წლებში ჰაინრიხ შლიმანის მიერ ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა საბოლოოდ დაადასტურეს ჰომეროსის „ილიადაში“ აღწერილი ტროას ომისა და თვით ტროას რეალურად არსებობის ფაქტი. ამგვარად, ათეული საუკუნეების განმავლობაში მითად, ლეგენდად აღიარებული ამბავი ისტორიულ სინამდვილედ იქცა. ასევე ეცლება ლეგენდურობის საბურველი „არგონავტიკაში“ აღწერილ მოვლენებს, ფაქტებს. თან საოცარი დამთხვევაა: თუ ტროას ომი ჰელესპონტის გაუვალობამ გამოიწვია, „ოქროს საწმისის“ მოსატაცებლად და კოლხეთში გასამგზავრებლად საბრძოლო ხომალდის „არგოს“ შექმნა და სამოგზაუროდ საბერძნეთის რჩეულ

¹ ირ. ლამბაშიძე, „ლიტ. საქართველო“, № 33—18/VII-72 წ. „თქმულება არგონავტებზე და ბოსფორის საიდუმლოება“.

ვაეკაცთა და მეომართა თავმოყრა ბოსფორის სრუტის გაუვალობამ განაპირობა. მართალია, კოლხეთში ჯერ არავის აღმოუჩენია არქეოლოგიური გათხრებით აიეტის მაღალი სასახლე „ფართო კარებითა და სვეტების მწყობრი რიგით სპილენძის გამაგრებული ბურჯებით“, არც მედეას სამკურნალო მცენარეთა ბაღის ადგილსამყოფელი 9 საყენის სიმაღლის შემოვლებული გალავნით, არც ამ ბაღის შესასვლელთან მდგარი არტემიდეს ქანდაკება, მაგრამ იმ დროისათვის თვით კოლხეთის სამეფოს არსებობა კულტურის მაღალი დონით ისტორიული სინამდვილეა და დადასტურებულია არქეოლოგიური გათხრებით, მატერიალური კულტურის ძეგლებით, ბერძნულ-რომაული ისტორიული წყაროებით და ა. შ., რაც ბუნებრივ და კანონზომიერ მოვლენად ხდის „არგონავტიკაში“ აღწერილ ამბებს საერთოდ კოლხეთისა და კერძოდ, მედეას შესახებ.

მაინც რას წარმოადგენდა ამ დროისათვის კოლხეთი და იბერია?!

მედეას ეპოქა შეეფარდება გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანას საქართველოში, ე. ი. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან I ათასწლეულის პირველ ნახევრამდე. ამ დროისათვის საქართველო-კოლხეთი და იბერია საკმაოდ დაწინაურებული ჩანს. ჯერ კიდევ წინაბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ ნამარხებში აღმოჩენილია დიდძალი, უაღრესად ძვირფასი და განსაკუთრებული სინატიფით შესრულებული ოქროს ნივთები. ამ მხრივ აღსანიშნავია თრიალეთის მასალები, რომელიც „თრიალეთის კულტურის“ სახელით არის შესული არქეოლოგიის ისტორიაში. ძვირფასი თვლებით შემკული ბაჯალლო ოქროს თასი, ოქროს ყელსაბამი, ვერცხლის თასი, ვერცხლის სარწყაული¹, მოხატული თიხის ჭურჭლები გველის გამოსახულებით², რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს ჭურჭელი უთუოდ სამკურნალოწამლო საშუალებათა შესანახად იხმარებოდა, რადგან გველი, როგორც ჩანს, ამ დროს უკვე სიბრძნისა (კერძოდ, სამედიცინო) და სიკეთის მფარველად ითვლებოდა, და შესაძლოც არის იგი როგორც სამედიცინო ემბლემა შემერულთან ერთად ამ ძველ ქართველურ სამყაროდან ღებულობს დასაბამს.

აკად. ბ. კუფტინმა თრიალეთის „დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურა“ ძვ. წ. აღ. II ათასწლეულის შუა საუკუნეებს მიაკუთვნა. ფრანგი არქეოლოგი კ. შეფერი მას ძვ. წ. 1550—1450 წლებით

¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I—1970, გვ. 208, 224, 240.

² იქვე, გვ. 223, 225, 299.

ათარილებს, კიდევ უფრო ადრეულად მიიჩნევს თრიალეთის კულტურის ნივთებს ინგლისელი მეცნიერი არქეოლოგი ჩ. ბარნეი (C. A. Burney, *Eastern Anatolia in the Chalcolithic and Bronze Age*, As, vol. 1958).

ყორანების გარკვეულ ჯგუფს იგი 2050—1950 (ძვ. წ.) წლებით ათარილებს, დანარჩენს — 1900—1600 წლებით. ამგვარად, მედეას წინარე ეპოქა მაღალი კულტურით ხასიათდება, თვით მედეას ტრადიციული საუკუნეები კი (XIII—XII ს. ძვ. წ.) უფრო დაწინაურებულია როგორც კოლხეთში, ასევე იბერიაში; იზრდება მოსახლეობის რიცხვი, ვითარდება მეურნეობა, აღინიშნება საერთო კეთილდღეობის გაუმჯობესება. არქეოლოგიურ მასალებში აღინიშნება ფრიად გაუმჯობესებული სამეურნეო და საბრძოლო იარაღ-საქურველის არსებობა, რომელიც ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს ასრულებს ეპოქის შეფასება-დახასიათებისათვის¹. როგორც ზემოთხსენებული ბერძნულ-რომაული წყაროებიდანაც სჩანს, კოლხეთი და იბერია ითვლებოდა მეტალურგიული წარმოების ერთ-ერთ პირველად კერად მსოფლიოში, რაც არქეოლოგიური გათხრებითაც დასტურდება. სოფ. ლების (ძველი კოლხეთი) მძლავრი მეტალურგიულ კერა ძვ. წ. აღ. II ათასწლეულით თარიღდება. II ათასწლეულის II ნახევარს მიეკუთვნება ბრილის სამაროვანი, სადაც ნაპოვნია ლითონის იარაღები, ნივთები, მათ შორის აღსანიშნავია ნივთები, რომელთაც კავშირი აქვთ პირად ჰიგიენასთან, სამაჯურები, რგოლები, ქინძისთავეები (სხვადასხვაგვარი დისკოიდალური თავით, პირამიდი-სებური, ქოლგისებური და სხვ.) „ბრილის სამაროვანის ლითონის ნივთები ძირითადად ისევ დარიშხანიანი სპილენძისგანაა ნაკეთები. აქვეა ბრინჯაოსაგან დამზადებული სამკაული და სარიტუალო დანიშნულების საგნები. დარიშხან-ანთიმონიანი ბრინჯაო სასიამოვნო ფერისაა, ბზინავს და ამიტომაც იყენებდნენ მას სამკაულისათვის. როგორც ჩანს, კარგად უნდა სცოდნოდათ რთული სხეულების მიღებაც. იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება აგრეთვე კალიანი ბრინჯაო. მისგან დამზადებული ნივთები გამოირჩევა მოხდენილი ფორმებით“². როგორც ირკვევა, მინერალურ ნივთიერებათაგან საკმაოდ რთული და მრავალფეროვანი „რეცეპტურა“ ჰქონიათ შემუშავებული სხვადასხვაგვარი მეტალურგიული ნაწარმისა და ნაკეთობათა მისაღებად.

¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I ტ. 1970, გვ. 233.

² იქვე.

ამგვარად, მედეას დროინდელი კოლხიდა-იბერია საერთო კულტურის განვითარების მაღალ დონეზე იმყოფება და ამიტომაც მედიცინის მაღალი დონეც სრულიად კანონზომიერია ამ ეპოქისათვის.

რიგ ევროპელ მეცნიერთა აზრით, კოლხეთი თავისი კულტურით მაღლა იდგა მაშინდელ საბერძნეთზე. ფრანგი მეცნიერი დიუბუა ამბობს: „თვით მეფე [კოლხეთის მეფე აიეტი — მ. შ.], რომელმაც არგონავტები მიიღო და მისი ერიც განათლებით ბევრად უფრო მაღლა იდგა იმ ავანტიურისტებზე, რომელნიც ესტუმრნენ მას გასაძარცვად და სტუმართ-მასპინძლობის წესის დასარღვევად“¹.

მედეას მომდევნო საუკუნეებიც კულტურის განვითარების მაღალი დონით ხასიათდება. თუ კვლავ არქეოლოგიურ მასალებსა და მატერიალური კულტურის ძეგლებს მივმართავთ, აქაც შესანიშნავ მასალებთან გვაქვს საქმე: საყურეები და საკიდი—ძვ. წ. აღ. V საუკ. (ს. ვანი), ოქროს სამკაული—ძვ. წ. აღ. V ს. (ს. ვანი)²; ახალგორის განძის ნივთები: ოქროს საკიდები და ოქროს სამკაულები, რომლებიც ძვ. წ. აღ. V—IV საუკუნეებით თარიღდებიან³.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი გამოკვლევებითა და არქეოლოგიური აღმოჩენებით (პროფ. ოთ. ლორთქიფანიძე, პროფ. თ. მიქელაძე და სხვ.) აშკარად სჩანს, რომ ბერძნების „კოლონიზაცია“ კოლხეთის შავიზღვისპირეთის სანაპიროებზე, მათი გამოჩენა და დასახლება კოლხურ ქალაქებსა და ნავსადგურებში, დაპყრობითი ოპერაციების შედეგი კი არ იყო, არამედ ამ კოლონიების (უფრო სწორედ სავაჭრო პუნქტების) ჩამოყალიბება თვითონ ადგილობრივი ეთნიკურ-პოლიტიკურ გაერთიანებათა ჰეგემონიითა და ინიციატივით ხდებოდა. ამ დროისათვის კოლხეთს უკვე გავლილი ჰქონდა ამ გამოკვლევათა საფუძველზე საზოგადოებრივი და კულტურულ-ეკონომიური განვითარების საკმაოდ შინაარსიანი, რთული და გრძელი გზა და კოლხურ გაერთიანებათა მბრძანებლები კარნახობდნენ ბერძენ „კოლონიზატორებს“ მათ სავაჭრო საქმიანობას — ქვეყნის ეკონომიკის სასარგებლოდ.

ახალ წელთაღრიცხვის საუკუნეებიდან თავისი ფილიგრანული დამუშავებითა და მდიდრული შემკულობით აღსანიშნავია არმაზის ხევის და ბაგინეთის, ურეკისა და კლდეეთის არქეოლოგიურ გათხრე-

1 ციტირებულია ვ. ჰელიძის წიგნიდან „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“, წიგნი 1, 1973, გვ. 53.

2 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I—1970, გვ. 416, 432.

3 იქვე, გვ. 448, 464.

ისას აღმოჩენილი ოქროს ნივთები (სამკაულები) — ყელსაბამები, ამარხეული ინვენტარი და სხვ. მრავალი ნივთი, რომლებიც ახ. წ. აღ. II—III და IV საუკუნეებით თარიღდება¹ და მიუთითებს არა მარტო ხელოვნების, მხატვრული გემოვნებისა და აზროვნების დახვეწილობაზე, არამედ მინერალური სამყაროს ქიმიური გადამუშავების და მისი გამოყენების უაღრესად მაღალ დონეზე, რასაც უშუალო კავშირი აქვს მედიცინასთან, მინერალური სამყაროს მედიცინაში გამოყენების შესაძლებლობასთან იმ დროისათვის.

ქიმიკოსი კუპცისი, რომელიც ძველ ქართულ ხალხურ მედიცინას ეხება თავის წერილში², ჩამოთვლის რა მედეას ბალის სამკურნალო მცენარეებს, წერს: «По-видимому, древнейшая медицина Кавказа и особенно Грузии, знала только лекарственные вещества растительного происхождения, в «фармакопее» Гекаты и Медуи встречаются исключительно средства растительного происхождения... Вообще следует отметить, что в древности здесь Понтус, а так же и Иверия, славились своими лекарственными растениями, лечебные средства животного происхождения вошли в народную медицину кавказских народов, очевидно, уже после знакомства с Китаем, Тибетом, Индией, Аравией и др.».

ე. ი. კუპცისი ფიქრობს, რომ ძველ საქართველოში არ იცოდნენ ცხოველური და მინერალური სამყაროს გამოყენება სამკურნალო საშუალებებად, რომ ეს თითქოს კავკასიის ხალხურ მედიცინაში მის შემდეგ გავრცელდა, რაც გაეცნენ ჩინეთის, ტიბეტის, ინდოეთისა და არაბეთის მედიცინას, რასაკვირველია, ასეთი დასკვნა მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. მედეას ბალის სამკურნალო მცენარეთა შორის რომ მინერალური წარმოშობის (!) სამკურნალო ნივთიერებები არ იყოს ჩამოთვლილი, ეს არაფერს ნიშნავს. მინერალური სამყაროს გამოყენებისა და მისი გადამუშავების მაღალი დონე უთუოდ გვაფიქრებინებს მათ სამკურნალოდ გამოყენებას. მედეას მიერ გამოყენებული „ნავთი“, მითრიდატუმის შემადგენლობაში ცხოველური და მინერალური ნივთიერებების არსებობა არ იძლევა ასეთი დასკვნების უფლებას. ზოგიერთი მინერალის საბადოდ საბერძნეთში ივერიასა და კოლხიდას მიიჩნევდნენ; მაგალითად, ფეოფრასტი,

¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I — 1970, გვ. 576, 592, 640, 656, 704, 720.

² ჟურნ. „საბჭოთა მედიცინა“, № 3—5, 1931 წ.

არისტოტელეს მოწაფე (372—287), ჯერ კიდევ ძვ. წ. აღ. IV საუკუნეში სწერდა სინგურის ქვების შესახებ: «Киноварь была бы то самородная, то искусственная, самородная, в Иверии, очень твердая и кампевидная, и в Колхиде, говорят, что она находится на утесах и ее сбивают стрелами»¹.

მეცხოველეობის, მიწათმოქმედებისა და, კიდევ მეტი, მეტალურგიის განვითარება განაპირობებს მინერალური და ცხოველური წარმოშობის ნივთიერებათა შეტანას სამკურნალწამლო საშუალებათა არსენალში. ამ დროისათვის კი კოლხეთსა და იბერიაში, როგორც ზემოთ ვნახეთ, საკმაოდ განვითარებული ჩანს მიწათმოქმედება და მეცხოველეობა. თვით „არგონავტიკაში“ არის ქართველური ტომები ცხვრებით განსაკუთრებულ მდიდარ ტომებად აღიარებული. აქვეა ნახსენები „სპილენძის ჩლიქებიანი ხარი“, რომელიც მიწაში ღრმა კვალს ავლებს. ცხვრისა და ხარის კულტის არსებობა იმის მაჩვენებელია, რომ მეცხოველეობა და მიწათმოქმედება საზოგადოებრივი საქმიანობის დიდი ხნის და მტკიცედ დამკვიდრებული ფორმაა. ამის მაჩვენებელია აგრეთვე VI—V საუკუნის „კოლხურ თეთრზე“ გამოსახული ხარის თავი.

კოლხურ-იბერიული მეტალურგია, ძვირფასი ლითონების (ოქრო, ვერცხლი) გადამუშავების ქიმიკა, მათი დამუშავების ფილიგრანული ტექნიკა, უაღრესად დახვეწილი გემოვნებით ესთეტიკური მიზნებისათვის შექმნილი ნივთები, იმაზე მეტყველებენ, რომ საბუნებისმეტყველო-ბიოლოგიურ საკითხებზე დაფიქრებისათვის, ადამიანის ბუნების საიდუმლოებათა შეცნობისათვის ამ ეპოქის საზოგადოება ინტელექტუალურად შეშზადებული იყო, ბუნებრივია, რომ პირველ რიგში ამ დონეზე მოაზროვნე ადამიანებისათვის სიკვდილისა და სიცოცხლის პრობლემები, ჯანმრთელობისა და პათოლოგიის საკითხები, დაავადებათა მკურნალობის სხვადასხვა საშუალების გამოწახვა დადგებოდა წინა პლანზე, მედიცინა გახდებოდა ზრუნვისა და უპირველესი დაინტერესების საგანოცმ დებულების პირდაპირი დამადასტურებელი მასალები, იურიდიული ენით რომ ვთქვათ, ნივთიერი მამტიციებელი მასალებიც არსებობენ იმ არქეოლოგიურ მონაპოვრებში, რომლებიც ზემოთ ვახსენეთ. საზღვარგარეთული

¹ Л а т и ш е в, Известия древних писателей греческих и латинских, и скифов и Кавказе. т. II გვ. 387.

ქვეყნების მედიცინის ისტორიკოსთა შორის არსებობს არასწორი მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოს ადამიანთა წარმოშობის პირველ ხანებში, ადრეულ საუკუნეებში, არ არსებობდა დაავადება, რომ ადამიანები მაშინ ფიზიკურად გაკაქებულნი იყვნენ და არ ავადდებოდნენ, მაგრამ, დღეს უკვე არქეოლოგიური მონაცემებით უარყოფილია ეს მოსაზრება, რადგან ჩვენი პლანეტის სულ სხვადასხვა კონტინენტზე აღმოჩენილი პალეოანტროპოლოგიური მასალების შესწავლის შედეგად დადგენილია პირველყოფილ ადამიანთა ძვლებზე მრავალი სხვადასხვა დაავადებათა მიერ გამოწვეული პათოლოგიური ცვლილებები. ამგვარად, საბოლოოდ უარყოფილია ეს მცდარი წარმოდგენა. საქართველო ერთი იმ ქვეყანათაგანია, სადაც ადგილობრივმა ხალხმა ამავე ტერიტორიაზე განვლო თავისი ფილოგენეზური განვითარების ყველა საფეხური და აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური, პალეოანტროპოლოგიური, კერძოდ, ძვლოვანი მასალები იძლევა ძვ. წ. აღ. II ათასწლეულში, კერძოდ, მედებს ეპოქაში ზოგიერთი დაავადების არსებობის სურათს. თვით არგონავტებზე არსებული თქმულებანი, ბერძენ-რომაელ ავტორთა წერილობითი წყაროები და ქართული ეპოსის „ამირანიანის“ ვარიანტები იძლევა, როგორც ქვემოთაც ვნახავთ, მთელი რიგი დაავადებებისა და პათოლოგიური მდგომარეობის არსებობის დამადასტურებელ მაგალითებს. ამ მხრივ საინტერესოა პ. ფირფილაშვილის მიერ ჩატარებული კვლევა, ძველ საქართველოში პალეოპათოლოგიური მასალების შესწავლის, დაავადებებისა და სამკურნალო მანიპულაციების დადგენის მიზნით. ამ მასალებში ჩვენთვის საინტერესო ეპოქას ან აღინდელსა და მომდევნო პერიოდებს (ძვ. წ. აღ. საუკუნეებს) განეკუთვნება მის მიერ შესწავლილი 226 თავის ქალა და 551 ჩონჩხის ცალკეული ძვლები. ამათგან აღმოჩნდა შემდეგი დაავადებები და პათოლოგიური ცვლილებები: ოსტეომა — 1 (ძვ. წ. XXX—XX—საუკ.); ლულოვანი ძვლის მოტეხილობა—1 (ძვ. წ. აღ. XV—XIV საუკ.); მელომატოზი—1, და ლულოვანი ძვლების მოტეხილობა — 2 (XIII—XII საუკ.); ძვლებისა და სახსრების ტუმბერკულოზი — 1; ჰიპეროსტოზი — 1; ხერხემლის მალეების შეუხორცებლობა ზურგის ტვინის არხის ანომალიით — 1; ძვლების მოტეხილობანი — 4; ტრეპანირებული თავის ქალა — 1; (XI—IX) უცნობი ეტიოლოგიის არასპეციფიკური ანთება — 2; ტიფოზური სპონდილიტი—1; უცხო სხეულები ძვალში — 2; ძვლის კორტიკა-

ლური ფენის დაზიანებით — 1; თავის ქალას ტრეპანაცია — 1. (VIII—VI საუკ.) და სხვ.¹.

აღნიშნული ძეგლოვანი მასალის შესწავლის შედეგად ვლინდება, რომ ამ პერიოდში მიღებული სამკურნალო ეფექტების მიხედვით, ზემოჩამოთვლილ დაავადებათა მიმართ ჩატარებულია მკურნალობის მეტად რაციონალური მეთოდები, მაშინდელი მკურნალების მიერ უთუოდ ჩატარებულა: ძვლების რეპოზიცია, იმობილიზაციითა და კიდურების დაქიმივით, მოტეხილი ძვლების თავისუფალი ფრაგმენტების ამოღებით და სხვ. ძვ. წ. აღ. X და VIII საუკუნეებში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მკურნალობის მიზნით თავის ქალას ტრეპანაციის წარმოება, რაც რენტგენოლოგიურად არის დადასტურებული. ეს უთუოდ საექიმო მანიპულაციებისა და, კერძოდ, ქირურგიული ოპერაციების მაღალი დონის მაჩვენებელია. ამ დროისათვის აღსანიშნავია, რომ თავის ქალას ტრეპანაცია როგორც ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებათა, ასევე თავის ტვინის ტრავმულ დაზიანებათა დროს, დადასტურებულია ქართულ ხალხურ მედიცინაში, სწორედ საქართველოს იმ ეთნოგრაფიულ კუთხეში (ხევსურეთი), სადაც ყველაზე უფრო შემონახულია ყოფისა და აზროვნების უძველესი გადმონაშთები. ქირურგიის განვითარების მაღალი დონე დასტურდება ოპერაციისათვის საჭირო ინსტრუმენტებისა და ნივთების აღმოჩენითაც.

ქართულ არქეოლოგიურ მასალებში მოპოვებულია (შეისწავლა პ. ფირფილაშვილმა) ბრინჯაოს სადოსტაქრო იარაღები: ბრინჯაოს ნემსები, რომლებიც გარდა სამკურნალო დანიშნულებისა, არქეოლოგთა და მკვლევართა მოსაზრებებით, ჭრილობათა გასაკერადაც იხმარებოდა. 6 სხვადასხვა ზომის ბრინჯაოს ასეთი ნემსია მოპოვებული სამთავროს სამაროვანში 1939 წელს არქეოლოგიური გათხრებისას, ყველა ისინი დათარიღებული არიან ძვ. წ. აღ. XI—X, X—IX, IX—VIII და VIII—VII საუკუნეებით. საინტერესოა ბრინჯაოს ზონდი, რომელიც უთუოდ ჭრილობათა ტამპონადისა („პატრუქის ჩადება“) და ტამპონის ამოსაღებად გამოიყენებოდა. ქირურგიული დანიშნულებისაა ბრინჯაოს სხვადასხვა სახისა და ზო-

¹ იხ. პ. მ. ფირფილაშვილი. პალეოანთროპოლოგიური მასალები ძველ საქართველოში დაავადება-დაზიანებათა და სამკურნალო მანიპულაციების შესწავლისათვის. საქმედგამი, თბილისი, 1956. და «Палеонтологические материалы по изучению болезней, повреждению и лечебных манипуляций в древней Грузии (автореферат)», Рига, 1974.

მის 13 პინცეტი. მათ შორის 10 სამთაეროშია მოპოვებული, 3 კი — საქართველოს სხვადასხვა ადგილას (ძვ. ანაგა, ქვ. ქართლი, ზინდისი). პინცეტები დათარიღებულია ძვ. წ. აღრიცხვის XI—IX—VIII—VII საუკუნეებით. ყველა ისინი გამოყენებისათვის (დაქერის ფუნქციის მხრივ) მეტად რაციონალური ტექნიკით და სტილიზებული ფორმებით არის შესრულებული, მათ შორის სამი შემკულია ხაზოვანი ორნამენტებით¹.

გველი, როგორც ვთქვით, უძველესი დროიდან, ჯერ კიდევ შემერული ეპოქიდან, სიბრძნისა და მკურნალობის ემბლემად ითვლებოდა. ეს განაპირობა იმან, რომ ადრე გველი ნაყოფიერებისა და სიკეთის ღვთაებად ითვლებოდა. გველი როგორც ოჯახის მფარველი ღვთაება ქართველურ ტომებში დღემდეა შემორჩენილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით. სვანეთში იგი ამჟამადაც „მეზერის“ კულტის სახელითაა ცნობილი. ამიტომ დიდ ყურადღებას იმსახურებს გველის გამოსახულებიანი არქეოლოგიური ნივთები. ზემოხსენებულ თრიალეთის არქეოლოგიურ მასალებში, მდიდრულ ყორღანულ სამარხში ნაპოვანია ორი დიდი ჭურჭელი: შავი თიხის დერგი, რომელზედაც გამოსახულია ორი ერთიმეორის მომზირალი დაკლაკნილი და თავაწეული გველი და მეორე — თიხის მოწითალო ფერის დერგი, რომლის ზემო ნაწილში გამოსახულია აგრეთვე დიდი დაკლაკნილი გველი. ბეშთაშენის სამარხში ნაპოვნი მოშავო თიხის ჭურჭელზე გამოსახულია ირგვლივ ერთიმეორის თანმიმდევრობით დაკლაკნილი გველები. რასაკვირველია, ეს ნივთები წარმოადგენენ სამკურნალწამლო საშუალებათა, უფრო სამკურნალო მცენარეების შესანახად განკუთვნილ ჭურჭლებს. პირველი ორი დათარიღებულია შუა ბრინჯაოს ხანით (ძვ. წ. აღ. II ათასწლეულის შუა საუკუნეები), მესამე კი — გვიანბრინჯაოს ხანის სამარხშია ნაპოვნი.

ამგვარად, ქრონოლოგიურად ისინი მედევს ეპოქას განეკუთვნებიან. მედიცინაში გამოყენებული ჭურჭლებისა და ნივთების ასეთი „სპეციალიზაცია“, მათში საგანგებოდ პროფესიული ემბლემის გამოსახვა მიუთითებს მედიცინის, როგორც დამოუკიდებელი დარგის არსებობაზე; იგი უკვე შორს წასული პროფესიონალიზაციის მაჩვენებელია.

ძვ. წ. აღ. VIII—VI საუკ. განეკუთვნება აგრეთვე შავად გამომ-

¹ პ. ღირფილაშვილი, „არქეოლოგიური გათხრებისას მოპოვებული ზოგიერთი სადასტაქრო იარაღის შესახებ“ — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XVIII, № 4, 1957, გვ. 495—502.

წვარი „ორსართულიანი“ თიხის ჭურჭელი სახელურითა და გველის რელიეფური გამოსახულებით. ჭურჭელი შუაში ვიწროვდება, რაც ქმნის მას ორსართულად—ზემო და ქვემო სართულები ერთმანეთთან დაკავშირებულია ვიწრო ყელით. ჭურჭელი, არქეოლოგთა და მკვლევართა აზრით, სამკურნალწამლო ნივთიერებათა გამოსახარშად არის განკუთვნილი. იგი საგანგებო კონსტრუქციისაა გარკვეული ტექნოლოგიური პროცესის გათვალისწინებით და გამიზნულია წამლის გამოხარშვისათვის, რომელიც დამშვენებულია საექიმო ემბლემით (გველით).

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ძვ. წ. აღ. XIV საუკუნით დათარიღებული ირმის რქა გველის გამოსახულებით. იგი წვერთან ოდნავ მოღუნულია, ირგვლივ რქის სიგრძეზე 7 გველია გამოსახული, ზომიერი და თანაბარი კლასილობით, სტილიზებული თავით. რქის მოღუნვის ადგილას ხერელია პირით ჰაერის ამოსასრუტად. რქა იხმარებოდა სისხლის ასაღებად და გამოსაშეებად, რაც ესოდენ გავრცელებული იყო საქართველოში უძველესი დროიდან თითქმის XVIII—XIX საუკუნემდე როგორც სამკურნალო საშუალება მთელ რიგ დაავადებათა დროს¹.

ხშირია აგრეთვე ქართულ არქეოლოგიურ მასალებში გველის გამოსახულებიანი ბრინჯაოს ცულები, ისინი საკულტო დანიშნულების ნივთებად ითვლებიან, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ცულების გამოყენება უთუოდ ხდებოდა სამედიცინო მანიპულაციებისათვისაც, კერძოდ, კიდურთა ამპუტაციებისათვის როგორც მკურნალობის, ასევე დასჯის მიზნით. ყოველ შემთხვევაში გველის გამოსახვა უსათუოდ სამედიცინო დანიშნულების საგნად აქცევს მას, მისი რაციონალური თუ მაგიურ-რელიგიური მიზნით გამოყენებისათვის.

¹ პ. ფირფილაშვილი, თრიალეთსა და სამთავროში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი გველის გამოსახულებიანი ჭურჭლების დანიშნულების შესახებ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოამბე, ტ. XVIII, 1957, გვ. 377—383.

„ამირანიანი“ და კოლხურ-იბერიული მედიცინა

კოლხურ-იბერიული მედიცინის ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს უძველესი ქართული ეპოსი „ამირანიანი“, იგი III—II ათასწლეულის საუკუნეებს განეკუთვნება და ამგვარად, მედეას ეპოქას საუკუნეებით წინ უსწრებს. უძველესი ქართული მედიცინის ისტორიის თვალსაზრისით „ამირანიანი“ ჩვენს ადრინდელ შრომებში საკმაოდ დაწვრილებით გვაქვს შესწავლილი¹. განსახილველი პრობლემის ერთგვარი მთლიანობისათვის ჩვენი ეს ადრინდელი გამოკვლევები მთლიანად გადმოგვაქვს წინამდებარე მონოგრაფიაში, როგორც მედეას ეპოქის, კოლხურ-იბერიული მედიცინის ერთგვარი ფონი, ამ ეპოქის სამედიცინო აზროვნების ადრინდელი ეტაპი.

ეპოსი „ამირანიანი“ ასახავს საზოგადოებრივ ცხოვრებაში უალრესად მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებიც გამოიხატება „ლითონის ცივად დამუშავებიდან — „ქედვიდან“, ცეცხლის გამოყენებაზე, „წრთობაზე“ გადასვლაში, რაც ბარბაროსობიდან ცივილიზაციაში გადასვლას ნიშნავს. ეს კი წარმოების რევოლუცია იყო. რკინის „ქედვიდან“ რკინის „წრთობაზე“ გადასვლამ დიდი საწარმოო გადატრიალება მოახდინა. მან დიდი კვალი დატოვა წინა აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა ცხოვრებაში. ცეცხლში ნაწრთობი იარაღის ხმარება აღნიშნულია პირველად სწორედ თრიალეთისა და ალგეთის მიდამოებში „...ცინკური თვლის რომ „ეგვიპტეში ნაწრთობი იარაღი შავი ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ადგილებიდან მიჰქონდათ... ქართული „ამირანი“ პირდაპირ დაკავშირებულია „ნაწრთობი“ იარაღის შემოღებასთან, ამდენად იგი უშუალო უკუფენაა ქართულ ეპოსში იმ დიდი საწარმოო გადატრიალებისა, რომელმაც

¹ იხ. ჩვენი ნარკვევები მედიცინის ისტორიიდან საქართველოში, საქმედგამში, თბილისი, 1956, 26—27; მედიცინის განვითარების ზოგიერთი ძირითადი საკითხი საქართველოში, 1961, გვ. 146—165; ქართული მედიცინის ისტორია, გამომც. „განათლება“, 1970, გვ. 31—46; გილგამეშისა და „ამირანიანის“ ურთიერთობის საკითხისათვის, ეურნ. „მნათობი“, № 9, 1969, გვ. 129—142; და სხვ.

ქართული წარმართული მსოფლიო შესძრა¹, „ამირანიანში“ აისახა ბრძოლა ძველსა და ახალს, რეაქციულსა და პროგრესულს შორის. აღსანიშნავია, რომ კ. მარქსს მითოლოგიურ სახეთა შორის ღმერთებთან მებრძოლი პრომეთე მიაჩნდა „ყველაზე კეთილშობილ წმინდად და წამებულად“. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ პრომეთე ამირანის პროტოტიპია და მის შესახებ თქმულებაც მთელი საუკუნეებით წინ უსწრებს ესქილეს ქმნილებას, კ. მარქსის ნათქვამი. ამირანზეც გავრცელდებოდა.

„ამირანიანი“ ყველაზე ადრინდელი წყაროა, რომელშიც მოცემულია მკურნალობისა თუ საექიმო საქმიანობის რაციონალური მეთოდები და მანიპულაციები მაგიურ-რელიგიური რიტუალების ნაცვლად, ამირანის მიერ ზეციდან ჩამოყვანილი ღმერთქალი ყამარი პირველად თავვისაგან გაიგებს ბალახის სამკურნალო თვისებების შესახებ: თავგმა მკვდარი თავვი (თავისი შვილი) გააცოცხლა ბალახის საშუალებით ყამარის თვალწინ. მისი მიზაძვით კი ღმერთებთან ბრძოლაში დალუპულ ამირანს, ბადრსა და უსუპს „აცოცხლებს“ ყამარი იმავე ბალახის გამოყენებით². რასაკვირველია, ეს ეპოქისათვის დამახასიათებელი ჰიპერბოლიზმია, მაგრამ მას აქვს რეალური საწყისი, რომელიც მცენარეთა სამკურნალო თვისებების ცოდნასა და გამოყენებაში გამოიხატება.

თქმულებაში ნახსენები და გამოყენებულია ბანგი, როგორც ძილმომგვრელი, გამაბრუნებელი საშუალება: „დევები ადგნენ და ბანგი შეაპარეს (ამირანს) შვიდი კვირისა და შვიდი დღისა“ და დააძინეს³. ასევე დააძინეს ბანგით თვით ამირანის დედაც: „წაიღო ჯადო დედაკაცმა ერთი ჩარეჟა ბანგი და ქალს (ამირანის დედას)... დააღეგინა. ქალი დაითრო და მკვდარივით დაიძინა. მივიდა ჯადო დედაკაცი და მძინარეს შუა თავზე თეთრი თმა მოკრიჭა“⁴.

ამგვარად, „ამირანიანში“ საძილე საშუალებაა გამოყენებული. აღსანიშნავია, რომ აქ მინიშნებულია ამ წამლის დამზადების ერთი გარკვეული მომენტი, რომ ეს საძილე საშუალება, რომელიც სამკურნალო მცენარე, შვიდ კვირასა და შვიდ დღეს უნდა ყოფილიყო სხვა მინარევებთან ერთად გარკვეული ქიმიური რეაქციების დასას-

1 აკად. შ. ნუცუბიძე. „ამირანი“, გვ. XIV—XV.

2 პროფ. მ. ჩიქოვანი, მიჯაჭული ამირანი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამოც. 1947, გვ. 328.

3 იქვე, გვ. 288.

4 იქვე, გვ. 298, 391.

რულებლად. მსგავსი ტექნოლოგიური პროცესები ხშირად არის და-
 მოწმებული ქართულ ხალხურ მედიცინაში. „ამირანიანში“ გვხვდე-
 ბა ცნობა ხელოვნური მშობიარობის შესახებაც, საკეისრო გაკვეთის
 მსგავსი მანიპულაციის საშუალებით: ღმერთების მსჯავრით ქალღ-
 მერთ დაღს კაცთან, ადამიანთან, ამირანის მამასთან სულკალმასთან
 „ცოდვისათვის“ ჩანასახის მოსპობას უსჯიან; დალი იძულებული
 ხდება მოიშოროს ჩანასახი ხელოვნურად, ქირურგიული მანიპულა-
 ციის გზით, იგი ეუბნება სულკალმას: „აილე ჩემი ჭაყვა, გამკვერი
 მუცელზე, რადგანაც მე შენს ხელში დავორსულდი და გამოიღე
 შვილი, ვაჟი თუ აღმოჩნდეს ჩემი შვილი, სახელად ამირანი დაარქ-
 ვი, თუ ქალი იყოს, რაც გინდა ის დაარქვი, ჩემი შვილი „ჭაბუკი“
 (გმირი) გამოვა“, სულკალმასმა „გაუჭრა დაღს მუცელი, რომელიდ-
 განაც გამოვარდა მზის მსგავსი ვაჟი“¹.

1 აქვე მოცემულია დღენაკლულთათვის ემბრინული ზრდის და-
 სასრულებლად ხელოვნური გარემოს შექმნის იდეა. დალი არიგებს
 სულკალმას: „მას რომ ჩემს მუცელში დასცლოდა დრომდის, ისეთი
 იქნებოდა, რომ თვით ღმერთს შეეებებოდა, ეხლა კი ნაკლები იქნე-
 ბა: შენ მაინც აასრულე, რაც მე დაგაბარო როცა ჩემს მუცლიდან
 გამოიღო შვილი, სამი თვე ღმერთის ფაშვში შეინახე, შემდეგ სა-
 მი თვე კუროს ფაშვში, რომ რაც დედის მუცელში დააკლდა, ის შე-
 ივსოს და გამოიშუშოს. შემდეგ აკვანში ჩააწვინე“².

1 „ამირანიანში“ ნახსენებია კრილობის მკურნალობის სხვადასხვა
 როგორც რაციონალური, ისე მაგიური მეთოდები: ამირანმა თავისი-
 ვე ტანზე კრილობა მიიღო, რომელიც „არწივის ფრთის ერთი ნაჭ-
 რის მოსმით განიკურნა“. საინტერესოა კრილობის შეხორცების შე-
 მაფერხებელი საშუალების ცოდნა. როცა ამირანმა დევს (მეორე
 შემთხვევაში მწყემსის ცოლს) რამდენიმეჯერ თავი მოსჭრა, ის ისევ
 უხორცდებოდა მყისვე, მაშინ ჩიტმა გადმოსძახა ამირანს „მარილი-
 ანი წყალი დაასხი კრილობაზე და აღარ გამოეგმება თავიო“³ ამი-
 რანმა და ნათობუნმა, „როცა დევს მესამეჯერ თავი მოსჭრეს, მა-
 რილიანი წყალი გადაასხეს“ და მოჭრილი თავი აღარ შეუხორცდა
 ტანს³ აქვე მოცემულია თვალის, მხედველობის ორგანოს ამოღე-
 ბის და „ჩასმის“ იდეა.

1 დასახ. წიგნი, გვ. 356, 357.

2 იქვე, გვ. 357, 365, 376.

3 დასახ. წიგნი, გვ. 381, 382.

იამანს ერთი დევი გადაემტერა და ორ შვილთაგან (ბადრი და უსუბისაგან) ერთი მოსთხოვა, თუ შვილებს ვერ შეეღვეითო, მაშინ იამანის მარჯვენა თვალი მინდაო. „იამანმა შვილი ვერ გაიმეტა, მის მაგიერ თვალის მოთხრა არჩია და კიდევაც მისცა დევსო“¹.

უკვე მოზრდილი ამირანი იამანის თვალისათვის შურისძიების მიზნით დევს შეებრძოლება; დევი მას გადაყლაპავს, როდესაც ამირანი გამოვიდა დევის მუცლიდან, მას ცალი თვალი აკლდა. „ეხლავე გამიკეთე თვალი, თორემ ცოცხალს არ გაგიშვებო“, დაემუქრა ამირანი, დევმა ასწავლა, როგორ აღედგინა თვალი; ამირანმა ბლომად მოაქრა დევის ღვიძლს, ბლომად ფილტვებს „მოისჯა თვალზე და მთელი თვალი დაუბრუნდა“.

„ამას რომ მორჩნენ, დევს ამირანმა იამანის თვალი მოსთხოვა. დევს შეეზარა, მაგრამ უარი ვერ გაუბედა, უჩვენა სახლის სვეტი (ბოძი) და უთხრა, რომ მაგ სვეტში კოლოფი დგას, კოლოფში — კოლოფი და იმაშია შენახული იამანის თვალიო, ამირანმა მონახა თვალი. დევი აქ მიატოვეს და თვითონ სახლში დაბრუნდნენ. იამანს თვალი ჩაუდგეს და რამდენიმე ხანი დაისვენეს“².

მთელ რიგ ვარიანტებში მოცემულია წარმოდგენები ყვავილის ინფექციასა და მის შემდგომ გართულებაზე თვალზე (ჩქოვანაზე). ამირანი, ბადრი და უსუბი როცა წამოიზარდნენ, იკითხეს იამანის თვალის ამბავი, რად იყო ცალთვალა. დედა უმაღავდა, რომ დევებთან კონფლიქტს მოერიდებინა შვილები. მან იცრუა: „იმას ყვავილი სჭირდა და იმან გაუფუჭა თვალი, სხვა თქვენც არ მომიკვდეთ იამანის თვალს არაფერი დამართოდესო“³.

† ებოსში მინერალური წყლების სამკურნალოდ გამოყენების იდეაც არის: როდესაც ამირანი გველეშაპის მუცლიდან თავს დაიხსნის, მას წვერულვაში გაცვენილი აღმოაჩნდება, ვაჟაკი სასოწარკვეთილებას მიეცემა, მაგრამ ბადრი ანუგეშებს — წვერ-ულვაშზე ნუ იჯავრებ, იგრი-ბატონთან მივიდეთ და ის გაგიკეთებსო. „იგრი-ბატონს გარკვეული საზოგადოებრივი შეხედულებები უკავშირდება: იგრი-ბატონი ჯადოსნურ წყალს ფლობს, რომელსაც სამკურნალო თვისება აქვს“⁴; მაგრამ „იგრი ცოტა ავი კაცია, ხელგაშლილობას არ იჩენს მკურნალობაში. იგრიმ თავისი წყლის ფასი კარგად იცის. სხვა გარემოებაც აიძულებს მას ხელმოკერილი იყოს, ხელმ-

1 დასახ. წიგნი, გვ. 358 და სხვ.

2 იქვე, გვ. 358, 360, 378.

წიფის ყმაა და მეფის და უნებურად დახმარებას ვერავის აღმოუჩენს“¹. მაგრამ, ამირანი ისარგებლებს „იგრი ბატონის“ სამკურნალო წყლით და წვერ-ულვაში ამოუვა. აქედან შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს სამკურნალო წყლები ხელმწიფის მფლობელობაში იყო და მასზე სახელმწიფოებრივი მეთვალყურეობა იყო დაწესებული. თვით სახელის „იგრისის“ ეტიმოლოგიის შესახებ გამოითქვა მოსაზრება (აკად. შ. ნუცუბიძე), რომ ის არის „იგრისის“ (სამეგრელოს) „ინგირის“ შესატყვისი, მართლაც, საქართველოს ამ კუთხეში, ისე როგორც მთელ დასავლეთ საქართველოში, უხვად მოიპოვება სამკურნალო წყლები.

რასაკვირველია, ჩვენ არ ვამბობთ, რომ ეპოსში აღწერილი ეს მანიპულაციები თუ ქმედებანი პირდაპირ მიუთითებს იმ დროს არსებულ ქირურგიულ ოპერაციებსა და მკურნალობაზე, მაგრამ მათში უთუოდ არის რალაც რეალურად არსებულის ანარეკლი, აღწერილია არა მაგიურ-რელიგიური რიტუალები, არამედ რაციონალური, გონივრული ქმედებანი.

ქვეყნის, სამყაროს მატერიალისტური შეცნობის შესახებ ყველაზე ადრინდელი თეორია ფილოსოფიის ისტორიაში ცნობილია ოთხი ელემენტისაგან (წყალი, მიწა, ცეცხლი, ჰაერი) სამყაროს შედგენილობის თეორიის სახით, რომლის ჩამოყალიბება ანტიკური, ბერძნული ფილოსოფიის დამსახურებადაა აღიარებული, მიუხედავად იმისა, რომ გაცილებით უფრო ადრე იყო სამყაროს არსის მატერიალისტურად ახსნის ცდები; ძველ ჩინეთში, ჯოუს ეპოქის პირველ საუკუნეებში გავრცელებული იყო წარმოდგენა სამყაროს ხუთი პირველ—ელემენტის—ხის, ლითონის, წყლის, ცეცხლისა და მიწის შესახებ. ძველ ინდოეთში ჩარვაკთა მატერიალისტური მოძღვრების მიმდევრებს მიაჩნდათ, რომ ეთერის, ჰაერის, ცეცხლის, წყლისა და მიწის კომბინაციით იქმნებოდა არა მარტო მატერიალური ობიექტები, არამედ ცოცხალი ორგანიზმებიც, მათ შორის — მცენარეები და ცხოველები. ოთხი ელემენტისაგან სამყაროს შედგენილობის თეორია შემდეგში, როგორც ცნობილია, საფუძვლად დაედო ჰიპოკრატეს ჰუმორალურ-პათოლოგიურ თეორიას, რომლის მიხედვით, სამყაროს მსგავსად ორგანიზმიც შედგება ოთხი (თხიერ ნდგომარეობაში) ელემენტისაგან: სისხლის, ბალღამის, ზაფრის, ანუ ყვითელი ნღველისა, და სევდისაგან, ანუ შავი ნღ-

¹ შ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, გვ. 112.

ველისაგან. თითოეული ეს თხიერი კომპონენტი ზემოაღნიშნულ ელემენტთა ანალოგიურია თავისი თვისებებითა და მოქმედებით, კერძოდ: სისხლი — წყლის, ბალღამი—ჰაერის, ზაფრა—ცეცხლის, სევდა — მიწის.

ამ თეორიის თანახმად, როგორც არსში ამ ოთხი ელემენტის თანასწორობა სამყაროს წონასწორობასა და სიმშვიდეს იცავს, ისე თხიერ კომპონენტთა თანასწორობა ორგანიზმში ჯანმრთელობის მომასწავებელია; მათი აღრევა, წონასწორობის დარღვევა კი დაავადებებს, პათოლოგიურ მდგომარეობას ქმნის.

ჰიპოკრატედან მოყოლებული თითქმის XVIII საუკუნის დასასრულამდე ეს თეორია გაბატონებული იყო სამედიცინო-ბიოლოგიურ აზროვნებაში. თავისი დროისათვის ის მატერიალისტური იყო და, ამგვარად, პროგრესულიც იდეალისტურ აზროვნებასთან შედარებით. როგორც ვთქვით, ამ თეორიის სამშობლოდ საბერძნეთი მიაჩნდათ, მაგრამ ირკვევა, რომ მისი საწყისებია წინაბერძნულ აღმოსავლურ სამყაროში, კერძოდ, ქართულ მითოლოგიურ ეპოსში. პირველად ამის შესახებ მოსაზრება გამოთქვა აკად. შ. ნუცუბიძემ და საკმაო დამაჯერებლობითაც დაასაბუთა.

მისი აზრით, „ამირანი“ გამოდის „პირველ პლანზე თავისი ინტერესით — საიდან წარმოიშობა ცხოვრება და რისგან არის ყოველი ცოცხალი და მზარდი... ამავე პოემის ფარგლებში ნაცადია, რა თქმა უნდა მითოლოგიური ასახვის ფორმაში, მსოფლიოს აგებულებისა და მისი „საწყისთან“ კავშირის ასახვა“¹.

როგორც აღვნიშნეთ, „ამირანიანში“ წყალს ჯადოსნური, სამკურნალო თვისებები აქვს, „იგრი“ კი ამ წყლის მფლობელია, „ჯამ-ელემენტების“ წონასწორობისათვის, რომელიც მსოფლიო სტატიკას იცავს, „ამირანიანის“ მიხედვით, აუცილებელია წყალი, ტენიანობა, ამ ჯამების სიმშრალე იწვევს ჯამ-ელემენტების აღშფოთებას, წონასწორობის დარღვევას. მაშასადამე, ისე როგორც ჰუმორალურ კომპონენტთა თანასწორობის დარღვევა იწვევს წონასწორობისა და ნორმალური მდგომარეობის, სიჯანსაღის რღვევას, ჯამ-ელემენტებისადმი სინოტივის, წყლის გამორიცხვაც („გაშრობა“) იწვევს მათი სტატიკურობის დარღვევას. ამრიგად, ცხოვრების „საწყისი“ ყოფილა წყალი, ხოლო წყლის ღმერთის სახელი, რომლიდანაც იწარმოება ყოველგვარი ცოცხალი, არის „იგრი“. იგი წყლის ღმერთია

¹ შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. 1, 1956, გვ. 47.

და სიცოცხლის საწყისია... ამრიგად, „საწყისი ყველაფრისა, რაც ცოცხალია და იზრდება, ყოფილა წყალი... გაივლის საუკუნეები და ეს წარმოდგენა თითქოს ხელახლა იქნება აღდგენილი ბერძნების მიერ და წყალი, როგორც საწყისი, მიიღებს ბერძნებისათვის უჩვეულო სახელს არა „ჰიდორს“, რაც ბერძნულად წყალს ნიშნავდა, არამედ „იგრონს“¹.

„პოემა „ამირანში“, — ამბობს შ. ნუცუბიძე, — შევამჩნევთ, რომ აქაც იგივე ოთხი სტრიქონია შეტანილი ქვეყნის საერთო სურათის აღნაგობაში. წყალი, როგორც ამაზე უკვე იყო ლაპარაკი, აღიარებული იყო ყოველივე ცოცხლისა და მზარდის საწყისად. პაერი კი იყო სფერო, სადაც ბრუნვაში მოდიოდნენ ზეციური ჯამელემენტები. ცეცხლი — ეს იყო ერთი ძირითადი ზეციური სტიქიონი, რომელიც ამირანმა მცდელობითა და ვაჟაკობით გამოსტაცა ღმერთებს, ხოლო, დასასრულ, მიწა პოემა „ამირანიანში“ უპირისპირდება ზეცას. იგივე, ე. ი. მიწა ამირანის მისწრაფების მიზანია, რადგან ამირანი თვითონ არის მიწასთან დაკავშირებული, როგორც განსახიერება ბუნებისა და ყოველივესი, რაც ცოცხლობს და იზრდება დედამიწაზე“².

მასასადამე, აკად. შ. ნუცუბიძის საკმაოდ დამაჯერებელი მოსაზრებებისა და ეპოსის ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ „ამირანიანში“ აშკარად გატარებულია ოთხი ელემენტისაგან სამყაროს შედგენილობის იდეა, უფრო მეტიც მასში მოცემულია არა მარტო ელემენტთა არსებობის იდეა, არამედ საერთოდ ელემენტთა ურთიერთდამოკიდებულება და მათი წონასწორობისა და კანონზომიერი განლაგების მნიშვნელობა სამყაროს სტატიკურობისათვის, რაც მოგვაგონებს დემოკრიტეს გამონათქვამს: „მსოფლიოში არის დიადი წესრიგი“.

„ამირანიანში“ ყამარი სთხოვს ამირანს მიეშველოს ჯამების დალაგებაში და სპეციალურად ეუბნება, რომ სიფრთხილით მოეპყრას ამ საქმეს, თორემ მათი უწესრიგო დალაგება დიდ საშიშროებას შექმნის, დაირღვევა წონასწორობა სამყაროში, ამოვარდება ქარიშხალი და სხვ.

„ჯამების განლაგების წესი... გარკვეულია და ამაზეა დამყარებული მსოფლიო სტატია, ე. ი. სიმშვიდე. თუ განლაგების ეს წესი

1 შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. I, 1956, გვ. 43.

2 იქვე, გვ. 53.

დაირღვა, მაშინ მსოფლიო ჯამების ქარიშხალი დგება. ტრიალებენ რა სივრცეში, ისინი იწვევენ საერთო აღშფოთებას სივრცეში, მათი მოძრაობა ვრცელდება მთელ მსოფლიოში... ჯამები, როგორც ეს სავსებით ნათელია, წარმოადგენენ რალაცას, მსოფლიო ძირითადი ელემენტებისდაგვარს¹.

ცხადია, რომ ჯამ-ელემენტების ეს წონასწორობა და სიმშვიდე უსათუოდ ეხმაურება ჰიპოკრატეს ჰუმორალურ კომპონენტთა წონასწორობას, ორგანიზმის სიმშვიდეს (სიჯანსაღეს), ჯამ-ელემენტთა წონასწორობის დარღვევა და სამყაროს შფოთი კი — ჰუმორალურ კომპონენტთა წონასწორობის დარღვევასა და ორგანიზმის „აღშფოთებას“, დაავადებას. აკად. შ. ნუტუბიძე „ამირანში“ გატარებულ ამ ორ იდეას მიიჩნევს ერთ-ერთ პირველ ნაბიჯად „ბერძნული ფილოსოფიის მიერ ატომების აღმოჩენისაკენ... პოემა „ამირანი“ დგას გზაზე ატომებისა და არსის ატომისტური აგების შემუშავებისაკენ, ჯამ-ელემენტები უფრო ახლოა ბერძნულ ატომიზმთან, ვიდრე ემპედოკლეს ელემენტები“².

მაშასადამე, გარკვევით შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოში ძვ. წ. აღ. მეორე ათასწლეულში არსებობდა იდეა ოთხი ელემენტი-საგან სამყაროს შედგენილობის შესახებ და მოსაზრება, რომელიც ახლოს იდგა „არსის ატომისტური აგების შემუშავებასთან“. გადაჭრით შეუძლებელია იმის თქმა, რომ ბერძნებმა აქედან გადაიღეს ზემოაღნიშნული იდეები, მაგრამ შეუძლებელია ამის უარყოფაც, რადგან ერთი მხრივ, ამ იდეების შემცველი ქართული ეპოსი საუკუნეებით წინ უსწრებს ბერძნულ ფილოსოფიურ აზროვნებაში შემდეგ ჩამოყალიბებულ თეორიებს, უძველესი ქართული სამყაროდან გაერცელდა საბერძნეთში ეს ეპოსიც, რომელიც შემდეგში ბერძენმა ტრაგიკოსმა ესქილემ (525—456 წწ.) საფუძვლად დაუდო თავის ტრაგედიას „მიჯაჭვულ პრომეთეს“. ეპოსის სიუჟეტთან ერთად, რასაკვირველია, მასში გატარებული ცალკეული მსოფლმხედველობრივი იდეებიც უნდა შეეთვისებინა ბერძნულ აზროვნებას.

მეორე მხრივ, ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ თვით ბერძნების მიერ ჩამოყალიბებულ თეორიაში წყალი, როგორც საწყისი, მიიღებს ბერძნებისათვის უჩვეულო სახელს: არა „ჰიდროს“, რაც ბერძნულად წყალს ნიშნავდა, არამედ „იგრონს“. ექვს არ უნდა იწვევ-

1 შ. ნუტუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. I, 1956, გვ. 50, 58.

2 იქვე, გვ. 50, 58.

დეს, რომ „იგრონი“, როგორც წყლის სტიქიონის სახელი, ქართული „იგრი“-დანაა ნაწარმოები და, ალბათ, თვით იდეასთან ერთად არის აღებული, „იგრი“ კი, როგორც ვნახეთ, ჯადოსნური სამკურნალო წყლის მფლობელია, მეუფე, ღვთაება, იგრი-ბატონის სამფლობლოს ზღვის, მდინარეების, ტბების, ქაობებისა და ტენიანობის განსაკუთრებული სიუხვე ახასიათებს. ამ ქვეყნის სახელიც იგრისია, მის მთავარ მდინარესაც ხომ ი(ნ)გირი ჰქვია, აპრილის ძველი ქართული სახელწოდებაა „იგრიკა“ და ამ თვეს სწორედ მდინარეების წყალსიუხვე და წყალდიდობა ახასიათებს.

აკად. შ. ნუცუბიძე ქართული მითოლოგიური აზრისა და ბერძნული ანტიკური ფილოსოფიის საწყისების შეხების ადგილად იონურ სამყაროსა და, კერძოდ მის ერთ-ერთ პუნქტს — მილეთს მიიჩნევს¹.

როგორც ვთქვით, „ამირანიანის“ შექმნას ძვ. წ. აღ. 2000 წელს აკუთვნებენ. ამ დროიდან მოყოლებული ეს ეპოსი თაობიდან თაობაში გადადიოდა.

ძვ. წ. აღ. VI საუკუნიდან შავი ზღვის სანაპიროებზე, კოლხეთში, არსდება „ბერძენთა ახალშენები“. ეს „კოლონიები სამშობლო იყო არა მარტო ფილოსოფიისა, არამედ ბერძნული მეცნიერების და ხელოვნებისაც“². „პირველი მოახალშენები კოლხეთში იყვნენ ქალაქ მილეთის მცხოვრებლები, რომელთაც ახალშენების დაარსებამდე დიდხანს მკვიდრო ურთიერთობა ჰქონდათ შავი ზღვის სანაპიროებთან, შემდეგში კი მილეთელები გახდნენ კოლხეთის უმნიშვნელოვანესი სანაპირო ახალშენების დამაარსებელნი“³. უსათუოდ ყურადსაღებია, რომ ოთხი ელემენტისაგან სამყაროს შედგენილობის თეორია ანტიკური ფილოსოფიის ისტორიის მიხედვით სწორედ მილეთში ჩაისახა. ამ თეორიის შექმნა დაკავშირებულია მილეთის მოქალაქეებთან თალესთან, ანაქსიმენესა და ანაქსიმანდრესთან, რომლებიც პირველ ფილოსოფოსებად არიან ცნობილი, საერთოდ, „საკაცობრიო მეცნიერული და ფილოსოფიური აზროვნების ისტორია ამ სახელით (თალესი — მ. შ.) იხსნება“⁴.

თალესმა სამყაროს საწყისად წყალი აღიარა და ამით ჩამოა-

¹ შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. I, გვ. 79—87.

² მ. გოგიბერიძე, ფილოსოფიის ისტორია, თბილ. სახ. უნივერსიტ. გამომც., 1941, ტ. I, გვ. 20.

³ აღ. წერეთელი, ძველი საბერძნეთი, თბილისი, გამომც. „ცოდნა“, 1958, გვ. 142.

⁴ მ. გოგიბერიძე, ფილოსოფიის ისტორია, თბილისი, 1941, გვ. 21.

ყალიბა „უწინარეს ყოვლისა... რელიგიის საწინააღმდეგო იდეოლოგიის ახალი ფორმა, ამაშია თალესის ნააზრევის უდიდესი იდეოლოგიური მნიშვნელობა... მთავარი მნიშვნელობა თალესის მოძღვრებისა, რასაკვირველია, იმაში მდგომარეობს, რომ ფილოსოფია აქ მატერიალიზმის სახით იბადება, წყალი არის ის ბუნებრივი სტიქია, რომელიც მომავალში მატერიის სახით იქნება ფიქსირებული“¹. ფრ. ენგელსი თალესის მოძღვრებას „პირვანდელ სტიქიურ მატერიალიზმად“ აღიარებს.

ანაქსიმანდრემ (610—546 წწ.), რომელიც თალესის მოწაფე იყო, პირველად ელემენტად აღიარა აპეირონი — „საშუალო მატერიალური სუბსტრატი წყალსა და ჰაერს შორის“. ანაქსიმანდრეს ფილოსოფია, თალესისაგან განსხვავებით, შეიცავს „არა მარტო მატერიალიზმის ელემენტს, არამედ, შეიძლება ითქვას, დიალექტიკური აზროვნების პირველ სახეობასაც“², რადგან მან პირველმა ჩამოაყალიბა მარადიული ცვალებადობის პრინციპები.

მილეთის მოქალაქეთ და მათ შორის ზემოხსენებულ ფილოსოფოსებს, რომელთაც მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ კოლხეთთან, შეუძლებელია ამირანზე თქმულება და მასში გატარებული იდეა ყურადღების გარეშე დაეტოვებინათ. ვფიქრობთ, მილეთელებთან ქართველების უაღრესად მჭიდრო კავშირის მაჩვენებელი უნდა იყოს ხალხში დღემდე შემორჩენილი გამოთქმები: „მთელი მილეთი იქ იყო“, „მილეთი ხალხი ესწრებოდა“, „მილეთი ხალხი მოსულა“ და სხვ. ამ შემთხვევაში „მილეთი“ ნიშნავს მრავალს, უცხოს. ეს სიტყვები, ალბათ, პირველად ზღვის სანაპიროზე გემიდან მრავალი უცხოელის [მილეთელთა] გადმოსვლით გამოწვეული გაოცების გამო იყო ნათქვამი.

ცნობილი თქმულებები არგონავტების შესახებ ასევე აშკარად მიუთითებს საბერძნეთისა და კოლხეთის ურთიერთობაზე.

ბერძნულ სამყაროში ძველი ქართული მითოლოგიის გავრცელების გზების გასარკვევად უსაფუძვლო არ იქნება მოვიგონოთ აგრეთვე ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება იმის შესახებ, რომ წინაბერძნული მოსახლეობა, რომელმაც ასიმინილატია განიცადა შემდეგში მოსულ ბერძნებთან, ენათესავებოდა ქართველურ-კავკასიურ ტომებს. ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ აბორიგენები კულტურუ-

1 მ. გოგიბერიძე, ფილოსოფიის ისტორია, თბილისი, 1941, გვ. 22, 23.

2 იქვე, გვ. 24.

ლად გაცილებით მაღლა იდგნენ იმიგრირებულ ხალხთან შედარებით და მათგან მიღებულმა კულტურამ ჩაუყარა საფუძველი შემდეგში საყოველთაოდ ცნობილ ბერძნულ ცივილიზაციას.

საბერძნეთში გავრცელებული ქართული მითოლოგიური ეპოსის საფუძველზე გამოჩენილმა ბერძენმა ტრაგიკოსმა ესქილემ (525—456 წწ.) პრომეთეს სახით გამოიყვანა კაცობრიობის კულტურის მესვეური. პრომეთემ ადამიანი ველური მდგომარეობიდან განათავისუფლა და კულტურულ ცხოვრებას აზიარა, ასწავლა მას ცეცხლის საშუალებით ყოველგვარი ხელობა, ხოლო თავისი პირადი მოღვაწეობითა და თავგადასავლით უჩვენა მაგალითი შეუდრეკელი მოქმედებისა, თავისუფალი აზრისა და ქედმოუხრელი პრინციპულობისა... პრომეთეს პრობლემის გადაჭრისათვის მრავალი სხვადასხვანაირი ჰიპოთეზაა წამოყენებული. მკვლევარნი ერთ რამეში თანახმანი არიან: „პრომეთე წარმოადგენს ადამიანის გონების სიძლიერის სიმბოლოს, სიმბოლოს კულტურისა, თავისუფლებისათვის ბრძოლის“¹.

მაშასადამე, ესქილეს ტრაგედიის ძირითადი ლეიტმოტივი ცალკეულ ანალოგიურ ეპიზოდებთან ერთად ზუსტად ემთხვევა ქართული „ამირანიანის“ ძირითად იდეას. ქართული ამირანიც ისეთივე მებრძოლია თავისუფლებისათვის, პროგრესისათვის (ის ხომ საწარმოო რევოლუციის მესვეურია თავისი ცეცხლითა და ლითონის „წრთობით“), ხალხის კეთილდღეობისათვის, ისიც ებრძვის ღმერთებსა და ბუნების სტიქიონებს.

თუ „ამირანიანში“ ძველისა და ახლის ბრძოლა აისახა ამირანის ბრძოლით დევთან, ქაჯებთან, ღმერთებთან, ბუნების სხვადასხვა სტიქიონთან, აგრეთვე „ცივად ჭედვის“ ოსტატ მჭედლებთან, ესქილეს ლიტერატურულ ქმნილებაში მან უფრო გარკვეული სახე მიიღო. სიუჟეტის განსხვავებულობას საფუძველად დაედო შემდგომი სიტუაციები. ძველისა და ჩამორჩენილობის გამომსახველად ესქილეს ნაწარმოებში წარმოდგენილია იმიგრირებული მოსახლეობის ღმერთი ზევსი, ხოლო ახლისა და კულტურის გამომხატველად — წინაბერძნული სამყარო პრომეთეს სახით, ტრაგედიის მოქმედების არეები ავტორმა კავკასიას, ამირანის სამშობლოს მაინც ვერ მოაშორა.

¹ პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, ესქილე, მიჯაჭვული პრომეთე, საბლიტგამი, 1958, აღ. ქუთათელის თარგმანი, გვ. 3—6.

„ესქილეს ტრაგედიის მიხედვით, კულტურის უფრო მაღალი საფეხურის წარმომადგენელია პრომეთე, უფრო დაბალისა ზევსი... პრომეთე არ არის ბერძნული ღვთაება, იგი იმ ხალხის ღმერთია, რომელიც ბერძნების მოსვლამდე ცხოვრობდა და რომელიც მაღალი კულტურის მატარებელი იყო; ხოლო ზევსი წმინდა ბერძნული ღვთაებაა: იგი იმ ბერძნების ღმერთია, რომლებიც კულტურის საკმაოდ დაბალ საფეხურზე იდგნენ, როდესაც მოვიდნენ და დასახლდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე...

ღროთა ვითარებაში ამ თქმულებამ განიცადა ცვლილებები, მაგრამ მაინც ბოლომდე დარჩა მაღალი და დაბალი კულტურის დაპირისპირების ძირითადი საზები... დაპირისპირება კულტურულობისა და ჩამორჩენილობისა, პროგრესისა და რეგრესისა მუდამ იგრძნობოდა ამ თქმულებაში... ამგვარად, პრომეთე, წინაბერძნული მოსახლეობის შეუღრეკელი მებრძოლი და მოწინავე კულტურის წარმომადგენელი, ადამიანმა მიიჩნია ზოგად საკაცობრიო სახედ, კაცობრიობის კულტურის მესვეურად¹.

პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებისათვის პრომეთე ყოველთვის იყო პროგრესისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი. კარლ მარქსს უაღრესად იზიდავდა პრომეთეს სახე, როგორც „მიწიერი და ზეციური ღმერთების წინააღმდეგ მებრძოლისა“. თავის სადოქტორო დისერტაციაში („განსხვავება დემოკრატეს ნატურფილოსოფიასა და ეპიკურეს ნატურფილოსოფიას შორის“) იგი წერდა: „პრომეთეს აღიარება — „აშკარად გეტყვი მეჭავრებით ყველა ღმერთები“ — არის ფილოსოფიის საკუთარი აღიარება, მისი საკუთარი წარმონათქვამი, მიმართული ყველა ზეციური და მიწიერი ღმერთის წინააღმდეგ, რომლებიც არ სცნობენ ადამიანის თვითშეგნებას უზენაეს ღვთაებად. მის გვერდით არაერთარი ღვთაება არ უნდა იყოს. მაგრამ საბრალო მშიშრებს, რომელნიც ზეიმობენ ფილოსოფიის მდგომარეობის მოჩვენებითი გაუარესების გამო სახელმწიფოში, იგი იმასვე უმეორებს, რაც პრომეთემ უთხრა ღმერთების მსახურს ჰერბესს

„აწ კემშარიტალ, უყოყმანოდ, პირდაპირ გეტყვი:
მე არ გავცელიდი ჩემს წამებას შენს მონობაზე,
უმჯობესია მონა ვიყო ამ კლდისა, ვიდრე
მაცნე, ერთგული ანგელოზი მამა ზევსისა“.

¹ პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, იქვე, გვ. 7, 8, 10.

პრომეთე ყველაზე კეთილშობილი წმინდანი და წამებულია ფილოსოფიურ კალენდარში¹.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ამირანი და პრომეთე პროტოტიპები არიან, ამირანი ისეთივე მებრძოლია „მიწიერი და ზეციური ღმერთების წინააღმდეგ“ როგორც პრომეთე, რომ ამირანი ახალი მოწინავე აზრებისა და იდეების გამტარებელია ქართულ მითოლოგიურ ეპოქაში, მაშინ კარლ მარქსის მოსაზრება გავრცელდებოდა ამირანის მიმართაც და ისიც ისეთივე „კეთილშობილ წმინდანად და წამებულად“ ჩაითვლება ქართულ „ფილოსოფიურ კალენდარში“.

ზოგიერთი საკითხი „მიჯაჭვულ პრომეთეში“ უფრო გარკვევით და ვრცლადაა გადმოცემული, ვიდრე „ამირანიანში“. ჩანს, ესქილეს თქმულების უფრო აღრინდელი და ვრცელი ვარიანტი ჰქონდა ხელთ ანდა შეიძლება არც ჰქონდა ასეთი, მაგრამ დიდმა ტრაგიკოსმა მოკლედ თქმული ამბავი განავრცო, ხორცი შეასხა და აზრობრივად განავითარა. ამიტომ როგორც ეპოსი, ისე ესქილეს ტრაგედია შეიძლება გამოვიყენოთ დაუსრულებელი თუ განუვრცობი აზრებისა და დეფექტების ურთიერთშესავსებად. პრომეთე გარკვევით ამბობს, რომ მან დიდი გადატრიალება მოახდინა კულტურასა და ეკონომიკაში, რომ მან ამოიკითხა პირველად ბუნების საიდუმლოებანი, პირველმა შეიცნო ობიექტური სამყარო. პრომეთემდე, მისივე სიტყვებით, „ყველაფერს უყურებდნენ უგონოდ კაცნი“, მხოლოდ მან უჩვენა კაცობრიობას:

„...ცის მნათობთა ჩასვლა-ამოსვლა,
ვასწავლე თანაც ყველა სიბრძნის სათავე — წიგნი,
რიცხვთ ანგარიში და შთავენერგე შთაგონებული
მეხსიერება — ეგ მუხათა დედა-მშობელი.
მევე დაეადგი შლევ პირუტყვებს ქედზე უღელი
და დავუმონე გუთნის ჰაპანს, საბალნეს, კურტანს,
შევუმსუბუქე მით კაცს მძიმე შრომა და ჭაფა,
ეტლში შევაბი სადავეთა მორჩილი ცხენნი,
ფუფუნებისთვის მდიდართაგან შეყვარებულნი.
და განა მე არ მოვიგონე სელის ფრთიანი,
ეგ აფრიანი მარბენალი ზღვაზე ხომალდი?
აღმოვეჩინე იმ საბრალო მოკვდავთ ყოველი,
ხერხი, ხელობა და ოსტატობა?

და განვაცხადე გზის ნიშანთა სიმბოლოები,
... და ვინ იტყვის, რომ მოუპოვა

¹ პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 9.

მიწის წილში დამარბული რკინა, სპილენძი,
ოქრო და ვერცხლი კაცს ჩემამდე ნეტავი ვინმე?
ამას ის იტყვის, ურცხვად კვებნა ვისაც სჩვევია.
მოკლედ, თუ გინდა რომ გაიგო სიმართლე გეტყვი:
აქვს ხელოვნება ყოველგვარი ხალხს პრომეთესგან¹.

ესქილეს ტრაგედიიდან ეს სტროფები მოვიყვანეთ გარკვეული მიზნით, მაგრამ ისინი მეტად მნიშვნელოვანია სხვა მხრივაც.

ქართველურ ტომთა უძველეს ისტორიაში ცნობილია ზოგიერთი ისეთი ფაქტი, რომელიც ასახულია ზემომოყვანილ სტროფებში, მაგალითად: 1. მრავალი მეცნიერის მოსაზრებით, ახლო აღმოსავლეთი, და კერძოდ კავკასია, საქართველო (დღევანდელი საქართველოს ტერიტორია) არის ის ერთ-ერთი კერა, სადაც პირველად მოაშინაურეს ცხოველები. მეცნიერები ამ შემთხვევაში ემყარებიან, როგორც ცხოველთა გავრცელებული ჯიშების ნაირსახეობებს, ისე ეთნოგრაფიულსა და არქეოლოგიურ მასალებს. ყურადსაღებია აგრეთვე „არგონავტიკაში“ შემონახული ცნობა „ღრმა ხნულისა“ და „ფოლადის ჩლიქებიანი ხარის“ შესახებ. შევადაროთ ეს ცნობები ტრაგედიის შემდეგ სტროფებს:

„მევე დავადგი შლევ პირუტყვებს ქედზე უღლეო
და დაუშონე გუთნის ჰაპანს, საპალნეს, კურტანს,
შევემსუბუქე მით კაცს მძიმე შრომა და ჯაფა“.

2. ზოგი მეცნიერის აზრით, ხეთა-სუბარულ სამყაროსთან გენეტიკურ კავშირში არიან ქართველთა წინაპარი ტომები, მათი ტერიტორიული და პოლიტიკურ-კულტურული სიახლოვე და ურთიერთობა კი უდავო ისტორიული ფაქტია. ხეთა-სუბარულ სამყაროსთანაა (და, ამგვარად, ამიერკავკასიასთან და მის ახლომდებარე ტერიტორიებთან) დაკავშირებული ორთვეალა საბრძოლო ეტლის შემოღება, საიდანაც ის ეგვიპტეშიც გაიტანეს. გავიხსენოთ პრომეთეს სიტყვები:

„ეტლში შევაბი სადავეთა მორჩილნი ცხენნი,
ფუფუნებისთვის მდიდართაგან შეყვარებულნი“.

3. საყოველთაოდ ცნობილია კოლხური სელი და მისი ნაწარმი, სახელდობრ, კოლხური სელის აფრა, რომელსაც საექსპორტოდ

¹ ესქილე, მიჯაჭვეული პრომეთე, საბლიტგამი, 1958 წ. გვ. 33.

ამზადდებდნენ უძველეს კოლხეთში და დიდი გასავალი ჰქონდა მსოფლიოს ბაზარზე. არის მოსაზრება, რომ კოლხები ერთ-ერთი პირველი მეზღვაურები იყვნენ და დიდი ხელოვნებით აკეთებდნენ საზღვაო ხომალდებს. სელის ქსოვილის (სელის აფრების) ხომალდ-მკეთებლობასთან დაკავშირება პრომეთეს მიერ („და განა მე არ მოვიგონე სელის ფრთიანი, ეგ აფრიანი მარბენალი ზღვაზე ხომალდი“) უსათუოდ ყურადსაღები ფაქტია.

4. პრომეთე ამბობს:

„გაუცხადე გზის ნიშანთა სიმბოლოები“.

აქ ლაპარაკი უნდა იყოს იმ „კირბებზე“, რომლებიც აპოლონოს როდოსელსაც აქვს მოხსენებული თავის „არგონავტიკაში“. კირბების რაობაზე სხვადასხვა მოსაზრებაა: ზოგის აზრით, „კირბები“ ცხვრის ტყავისაგან გამზადებული საწერი მასალაა (მეგრ. „კარიბი“) და მასზე დაწერილი ნიშნები თითქოს ძვ. წ. აღ. I ათასწლეულში ქართული დამწერლობის მაჩვენებელი იყოს (შდრ. პრომეთეს სიტყვებს: „ვასწავლე თანაც ყველა სიბრძნის სათავე წიგნი“). მეორე მოსაზრებით, „კირბები“ გზებზე დადგმულ მაღალ ბოძებზე გაკრული გეოგრაფიული ნიშნებია და, თუ პრომეთეს სიტყვებთანაც შეეჯერებთ, მართლაც, ცხვრის ტყავისაგან დამზადებული და მაღალ ბოძებზე გაკრული საწერი მასალა უნდა იყოს, რომელზეც, ალბათ, გზის, ადგილმდებარეობის, რელიეფის ან გავილი მანძილის მაჩვენებელ სიმბოლურ ნიშნებს აკეთებდნენ.

5. ისტორიკოსთა, არქეოლოგთა, ეთნოგრაფთა და სხვა მეცნიერთა ერთსულოვანი აზრია შემუშავებული იმის შესახებაც, რომ კავკასია და, კერძოდ, საქართველო, სპილენძის, რკინისა და საერთოდ მეტალურგიული წარმოების ერთ-ერთი პირველადი კერაა მსოფლიოში. „არგონავტიკაში“ „ოქროს საწმისის“ მოტაცებაც ბერძნების მიერ, მეცნიერთა აზრით, ოქროს წარმოების საიდუმლოების საქართველოდან გატანაზე მიუთითებს. პრომეთე ამბობს:

„...და ვინ იტყვის, რომ მოუპოვა
მიწის წიაღში დამარხული რკინა, სპილენძი,
ოქრო და ვერცხლი კაცს ჩემამდე ნეტავი ვინმემ?“

მაშასადამე, თუ ცხოველთა მოშინაურობა და გამოყენება მიწათმოქმედებაში, ცხენიანი ეტლის შემოღება, სელის აფრების მოქსოვა, ხომალდების კეთება, გზის ნიშანთა სიმბოლოების „კირბების“ შემოღება-გამოყენება, ლითონის (სპილენძი, რკინა, ოქრო-ვერცხ-

ლი) დამუშავება და სხვ., პრომეთეს თქმით, მის სახელთანაა დაკავშირებული, ბუნებრივია, უნდა ვიფიქროთ, რომ პრომეთე მართლაც იმ ხალხის წარმომადგენელია, რომელსაც ისტორია მიაწერს ზემოჩამოთვლილის შექმნა-აღმოჩენას. მაშასადამე, უტყუარი უნდა იყოს მოსაზრება, რომ პრომეთე „წინაბერძნული — აბორიგენი მოსახლეობის წარმომადგენელია და თვით ეს წინაბერძნული ხალხი ქართველურ-კავკასიური მოდემის ხალხია, რომელთანაც დაკავშირებულია ზემონახსენები კულტურული წამოწყებები. აქედან სრულიად გასაგებია და ბუნებრივი ამირანისა და პრომეთეს ტიპთა იდენტურობა“ (ჩვენ არაფერს ვამბობთ იმ საყოველთაოდ ცნობილ პარალელებზე, რომლებსაც ვნახულობთ „ამირანიანსა“ და „პრომეთეში“, კერძოდ, ორივე ღმერთებთან მებრძოლი გმირია, ორივემ წაართვა ცეცხლი ღმერთებს და ადამიანებს ჩამოუტანა. ამირანი მიწის შვილია, პრომეთეს დედასაც გვა ერქვა, რაც მიწას ნიშნავს). გეას ვარიანტებია — ეა, აია, რომლებიც არაბერძნული — წინაბერძნული ენიდანაა გადმოტანილი. კოლხიდას ძველად ერქვა „აია“, ანუ „ეა“, მეფეს კი — „აიეტი“. ორივე გმირი ცეცხლის მოტაცებისათვის დასაჯეს ღმერთებმა, კავკასიის მთებზე მიაჯაჭვეს და მრავალი სხვ.

სრულებით არაა გასაკვირი, თუ ისტორიამ უფრო გარკვევით ვერ შემოინახა ამ უძველესი დროის ამბები. მით უმეტეს, რომ, როგორც ესქილე ათქმევინებს პრომეთეს, თურმე იმ დროს ყოფილა ისტორიის გაუკულმართების ფაქტები ხალხთა შორის პრიორიტეტის დადგენისა და მისაკუთრების მიზნით: „განა ვინ იტყვის, რომ ჩემამდე მოიპოვა ოქრო-ვერცხლი, რკინა, სპილენძი ვინმემ? ა მ ა ს ის ი ტ ყ ვ ის, უ რ ც ხ ვ ა დ კ ვ ე ხ ნ ა ვ ის ა ც ჩ ვ ე ვ ი ა“.

რასაკვირველია, ეს სიტყვები ესქილემ გარკვეული მოსაზრებით ათქმევინა პრომეთეს, ის უთუოდ რაღაც სიტუაციის, რაღაც საწინააღმდეგო მოსაზრებათა პასუხია, რომელიც ალბათ პრიორიტეტის მიჩქმალვის ცდის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ზემოთ განვიხილეთ „ამირანიანში“ აღწერილი და მედიცინასთან დაკავშირებული გარკვეული ქმედებანი, გონივრული მანიპულაციები, რომლებიც გაკვრითაა ეპოსში ნახსენები. „მიჯაჭვეულ პრომეთეში“ კი ესქილე პრომეთეს აღიარებს „სენაშეყრილთა მკურნალობის წესების შემომღებად“. მან შეასწავლა თურმე ადამიანებს სამკურნალო ბალახთა და სხვა წამალთა შეზავება, უცნობი წესები:

„კიდევ ძიებით: გაოცდები უთუოდ ძლიერ,
თუ რა ხელობა, ოსტატობა გამოვიგონე.
აი მთავარი: სენ-შეყრილი ვინმე თუ იყო,
როდი იცოდა მისაღები და წასაცხები
მარგი წაშალი სამკურნალო და კლექტებოდა.
მე შევასწავლე სამკურნალო ბალახთა წვენის,
მალამო-წამლის შეზავების უცნობი წესი,
რათა კაცთაგან მით განმეგდო სენი ყოველი“.

მაშასადამე, „ამირანიანის“ და ესქილეს ტრაგედიაში ასახუ-
ლია კულტურაში, წარმოებასა და საზოგადოებრივ განვითარებაში
ერთგვარი რევოლუციური ნახტომის ამსახველი მოვლენები, რაც
გამოიხატა, ერთი მხრივ, ლითონის „ქედვიდან“ „წრთობაზე“ გა-
დასვლით, და, მეორე მხრივ, ზემოჩამოთვლილი აღმოჩენებითა და
სხვადასხვა კულტურული წამოწყებით. მითითებული ამონაწერი
კი მიუთითებს სამედიცინო საქმიანობასა და აზროვნებაში გადატ-
რიალების მსგავს მოვლენაზე, ღრმა ცვლილებებზე, რაც, როგორც
ჩანს, „ძლიერ გაოცებასაც“ იწვევდა თვით პრომეთეს თანამედრო-
ვეებში („გაოცდები უთუოდ ძლიერ“).

„სამკურნალო ბალახთა წვენის“ თვისებების შესწავლა, მალა-
მო-წამლის შეზავების წესების გამომუშავება უთუოდ ახალი მატე-
რიალისტური მსოფლმხედველობისა და აზროვნების გამარჯვების
ნაყოფია, მკურნალობასა და სამედიცინო-ბიოლოგიურ აზროვნება-
ში მაგიურ-რელიგიური რიტუალებისა და წესების დათრგუნვის და
უკანა პლანზე მოქცევის მანიშნებელი. ესქილეს ნაწარმოებში ნაჩ-
ვენებია ამ ორი მსოფლმხედველობის დაპირისპირება, აი, რას ამ-
ბობს პრომეთე:

„მე შემოვიღე ღვთაებრივი წინასწართქმისა
ხერხი, შეცნობა და მისნურთა სიზმართა ახსნა,
თუ რაა მათში კეშმარტი და მოკორილი“.

მაშასადამე, არსებობდა „ღვთაებრივი წინასწართქმები“ და
„მისნურთა სიზმართა“ ახსნის წესები, რაც, პრომეთეს აზრით, შეი-
ცავდა არაკეშმარტ, მოკორილ ამბებს: პრომეთე, ჩანს, ებრძოდა
მათ, კრიტიკას უწევდა „ღვთაებრივ წინასწართქმებსა“ და მისნო-
ბას, ადგენდა, რა იყო მათში მისაღები და უკუსაგდები.

ამრიგად, როგორც „ამირანიანის“, ისე „მიჯაჭვული პრომე-
თეს“ შესწავლა, მათი ურთიერთდამაკავშირებელი, პარალელური

ადგილების შეჯერება საშუალებას გვაძლევს ერთგვარი წარმოდგენა შევიქმნათ უძველესი ქართული სამედიცინო-ბიოლოგიური აზროვნების ზოგიერთ საკითხზე.

ჩვენთვის საინტერესო პრობლემისათვის, უძველესი კოლხურიბერული მედიცინის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამირანიანისა და ძველალმოსავლური ეპოსის გილგამეშის ურთიერთობის საკითხის გარკვევასა და დადგენას.

გილგამეშიანი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ერთ-ერთი უბრწყინვალესი ლიტერატურული ქმნილებაა, რომელიც თავისი დიდი მხატვრული ღირსების წყალობით დღესაც დიდ ესთეტიკურ ზეგავლენას ახდენს მკითხველზე, და თავისი ღრმაშინაარსიანი პრობლემატიკით, სიყვარულის, მეგობრობის, ბოროტებასთან ბრძოლისა და, ბოლოს, სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული საკითხისადმი დაინტერესებითა და ღრმა აზრობრივი განსჯით. ეს 50 საუკუნის წინათ შექმნილი ეპოსი საკვირველად ეხმაურება კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ინტელექტუალურ და ემოციურ დონეს. გილგამეშიანი შუმერული ეპოსია. თვით გილგამეში უძველესი შუმერული ქალაქის ურუქის მეფეა, მაგრამ დღემდე მოღწეული გილგამეშიანის ტექსტი შუმერების კულტურული მემკვიდრეების — ბაბილონელებისა და ასურელების მიერ იქნა ჩაწერილი აქადურ (ბაბილონურ-ასურულ) ენაზე მეორე ათასწლეულის ბოლოს. ცნობილია ზოგიერთი ორიენტალისტისა და ისტორიკოსის მოსაზრებები ძველი ქართული და შუმერულ-ხეთა-სუბარული სამყაროს ენობრივი და კულტურული ურთიერთობის და, უფრო მეტიც, მათი გენეტიკური დამოკიდებულების შესახებაც. რაც უფრო ღრმავდება ამ მხრივ მეცნიერული კვლევა-ძიება, ვფიქრობთ, უფრო მეტ მყარ საფუძვლებს ემყარება ეს მოსაზრებები.

ქართული „ამირანიანი“ ისეთივე უძველესი ეპოსია, როგორც გილგამეშიანი, მისი ჩასახვისა და გავრცელების არეალი დროსა და სივრცეში თან ხვდება გილგამეშიანის წარმოშობის ეპოქასა და ძველი ახლო აღმოსავლეთის ტერიტორიულ ზონებს. შემჩნეული იყო გილგამეშიანისა და ამირანიანის ეპოსის მსგავსება (აკად. გ. მელიქიშვილი, პროფ. მ. ჩიქოვანი). ზოგიერთი სამედიცინო-ბიოლოგიური იდეის დამთხვევამ ბიძგი მოგვცა საერთო შედარებები მოგვეხდინა გილგამეშიანსა და ამირანიანს შორის, როგორც საერთო სიუ-

ეტიური ხაზის განვითარებისა და ეპოსის ძირითადი იდეების, ასევე ცალკეული ადგილებისა და ფრაგმენტების მხრივ.

„გილგამეშიანის“ ძირითადი იდეა სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული საკითხია, სიკვდილთან ჭიდილი, ბოროტებასთან ბრძოლა, გმირთა დამეგობრება, მათი ერთობლივი ბრძოლა ბოროტების წინააღმდეგ, გამარჯვება, ღმერთებთან შეპაექრება, ღმერთების განაჩენი, დასჯა — აი როგორი ძირითადი სიუჟეტური ხაზის გარეშემო არის ცალკეული მომენტები გაშლილი. ამირანიანშიც როგორც ძირითადი იდეა, ისე სიუჟეტიც ასეთსავე თანმიმდევრობასა და განვითარებას იღებს. ეპოსის ცალკეული ფრაგმენტები და ეპიზოდები, პერსონაჟების მოქმედებები აშკარა მსგავსებასა და პარალელებზე მიუთითებს, დამთხვევები ან პირდაპირია, ან მხოლოდ ნიუანსებით გამოიხატება. ეს ზოგადი ხასიათის დამთხვევები და პარალელები ჩვენ განხილული გვაქვს გამოკვლევაში: „გილგამეშისა და ამირანიანის ურთიერთობის საკითხისათვის“ და აქ აღარ გავიმეორებთ, მაგრამ მოვიყვანთ ამ გამოკვლევის იმ ნაწილს, რომელიც უშუალოდ მედიცინის ისტორიის თვალსაზრისით არის საინტერესო:

ამ მიზნით ამირანიანში ცალკე გვინდა გამოვყოთ სამედიცინო-ბიოლოგიური საკითხები. საექიმო-პრაქტიკული იდეები, რომლებიც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, გილგამეშიანში პოულობს პარალელს, რითაც ამ იდეების დათარიღების საშუალებაც გვეძლევა, რაც ძველი ქართული მედიცინის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი მოვლენაა.

ამირანიანში მოცემულია ისეთი ბიოლოგიური იდეები, ისეთი საექიმო-პრაქტიკული მანიპულაციები, რომელთა არსებობა და ცოდნა ამ ეპოსის შექმნის პერიოდისათვის საინტერესო ფაქტად უნდა ჩაითვალოს. ასეთ იდეათა რიცხვს ეკუთვნის, როგორც ზემოთ ვნახეთ, უკვდავების (გაცოცხლების) საკითხი, ჭრილობის მკურნალობა, ჭრილობის შეხორცების ხელოვნური შეფერხება, მინერალურ ნივთიერებათა გამოყენება, ემბრიონალური ზრდის (დღენაკლულთა) ხელოვნური მეთოდები, საძილე საშუალებათა გამოყენება, თვალის „ამოღება და ჩადგმა“, ყვავილისგან თვალის დაზიანება, საკეისრო გაკვეთის მსგავსი მანიპულაცია, მინერალური წყლების სამკურნალო თვისებათა ცოდნა და ა. შ.

ძნელია დადგენა, თუ რომელი ამათგანი მიეკუთვნება ამირანიანის თავდაპირველ ვარიანტს და რომელია შემდგომში, საუკუნეთა განმავლობაში ჩართული მოტივები, მაგრამ ის, რომელიც გილ-

გამეშიანთან ანალოგიასა და მსგავსებას ნახულობს, ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულზე გვიანდელად არ უნდა ჩაითვალოს:

1. გილგამეშიანის მთავარი, ძირითადი საკითხი სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემაა, უკვდავების ძიების პრობლემა:

„უთანაფიშთისკენ მივდივარ, ჩემი წინაპრისაკენ,
ვინაც ღმერთების კრებულის წინაშე
წარდგა უკვდავების ძებნად,
სიკვდილ-სიცოცხლის ამბავს გამოვკითხაე“¹
„მარჯვი, ვით წარდგე ღმერთების წინაშე
ხაძიებლად მარადიულ სიცოცხლისა“².

ბევრი იბრძოლა გილგამეშმა მიზნის მისაღწევად, ბევრი დაბრკოლებები გადალახა, მაგრამ მეღვინე სიდურის გაფრთხილება საბოლოო განაჩენი გახდა მისთვის:

უკვდავებას შენ რომ ეძებ,
ვერასოდეს მიაგნებ.
ოდეს კაცთა მოდგმა შექმნეს ღმერთებმა,
სიკვდილი კაცთა მოდგმას დაუდგინეს,
ხოლო სიცოცხლე დაიტოვეს ხელში.³

კაცთათვის კი ამ ქვეყნიური სიამოვნება და სიტკბოება დატოვეს: ლხენა, ნადიმი, სიმღერა, ცეკვა, „იზრუნე ჩვილზე; ხელთ რომ გეჭირება, შენს მკერდზე ხარობდეს მეუღლე შენი, რამეთუ ესაა ხვედრი მოკვდავისა“. ასე რომ, უკვდავების პრობლემა გილგამეშიანის ძირითადი პრობლემაა. თითქოს ამირანიანში ძირითად საკითხად არა ჩანს უკვდავებისა და სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა, მაგრამ ამ საკითხის ელემენტები, ანარეკლები, უსათუოდ იგრძნობა ამირანიანის ცალკეულ ფრაგმენტებში, რაც, ვფიქრობთ, უმთავრესად ბრძოლის ველზე დაღუპული ამირანისა და ბადრი-უსუბის გაცოცხლებით აისახა. ეს დამახასიათებელია ამირანიანის თითქმის ყველა სრული ვარიანტისათვის; ქრისტე ღმერთიც თავის ნათლულს, თქმულების თანახმად, პირველად უკვდავებას ანიჭებს. მაშასადამე, ამირანის თქმულება არ არის უკვდავების პრობლემისადმი გულგრილი, მაგრამ ეს პრობლემა აქ ისე გავრცობილად არ არის მოცემული, როგორც გილგამეშიანში.

¹ გილგამეში, დასახ. წიგნი, გვ. 66.

² იქვე, გვ. 80.

³ იქვე, გვ. 72.

2. ადრევე ვწერდით, რომ „ამირანი ყველაზე ადრინდელი წყაროა, რომელშიც მოცემულია მკურნალობისა თუ საექიმო საშუალებების რაციონალური მეთოდები თუ მანიპულაციები, ნაცვლად მაგიურ-რელიგიური რიტუალებისა. მაგალითად, ზეციდან ჩამოყვანილი ღმერთქალი ყამარი პირველად თავვისგან (ამ. უმწეო მიწიერი არსებისაგან) გაიგებს ბალახის სამკურნალო თვისებების არსებობას. თავმა მკვდარი გააცოცხლა და მისი მიბაძვით ყამარი აცოცხლებს ამირანს, ბაღრსა და უსუბს. რასაკვირველია, აქ ეპოსისათვის დამახასიათებელი ჰიპერბოლიზმია, მაგრამ მას აქვს რეალური საწყისი, რომელიც მცენარეთა სამკურნალო თვისებების ცოდნითა და გამოყენებით გამოიხატება“¹.

მცენარეთა სამკურნალო თვისებების ცოდნისა და მათი გამოყენების იდეა გილგამეშიანშიც ნათლად არის მოცემული: უთანაფიშთი, გილგამეშის შორეული წინაპარი, რომელიც მარადიული სიცოცხლის საიდუმლოებას ფლობს, ასე მიმართავს გილგამეშს:

განვიცხადებ ვილგამეშ, იღუმალ სიტყვას
და საიდუმლოს ბალახისას გეტყვი:
ზღვის ფსკერზე იზრდება ეკლიანი ბალახი,
ვით ვარდის ეკალი ხელს გაგიკაწრავს
და თუ ხელთ იგდებ ბალახი იგი,
სიცოცხლის განახლებას შესძლებს.

გილგამეში ჩაეშვება ზღვის ფსკერზე და მოწყვეტს ამ ბალახს. ბალახის სახელია „ჭაბუკდება მოხუცი“. გილგამეშს უნდა ეს ბალახი თავის მშობლიურ ქალაქში (ურუქში) წაიღოს, და მისი სიძლიერე მოხუცებზე გამოსცადოს. „მოხუცებს ვაქმევ და ასე გამოვცდი ბალახის ძალას“, „მეც შევქამ, ჭაბუკობას დაუებრუნდები“², — ამბობს გილგამეში, მაგრამ საბანაოდ წყალში ჩასულმა ეს ბალახი ნაპირზე დატოვა. თურმე გველს — ამ „მიწის ლომს“, სცოდნია ბალახის სამკურნალო თვისებები და „გველმა იყნოსა ბალახის სურნელი. წყლიდან აპოვიდა, ბალახი წაიღო და მყისვე გადაიძრო პერანგი“³. „ამირანში“ (ამირანიანის თითქმის ყველა ვარიანტში) ერთ-ერთი ბალახი მკვდრის „გამაცოცხლებელია“.

1 მიხ. შენგელია, მედიცინის განვითარების ზოგიერთი ძირითადი საკითხი საქართველოში, თბილისი, 1961, გვ. 35.

2 გილგამეში, დასახ. გამოცემა, გვ. 90.

3 იქვე.

4 იქვე.

გილგამეშში — „სიცოცხლის განმაახლებელი“, ბალახის ამ თვისებათა ცოდნა თითქოს ადამიანებამდე გველს სცოდნია, — მიწის ლომს, „ამირანში“ — მინდვრის (მიწის) თავეს, — ყამარმა ხომ თავვისაგან ისწავლა ბალახით მკვდრების გაცოცხლება, გილგამეშმა კი — უთანაფიშთისაგან, მაგრამ, გილგამეშამდე ხომ გველს სცოდნია ბალახის ეს თვისება და კიდეც იმიტომ მოჰპარა იგი გილგამეშს. აღსანიშნავია, რომ ბევრი ქართული თქმულება და ლეგენდა არსებობს (მაგალითად, ხევსურული) იმის შესახებ, რომ თითქოს პირველად გველმა ასწავლა ადამიანს ბალახების სამკურნალო თვისებების გამოყენება. ამ მხრივ საინტერესოა პლინიუსის (29—79 წწ. — ახ. წ. აღ.) ცნობაც, საიდანაც ირკვევა, რომ საქართველოში, კერძოდ, იბერიაში, პირველ საუკუნეებში ყოფილა გავრცელებული თქმულება იმის შესახებ, რომ გველისაგან ისწავლეს ბალახის (კერძოდ, კამის) სამკურნალო თვისება და რომ გველი „პერანგს“ იცვლიდა მისი მიღებისას (შეადარეთ გილგამეშის: „გველმა... ბალახი წაიღო და მყისვე გადაიძრო პერანგი“). „კამას (მცენარეს, ბალახს) გველებმა გაუთქვეს სახელი, — წერს პლინიუსი, — რადგან გველები სჭამენ მას, რომ მისი წვენით აღიდგინონ მხედველობის სიმახვილე და ადვილად გადაიძრონ (მოიშორონ) ჭველი პერანგი... ყველაზე საუკეთესო წვენს მისგან იღებენ იბერიაში“¹.

3. ნაშრომში „ძველი ქართული მედიცინის ისტორიული ფესვები“ ვწერდით ამირანიანში მინერალური წყლების სამკურნალო თვისებების ცოდნის შესახებ. წყლების სიკვდილ-სიცოცხლის საკითხთან თუ სიცოცხლის განახლების, მკურნალობის საკითხთან დაკავშირების იდეა გილგამეშში ეპოსშიც არის მოცემული. უკვდავების მძებნელმა „სიკვდილის წყლები“ უნდა გაიაროს, ისე რომ ხელზე არ შეეხოს, ნიჩბებიც ფისსა და კუპრში აქვს ამოვლებული:

განაგდე გილგამეშ, სველი ნიჩბები.
სიკვდილის წყლები ხელზე არ შეგეხოს

კუპრსა და ფისში გაეაღლე ნიჩბები,
სიკვდილის წყლები არ შემხებია!²

მაგრამ ეტყობა, გარდა „სიკვდილის წყლებისა“, არსებობდა სამკურნალო თვისებების მქონე წყლებიც. უთანაფიშთი, ურ-შანა-

¹ К. Г а н. Известия древних греческих и римских писателей о Кавказе, Тбилиси, 1884.

² გილგამეში, დასახ. გამოც. გვ. 76, 79.

ბის (მეზღვაურს, რომელმაც მოიყვანა გილგამეში უთანაფიშთთან წყლების მბრძანებელთან) ეუბნება:

„კაცი, რომ მოუძელ, თმებს შეუბორკია,

წაიყვანე იგი, ურ-შანაბი,

საბანელს მიიყვანე,

თმა მისი წყალში განსხეტაკდეს.

და წაიყვანა იგი ურ-შანაბიმ

საბანელს მიიყვანა

და თმები მისი წყალში განსხეტაკდა“¹.

ურ-შანაბის სახე უმაღლ გვაგონებს ამირანიანის „იგრი ბატონს“, რომელიც სამკურნალო წყლის გამოყენებაში თავის მხრივ „წყლის მეუფეზე“, ხელმწიფეზეა დამოკიდებული. ურ-შანაბი ხომ უთანაფიშთის ნებართვით და ბრძანებით მოქმედებს. მაშასადამე, სრული ანალოგიაა; ამირანს, როცა თმა გაცვენილი აღმოაჩნდება, იგრი ბატონი განკურნავს თავისი ჯადოსნური წყლებით, რომლის მფლობელი და მბრძანებელი ხელმწიფეა. როდესაც გილგამეშს „თმა შეუბორკდა“, წაიყვანა იგი ურ-შანაბიმ „საბანელში“, რომლის მფლობელი და მბრძანებელი უთანაფიშთია და თმა წყალში განუსხეტაკა“.

უთანაფიშთის წყლები მარტო თმას როდი ჰკურნავს, ის სხეულის კანის (ტყავის) განმნახლებელიც არის. როცა ურ-შანაბიმ გილგამეში საბანელს მიიყვანა, მან „განაგლო ტყავები, ზღვამ წაილო, უმეტეს დამშვენდა სხეული მისი“².

აღსანიშნავია, რომ ამირანიანის ერთ-ერთ (ოსურ) ვარიანტში ამირანის გაცოცხლება, მისი სიცოცხლის განახლება ბალახით კი არა, წყლით ხდება.³

სიტყვა „იგრის“ ეტიმოლოგიისათვის აკად. შ. ნუცუბიძემ დამაჯერებელი მოსაზრება გამოთქვა. მისი აზრით, „იგრი“ ეტიმოლოგიურად უკავშირდება „იგრისს“ — „ი(ნ)ვირს“, მართლაც, დასავლეთ საქართველო და კერძოდ „იგრისი“, ხასიათდება წყლების, განსაკუთრებით მიწისქვეშა მტკნარი და, კერძოდ, მინერალური წყლების სიუხვით. და ინგირი ხომ ეგრისის ერთ-ერთი დედამდინარეა. იგრისთან, როგორც წყალთა მეუფის სახელწოდებასთან, უნდა იყოს აგრეთვე დაკავშირებული აპრილის ძველი ქართული სახელწოდება—

¹ გილგამეში, დასახ. გამოც. გვ. 89.

² იქვე.

³ მიჯაჭველი ამირანი, დასახ. გამოცემა, გვ. 394.

იგრიკა, მით უმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ აპრილი განსაკუთრებული წყალდიდობითა და წყალსიუხვეით ხასიათდება სხვა ყველა დანარჩენ თვესთან შედარებით. შემთხვევითი არ უნდა იყოს¹ (და სწორედ ამ საკითხთან უშუალო დამოკიდებულებაში უნდა იყოს) ის, რომ ძველი „იგრისის“ დედაქალაქს ეა ერქვა, ეა—კი გილგამეშიანში — მტკნარი (მიწის ქვეშა) წყლების ღმერთია, ღვთაებაა. „ამირანიანში“ „იგრი ბატონის“ მფარველი, ხელმწიფე რომ გვხვდება, ღვთაება ეა ხომ არ იგულისხმება!? ეა კეთილი ღვთაებაა. გილგამეშიანში იგი უთანაფიშთის (წყლების გამგებლის) მფარველია, ეას რჩევით, იგი ღმერთმა ენლილიმ აკურთხა:

ადრე უთანაფიშთი მოკვდავი იყო,
აწ უთანაფიშთი და მისი მეუღლე,
დე მსგავსნი იყვნენ ჩვენი ღმერთებისა.
იტხოვროს უთანაფიშთიმ შორეთში,
წყლების დასაბამთან.
წაგვიყვანა დაგვასახლა შორეთში
წყლების დასაბამთან!

მაშასადამე, უთანაფიშთის სახელი დაკავშირებულია „წყლების დასაბამთან“, წყლის საწყისთან („შორეთში“): ამირანის იგრიც ღმერთია, წყლისა და სიცოცხლის საწყისია... „საწყისი... ყველაფრისა, რაც ცოცხალია და იზრდება“².

4. გილგამეშიანში აშკარად შემონახულია „შვიდის“ ღვთაებრიობის გაგება. მაგალითად:

ინქილუმ იგემა კამადი გაძლომამდე,
შესევა სასმელი შვიდიოდე კათხა (გვ. 27).

ხუმბაბა, რომლის წინააღმდეგაც იბრძვიან გილგამეში და ენქილუ, თურმე „შვიდ პერანგში იმოსება“ (გვ. 44) და შვიდპერანგჩაცმული, როგორც ჩანს, ძნელი დასაძლევია. ანუ ეუბნება იშთარს:

„თუ შევასრულე, რასაც შენ მოითხოვ,
შვიდ წელიწადს მზე მოვა ტარიელი.
ექვს ღღეს და შვიდ ღამეს
მიმოდოდა წარღვნის ქარიშხალი
და გრიგალი ხმელეთის დამქცევი,

¹ გილგამეში, დასახ. გამოც. გვ. 87.

² შ. ნუტუბიძე. ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. I, 1956, გვ 47.

ხოლო მეშვიდე დღის დადგომისას...
ამოვსვი და გაუშვი მტრედი.
შვიდი და შვიდი ჭურჭელი დავდგი.¹

გილგამეშის ქალაქ ურუქისათვის შვიდ ბრძენს ჩაუყრია საძირკველი: „განა შვიდმა ბრძენმა არ ჩადო საძირკველი მისი“ (გვ. 9) რომელსაც „შვიდურდულიანი კიშკარი“ აქვს დატანებული (გვ. 35). ამ მხრივ კიდევ უფრო საინტერესოა, აგრეთვე, გილგამეშისა და ქვესკნელის ტყვეობაში მყოფი ენქიდუს სულის დიალოგი:

„ვინც ერთი ძე შობა, თუ ნახე? ვნახე,
ქვესკნელში მხოლოდ პურს შეეძებევა“.

ვინც შვიდი ძე შობა, თუ ნახე? ვნახე.
ღმერთებთან სიახლოვით ნეტარებს“ (გვ. 96)²

„შვიდი კათხა,“ „შვიდი წელიწადი“, „შვიდი პერანგი“, „შვიდი ღამე“, „მეშვიდე დღე,“ „შვიდი ჭურჭელი“, „შვიდი ბრძენი“, „შვიდი ძე“ და ა. შ. კონტექსტში მოცემულია როგორც აზრობრივი კულმინაციის ამსახველად, განსაკუთრებული სიძლიერისა და მაგიურობის გამომხატველად. მაგრამ ის, „ვინც შვიდი ძე შობა, ყველაზე დიდი პატივით სარგებლობს, ღმერთებთან სიახლოვით ნეტარებს“. წმინდა ბარბარესაც ხომ „შვიდი შვილი ჰყავს („შვიდი და-ძმანი ბატონი“). აკი ამიტომაც „ბატონების დედასა“ (ე. ი. ბარბარეს) „უდგია ოქროს აკვანი“—ამბობს ქართული ხალხური თქმულება. „შვიდის“ ღვთაებრიობის ნიშნები ამირანიანშიც შეინიშნება:

პატარა ამირანს დევებმა ბანგი დაალევინეს
„შვიდი კვირისა და შვიდი დღისა“³.

როცა ამირანი დაქორწინდა შვიდი დღე და ღამე იყო ქორწილი,⁴
დევი ეუბნება ამირანს:

„ზღვას გაღმა ქალი გასწავლო,
სახელად ყამარ ჰქვიანო...
ყამარის კაბას საშრობლად
შვიდი დღე უნდა მზიანი,

1 გილგამეში. დასახ. წიგნი, გვ. 50, 52, 59, 82, 84, 85, 88.

2 ეს ფრაგმენტი აღდგენილია მთარგმნელის (ზ. კიკნაძის) მიერ შუმერული ორიგინალიდან.

3 მიჭაქველი ამირანი, დასახ. გამოც. გვ. 288.

4 იქვე, გვ. 290.

შვიდმეტი კოკა წყლიანი“¹.

„ის გორა საცა ამირანი იმყოფება,

შვიდწელიწადში ერთხელ იღება“².

„ზედ გაკეთდა ერთი მთა და შვიდ

წელიწადში ერთხელ გველებოდა კარები“³.

მაგრამ, „შვიდის“ ღვთაებრიობა იმდენად გავრცელებული მოტივია, როგორც აღმოსავლურ თქმულებაში („იშთარის მოგზაურობის პიმნი“), ისე ქართულ ფოლკლორში⁴, რომ გილგამეშიანისა და ამირანიანის ურთიერთობის საკითხისათვის ის სპეციფიკურ ნიშნად არ გამოგვადგება, მაგრამ მაინც ყურადსაღები ფაქტია სხვა ზემოხსენებული მოტივების ფონზე.

ამირანიანში ძველი ქართული მედიცინის ისტორიისათვის საინტერესო კიდევ ბევრი მოტივი აისახა, რომელთა პარალელები გილგამეშიანში არა სჩანს, მაგრამ სრული ვარიანტების უმრავლესობაში მათი სიუჟეტთან ორგანული კავშირი გვაფიქრებინებს, რომ ისინი ეპოსის თავდაპირველი კომპონენტები უნდა იყვნენ და, ამგვარად ჩვენ წინაპართა საექიმო იდეების უძველეს (მითოლოგიურ) პერიოდს ასახავდეს. ამათგან აღსანიშნავია ზემოხსენებული ჭრილობების მორჩენის მაგიური „ხერხი“:

„ამირანიანის“ უძველეს სევანურ ვარიანტში, როგორც ვთქვით, მოცემულია თვალის ამოღებისა და ჩადგმის იდეა⁵. ცნობილია, რომ ყვავილი (სენი) ართულებს თვალის დაავადებას. „იამანს ყვავილი სჭირდა და იმან გაუფუჭა თვალი. სხვა თქვენც არ მომიკვდეთ, იამანის თვალს არაფერი დამართოდესო“⁶. ყვავილთან დაკავშირებით აღსა-

1 თ. ბეგიაშვილი, ქართული ფოლკლორი, თბილისი, 1941, გვ. 97.

2 მიჭაქველი ამირანი, დასახ. გამოც. გვ. 299;

3 იქვე. გვ. 310.

4 იხ. ამის შესახებ ჩვენი „ქართული სამედიცინო ფოლკლორი და სუმერულ ხეთა-სუბარული სამყარო“ წიგნში „ეტიუდები ქართული მედიცინის ისტორიიდან“, თბილისი, 1963, გვ. 3—15. „შვიდი“ ღვთაებრიობის გაგებით ჩანს აგრეთვე აბ. როდოსელის „არგონავტიკაში“ („შვიდ გზის განიბანა სხეული (მედემამ — მ. შ.) დაუშრეტელ წყალში და შვიდგზის მოუწოდა ბავშვების აღმზრდელ ბრემას“). „ვეფხისტყაოსანში“ („შვიდი მთიები“), იოანე პეტრიწის „განმარტებაში“ და სხვ. დოც. მ. გიგიტაშვილმა მოგვანოდა მოსაზრება: სიტყვა „შვიდობის“ (მ-შვიდ-ობა) ეტიმოლოგიაში ზემოხსენებული „შვიდის“ მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ.

5 მიჭაქველი ამირანი, დასახ. გამოც. გვ. 381.

6 იქვე. გვ. 382.

ნიშნავია ერთი გარემოება: იამანის ამოღებული თვალი შენახულია და მიკრულია სახლის სვეტზე, დევმა უჩვენა „სახლის სვეტი (ბოძი) და უთხრა, რომ შიგ სვეტში კოლოფი დგას, კოლოფში — კოლოფი და იმაშია შენახული იამანის თვალიო“¹. მეორე სვანური ვარიანტის მიხედვით, დევს ოქროს სვეტზე აქვს მიკრული [მიჯაჭვეული] თვალი: „დევმა მიუთითა ერთ ოქროს სვეტზე: აქ არის თქვენი იამანის თვალი მიჯაჭვეული, აიღეთ ჩემი ცხვირსახოცი და ის თვალი და, როცა თვალი ჩაუდგათ, ცხვირსახოცი გაუსვით თვალზე იამანს და სინათლე დაუბრუნდებაო“. ამირანმა „იამანს თვალი ჩაუსვა... ცხვირსახოცი გაუსვეს თვალზე, იამანს მხედველობა დაუბრუნდა“².

ამ ეპიზოდთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გაგახსენდეთ ერთი სვანური თქმულება: „ყვავილი და წითელა“³, სადაც აღწერილია მოარულ სენტა სადგომი. აქ „სახლის შუა გულს სვეტი იდგა, ეს სვეტი ირგვლივ კაცის თვალებით იყო მოჭედილი... რამდენ კაცსაც ჩემი შვილი ყვავილით თვალს გაუფუჭებს, ყველა აქ მოაქვს და ამ სვეტზე ვაჭედევთო“ — ამბობს თქმულების პერსონაჟი, მოარულ სენტა (ბატონების) დედა. თავის მხრივ ეს თქმულება, შინაარსითა და სიუჟეტით, საოცრად ემთხვევა ძველ შუმერულ-ბაბილონურ გადმოცემას ბაბბარის შესახებ, რომელიც შემდეგში ქართულ ფოლკლორში მოარულ სენტა (ბატონების) და თვალის სნეულებათა ღვთაებად ითვლებოდა წმინდა ბარბარეს სახით⁴.

თუმცა „ამირანიანი“ და „გილგამეშიანი“ სიუჟეტურად და ფრაგმენტულად ემსგავსება ერთმანეთს, ისინი სრულიად დამოუკიდებელი მხატვრული ქმნილებებია, რომელთაც, როგორც ჩანს, ერთი საწყისი აქვთ. მათ განვითარების ერთ ინტელექტუალურ დონეზე მყოფი ტომების მიერ შექმნილი წარმოდგენებით, ინტერესებით, მსოფლმხედველობითა და აზრებით ჩამოყალიბებული თქმულებები, ცალკეული ლეგენდები ასაზრდოებდა, ამდენად ამირანიანის ძვ. წ. აღრიცხვის მეორე ათასწლეულით დათარიღება არამც თუ უტყუარია, შესაძლოა ამ თარიღმა საუკუნეებით უფრო უკანაც გადაინაცვლოს. ორივე ეპოსის წყარო ძველი შუმერული

1 მიჯაჭვეული ამირანი, დასახ. გამოც. გვ. 358, 378.

2 იქვე, გვ. 358, 360, 378.

3 ბეს. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, 1962, გვ. 147.

4 დაწვრილებით ამის შესახებ იხილეთ: მ. შენგელია: „ქართული სამედიცინო ფოლკლორი და სუმერულ-ხეთა-სუბარული სამყარო“, წიგნში: „ეტიუდები ქართული მედიცინის ისტორიიდან“, 1963. გვ. 12—14.

თქმულებების ციკლი უნდა იყოს. ყოველივე ეს კი იმ ორიენტალისტთა სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომელთა მოსაზრებები ქართველურ ტომებსა და მათს კულტურას გენეტიკურად აკავშირებს ძველი შუმერების ხალხებთან და მათ კულტურასთან, ამის დამადასტურებელი ნიშნები ყველაზე უფრო ქართულ სამედიცინო-ეთნოგრაფიასა და ფოლკლორს შემოუნახავს¹. თუ ეს ასეა, მაშინ უფრო დამაჯერებელი ხდება აგრეთვე ამირანიანის პირველადობა, და პრომეთეს ქართული ეპოსიდან მომდინარეობის შესახებ არსებული მოსაზრებები.

¹ მის. შენგელია, ქართული სამედიცინო ფოლკლორი და სუმერულ-ხეთასუბარული სამყარო, წიგნი — ეტიუდები ქართული მედიცინის ისტორიიდან 1963, გვ. 3—15.

CURA MEDIANA

ყველა ის სამკურნალო მანიპულაცია, სამკურნალო მცენარეთა ცოდნა და გამოყენება, მათი ტექნოლოგიური პროცესები, შხამების დამზადება და მრავალი სხვ., რომელიც მედევას სახელთან არის დაკავშირებული, ცნობილია მსოფლიოს მედიცინის ისტორიაში Cura Mediana-ს სახელით. მაგრამ სხვადასხვა ავტორთა მოსაზრებები, სხვადასხვა წყაროთა ჩვენებები ქრონოლოგიური თანმიმდევრობითა და დარგობრივად ერთად თავმოყრილი, სისტემაში საგანგებოდ არავის განუხილავს და ამიტომაც თვით ქართული კულტურისა და, კერძოდ, ქართული მედიცინის ისტორიაშიც იგი სრულყოფილად არაა წარმოდგენილი.

მართალია, 1956 წელს გამოქვეყნებულ ჩვენს მონოგრაფიაში „ნარკვევები მედიცინის ისტორიიდან საქართველოში“ პირველად გამოვიყენეთ იგი, როგორც წყარო ძველი ქართული მედიცინის ისტორიისათვის; შემდეგ, 1970 წ. გამოცემულ „ქართული მედიცინის ისტორიას“ დავმატა ახალი მასალები და შევიდა ცალკე თავად, მაგრამ „არგონავტებსა“ და მედეაზე არსებული ყველა წყარო და ვარიანტი, სხვადასხვა ავტორთა ნაწარმოებები, მოსაზრებები არ ყოფილა სრულყოფილად გამოყენებული და ურთიერთშეჯერებული, ამიტომ შევეცადეთ თავი მოგვეყარა ყველა არსებული წყაროსათვის და ზემოხსენებული ცალკეული საკითხების მიხედვით გავვეყებინა საჭირო ანალიზი და სათანადო ინტერპრეტაციები.

სამკურნალო საშუალებები

ყველაზე უადრეს ცნობას კოლხეთის სამეფოს, კერძოდ, აიეტის ოჯახის წევრთა სამედიცინო საქმიანობის შესახებ ვხვდებით ჰომეროსის (ძვ. წ. IX ს.) „ილიადას“ სქოლიოებში. აქ სამკურნალო საშუალებებიდან ძირითადად მცენარეები და ბალახებია ნახსენები. ბალახი აღწერილია თავისი ძირებისა და ყვავილების ფერით „მკვირ-

ცხლმა შიკრიკმა (პერმესმა) მიწიდან ამოგლიჯა და მომცა წამალი (ბალახი) და მისი ბუნება მამცნო. ძირი შავი ჰქონდა, ყვავილი კი — რძისფერი. ღმერთები მას ეძახიან მოლს. მოკვდავთათვის ძნელი ამოსაგლეჯია, ღმერთებს კი ყველაფერი ძალუძთ“ (X-302—306)¹.

აქვე (XI-538—535) ნახსენებია „ასფოდელოს მდელი“, რომელიც პროფ. პ. ბერაძის გამოკვლევით² ეტიმოლოგიურად ქართულ „ასფოთოლას“ უკავშირდება, „ფეხმარდი ეაკიდის ასული წავიდა დიდი ნაბიჯებით ასფოდელოს მდელოსაკენ“ (იქვე გვ. 176.)

ოქროს საწმისისათვის კოლხეთში მოსულ იაზონს მხსნელად და გამარჯვების მომტანად მოეველინა მედეა. პინდარე (532/515—442/433) წერს: რომ „მედეამ მაშინვე აუწყა (იაზონს) მამის დავალებათა შესრულების ხერხები. ზეითუნის ზეთს შეურია წამალი და ეს ძლიერი ტკივილთა საწინააღმდეგო მალამო დასაზელად მისცა“, რის შედეგადაც იაზონს „ცეცხლი“ ვერ „ეკარებოდა“. პინდარე იქვე სქოლიოებში უფრო დაწვრილებით განმარტავს, რომ „მედეამ დაზილა (მალამოთი) იაზონი ცეცხლმფრქვეველი ხარების გამო... მედეამ წამალი შეურია ზეითუნის ზეთს და იაზონს მისცა“³. შემდგომში აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ ეს მომენტი უფრო დაწვრილებით აქვს ავტორს აღწერილი.

აპ. როდოსელის მიხედვით, იაზონი ვერასოდეს ვერ შეასრულებდა აიეტის მოთხოვნებს, მაგრამ არგოსმა, მედეას დის ქალკიოპეს შვილმა, არგონავტებს ურჩია აიეტთან პირისპირ შებრძოლებისათვის თავი აერიდებინათ და მედეა გადმოებირებინათ. არგოსი ამბობს: „ქალღმერთმა ჰეკატემ შესანიშნავად ასწავლა ჯადოსნური წამლების შემზადება იმ ბალახთაგან, რომელთაც მიწა და ანკარა წყალი ზრდის. ამ სასწაულებრივი წამლებით გრძნეული ასული ადვილად აწყნარებს შმაგი ცეცხლის ალს, აჩერებს ხმაურით მორაკრაკე მდინარეებს და გზას უხლართავს ვარსკვლავებსა და წმინდა მთვარეს“⁴. არგოსის რჩევით იაზონმა სიყვარულის ალში გაჰხვია მედეა და მოახერხა მისი გადმობირება, მედეა მწარედ განიცდის, რომ სიყვარულმა მამის საწინააღმდეგო საქმე ჩაადენინა და გუნებაში მოს-

1 წყაროები მოყვანილია პროფ. აკ. ურუშაძის წიგნიდან „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“, თბილისი, 1964, გვ. 175.

2 ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. ქვემოთ გვ. 130.

3 იქვე, გვ. 215, 222.

4 აპ. როდოსელი. არგონავტიკა, მთარგმნ. აკ. ურუშაძე, სახელგამი, 1948, გვ. 126.

თქვამს „ან თავს ჩამოვიხრჩობ, ან სიცოცხლის მომსპობ შხამს მივიღებო“. მედღეა შეძრწუნებულია შექმნილი მდგომარეობით, იგი თვითმკვლელობაზედაც კი ფიქრობს.

უცბად „წამოიჭრა და იმ ყუთისაკენ გაექანა, რომელშიც სხვადასხვაგვარი წამალი ეწყო, ზოგი განმეკუთრებელი და ზოგიც მომაკვდინებელი. საბრალო ქალწულმა ყუთი მუხლებზე დაიდო და თვალთაგან ლაპლაპით წამოუვიდა ცრემლები“¹. აპ. როდოსელი აგვიწერს მედღეს საექიმო საქმიანობას, ცოდნას, რომელიც გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.

მედღეა მალთვლებიანი ეტლით სასწრაფოდ გაემგზავრა ჰეკატეს ბრწყინვალე ტაძრისაკენ და აქ „გაკრიალებული ყუთიდან ჯადოსნური წამალი ამოიღო, რომელიც, ამბობენ, პრომეთეს წამლად იწოდებო. თუ ვინმე დედისერთა ქალწულს ღამის მსხვერპლებით მოილმობიერებს და შემდეგ ამ წამლით სხეულს დაიხელს, მას ვერც ძახვილი დასჭრის, ვერც მგზნებარე ცეცხლი დააკლებს რამეს, და გარდა ამისა, გასაოცარი გაბედულება და ძალ-ღონე შეემატება. ამ წამლის მცენარე პირველად აღმოცენდა ტანჯული პრომეთეს იმ ზრქული სისხლისაგან, რომელიც გაუმაძღარმა არწივმა კავკასიონის ფერდობზე დაღვარა. ამ მცენარის ღერო, თითო წყრთის ოდენა შტოდ იყოფა, რომლებზედაც ფერით კორიციოსის ზაფრანის მსგავსი ყვავილია გაშლილი, მიწაში გაშვებული ფესვი კი — ახლად გაჭრილ ხორცსა ჰგავს. მისი წვენი მთაში ნაზარდი წიფლის შავი სითხის ფერია. შავი ტანსაცმელით მორთულმა მედღემ ამ მცენარის წვენი უკუნეთ ღამეში კასპიურ ნიჟარაში მოაგროვა ჯადოსნური მიზნებისათვის. სანამ ამას იზამდა, გრძნეულმა ქალწულმა შეიდგზის განიბანა სხეული დაუშრეტელ წყალში და შეიდგზის მოუწოდა ბავშვების აღმზრდელ ბრძამს².

მედღეს წამალი „ჯადოსნური“ და „გრძნეული“ არაა. იგი თითქოს ჩვეულებრივი „ძილმომგვრელი“ საშუალებაა, რომელიც მცენარისაგან კეთდება, მას „მიწა და ანკარა წყარო“ ზრდის. თუ, პინდარეს ცნობით, წამალი, რომელიც მედღემ იაზონს მისცა „ზეითუნის ზეთით“ იყო შემზადებული, აპ. როდოსელის მიხედვით, იგი კავკასიის ფერდობზე მოზარდი მცენარეა, რომელიც აღმოცენდა პრომეთეს იმ „ზრქული სისხლისაგან“, რომელიც არწივმა დაღვარა. აქ დამაჯერებლადაა აღწერილი მცენარე, რომლის ღერო ორ თითო წყრთის

1 აპ. როდოსელი, არგონავტიკა, მთარგმ. აკ. ურუშაძე, სახელგამი, 1948. გვ. 134.

2 იქვე, გვ. 136.

ოდენა შტოდ იყოფა და რომელზედაც კორიციოსის ზაფრანის უერის ყვავილია გაშლილი, ფესვი კი ღრმად მიწაშია გაშვებული. იგი „ახლად გაჭრილ ხორცს“ ჰგვანებია, წვენი მისი შავი ფერისა ყოფილა, მთაში ნაზარდი წიფლის შავი სითხის მსგავსად, მაგრამ აღსანიშნავია, რომ მცენარის აღწერისა და მისგან წამლის დამზადების ტექნოლოგიური პროცესების რეალური სურათები შერწყმულია მკაცურ-რელიგიურ რიტუალებთან, მაგალითად, წამლის მომზადების დაწყებამდე აუცილებელია „მსხვერპლშეწირვა“, რომ მედეა „შეტანსაცმელში“ გამოწყობილი აგროვებდა ამ მცენარის წვენს „უკუნეთ ღამეში“ არა ჩვეულებრივ ჭურჭელში, არამედ „კასპიურ ნიჟარაში“¹. მან, სანამ ამას მოიმოქმედებდა, „შვიდგზის განიბანა სხეული დაუშრეტელ წყალში და შვიდგზის მოუწოდა ბავშვების აღმზრდელ ბრძმას“. სწორედ ეს სიმბიოზი რეალურისა, რაციონალურისა და მაგიურ-რელიგიურისა კიდევ უფრო დამაჯერებელსა და ბუნებრივსა ხდის ამ ცნობებს მათი ისტორიულობის თვალსაზრისით, რადგან მაგიურ ქმედებათა რაციონალურ მეთოდებთან და პროცესებთან შერწყმა ისეთი საყოველთაოდ ცნობილი მოქმედებაა, რომელმაც საშუალო საუკუნეების გვიანდელ პერიოდებამდეც კი მიაღწია არა მარტო ხალხურ მედიცინასა და ეთნოგრაფიაში, არამედ ქართულ კლასიკურ სამედიცინო წიგნებსა და ხელნაწერებშიც კი. ყურადღებას იმსახურებს, აგრეთვე სიტყვები „შვიდგზის განიბანა“ სხეული და „შვიდგზის“ მოუწოდა ბავშვების აღმზრდელ ბრძმას. ვფიქრობთ აქ ასახულია „შვიდის“ ღვთაებრიობის იდეა, რომელიც ასე დაბეჭითებით იყო დამკვიდრებული უძველეს ქართულ წყაროებში და ღღემდე შემორჩა ქართულ ხალხურ მედიცინასა და ეთნოგრაფიას. ივრის ფშავლებში ღღემდე მტკიცედ არის დამკვიდრებული, რომ სამკურნალო მცენარეების შეგროვება მინდვრად უნდა დაიწყონ „შვიდ მაისს“ და სისხლის გაღების ღღედაც ხალხური დასტაქრების მიერ დანიშნულია „შვიდი მაისი“. წმ. ბარბარეზე გავრცელებული ლექსი და რიტუალი შემერულ ბაბარს უკავშირდება. ამ ლექსში „შვიდი“, როგორც ღვთაებრივი ციფრი, ყოველ სტრიქონში მეორდება: შვიდი დანი, შვიდი ძმანი... შვიდ სოფელს მოვეფინებით... შვიდ სოფელს დავსცემთ კარავსა... შვიდი ჯამი მარგალიტი... და

¹ „კასპიური ნიჟარა“, თეოკრიტეს (305 ძვ. წ.) მიხედვით, კასპიის ზღვიდან წარმოსდგება. კასპიის ზღვა თითქოს „ოკეანესთანაა ახლოს, სადაც „უდიდესი ნიჟარებია“, რომლებშიც... გროვდება პრომეთეს წამალი. და ა. შ. (გვ. 330).

ა. შ. აქ „შვიდი“ „ბატონების“ გამომწვევი ღვთაებათა რიცხვია. „შვიდის“ ღვთაებრიობა, როგორც ზემოთ ვნახეთ, აისახა აგრეთვე 'შუმერულ „იშთარის მოგზაურობის ჰიმნი“¹, „გილგამეშიანიში“, აგრეთვე, ქართულ „ამირანიანიში“¹, რომელიც ქრონოლოგიურად მედეას დროინდელი ეპოსია და მასში ასახულია მედეას ეპოქის ქართული აზრი და ინტელექტი. ამგვარად, მედეას „შვიდჯერ“ განბანვასა და „შვიდჯერ“ მოწოდებაში უთუოდ ხსენებული „შვიდის“ ღვთაებრიობის ანარეკლი უნდა ვიგულისხმოთ.

აბ. როდოსელის მიერ ნახსენებ „პრომეთეს ბალახს“ უთუოდ კავშირი აქვს სვანეთში გავრცელებულ „ამირანულ ბალახთან“. სოფ. ქამეშში (მესტიის რ-ნი) ხალხური მედიცინისა და სამედიცინო ეთნოგრაფიული მასალების შემსწავლელმა სამეცნიერო ექსპედიციამ პირველად მოიხსენია (1966) „ამირანული ბალახი“: „მანცხიას წამალი ბალახია, ამირანულ ბალახს ჰგავს, ისეთი ფოთოლი აქვს“.

აქ შემთხვევით ნახსენები „ამირანული ბალახით“ დაინტერესების შემდეგ უფრო დაწვრილებითი ცნობები შეგროვდა მასზე: „ამირანულ ბალახს ოხრახუმის მსგავსი ფოთლები აქვს, — გვიამბობს მთქმელი, — თიბავენ, თორემ იზრდება მაღალი, თეთრი ყვავილებით, მწიფდება და თესლს ყრის, იზრდება ყველგან, სადაც ნოციერი მიწაა, თვითონ ბალახი ტკბილია, ძირებს ხმარობენ სამკურნალოდ, კარგია ფილტვებისათვის, აწყნარებს ტკივილს, საქონელის საკვებად არის ძალიან კარგი, ხარობს ზაფხულში“.

მეორე მთქმელი ამბობს: „ამირანულ ბალახს“ ხმარობენ სისხლის დენის დროს, ხარშავენ წყალში მთლიანად — ძირს, ლეროს, ყვავილს. ავადმყოფს აძლევენ 100 გრამს ერთ სმაზე დღეში 6-ჯერ. ამირანულ ბალახს აქვს ოთხკუთხა ლერო, ხარობს ზაფხულში, იენის-აგვისტოში ძალიან დიდზე არის გაზრდილი, ლეროს ადამიანიც ჭამს, ტკბილი არის ძალიან“.

მაგრამ აქ აღწერილ ამირანულ ბალახს არაფერი საერთო არა აქვს პრომეთეს ბალახის აღწერილობასთან. თვით ამირანის ეპოსის არც ერთ ვარიანტში და სხვა ფოლკლორულ მასალებში ფიქსირებული არ არის „ამირანული ბალახის“ არსებობა. ამიტომ სვანურ ფოლკლორში, სადაც ამირანის ყველაზე ძველი ვარიანტებია გავრცელებული და ჩაწერილი, მისი არსებობის ფიქსირება მეტად მნიშვნელოვანია. ის ქართულ ტოპონიმოკაში ამირანის სახელთან

¹ მის. შენგელია, „ქართული მედიცინის ისტორია“. გამომც. „განათლება“, 1971 წ, გვ. 18—21.

დაკავშირებული სახელების [ამირანის გორა, ამირანის მთა, აპ. როდოსელით — ამირანთა და სხვ] ტოლი მნიშვნელობისაა.

ეს ფაქტი, თუ, ერთი მხრივ, ამირანის ეპოსის ქართულ, თვითმყოფად, არაბერძნულ ჩამომავლობაზე მიუთითებს, მეორე მხრივ, ზემოხსენებული პრომეთეს ბალახის „წინამორბედად“ ამირანული ბალახის აღიარების საშუალებას იძლევა. ძნელი დასაჯერებელია, რომ „ამირანული ბალახი“ სვანურში ბერძნული დამწერლობითი წყაროებიდან იყოს შემოსული როგორც „პრომეთეს ბალახის“ ანალოგი. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ის უმალ საქართველოს ბარის იმ კუთხეში გავრცელდებოდა, სადაც მეფეთა რეზიდენციები იყო და საბერძნეთთან უშუალო ლიტერატურული, მწიგნობრული კონტაქტები არსებობდა, მაგრამ ჭერჯერობით ამ კუთხეებში არაა ფიქსირებული „ამირანული ბალახი“.

უნდა ვიფიქროთ პირიქით, — „ამირანული ბალახი“ იქცა „პრომეთეს ბალახად“. როგორც ვხედავთ ამირანული ბალახი განსხვავდება პრომეთეს ბალახის აღწერილობისაგან¹, მაგრამ ისიც სამკურნალო მცენარეა, როგორც „პრომეთეს ბალახი“. შეიძლება ყურადღება მიექცეს კიდევ ერთ გარემოებას. მთქმელები განსაკუთრებით ხაზს უსვამენ, რომ ეს ბალახი საუკეთესო საკვებია საქონლისათვის, ის უხვად იზრდება და თიბავენ შემოდგომაზე საქონლის საზამთრო საკვებად, ამირანი კი, როგორც ეპოსის ერთ-ერთი ვარიანტიდან ირკვევა, ნაყოფიერების ღვთაების ფუნქციის მატარებელია: „მის დალოცვილ დროში ძროხა და კამეჩი დღეში სამჯერ იწველებოდა, თხა კი დღეში ოთხჯერ, რადგანაც მინდვრები მშვენიერი მობიბინე ბალახით იყო შემკული და არა გვიმრითა და საქონლისათვის ურგები ბალახებით“².

ამირანულ ბალახს სვანეთში ამჟამადაც საქონლისათვის საუკეთესო საკვებად თვლიან. „ამირანიანში“ ნაყოფიერების მოტივი შემთხვევითი არ არის, იგი თავისი ამ ფუნქციით, როგორც ზემოთაც ვხანხეთ, „გილგამეშიანთან“ პოულობს მსგავსებას³.

1 სხვა მთქმელები „ამირანული ბალახის“ ზემოხსენებულ აღწერილობას არ თვლიან სწორად, ისინი სხვა მცენარეს ეძახიან ამ სახელს, მაგრამ წამალთა „გეარონული“ საიდუმლოების შენახვის მიზნით არ იძლევიან მათ აღწერილობასა და დასახელებას.

2 მის. ჩიქოვანი, მიჯაქველი ამირანი, 1948, გვ. 387.

3 მის. შენგელია, გილგამეშისა და ამირანიანის ურთიერთობის საკითხისათვის. ქურნ. „მნათობი“, № 9, 1969, გვ. 136.

ზემოხსენებული წყაროს მიხედვით „პრომეთეს ბალახი“ პრომეთეს „ზრქული სისხლისაგან“ აღმოცენდა, რომელიც არწივმა დაღვარა კავკასიონის ფერდობზე. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთივე თქმულება არსებობდა ამირანულ ბალახზედაც, ამიტომაც, რომ ბალახს ეძახიან „ამირანულს“ და არა „ამირანის“, რომ ის თითქოს „აღმოცენებულია“ თვით ამირანისაგან, მისი სისხლისაგან, ამირანული წარმოშობისა და არა ამირანის ნაქონი ან მისი ეუთვნილი, ხომ არ არის ამ გამოთქმაში („ამირანული“) მასზედ არსებული თქმულების რაღაც ნიუანსი, რომელიც ბალახს ამირანის სისხლთან დააკავშირებს, როგორც პრომეთესას?

ამგვარად, ვფიქრობთ, რომ „პრომეთეს ბალახი“, რომელიც ბერძენ-რომაელ ავტორთა გადმოცემით, კავკასიონის ფერდობზე ხარობდა, და რომელსაც კოლხეთის ასული მედეა კრეფდა თავისი სამკურნალო „ჯადოსნური“ წამლების შესამზადებლად, იგივე „ამირანული ბალახია“, რომელმაც შემდეგში ბერძნულ წყაროებში „პრომეთეს ბალახის“ სახელწოდება მიიღო, ისე, როგორც საერთოდ ბერძნულ მითოლოგიასა და მწერლობაში ქართული ამირანი იქცა ბერძნულ პრომეთედ. ცხადია, ეს მოსაზრება კიდევ მოითხოვს ახალი ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული მასალებით განმტკიცებას¹.

აპ. როდოსელი შემდეგ მოგვითხრობს: მეფის ასულმა მედეამ „ქალაქიდან გასასვლელი ყველა გზა იცოდა. იგი მიჩვეული იყო ღამლამობით ტაძრის მახლობლად გვამებისა და წამლისათვის გამოსადეგ მცენარეთა ირგვლივ ხეტიალს და ახლაც შეუცდომლად მიისწრაფოდა მდინარის ნაპირისაკენ, სადაც არგონავტების ხომალდი იდგა“². ამ ციტატაში ნაჩვენებია ის ადგილიც, სადაც მედეა კრეფდა მცენარეებს (ქალაქგარეთ, ტაძრის მახლობლად, ღამლამობით). შემთხვევითი არ უნდა იყოს „გვამებისათვის“ გამოსადეგი მცენარეების ხსენება. უნდა ვიფიქროთ, რომ ლაპარაკია „გვამების“ დასაბალზამებელ მცენარეულ საშუალებებზე, წამლებზე. დაბალზამებული გვამები ფიქსირებულია უძველეს ქართულ არქეოლოგიურ მასალებში და ამგვარად, მედეას სამკურნალოწამლო საშუალებათა შორის მახალზამირებელ საშუალებათა არსებობა სრულიადაც არ არის მოულოდნელი.

¹ მის. შენგელია, ამირანული ბალახი, გაზ. „სახალხო ჯანმრთელობა“, № 97, 1969 წ.

² „არგონავტიკა“, გვ. 154.

გარდა ზემოხსენებული ძალმომგვრელი საშუალებისა, მედეას სამკურნალწამლო არსენალში ძილმომგვრელი საშუალებაც არის ნახსენები: როდესაც მედეას წამლების მოქმედების შედეგად იაზონმა შეასრულა აიეტის დავალება და გამარჯვებული გამოვიდა, საჭირო გახდა „ოქროს საწმისის“ ხელში ჩაგდება, რომელსაც გველეშაპი დარაჯობდა, მედეა აქაც იყენებს წამალს, ძილმომგვრელ საშუალებას: „მედეამ ახლად მოკრილი ღვიის შტოს ჯადოსნური სითხე წასცხო და ლოცვა-ლოცვით თვალებზე მოასხურა, წამლის სუნმა გველეშაპს ძლიერი ძილი მოჰგვარა, საზიზღარი თავი მიწაზე ჩამოუვარდა“¹. აღსანიშნავია, რომ მედეას საძილე საშუალება, განსხვავებით „ამირანიანში“ აღწერილი საძილე საშუალებებისა, რომელიც per os მიიღება, ინჰალაციური გზით მომქმედი საშუალებაა, რადგან გველეშაპს „ძლიერი ძილი“ „წამლის სუნმა“ მოჰგვარა. ფერეკიდე (V ს. ძვ. წ.) თავისი „თეოგონის“ VII წიგნში წერს, რომ აპოლონიოსს დრაკონის დაძინების ეს ამბავი თითქოს ანტიმაქესაგან ჰქონდეს გადმოღებული, ამასთან აზუსტებს, რომ მან „ლოცვა-ლოცვით“ კი არ მოასხურა საძილე წამალი გველეშაპს, არამედ „სალოცავი სიმღერის“ წარმოთქმით: „ამ და მომდევნო ტაეპებში (აპოლონიოსი) ანტიმაქესთან შეხმატებილებით ამბობს, რომ მედეამ ღვიის შტოთი მიასხურა წამალი, სალოცავი სიმღერა წარმოსთქვა და დრაკონი დააძინა“². მედეას წამლები ჯადოსნური, ზეციური ძალებისაგან შთაგონებული არაა, იგი შეისწავლა მან დედისა და დისაგან. „გადმოსცემენ, რომ მედეამ დედისა და დისაგან შეისწავლა წამლების ყველა თვისება, მაგრამ ამას იგი თავისი მიდრეკილების გამო სულ სხვაგვარად იყენებდა, მუდამ ცდილობდა დაეხსნა საფრთხისაგან ნაპირს მომდგარი უცხოელები“ (დ. სიცილიელი, „ისტორიული ბიბლიოთეკა“). მედეას ყველგან და ყოველთვის თან ჰქონდა ყოველგვარი წამალი; როდესაც მედეა „არგონავტებთან“ ერთად მოვიდა პელიასთა სამფლობელოში, მან განაცხადა, რომ „თან მოაქვს მრავალი საოცარი ძალის წამალი აღმოჩენილი დედის ჰეკატესა და დის კირკეს შეწევნით, რომ უწინ ეს წამლები არასდროს არ გამოუყენებია ადამიანთა დასალუპავად“ (იქვე), „მედეამ არტემიდეს ამოღარული ქანდაკება გააკეთა და შიგ ყოველგვარი თვისების წამალი ჩააწყო“ (იქვე).

¹ არგონავტიკა, გვ. 157.

² ძვ. კოლხეთი „არგონავტების თქმულებაში“, გვ. 254.

მედეას სახელი, როგორც „წამალთმკეთებლისა“, შემდგომ საუკუნეებშიც მოიხსენიება, მაგრამ, არა მხოლოდ ლიტერატურულ წყაროებში, არამედ ხალხში გავრცელებულ გადმოცემებშიც; ევდოკია (ახ. წ. აღ. XI საუკ.) წერს მედეას შესახებ: „ამბობენ, რომ წამალთა ოსტატი მკეთებლის (მედეას) წყალობით მიდიელებიც დახელოვნებული წამალთმკეთებლები არიანო“. ევდოკია წყაროს არ ასახელებს, წერს „ამბობენ“, ალბათ მის თანამედროვეთა და თვით „მიდიელთა“ შორის გავრცელებული ყოფილა ზეპირი გადმოცემა; როგორც ჩანს, მედეას სახელი, როგორც მკურნალისა, წამალთმკეთებლისა, შორეულ საუკუნეებამდე აღწევდა და სხვა ხალხთა ინტელექტუალურ ცხოვრებასა და აზროვნებაზედაც ახდენდა გავლენას.

უძველეს კოლხურ-იბერიულ მედიცინაზე, სამკურნალწამლო საშუალებებზე, სამკურნალო მცენარეებზე არა მარტო მედეასა და „არგონავტიკაზე“ არსებული წყაროები მიუთითებენ, არამედ ისტორიულ ქრონიკებში, გეოგრაფიულ და ბოტანიკურ აღწერილობებში გადმოცემულია მთელი რიგი ცნობებისა. მაგალითად, კლავდიუსი კლავდიუსისი (ძვ. წ. აღ. 395 წ.), რომელიც, როგორც ჩანს, პირადად კარგად იცნობდა კავკასიის სამკურნალო მცენარეებსა და წამლებს; წერს: „Я хорошо знаком с соками разных деревьев с действием всех смертельных растений, какие только растут на изобилующем ядовитыми растениями Кавказа и на вершинах с Кипрских гор“². კლავდიუსის ვაღმოცემა თვითმხილველისა და პირადად გაცნობილი ადამიანის მონათხრობსა ჰგავს და არა ლიტერატურული წყაროებიდან, წიგნებიდან მიღებული შთაბეჭდილებების მიხედვით გადმოცემულ ამბავს. იგივე შეიძლება ითქვას დიოსკორიდზე (I-ს. ძვ. წ.), პლინიუსზე (29—79 წწ. ახ. წ. აღ.), ფსევდოპლუტარქზე (ტრაიანისა და ადრიანის ეპოქა).

დიოსკორიდი პედანიუსი ბერძენი ექიმი (დაიბადა მცირე აზიაში); მსახურობდა ექიმად რომაელთა არმიაში. I საუკუნის 70-იან წლებში ბერძნულ ენაზე დაწერა წიგნი „de materia medica“ („სამკურნალო საშუალებები“), სადაც აღწერა მასინ ცნობილი და

¹ კლავდიუსი კლავდიუსი (დაბადება უცნობია — გარდაიცვალა 404 წ. ძვ. წ.), რომელი მწერალი-პოეტი, წარმოშობით ალექსანდრიელი ბერძენი, 395 წ-დან ცხოვრობდა რომში.

² К. Ган — Известия древних греческих и римских писателей о Кавказе. Тифлис, 1884, стр. 184.

გავრცელებული სამკურნალწამლო საშუალებები ცხოველური, მინერალური და მცენარეული სამყაროდან, განსაკუთრებული სიზუსტით აღწერს სამკურნალო მცენარეებს (700-მდე), რომლებიც დაჯგუფებულია მორფოლოგიური ნიშნებით. დიოსკორიდის შრომამ შემდეგ დიდი როლი შეასრულა მცენარეთა სისტემატიზაციის საქმეში. მანვე აღწერა აგრეთვე რეაქციები, საღებავები და ორგანული წარმოშობის შხამები; იგი ახსენებს კოლხეთში გავრცელებულ სამკურნალო მცენარესაც: „Различается акорь, густой и белый, не съедобный, с сильным и приятным запахом, таков вид его, называемый в Колхиде и в Галатии сплиннем“¹.

მაშასადამე, საბერძნეთში ცნობილი ყოფილა მცენარე „აკორ“, რომელიც კოლხური წარმოშობის მცენარედ ითვლებოდა და უთუოდ იყენებდნენ კიდევ როგორც სამკურნალო მცენარეს, მისი გავრცელების ერთ-ერთ კერად ავტორს მიაჩნია კოლხეთი და არა საბერძნეთი. დიოსკორიდს ნახსენები აქვს მცენარე „Κολχικ“, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ის კოლხეთისათვის ენდემურ სახეობას წარმოადგენს, ბერძენთათვის იგი უთუოდ მიჩნეული იყო კოლხურ მცენარედ, რაც აისახა მის სახელწოდებაში: „κολхик одни называют его поденкой, другие диким луком... Родится в пайбольшом количестве в Мессинии и Колхиде“².

აღსანიშნავია, რომ „კოლხიკუმ“ საკმაოდ გავრცელებული მცენარეა, შეტანილია ბოტანიკურ ლექსიკონებში, ცნობილია მათი ორი სახეობა: *Colchicum umbrosum* stev—იმერეთში მას მარტოყვავილას ეძახიან, რაჭაში — თოვლის მახარობელას, თოვლის დედას, გურულად—მეთოვლიას და ა. შ. მისი მეორე სახეობაა—*Colchicum speciosum* stev, ზემო იმერეთსა და რაჭაში მას ეძახიან უცუნის, გურულად — თავნიორას, სათოვლიას, მეგრულად ჯირჩეს და სხვ. კოლხური უცუნა და სათოვლია შეტანილია სამკურნალო მცენარეთა სიაში და აღწერილია სამკურნალო მცენარეებზე არსებულ თითქმის ყველა სახელმძღვანელოში; სახელწოდება ნაწარმოებია თვით ამ მცენარის კოლხური სახელიდან. მცენარის ორივე სახეობა შეიცავს ალკალოიდს — კოლხიციინს ($C_{22}H_{25}NO_6$), რომელიც დღემდე გამოიყენება რევმატიზმის, პოდაგრისა და ნევრალგიების სამკურნალოდ, კავკასიის (და კერძოდ საქართველოს) სუბალპური და

¹ Л а т и ш е в — Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе. Т. 11, стр. 507.

² ი ქ ვ ე.

ტყიანი ზონების მდებარეობებში განსაკუთრებით გავრცელებულია — *Colchicum speciosum* Stev — ლამაზი კოლხიკუმი (незреленнии красивый).

პლინიუს უფროსს, სეკუნდუსს (23—79) დიდი აღმინის-ტრაკიული პოსტები ეკავა რომის იმპერიაში. შემორჩენილია მისი „*Hystoria naturalis*“ 37 წიგნად, რომელშიც მოცემულია ცნობები ასტრონომიის, ფიზიკის, ზოოლოგიის, ბოტანიკის და მედიცინის საკითხებზე. იგი დაიღუპა 79 წ. ვეზუვის ამოფრქვევის დროს.

პლინიუსი ხსენებულ „*Hystoria naturalis*“-ში წერს, რომ „Самый лучший корень касатика [*acorus calamus*] растот в Колхиде у. р. фазиса“¹.

აღსანიშნავია, რომ აქ კ. განი ტექსტის თარგმნისას უშვებს შეცდომას: *Касатик*-ის ლათინური თარგმანი არაა *acosus calamus*, *acorus calamus*-ს (Ирный корень) ქართულად ეძახიან კოთხოჯს, ანუ კოთხოჯას, მეგრულ დიალექტში—ჯარკვატანას, მისი ფესვები შეიცავენ გლუკოზიდ აკორინს ($C_{36}H_{10}O_6$) და ეთერის ზეთს. ფესვები გამოიყენება მედიცინაში კუჭ-ნაწლავის სამკურნალოდ და ძილმომგვრელ საშუალებად, შედის აგრეთვე სხვადასხვა წამლეულ შენაერთთა შემადგენლობაში. თუ პლინიუსის ცნობაში *Касатик*-ი იგულისხმება და არა კოთხოჯი, მაშინ საქმე გვაქვს სულ სხვა მცენარესთან. *Касатик*-ი ზამბახია (*Iris*). იგი საქართველოში ძალზე გავრცელებული მცენარეა. ბოტანიკურ ლექსიკონში (ა. მაყაშვილის) მისი რვა დასახელებაა შეტანილი, როგორც სხვადასხვა დამოუკიდებელი მცენარე: წყლის ზამბახი (*Iris pseudacorus* L.), ლურჯი ზამბახი (*Iris germanica* A.), ქონდარა ზამბახი (*Iris pumilat* L.), მინდვრის ზამბახი (*Iris reticulata* M. B.), ფლორენციული ზამბახი (*Iris florentina* L.).

დანარჩენი სამი სახეობის ზამბახი საქართველოს ენდემურ მცენარეებს წარმოადგენენ და სახელწოდებებიც იმის მიხედვით აქვთ მიკუთვნებული, თუ საქართველოს რომელ კუთხეშია გავრცელებული ქართული ზამბახი (*Iris iberica* Hoff), ქართლის ზამბახი (*Iris Carthaliniae* Tom.), ქანური ზამბახი (*Iris lasica* alb.), მედიცინაში გამოიყენება ზამბახის ფესვები (ისე როგორც კოთხოჯისა), ბოლქვი.

¹ К. Гап, известия древних греческих и римских писателей о Кавказе. Тифлис, 1884, стр. 112.

რისგანაც მზადდება ფხვნილები. იგი შედის გუფელანდის ფხვნილის (pulvis Infantium Huffelandi) — შემადგენლობაში.

პლინიუსის ცნობიდან გარკვევით არა ჩანს, ზამბახზეა ლაპარაკი თუ კოთხუჯზე, მაგრამ რომელიც არ უნდა იყოს, ორივე სამკურნალო მცენარედ არის აღიარებული მედიცინაში და დღესაც გავრცელებულია საქართველოში, პლინიუსის ცნობაში აღსანიშნავია ისიც, რომ ყველაზე საუკეთესო (უთუოდ თავისი სამკურნალო თვისებებით) ყოფილა ის მცენარე, რომელიც კოლხიდაში იზრდება მდ. ფაზისის (რიონის) ნაპირებზე.

პლინიუსი კიდევ იძლევა ერთ საინტერესო ცნობას იბერიაში გავრცელებულ სამკურნალო მცენარისა და მისგან წამლების დამზადების ტექნოლოგიური პროცესის ზოგიერთი დეტალის, აგრეთვე თვით ნედლეულის მოგროვების დროისა და მეთოდების შესახებ: «Укроп прославили змей, потому что едят его, чтобы его соком восстановить остроту зрения и снять с себя легче старую кожу, отсюда вывели, что от этого сока облегчается слабость зрения. Самый же сок собирается со время полного развития стебля растения и высушивается на солнце, из него с примесью меда составляется мазь. Самый лучший же сок из него получают в Иберии, приготовляя его из выступающих из растения капель и свежих семян, но добывают его также из корней, надрезывая их в то время когда они начинают пускать ростки»¹.

პლინიუსის ამ ცნობაში ბევრი რამ არის საინტერესო და გარკვეულ ინტერპრეტაციას მოითხოვს. უპირველესად საინტერესოა თვით კამის სამკურნალო თვისებების ცოდნა. კამის [укроп — *Anethum graveolans* L.] სპონტანური გავრცელების ადგილად დღესაც შავი ზღვის სამხრეთი სანაპიროები [ე. ი. კოლხეთი] ითვლება, სხვაგან იგი ყველგან კულტივირებულია. მისი ნაყოფი შეიცავს 2,5 — 4% ეთერის ზეთს, 10—20 % ცხიმოვან ზეთს. ეთერის ზეთი [ol. Anethi] თავის მხრივ შეიცავს 40—60% კარკონს, ლიმონენს, აპიოლს და სხვ. იგი იხმარება როგორც ხალხურ, ისე მეცნიერულ მედიცინაში კუჭ-ნაწლავის დაავადებათა სამკურნალოდ, ქალის რძის სეკრეციის გასაძლიერებლად, დამამშვიდებლად, უძილობის საწინააღმდეგოდ და სხვ. ჩვენ შორეულ წინაპრებს საკმაოდ ზუსტად

¹ К. Г а н. Известия древних греческих и римских писателей о Кав. казе. Тифлис, 1884, стр. 153.

ჰქონიათ შემუშავებული ტექნოლოგიური პროცესების დეტალები, წვენის შეგროვება ხდებოდა მცენარის ღეროს სრული სიმწიფის დროს (მზეზე—გაშრობით), მცენარიდან და მისი ნაყოფის თესლიდან გამონადენ წვენებს თავლთან ურეედნენ და ამზადებდნენ მალამოს. წვენს ღებულობდნენ აგრეთვე მცენარის ფესვებიდანაც, მხოლოდ ვეგეტაციის გარკვეულ მომენტში, როცა ფესვები იწყებდნენ წანაზარდების გამოზმას, გაშვებას.

აღსანიშნავია, რომ პლინიუსის თქმით, ყველაზე უფრო იბერიელები ყოფილან დახელოვნებული კამის საუკეთესო წვენის მიღებაში. პლინიუსის ცნობაში, ცოდნას კამის სამკურნალო თვისებების შესახებ გველს უკავშირებენ. საქართველოს თითქმის ყველა ეთნოგრაფიული კუთხის ძველ თქმულებებსა და ლეგენდებში გველი აღიარებულია საექიმო სიბრძნის „მცოდნედ“ და ბევრი რამ თითქოს გველისაგან ისწავლა ადამიანმა. გველს საქართველოში უკავშირებდნენ დოვლათიანობასა და ნაყოფიერებას. ის ქართველურ ტომებში ხან ოჯახის მფარველად და დამცველად გვევლინება, ხან უშვილო ქალთათვის შვილიერების მომნიჭებელ არსებად. ამიტომაც არის, რომ უძველეს კოლხურ საკულტო დანიშნულების ბრინჯაოს ცულებზე ხშირად ვხვდებით გველის გამოსახულებას.

ურბნისის არქეოლოგიურ მასალაში (ძვ. წ. აღ. XIV საუკ.) აღმოჩენილია ირმის რქის შტო, ცხვრის თავისა და 7 გველის¹ გამოსახულებით. საკულტო დანიშნულების საგნები — ბრინჯაოს ცული [ცაგერის მუზეუმიდან], ყელსაკიდი [ეშერის არქეოლოგიური მასალიდან] სტილიზებული გველის თავების გამოსახულებით, თიხის ქურჭლები (თრიალეთიდან, ალბათ სამკურნალწამლო საშუალებათა შესანახად) გველების სტილიზებული ორნამენტებით, მიუთითებს, რომ გველი ქართულ აზროვნებაში, უძველესი მითოლოგიური ეპოქიდან დაკავშირებული იყო ნაყოფიერებისა და მკურნალობის საკითხებთან, საექიმო-ბიოლოგიურ წარმოდგენებთან. ქართულ ხალხურ მედიცინაშიც გველს სამკურნალო თვისებებს მიაწერდნენ.² ზოგან გველის ტყავი წამლად მიაჩნდათ: ხევსურეთში სამკურნალოდ ხმარობენ ყვითელ ყვავილიან მინდვრის ბალახს, რომელსაც გველის წამალს ეძახიან. მათი აზრით, ეს წამალი ერთ ხევსურს გველმა ასწავლა². ძველ ქართულ სამკურნალო ძეგლებში, კარაბადინებში ძა-

1 გველთა რაოდენობა „შვიდი“ აქაც არაა შემთხვევითი (იხ. ზემოთ, მ. შ.).

2 გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, გვ. 58.

ლიან ხშირადაა გამოყენებული გველის ხორცი, აღწერილია მისი დამზადებისა და გამოყენების მეთოდები, ის ითვლებოდა ძვირფას წამლად... გამოყენებულია წამლად... გველის ერბო, გველის ტყავი, გველის ქერქი (კანი ქერცლით)... მაშასადამე, არა მარტო ფოლკლორსა და ხალხურ მედიცინაში, არამედ „ქართულ კლასიკურ სამედიცინო ძეგლებშიც გველის ნაწარმი წამლად ითვლება“¹.

გველის სიბრძნეს ასახავს შესანიშნავი ქართული ხალხური ლეგენდა „ხოგაის მინდია“, რომლის საფუძველზე შეიქმნა ვაჟა-ფშაველას გენიალური ქმნილება „გველის მკამელი“, კონსტანტინე გამსახურდიას ნოველა „ხოგაის მინდია“, ოთ. თაქთაქიშვილის ოპერა „მინდია“ და სხვ.

მეტად საინტერესოა, რომ კამის სამკურნალო თვისებების გველთან და, კერძოდ, მისი მხედველობის სიმახვილის გაუმჯობესებასთან დაკავშირებას, ჯერ კიდევ ბასილი დიდი კესარიელის „ექუსთა დღეთაში“ ვხვდებით. იგი წერს: „გუელთა განიკურნიან სიბრყვლე თუალთა თვსთაჲ, რაჟამს ძოვიან კამაჲ“. (გვ. 126, 28, 106, 27). ბასილი კესარიელი (329—379) IV საუკუნის მწერალია და პლინიუსიდან ზუსტად 250 წლის შემდეგ ცხოვრობდა. ცნობათა სრული იდენტურობა იმის მაუწყებელია, რომ ორივე ავტორისათვის წყარო ძველ ქართულ ტომებში — კოლხეთ-იბერიაში გავრცელებული თქმულებები თუ ეთნოგრაფიული დაკვირვებაა. ბასილი კესარიელი ერთ-ერთი იმ „დიდი სამი კაპადოკიელთაგანია“ (გრიგოლ ნაზიანზელთან და მის ძმასთან გრიგოლ ნოსელთან ერთად), რომელიც უკანასკნელი გამოკვლევებით კაპადოკიის მკვიდრად და ძველ ქართველურ ტომთა წარმომადგენლად ითვლება, ამიტომაც ბასილი კესარიელის ამ ჩანაწერში, ბუნებრივია, ქართული თქმულება აისახა, რასაც პლინიუსის ცნობასთან იდენტურობა და მისი იბერიასთან დაკავშირებაც ადასტურებს.

ამგვარად, პლინიუსის ზემოხსენებული ცნობა გველის შესახებ ყველაზე უადრესი წერილობითი ცნობაა ქართულ ხალხურ მედიცინასა და ფოლკლორში ფართოდ გავრცელებული ამბის შესახებ, რომელიც თანამედროვე ხალხურ თქმულებებს, ქართულ ეთნოგრაფიასა და ფოლკლორს აკავშირებს ადრეული საუკუნეების ქართულ სამედიცინო აზროვნებასთან. კოლხურ სამკურნალო მცე-

¹ მის. შენგელია — „თქმულება ხოგაის მინდია“ ძველი ქართული მედიცინის ისტორიის თვალსაზრისით და ვაჟა-ფშაველას „გველის მკამელი“ წიგნში „ეტიუდები ქართული მედიცინის ისტორიიდან, გვ. 26—27.

ნარეებს ახსენებს აგრეთვე თავის ნაწარმოებებში ფსევდო-პლუტარქე: „В этой реке (ლაპარაკია მდინარე ფაზისზე — მ. შ.). растёт особое растение — доза, называемая белолиственным. Его собирают в самом начале весны, в то время, когда празднуются мистерии Гекатей»¹.

აქ ნახსენები „განსაკუთრებული მცენარე“ უნდა იყოს ხვალა, ქალის ვერხვი (Белолистка кавказская—*populus hybrida* M. b), რომელსაც, როგორც ირკვევა, აგროვებენ გაზაფხულის დასაწყისში. აღსანიშნავია, რომ ამ ცნობაში შემონახულია მეტად საინტერესო ამბავი. სამკურნალო მცენარეების შეგროვება დაკავშირებულია რომელიღაც სადღესასწაულო-რელიგიურ რიტუალთან, რომელიც „ჰეკატეს მისტერიის“ სახელით ყოფილა ცნობილი. მისტერია საიდუმლო რელიგიური წესების შესრულებაა, რომელიც გავრცელებული იყო ანტიკურ ქვეყნებში—საბერძნეთსა და რომში. ჩანს, ასეთი „მისტერიები“ კოლხეთშიც სრულდებოდა, აქაც ყოფილა გავრცელებული.

ჰეკატეს სახელთან, (რომელიც მედვას დედას ერქვა), როგორც ზემოთ ვნახეთ, დაკავშირებულია სამკურნალო ხელოვნება, შხამებისა და სამკურნალო მცენარეების ცოდნა.

ჰეკატე ბერძნული მითოლოგიით პირველად მთვარის ღვთაება იყო. ძვ. წ. აღ. V საუკუნიდან ჰეკატე გადაიქცა ბოროტების, ჯადოსნობისა და გარდაცვლილთა სულების ღვთაება-მფარველად. ჰეკატეს კულტმა განსაკუთრებული გავრცელება ჰპოვა მცირე აზიაში, სადაც მის სახელზე გაშენებული იყო ტაძრები. იგი გამოსახული იყო ტანმადალი ქალის სახით, ჩირაღდანით, ხმლითა და თმაში გველებით. მას ხშირად აიგივებდნენ არტემიდესთან (აპოლონის და, რომაულ მითოლოგიაში შეესაბამება დიანა), რომელიც აგრეთვე ითვლებოდა ჯერ ნადირობის, ცხოველებისა და მთვარის ღვთაებად, გვიან კი ქალის სიბრძნისა და მშობიარეთა მფარველ ღვთაებად. ჩანს კოლხეთშიც ყოფილა გავრცელებული ჰეკატეს კულტი, როგორც ქალის სიბრძნის, ჯადოსნობისა და მკურნალობის ღვთაება, ამიტომაც ჰქვია უთუოდ კოლხეთის მეფის აიეტის მეუღლეს [მედვასა და ცირციას დედას] ჰეკატე. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს საიდუმლო რელიგიური რიტუალი — „ჰეკატეს მისტერია“ — ძველ კოლხურ მედიცინასთან დაკავშირებული სადღესასწაულო რიტუა-

¹ К. Гап — назван. книга, гл. 153.

ლია, რომლის დროსაც სრულდებოდა მთელი რიგი სამედიცინო ქმედებები: მსხვერპლთ შეწირვა მკურნალობის ღვთაებისადმი, სამკურნალო მცენარეთა შეგროვება, სისხლის გამოშვება და ჩვენთვის უცნობი სხვადასხვა სამკურნალო რიტუალი. აღსანიშნავია, რომ იგი სრულდებოდა „В самом начале весны“, რაც უთუოდ დაკავშირებული იყო სამკურნალო მცენარეთა საგაზაფხულო ვეგეტაციის პროცესებთან, ადამიანთა დაავადებების საგაზაფხულო გამოწვევებთან (მალარია, ტუბერკულოზი, ალერგიული დაავადებები, სხვადასხვა სახის ეპიდემია და სხვ.) და ა. შ.

მაშასადამე, როგორც ზემოაღნიშნულ ბერძენ და რომაელ ავტორთა ციტატებიდან ირკვევა, უძველესი კოლხეთი და იბერია ხასიათდებოდა სამკურნალო-კულტურული მცენარეების სიმდიდრით, გავრცელებით; სცოდნიათ ამ მცენარეთა მოშენება, ტექნოლოგია, მკურნალობის მიზნით გამოყენება და სხვ., რაც დასტურდება არა მარტო თქმულებებითა და ლეგენდებით, არამედ ისტორიული წყაროებით, ბოტანიკური და გეოგრაფიული აღწერილობებით.

გარდა სამკურნალო მცენარეებისა, ბერძენი ავტორები ცხოველური წარმოშობის სამკურნალო საშუალებებზედაც მიუთითებენ, რაც უთუოდ მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტს წარმოადგენს.

ქსენოფონტე ათონელი (444—354) თავისი ბერძენი ჯარისკაცებით მონაწილეობდა სპარსელი უფლისწულის კიროსის სარდლობით მოწყობილ სამხედრო ლაშქრობებში; მათ დალაშქრეს უძველესი კოლხურ-იბერული ტომების: მოსინიკების, ხალიბებისა და ტიბარენების „ქვეყნები“. თავისი ისტორიული ხასიათის შრომაში „ანაბაზისში“ მოგვცა ზოგიერთი ეთნოგრაფიული ხასიათის ცნობა საბრძოლო აღჭურვილობის, ჩაცმულობის და სხვათა შესახებ.

„მოსინიკების სოფლებს რომ არბევდნენ ელინები (წერს ქსენოფონტე—მ. შ.), სახლებში პოულობდნენ გასულ წელს აღებული პურის დიდ მარაგს, აგრეთვე ახალ პურსაც, რომელიც ჯერ კიდევ გაუღულწავი იყო... პოულობდნენ აგრეთვე ამფორებში დამარილებული დელფინის ხორცს და ჭურჭელში შენახულ დელფინის ქონს, რომელსაც მოსინიკები ისევე ხმარობენ, როგორც ელინები ზეთს“¹.

ამგვარად, ირკვევა, რომ ჯერ კიდევ ძვ. წ. აღრიცხვის V საუკუნეში ჩვენი წინაპარი ტომები — მოსინიკები და ხალიბები — ამზა-

¹ სიმ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1950, გვ. 471.

დებდნენ და ხმარობდნენ ძვირფას საკვებსა და ღღისათვის საყოველთაოდ ცნობილ სამკურნალო საშუალებას თევზის ქონს (ol. Ie—coris asellis). ქსენოფონტემ თავის „ანაბაზისში“ ამ ფაქტს იმიტომ დაუთმო ადგილი, რომ თევზის ქონი მისთვის და მისი ერისათვის — ბერძნებისათვის უცნობი იყო. ბერძნები თევზის ქონის ნაცვლად, ეტყობა, სხვა ზეთს ხმარობდნენ. რადგან ქსენოფონტე ამბობს, რომ მოსინიკები ისე ხმარობენ თევზის ქონს, როგორც „ელინები ზეთსო“, აქედან გამომდინარე უნდა ვიგულისხმოთ, რომ ბერძნებისათვის თევზის ქონი ჯერ კიდევ უცნობი ყოფილა იმ დროისათვის და გაცილებით უფრო გვიანაც. ამის შესახებ წერს აგრეთვე გამოჩენილი გეოგრაფი სტრაბონი (66 ძვ. წ. — 24 ახ. წ.). იგი აღწერს ხალიბების საქმიანობას და ამბობს, რომ მოსახლეობის ნაწილი მისდევს რკინისა და ვერცხლის დამუშავებას, ნაწილი კი ცხოვრობს მეთევზეობით.

ამგვარად, ქსენოფონტედან 3—4 საუკუნის შემდეგაც თევზის ქონი ჯერ კიდევ უცნობი ყოფილა სტრაბონისთვისაც, რადგან იგი ცნობისმოყვარეობით ლაპარაკობს თევზის ქონისა და მის ნაირსახეობათა შესახებ. ამგვარად, უნდა ვიფიქროთ, რომ პირველად ქართველთა ეს წინაპარი ტომები ხმარობდნენ თევზის ქონს და აქედან გავრცელდა ეს ძვირფასი საკვები და სამკურნალო საშუალება დანარჩენ ქვეყნებსა და ხალხებში.

მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა

იმ სამკურნალო მანიპულაციებს შორის, რომელსაც წყაროებში ვხვდებით და რომელსაც მედებს მიაწერენ, აღსანიშნავია **მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა**. როდესაც იაზონი და მისი თანამგზავრი არგონავტები კოლხებთან ბრძოლაში დაიჭრნენ „მედემ ძალიან ჩქარა მოარჩინა ისინი იმ ბალახისა და ფესვების მოქმედებით, რომელთა გამოყენებაც იცოდა მან“. დიოდორ სიცილიელი პირდაპირ ასახელებს იაზონის იმ თანამგზავრებს, რომლებიც დაიჭრნენ: „გმირებში დაჭრილნი აღმოჩნდნენ იაზონი და ლაერტი, აგრეთვე ატალანტე და ე. წ. თესაინდები, გადმოგვცემენ, რომ ისინი მედემ სულ რამოდენიმე დღეში განკურნა ფესვებითა და რალაც ბალახებით“ (დ. სიცილიელი „ისტორიული ბიბლიოთეკა“ 46)¹. ლიტერატურული წყაროების მიხედვით მედმა სულ სხვადასხვა დაავადებათა მკურნალად გვევლინება: კორინთიდან მედმა თე-

¹ აკ. ურუშაძის დასახ. წიგნი, გვ. 389.

ბეში მიდის, იქ თითქოს ჰერაკლეს განკურნავს ფსიქიური დაავადებისაგან. დ. სიცილიელი ზემოთ დასახელებულ თავის წიგნში წერს: „მედეას, ამბობენ, თებეში ჰერაკლე სიგიჟის სენით შეყრილი დაუხვდა. მას შვილები დაუყლეტია, მედეამ იგი წამლებით განკურნა“¹.

უ შ ვ ი ლ ო ბ ი ს მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა : კორინთიდან წასვლის წინ მედეასთან ათენის მეფე ეგეოსი ცხადდება: როგორც ეგეოსის და მედეას დიალოგიდან ირკვევა, იგი ჩამოსულა თებეს ტაძარში ქადაგებთან, მისნებთან უშვილობის „გამოსალოცად“, რომ „შვილთა ყოლის ჰპოვოს „სახსარი“, რადგან უძეობით ყოფილა „დაავადებული“ („უძეობა მჭირს რალაც განგებით“)². ამის გამგონე მედეა ეუბნება ეგეოსს: „შენ ჯერ არ იცი რა ბედს ეწიე, რომ მოხველ ჩემთან: ვიცი წამალი უძეობისა“. იგი პირდება ეგეოსს უშვილობისაგან განკურნებას, თუ კორინთოდან გაძევებულს მისცემს თავშესაფარს. ეგეოსი თანხმდება: „მინდა, რომ სრულყო შენისურვილი, ღმერთმა იცოდეს, მზად ვარ საშველად, შველას რომ მპირდები ეგეც მიამა, ჩემი ოცნება ეგ იყო მუდამ, და თუ გვეწვევი, მეც გიმასპინძლებ, როგორც შეპფერის შენს დედოფლობას“³.

პლუტარქეც (46—120) აღნიშნავს თავის „პარალელურ ბიოგრაფიებში“, რომ კორინთოდან ლტოლვილი მედეა „ეგეოსს უშვილობისაგან ჯადოსნური წამლებით განკურნავს დაჰპირდა“⁴ და ა. შ.

კ ო ს მ ე ტ ი კ ა

მედეას სახელთან დაკავშირებული კოსმეტიკური მანიპულაციები ერთ-ერთი პირველია მსოფლიო სამედიცინო ლიტერატურაში. მედეას აკუთვნებენ თმის შეღებვის აღმოჩენის პირველობას, მაგრამ მინიშნებულია სხვა კოსმეტიკური მანიპულაციებიც. „არგონავტიკის“ (აპ. როდოსელის) მიხედვით დილით გამოღვიძებულმა ქალწულმა „ცრემლებით დასველებული ლოყები ჩამოიწმინდა და ნექტარივით ტბილი ზეთით დაიზილა“⁵. მასსადაამე, აქ სახის კანის მოვლის ერთგვარი მეთოდია მოცემული, ცრემლებით „დამწვარი“, გაღიზიანებული კანის, ლოყების „ნექტარავით

1 ავ. ურუშაძე, დასახ. წიგნი, გვ. 407.

2 ევრიპიდე, მედეა, გვ. 41.

3 იქვე, გვ. 46.

4 ავ. ურუშაძის — დასახ. წიგნი. გვ. 441.

5 აპ. როდოსელი — „არგონავტიკა“. 1948 წ. გვ. 135.

ტკბილი ზეთით“ მოშუშება. აღსანიშნავია, რომ მედია არა მარტო კურნავს სახის ნაოჭებს (იხ. ქვემოთ იაზონის მიმართ), არამედ დახელოვნებულია, საჭიროების შემთხვევაში ხელოვნურად, წამლებითა თუ საღებავებით გამოიწვიოს სახის ნაოჭები, თმის გაჭალარავება და სხვ. დიოდორ სიცილიელი გვიამბობს: როცა იაზონი კოლხეთიდან დაბრუნდა თავის სამშობლოში, მას მთელი თავისი ნათესაობა ამოყლექილი დახვდა პელიასის მიერ. მას შური უნდა ეძია და გაემარჯვა პელიასის სამეფოს მიმართ, მაგრამ მარტო „არგონავტები“ (53 კაცი იყო მხოლოდ) რას გახდებოდნენ მთელი სახელმწიფოს მიმართ. საჭირო იყო ბრძოლის სულ სხვა ტაქტიკა და აი მედეას გონებამახვილობამ გაამარჯვებინა მათ:

„იაზონის მთელი სანათესაოს ამომკლექტ პელიასს ჩქარა ეწია უწმინდულ¹ საქმეთა შესაფერი შურისძიება... როგორც გადმოგვცემენ, მედეამ განაცხადა (არგონავტების წინაშე — მ. შ.), რომ თვითონვე გრძნეულებით გამოასალმებდა წუთისოფელს პელიასს და სამეფო ხელისუფლებას განსაცდელის გარეშე გადასცემდა გმირებს. ამ სიტყვამ ყველანი გააოცა და მოითხოვეს განზრახვის ხერხი გაგვაცანიო: მედეამ (სთქვა), რომ თან მოაქვს მრავალი საოცარი ძალის წამალი აღმოჩენილი დედის ჰეკატის და დის კირკეს შეწევნით, რომ უწინ ეს წამლები არახდროს არ გამოუყენებია ადამიანთა დასაღუპავად. ახლა კი მათი საშუალებით ადვილად მიუზღავს სამაგიეროს შურისძიების ღირსთ. გადასცა რა გმირებს დაწვრილებით (მეფეზე) თავდასხმის გეგმა, აუწყა, რომ ზღვაზე მდებარე სათვალთვლო ადგილისაკენ მისცემდა ნიშანს, თუ დღე იქნებოდა კვამლით, თუ ღამე ცეცხლით. მედეამ არტემიდეს ამოღარული ქანდაკება გააკეთა და შიგ ყოველგვარი თვისების წამალი ჩაასხა; მერე საკუთარი თმები რაღაც საშუალებით გაიჭაღარავა, ხოლო სახე და სხეული ძლიერ დაინაოჭა, რომ მის დამნახველს ეგონებოდა მთლად ბებრუცუნა ვინმე, — მედეა ქალაქში შევიდა, არტემიდეს ქანდაკებას ხალხი შეავედრა, მერე მეფის სასახლეშიც შეაღწია. „მედეა სამეფო სასახლეში შევიდა, პელიასს მან ღეთისმოშიშობის განწყობილება შთაუწერა, ხოლო მისი ქალიშვილი ზღაპრული ამბებით ისეთ განცვიფრებამდე მიიყვანა, რომ ირწმუნეს: ეს ღვთაება მეფის სახლის გასაბედნიერებლად მოგვევლინა“¹. მედეას რომ დაერწმუნებინა პელიასი და მისი ქალიშვილი თავის ყოვლისშემძლეობაში, გაახალგაზრდავებისა და სახის ნაოჭების მოსპობასა და ჭალარა თმის

¹ აკ. ურუშაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 399—401.

გაშავების საქმეში, მან „პელიასის ერთ-ერთ ქალიშვილს სთხოვა მოეტანა სუფთა წყალი, როცა ქალწულმა დაეალება მყისვე შეუსრულა, ამბობენ (მედეა) ერთ მომცრო ოთახში ჩაიკეტა, მთელ სხეულზე წყალი გადაისხა და წამლების ძალა ჩამოირეცხა“, ამგვარად, ძველი შესახედაობა დაიბრუნა“ და როცა მეფეს გამოეცხადა, ყველა მნახველი გააოცა, ირწმუნეს: სიბერე, ღმერთებას რომელიღაცა განგებით, შეიცვალა ქალწულის ახალგაზრდობით და თვალწარმტაცი მშვენიერებით“ [დიოდორ სიცილიელი, „ისტორიული ბიბლიოთეკა“ გვ. 50—51]. თმის შეღებვას, თითქმის ყველა წყარო, მედეას „აღმოჩენად“ მიიჩნევენ. პ ა ლ ე ფ ა ტ ე II (IV — საუკუნე ძვ. წ.) წერს: „მედეას შესახებ ამბობენ, რომ იგი მოხუცებს ხარშავდა და აახალგაზრდავებდა, ეს კი ასე იყო: მედეამ პირველმა იპოვა ისეთი ყვავილი, რომელსაც შეეძლო თეთრი თმების გაშავება და ისე აკეთებდა, რომ მოხუცები ჭადარის ნაცვლად შავი თმების მქონენი ჩანდნენ¹. მოგვიანებით სხვა ავტორებიც ხშირად ასხენებენ მედეას თმის შეღებვის აღმოჩენად. კ ლ ი მ ე ნ ტ ი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ი ე ლ ი თავის stromata-ში წერს: „კოლხმა მედეამ, აიეტის ასულმა, პირველმა გამოიგონა თმების შეღებვა². ეს ცნობა დამოწმებული აქვს ევსევო კესარიელსაც³ მცირეოდენი ცვლილებებით (სიტყვათა გადასმით—ა. ურუშაძე) და უფრო გვიანდელი ავტორი ევდოკია (XI ს.), უთუოდ პალეფატეს ზემოხსენებულ ცნობაზე დაყრდნობით, წერდა, რომ „მედეამ აჯობა ყველა წამალთ მკეთებელს, აქედან წარმოიშვა მითი, თითქოს მოხუცებს ხარშავდა და აახალგაზრდავებდა ქმნიდა, სინამდვილეში კი ასე იყო: მედეამ იპოვნა ისეთი ყვავილი, რომელსაც შეეძლო თეთრი თმები შავად ექცია. ჩანს ჭადარა მოხუცებს (მედეა) შავი თმის მქონედ აქცევდა“⁴. ამგვარად, მედეას კოსმეტიკური მანიპულაციები „გადოსნური“ არაა, მისი წამლები — კანის მოსაშუშებელნი, ნაოქების გამჭრობნი, ჭადარა თმების შავად, შავი თმებისა კი თეთრად შემღებნი — ძირითადად მცენარეული წარმოშობისაა და ა. შ.

„გაახალგაზრდავების“ იდეა

გაახალგაზრდავება, უკვდავება, „ჭაბუკად ქცევა“ ქართული თქმულებებისა და ლეგენდების ხშირი მოტივია. უძველესი შუმე-

¹ ა. ურუშაძე, „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“, გვ. 341.

² იქვე, გვ. 466.

³ გეორგიკა, ტ. I, აღ. გამყრელიძის და ს. ყაუხჩიშვილის გამოც., 1961 წ. გვ. 24.

⁴ ა. ურუშაძე, დასახ. წიგნი, გვ. 491.

რული ეპოსის „გილგამეშიანის“ ერთ-ერთი ძირითადი მოტივია უკვდავების ძებნა, სიცოცხლის მარადისობისადმი ლტოლვა. გილგამეში, როგორც ზემოთ ვნახეთ, ზღვის ფსკერზე ჩადის, რათა მოწყვეტოს ბალახი, რომელსაც სახელად ჰქვია „ქაბუყდება მოხუცი“, ქართულ ეპოსში „ამირანიანშიც“ არის ანალოგიური იდეები, რაც ბალახით მკვდრის (ამირანის, უსუბის, ბადრის) გაცოცხლებაში გამოიხატება. თუ ეს იდეა „გილგამეშიანში“ და „ამირანიანში“ ზღაპრულ ფორმებშია ასახული, მედეაზე თქმულებებსა და ბერძნულ-რომაულ ისტორიულ წყაროებში იგი უფრო რეალური სახით არის გადმოცემული.

ე ვ რ ი პ ი დ ე ს მედეას ჰიპოთეზისში კვითხულობთ: „ფერეკიდე და სიმონიდე ამბობენ, თითქოს მედეამ გამოხარშა იაზონი და გააახალგაზრდავა. (იაზონის) მამის ესონის შესახებ „დაბრუნებათა“ შემთხვევლი ასე ამბობს: „მყისვე აქცია ესონი სიჭაბუკეში შესულ ტურფა ყმაწვილად, როცა მოაშორა სიბერე მახვილი გონების წყალობით მოხარშა რა წამალი ოქროს ქვაბებში“¹.

დიდი ბერძენი ტრაგიკოსი ე ს ქ ი ლ ე ც თავის „დიონისეს ძიძებში“ მოგვითხრობს რომ მედეამ, „გამოხარშა და ახალგაზრდებდა აქცია დიონისეს ძიძებიც თავთავიანთი ქმრებით“².

თვით ფ ე რ ე კ ი დ ე ს [V—ს. ძვ. წ.] „თეოგონიაში“ [VIII წიგნი 113/74] ასეა გადმოცემული ეს ამბები: „ამბობენ თითქოს მედეამ გამოხარშა იასონი და გააახალგაზრდავა“. (იასონის მამის შესახებ „დაბრუნებათა“ შემთხვევლი ასე ამბობს: „მყისვე გახდა ესონი სიმწიფეში შესულ მოხდენილ ყმაწვილად...“²).

ელინისტური ხანის წარმომადგენელი ლ ი კ ო ფ რ ო ნ ქ ა ლ - კ ი დ ე ლ ი ც (III ს. ძვ. წ.) თავის „ალექსანდრას“ (1315) სქოლიოებში იმეორებს: „ამბობენ, რომ მედეას მიერ ქვაბში მოხარშული იასონი კვლავ ქაბუკა გახდაო“³.

გამოჩენილი ბერძენი ფილოსოფოსი პ ლ ა ტ ო ნ ი ც (427—347) ახსენებს კოლხ მედეას და მის „გამაახალგაზრდავებელ“ მანიპულაციებს, თავის „ეფთიდემეში“ (თავი XIII) იგი სოკრატეს ათქმევინებს: „მე, თუმცაღა მოხუცი ვარ, მზად ვარ, საფრთხეში ჩავვარდე და მივენდო იმ დიონისოდორეს, რ ო გ ო რ ც კ ო ლ ხ

1 აკ. ურუშაძის დასახ. წიგნი, გვ. 237.

2 იქვე.

3 იქვე.

მედეას, დაე, დამლუპოს, თუ სურს მომხარშოს, ანდა, რაც უნდა, ის ქნას, მხოლოდ კარგ (ადამიანად) გამომაჩინოს“¹.

აქ, როგორც ირკვევა, ვინმე დიონისოდორე, სოკრატეს დროს კოლხ მედეას მსგავსად უთუოდ „გაახალგაზრდაეების“ მანიპულაციებს აწარმოებდა და მოხუცი სოკრატე მზადაა საფრთხეშიც ჩაიგდოს თავი ოღონდ მიიღოს შედეგი, იხსნას თავი მოხუცებულობისაგან. შემდგომი ავტორებიც, რომლებიც თავის მხრივ ადრეულ წყაროებს ეყრდნობიან, გადმოსცემენ ამ ამბავს მეტ-ნაკლები სიზუსტით, ხან განსხვავებული ვარიანტებით.

აპოლოდორე (II—ს. ძვ. წ.) თავის „ბიბლიოთეკაში“ ჰყვება თუ როგორ მოაკვლევინა პელიასმა ეზონს (იაზონის მამას—მ. შ.) თავი, დედამ კი თავი ჩამოიხრჩო, დატოვა რა ძუძუთა ბავშვი. პელიასმა ეს ბავშვიც მოკლა. კოლხეთიდან მობრუნებულ იაზონს ასეთი საშინელი სურათი დახვდა. მან მოუწოდა მედეას შური ეძიათ პელიასის მიმართ. „მედეა პელიასის სამეფოში მივიდა და (მეფის) ქალიშვილებს დარწმუნება დაუწყო, აეკუწათ და მოეხარშათ მამა და თან ჰპირდებოდა, რომ მას ჯადოსნური წამლებით ახალგაზრდობას მიანიჭებდა: დარწმუნების გულისათვის ნაწილ-ნაწილ დაჭრა ცხვარი, მოხარშა და ბატკნად აქცია. ქალიშვილებმაც დაუჭერეს, აჰკუწეს დ მოხარშეს მამა“².

უფრო დაწვრილებითა და საინტერესოდ აქვს გადმოცემული მედეასა და პელიასის ამბავი დ. სიცილიელს. აქ ერთმანეთშია შერწყმული მედეას შთამაგონებელი სიტყვის ძალისა, მაგიური ქმედებისა და თითქოს რაციონალური მეთოდების გამოყენება. როდესაც არგონავტებისაგან წამოსული, მედეა არტემიდეს ქანდაკებით და მასში შენახული ნაირნაირი წამლებით პელიასის სასახლეში შევიდა (იხ. ზემოთ). უპირველესად „პელიასს მან ღვთისმოსიანობის განწყობილება შთაუწერა, ხოლო მისი ქალიშვილი ზღაპრებით ისეთ განცვიფრებამდე მიიყვანა, რომ ირწმუნეს, ეს ღვთაება მეფის სახლის გასაბედნიერებლად მოგვევლინაო; მედეამ მათ აუწყა, რომ დრაკონებით ამხედრებულმა არტემიდემ ჰაერში გადაუფრინა დასახლებულ სამყაროს უდიდეს ნაწილს და თავისი ადგილსამყოფელისა და მარადიული პატივის გულისათვის ყველა მეფეთა შორის უკეთილშობილესი აირჩია. მას (მედეას) კი უბრძანა რაიმე საშუალებით

1 აკ. ურუშადის დასახ. წიგნი, გვ. 305.

2 იქვე, გვ. 292.

პელიასის სიბერის წარტაცება, მისი სხეულის მთლიანად გაახალგაზრდავება... გაცელებულ მეფეს მედემ განუცხადა, რომ თავის სიტყვას ახლავე მოუპოვებდა ნდობას, საკუთარ სხეულზე მოქმედებით [აქ მედემ ჩამოირეცხა მოხუცის ნილაბი და თვალწარმტაცი მშვენიერებით წარსდგა — პელიასისა და მისი ქალიშვილების წინაშე — იხ. ზემოთ]. „...მერე მედემ რალაც წამლების წყალობით გააკეთა ის, რომ წარმოესახათ მოჩვენება დრაკონებისა: გამოჩნდა მათზე დაბრძანებული ღმერთქალი, რომელიც ჰაერში ჰიპერბორეელთა მხრიდან პელიასთან მოემართებოდა სტუმრად... როცა მედემ განმარტოებით შეხვდა პელიასს, წააქეზა ებრძანებია ქალიშვილებისათვის, დახმარებოდნენ მას და გაეკეთებინათ ის, რასაც მათ დაავალებდა: მეფის სხეულს შეჰვერის მზრუნველობა არა მონის ხელეებით, არამედ შვილებისა, რათა ეწიოს ღმერთებისაგან მომდინარე წყალობასო. ამის გამო პელიასმა გარკვევით უბრძანა ქალიშვილებს, გაეკეთებინათ ყველაფერი, რასაც კი მედემ დაავალებდა მამის სხეულთან დაკავშირებით, ქალიშვილებიც მზად იყვნენ შეესრულებინათ ბრძანება... როცა დაღამდა და პელიასმა თავი ძილს მისცა, მედემ სთქვა, აუცილებელია პელიასის სხეული ქვაბში მოიხარშოსო. ქალიშვილები გულის წყრომით შეხვდნენ ამ წინადადებას. მაშინ მედემ, მისი სიტყვები სარწმუნო რომ გაეხადა, სხვა რამ მოიფიქრა — სასახლეში ერთი ბებერი ცხვარი ჰყავდათ და (მედემ) ქალიშვილებს უთხრა: ჯერ ამ ცხვარს მოვხარშავ და კრავად გადავაქცევო. ისინი დათანხმდნენ, მაშინ, როგორც მოგვითხრობენ, მედემ ცხვრის სხეული ასო-ასოდ დაჭრა და ისე მოხარშა. მერე რალაც წამლების შემწეობით ითვალთმაქცა და ქვაბიდან კრავის სახება ამოიღო. ქალიშვილები მეტად განცვიფრდნენ¹. ამით მოტყუებული ქალიშვილები კლავენ პელიასს. ქალაქში მედეას მიერ მიცემულ ნიშანზე არგონავტები შემოდინან და იპყრობენ სამეფოს. ზუსტად ასეთსავე ცნობას იძლევიან პავსანია (II საუკ. ახ. წ.) თავის „ელადის აღწერილობაში“ (VII წიგნი) და სტრაბონი (64—63 ძვ. წ.—23—24 ახ. წ.) „ისტორიაში“ (54—55)¹. პავსანია ხაზს უსვამს, რომ მედემ ცხვარი „განსაკუთრებული ხერხით“ დაკლა და მისი ხორცი „წამლებთან ერთად ქვაბში მოხარშა, რის წყალობითაც მოხარშული ცხვარი ქვაბიდან ცოცხალ ბატკნად ამოიყვანა“... სრულიად განსხვავებულ ცნობას იძლევა ევდოკია (XI—საუკ). იგი

¹ აკ. ურუშაძის დასახ. წიგნი, გვ. 459—436.

კრიტიკულად უდგება ადრინდელი ავტორების ცნობებს, ჩანს იგი წინააღმდეგაა მედვას „გაახალგაზრდავების“ მანიპულაციის „გამითებისა“, იგი მას რეალურ, ისტორიულ ამბად მიიჩნევს და აყალიბებს „გაახალგაზრდავების“ იმ შესაძლო მეთოდებს, რომელიც, მისი აზრით, შეეძლო გამოეყენებინა მედვას.

იგი წერს: „მედვამ აჯობა ყველა წამალმკეთებელს, აქედან წარმოიშვა მითი, თითქოს მოხუცებს ხარშავდა და ახალგაზრდებად ქმნიდა. სინამდვილეში კი ასე იყო: მედვამ პირველმა იპოვა რაღაც ყვაველი, რომელსაც შეეძლო თეთრი თმები შავად ექცია, ჩანს ჰალარა მოხუცებს (მედვა) შავი თმის მქონედ აქცევდა, ცხელი აბაზანებიც მედვამ გამოიგონა. მაგრამ მსურველებს ყველასათვის დასაწახავად არ უკეთებდა აბაზანებს, რათა ვინმე ექიმთაგანს არ ესწავლა ეს. ამ საქმის სახელი იყო გამოხარშვა. რა თქმა უნდა, ცხელი აბაზანების წყალობით უფრო მსუბუქნი და ჯანსაღნი ხდებოდნენ. საქმისათვის მზადების დროს ქვაბების, შეშისა და ცეცხლის მხილველთ სწორედ ამის გამო ეგონათ, თითქოს (მედვა) ადამიანებს ხარშავდა. რაც შეეხება პელიასს, რომელზეც ამბობენ, მედვას გამოხარშვის წყალობით მოკვდაო, მოხუცი სუსტი ადამიანი იყო და როცა აბაზანით ისარგებლა გარდაიცვალა“. ამგვარად, ევდოკია მედვას „გაახალგაზრდავების“ ერთ-ერთი პროცედურის ქვეშ „ცხელი აბაზანების“ მიღებას“ გულისხმობს, რომელიც მედვას „გამოგონილია“. სიტყვა „გამოხარშვა“ მას მიაჩნია ამ პროცედურის ფიგურულ თქმად, და არა ადამიანის სხეულის ნამდვილ მოხარშვად. მედვამ „გაახალგაზრდავების“ მანიპულაცია თვით იაზონსაც ჩაუტარა თითქოს. ამაზე მოგვითხრობს პუბლი ოვიდიუსი ნაზონიც თავის წიგნში «Книга превращения», «Метаморфозии».

მაშასადამე, ამ ამონაწერების მიხედვით, მედვას შემდეგი მანიპულაციები გაუკეთებია: 1. ბებერი ცხვარი ახალგაზრდა ბატკნად გადაუქცევია (სისხლის გადასხმის გზით). 2. იაზონი გაუახალგაზრდავებია, წვერი და თმა გაუშავებია, მოუსპია სივამხდრე, სიფერ-მკრთალე და მოხუცებულობითი სიძაბუნე, ტანი გაუსუქებია, ნაოქები გაუსწორებია, რაც იაზონს ძალიან გააკვირვებია, ის ასეთი 40 წლის წინათ ყოფილა მხოლოდ. ამის მისაღწევად მედვას სისხლი არ „გადაუსხამს“, ისე როგორც მოხუც პელის უპირებდა. მას იაზონისათვის მხოლოდ გაუჭრია ყელი, გამოუშვია ძველი სისხლი და ახალი სისხლი დაუღვეინებია, სისხლი ჰრილობიდანაც შეუყვანია ორგანიზმში, («Ртом принимая... или раной то...») ტექსტიდან

რა ჩანს, სისხლის შესაყვანად სპეციალური ჭრილობა მიაყენა, თუ
იხლოდ დაღვეინების დროს შესრუტული სისხლი მოხვდა ორგა-
ნიზმში. პელეს კი მედღეა უპირებდა მახვილით ძველი სისხლის გა-
ქოდენას, რათა სისხლძარღვები ახალი სისხლით აეცსო.

აღსანიშნავია, რომ მოხუცი პელის გაახალგაზრდავების ამბავი
თ ე მ ე ს ტ ი ო ს ი ს (317 წ.) სხვანაირად აქვს გადმოცემული: მეღე-
ას რალაც ბანგი (და არა სისხლი) ჰქონია, რომელსაც გაახალგაზრდა-
ვების თვისებებს მიაწერდნენ. „კოლხიდელის (ე. ი. მეღეას) ბანგმა
შეცდომაში შეიყვანა პელიადები, მეღეა დაჰპირდა მათ, რომ მათ
მოხუც მამას გაახალგაზრდავებდა“¹.

ამგვარად „გაახალგაზრდავების“ სულ სხვადასხვა „მეთოდე-
ბია“: „გამოხარშვა“, „აბაზანები“, „სისხლის დაღვევა“, (peros —
მიღებით), „ბანგი“ და სხვ. გაახალგაზრდავების მანიპულაციას მე-
ღეა თითქოს სისხლის გადასხმის საშუალებითაც ახდენდა.

„სისხლის გადასხმა“

შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ მეღეას დროს, ძველ
კოლხურ-იბერულ მედიცინაში, ჰემატოლოგიის განვითარების
მაშინდელი დონის მიხედვით, იგი, ეფექტური საშუალება ყო-
ფილა. მაგრამ, რომ „სისხლის გადასხმის“ იღეა არსებობდა
მაშინდელ კოლხეთში, ეს ცხადია და უაღრესად მნიშვნელო-
ვანიც, სწორედ ამიტომ არის რომ სისხლის გადასხმის მეცნიერულ
ისტორიას მეღეას სახელს უკავშირებენ. აკადემიკოსი ი. მ.
კასირსკი, გამოჩენილი რუსი ჰემატოლოგი, თავის მონოგრაფიაში
„Переливание крови“², ძირითადად პუბლიკაციების ნაზონის
„Metamorphoson“-ზე დაყრდნობით სისხლის გადასხმის ისტორიას
მეღეას მიერ ჩატარებულ სისხლის გადასხმის მანიპულაციებით
იწყებს. ნაზონი „მეტამორფოზონში“ მოგვითხრობს, თუ როგორ
შესთავაზა მეღეამ მოხუცი პელიასის ქალიშვილებს შურისძიების
მიზნით, ახალგაზრდის სისხლის გადასხმით მოხუცი მამის გაახალგა-
ზრდავება: «Вскоре лживым образом дружбы плещить Колхи-
дзянка их ухитрилась и как считает она величайшей заслугой,
что дряхлость ею с эзопа снята и на этом все медлит предмете,
у нарощенных от Пелпя дев возникает надежда, что обнавит

¹ გეორგიკა... I-ლ. გამყრელიძისა და სიმ. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1961
წ., გვ. 25.

² И. Л. Кассирский — Переливание крови, медгиз, 1939.

ლხ ოტცა ტაქიმ ჯე ისკუსტვომ ეი მოჟხო პროსტ ო ტომ ი ვლყტ კონცა პრედპაზნაჩიტ ნაგრადუ»¹.

მედეა, რათა პელიასის ქალიშვილების ნდობა დაიმსახუროს, მათი თანდასწრებით ბებერი ცხერის ახალგაზრდა ბატკნად გადაქცევის დემონსტრაციას აკეთებს.

ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ ამ ფრაგმენტში ჩამოყალიბებულია იდეა სისხლის გადასხმისა, სიბერის მკურნალობის მიზნით. თვით ტექნიკაც კი — სისხლძარღვის გახსნა დანით, ძველი სისხლის გამოშვება, ახალგაზრდა სისხლით შევსება სისხლძარღვებისა და სხვ. მაგრამ უფლება არა გვაქვს გადაწყვეტით ვთქვათ, მედეა აკეთებდა ადრე თუ არა ამ მანიპულაციას.

როგორც ზემოთ ვნახეთ, იაზონის მიმართ მედეამ სულ სხვა მანიპულაცია ჩაატარა, პელიასის მიმართ კი მედეა აშკარად მოითხოვს გამოუყვანონ ძველი სისხლი ქალიშვილების მოხუც მამას, რომ მას საშუალება მიეცეს სისხლძარღვები, ორგანიზმი, ახალი (ახალგაზრდის) სისხლით აავსოს და სხვა.

აკად. ი. კასირსკი „მეტამორფოზონის“ ამ ფრაგმენტს კომენტარს უკეთებს: «...многие авторы учебников по переливанию крови, считают, что Медея производила переливание крови»².

თვით ი. კასირსკის კი მიაჩნია, რომ მედეას ფაქტიურად არ ჩაუტარებია მანიპულაცია. იგი სვამს კითხვას: „можно-ли на основании этих строк сказать, что Медея запималась переливанием крови в истинном нашем понимании?!».

რასაკვირველია, აკად. ი. კასირსკი მართალია იმაში, რომ მედეას არ დაუსრულებია დაწყებული მანიპულაცია პელის გარდაცვალების გამო (რაც თვით მედეას მიზანს წარმოადგენდა) მაგრამ, ერთი რამ უდავოა, თანამედროვე ჰემოტრანსფუზიის საწყისები, თვით იდეის არსებობის სახით, სწორედ აქედან ღებულობს დასაბამს — ამას თვით ი. კასირსკიც აღიარებს: „...можно согласится на одном: в античном мире переливание крови возникло как идея», და ეს „ანტიკური სამყარო“ სწორედ კოლხეთია, და იმ ხალხში, იმ ქვეყანაში სადაც ეს პრობლემები, ეს იდეები ჩაისახა, უსათუოდ

¹ სისხლის გადასხმის საერთო ისტორიას საქართველოში და კერძოდ მისი მედეასთან დაკავშირების საკითხებს, ი. კასირსკის ზემოხსენებული მონოგრაფიის გამოყენებით, ვ. გვარამია ადრე შეეხო თავის სადისერტაციო შრომაში: „სისხლის გადასხმის ისტორიისა და ორგანიზაციის საკითხისათვის საქართველოში“. (მ. შ.)

² И. А. К а с и р с к и й, переливание крови, М., Л. Медгиз, 1939, ст. 15.

შესაფერი საფუძვლები არსებობდა. სამედიცინო-ბიოლოგიური აზროვნება თუ საექიმო-პრაქტიკული საქმიანობა უსათუოდ განვითარების იმ დონეზე იდგა, რომელსაც შეეძლო საკვები მიეცა ისეთი იდეებისათვის, რომელიც არ შეიძლება არაფრისაგან აღმოცენებულიყო.

შუა საუკუნეებში, სისხლის გადასხმის იდეა კვლავ განახლდა. პირველი, რომელმაც ხელი მოჰკიდა ამ საქმეს, იყო ლონდონელი ანატომი რიჩარდ ლოუერი, მაგრამ იგი სისხლის გადასხმას უტარებდა ცხოველებს (ძაღლებს) მხოლოდ ექსპერიმენტების სახით. რიჩარდ ლოუერის ექსპერიმენტები ქვეყნდებოდა შრომების სახით და დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მეცნიერებზე, მაგრამ ადამიანებზე სისხლის გადასხმა მას არ უცდია. აკად. ი. კასირსკის მოკყავს ამერიკელი ისტორიკოსის როლანდ კოსის მტკიცება, რომ თითქოს სისხლის გადასხმის პირველი მანიპულაცია ევროპაში იტალიელ ექიმს ფრანჩესკო ფელის გაეკეთებინოს, რომელიც ჯერ ფლორენციის, შემდეგ კი სასახლის ექიმი იყო. მას თითქოს 1654 წლის 13 აგვისტოს, დიდი ჰერცოგის ფრედერიკო II-ის თანდასწრებით სისხლი გადაესხას ადამიანისათვის, მაგრამ პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთები ამისა არ არსებობს. შემდგომი ავტორები და წყაროები ფრანჩესკო ფელის პრიორიტეტს სავარაუდოდ მიიჩნევენ, მაგრამ უეჭველია ამ მხრივ ფილოსოფოს ჟან ბატისტ დენისა (J. B. Denis) და ქირურგ ემერებს (Emmeres) პრიორიტეტი. მათ 1667 წელს 15 ივნისს ცხვრის (ბატენის) 250 გრამი სისხლი გადაუსხეს სისხლისაგან დაცლილ ახალგაზრდას. დენი გადასხმას აკეთებდა საძილე არტერიიდან პირდაპირ წინამხრის ვენაში, მან არაერთხელ გააკეთა სისხლის გადასხმის მანიპულაცია, ამის შემდეგ იგი სხვებმაც სცადეს (რევამ იტალიაში, ჰურმანმა გერმანიაში და სხვ.) მაგრამ, ცუდი გამოსავლების გახშირების გამო, 1670 წელს საფრანგეთის პარლამენტმა აკრძალა სისხლის გადასხმა. იგი ვანახლდა მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისიდან¹. არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს იმას, რომ დენიმ სწორედ ცხვრის (ბატენის) სისხლი გადაუსხა ადამიანს. ამას კი პირდაპირი კავშირი უნდა ჰქონდეს მედებს სახელთან დაკავშირებულ სისხლის გადასხმასთან, რადგანაც მედებს სწორედ ცხვრის (ბატენის) სისხლი უნდა გადაესხა მოხუცი პელისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევებში, ცხვრის

¹ Б М Э, Т. 23, стр. 783.

სისხლის ადამიანზე გადასხმის ეს პროცედურა კარგი გამოსავალით მთავრდებოდა, ავადმყოფის მდგომარეობა უმჯობესდებოდა. თვით დენის მიერ ჩატარებული პირველი „ცდა ტრიუმფით ჩატარდა და ავადმყოფი სწრაფად გამოკეთდა“ (მ. კასირსკი).

ამიტომაც არის, რომ მთელი რიგი ავტორებისა სისხლის გადასხმის ისტორიას იწყებდნენ სწორედ მედუდან, რადგან მედეას სახელთან დაკავშირებულია არა მარტო იდეა სისხლის გადასხმისა, არამედ თვით გადასახმელი სისხლის შერჩევაც ცხვრის სისხლის სახით, რაც ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს საშუალო საუკუნეებში (XVII საუკ.) კი არ დაიწყეს სისხლის გადასხმა, არამედ განაახლეს ოდესღაც კოლხიდაში მედეას მიერ წარმოებული მანიპულაცია.

სისხლის გადასხმისათვის ცხვრის შერჩევას კოლხეთში, ვფიქრობთ თავისი საფუძველი აქვს, თვით „არგონავტების“ სიუჟეტის საკვანძო მოტივია ოქროს ვერძი, ხოლო საქართველოში ამჟამად გავრცელებული ცხვრის ჯიში ძველი კოლხური ცხვრის შთამომავალია¹.

„არგონავტიკაში“ — ფინევსი მოუთხრობს არგონავტებს: „ხალიბების მახლობლად, სტუმართმოყვარე ზევსისადმი შეწირულ მენეციოსის კონცხის გადაღმა, ცხოვრობენ ცხვრებით მდიდარი ტიბარენები“, ცნობილია, რომ ხალიბებიც და ტიბარენებიც ქართველური ტომებია. ცხვრის მსოფლიოში გავრცელების ერთ-ერთ პირველად კერად კ. კელერს ნაჩვენები აქვს კავკასია, „Азия является родиной многочисленных диких овец. Поэтому естественно, что там получились и ручные овцы. Азятская породы постепенно достигли всемирного распространения. Место происхождения их по всей вероятности степи между черными и каспийским морями“².

მცხეთის და არმაზისხევის არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი ცხვრის თავის გამოსახულების მქონე ნივთების განხილვისას არქეოლოგები აკეთებენ რა აღრინდელი არქეოლოგიური მასალების მიმოხილვასაც, ცხვრის შესახებ ასკენიან:

1 М. Д. Рчеулишвили, «К истории овцеводства Грузии» — Тбилиси, 1953.

2 К. Келлер — «Естественная история домашних животных», 1910, гл. 31.

„ცხვარს რომ უკვე ძვ. წ. მეორე ათასწლეულში მკვიდრად აქვს ფეხი მოკიდებული ქართველ ტომთა მეურნეობაში, ამას მოწმობს საქართველოს სხვადასხვა სამთავროთა ძველი სამარხები, რომლებშიც ხარ-ძროხის, ღორისა და თხის ძვლებთან ერთად და მათზე უფრო ხშირადაც გვხვდება ცხვრის ძვლები, როგორც თავის დროზე მიცვალებულთათვის საიჭიოს გატანებული „საგზოს“ ნაშთი... ამ ნივთიერ ბაზისზე უნდა აღმოცენებულიყო ცხვრის, როგორც საკულტო ცხოველისა და მისი გამოსახულების, როგორც მფარველი ავგაროზის იდეა. ჩვენს ტერიტორიაზე დამოწმებულ ასეთ გამოსახულებათაგან უძველესად უნდა ჩაითვალოს სოფ. ლებთან ბრილის სამაროვანის ძვ. წ. II ათასწლეულის შუასაუკუნეების ფენაში აღმოჩენილი ბრინჯაოს ცხვრის გამოსახულებანი, რომლებიც ზოგჯერ საზეიმო ცულებს ამკობს“...¹.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში უძველეს დროს კვერთხს, შესაბნევს, აბზინდებს, და სხვა ნივთებსა და ჭურჭლებს ამკობდნენ ცხვრის სტილიზებული თავებით.

სამთავროს თიხის ჭურჭლებზე, რომლებიც ძვ. წ. X — VI საუკუნეებში იყვნენ, სქემატურად გამოსახულია ცხვრის თავი, რაც ჭურჭელში ჩასხმული სითხის, წამლის თუ სამკურნალო ბალახეულის მფარველად გვევლინება, როგორც საკულტო ცხოველი, სიკეთის და ჭანმრთელობის მფარველი.

არმაზისხევის არქეოლოგიური გათხრებისას, აღმოჩენილია ფრიად უნიკალური, მაღალი გემოვნებითა და სინატიფით შესრულებული ოქროს ყელსაკიდი, რომლის ერთ-ერთ ძირითად დეტალს წარმოადგენს ოქროსავე კოლოფი, რომელშიც ჩასმულია „გაკრიალებული ამეთვისტოსაგან გამოთლილი“ ვერძის თავის გამოსახულება დიდრონი მორკალური რქებით, იგი ავგაროზს წარმოადგენს. ვერძის თავის ირგვლივ რადიალურად დამწკრივებულია 20 მომცრობუდე, რომელშიც ზის თანმიმდევრულად ძვირფასი ალმანდინისა და ფირუზის თვლები. არქეოლოგები შემდეგ შეფასებას აძლევენ მას: „ცხვარი ერთი იმ ცხოველთაგანია, რომელთა გამოსახულებასაც ადამიანი ძველთაგანვე მიაწერდა ავი სულებისაგან დაცვის უნარს... ცხვრის შემწეობით შეიძლება ყოველგვარი სნეულების თავიდან

¹ ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე — „მცხეთა“, ტ. 1, გვ. 56: მის. შენგელია. ეტიულები ქართული მედიცინის ისტორიიდან. თბილისი, 1963, გვ. 75.

აცილებდა... ცხვრის ან მისი თავის გამოსახულება წარმართულ სამ-
ყაროში მიჩნეულია თავისებურ ემბლემად, რომელსაც ხშირად მი-
მართავენ პროფილაქტიკის მიზნით“¹.

ამგვარად, მედეას დროინდელ კოლხეთსა და იბერიაში, რო-
გორც ირკვევა, ცხვარი წმინდა ცხოველად ითვლებოდა, მფარველ
ავგაროზად, ავი სულებისაგან დამცველად, ყოველგვარი სნეულე-
ბის ამცილებლად და, ბუნებრივია, რომ მკურნალობის მიზნით სწო-
რედ მისი სისხლი გამოეყენებინათ ადამიანისათვის გადასასხმელად.

შხამები, საწაგლავები, ტოქსიკოლოგიის საწინამართა

სწავლება შხამებზე თანამედროვე სამედიცინო მეცნიერებაში
ცალკე დარგად არის უკვე წარმოდგენილი. როგორც ირკვევა უძვე-
ლეს კოლხურ-იბერიულ მედიცინაშიც იგი სპეციალური შესწავლისა
და დაკვირვების საგანს წარმოადგენდა. შხამებისა და ხელოვნურად
შექმნილ მომწამვლელ ნივთიერებათა შესახებაც ცნობებს კვლავ
ბერძნულ წყაროებში ვხვდებით. ყველაზე ადრეული ამ მხრივ ისევ
„ილიადას“ სქოლიოებია, სახელდობრ, კირკე (იგივე ცირცეა —
მედეას და) ნახსენებია როგორც ჯადოსნური წამლების გამკეთებე-
ლი, რომელიც კუნძულზე მოსულ უცხოელებს სპეციალურ წამალს
აძლევდა, რათა ამ წამლის ზემოქმედებით მათ საკუთარი სამშობლო
შეძლებოდათ და კუნძულზე დარჩენილიყვნენ ქვეშევრდომებად. ო

„(კირკეამ მოსულნი) შეიყვანა სკამებსა და სავარძლებზე დასხა
და მათ არამნეს ღვინოში აზელილი ყველის ქერისა და ყვითელი
თაფლის კერძი მოუმზადა, რომელსაც ჯადოსნური წამალი შეუტია,
რათა მშობლიური მიწა მთლად დაეიწყებოდათ“ (X—233—236)².

იოანე მალალა (V—VI სს.), ჩანს, არა „ილიადას“ სქოლიოებს,
არამედ უფრო ვრცელ პირველ წყაროს ეყრდნობა, როცა წერს
თავის „ქრონიკაში“ ცირცეას ზემოხსენებული „ჯადოსნური“ შხა-
მის შესახებ.

„კირკემ რალაც ბალახებისაგან წამალი შეამზადა, (ამბობენ),
რომ (მასთან) მომსვლელ უცხოელებს ალერსით ლებულობდა და
სასმელის მიწოდების წყალობით სასწაულებრივ მომწესხავ ძალას

¹ ა. აფაქიძე, მ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე — „მცხეთა“, ტ. 1, გვ. 56;
მის. შენგელია. ეტიუდები ქართული მედიცინის ისტორიიდან. თბილისი, 1968.
გვ. 84—86.

² პროფ. აკ. ურუშაძე, „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“,
თბილისი, 1964, გვ. 175.

უმორჩილებდა: (წამლის) შემსმელ უცხოელთ აიძულებდა, მისა ერთგული გამხდარიყვნენ, საკუთარი სამშობლო დაევიწყებინათ და მასთან ეცხოვრათ. ყველანი ხალისით რჩებოდნენ მასთან და მის კუნძულზე თავის სამშობლოს ივიწყებდნენ... „როცა ოდისევსი შეეკითხა ამ კუნძულზე მცხოვრებთ: „რისი გულისათვის ცხოვრობთ ამ კუნძულზეო, მათ უპასუხეს „დედოფალ კირკესაგან ჯადოსნური სასმელი მივიღეთ და მისდამი საოცარი სიყვარულით მონუსხულებს ახლა ეს (კუნძული) გვაქვს სამშობლოდო“ (იქვე. გვ. 476).

თვით „ოდისეაში“ ცალკე თავად არის მოთხრობილი გრძნეული ცირცეასა და მისი შხამების ამბავი. მაგრამ ცირცეა თუ სხვა წყაროებით მედეას დაა, აქ იგი მამიდაა, აიეტის დაა, თვით ცირცეას ჯადოსნური წამლის შესახებაც ოდნავ განსხვავებულად არის მოთხრობილი. სამშობლოსაკენ მომავალი ოდისევსი და მისი თანამგზავრები „აიას კუნძულს“ მიადგებიან, სადაც „თმა მშვენიერი“ „გრძნეული ცირცე“ ცხოვრობდა. კუნძულის დასახვერავად 22 კაცი გამოეყო ხომალდის ეკიპაჟს და მცირე ხნის მგზავრობის შემდეგ ცირცეს სასახლეს მიადგნენ. აქ, „სასახლის ეზოში ნებიერად წამოწოლილიყვნენ ქალღმერთის (ცირცეას — მ. შ.) ჯადო-წამლით გაჩხიბული მგლები და ღომები. კაცს არ ერჩოდა არც ერთი, კუდის ქიცინათ ხედებოდნენ უცხოთ“. ე. ი. ცირცეას წამლის ზემოქმედებით ყველაზე უბოროტესი მხეცები მოთვინიერებულა და თვით უცხო ადამიანთა მიმართაც კი ისე იქცეოდნენ, როგორც ერთგული ძაღლები თავიანთ კეთილ პატრონთან.

მგზავრები სასახლეში შეიპატიჟა ცირცეამ: მასპინძელმა სავარძელზე დასხა წვეულნი, მერე ყველი, ფქვილი და ოქროსფერი თაფლი არამნეულ ღვინოში განაზავა, შიგ თავისი ჯადო წამალი შეურია და სტუმრებს მიართვა, რათა მათ სამშობლო ქვეყნისა და სასლელულთა ხსოვნა წარხოცოდათ. ეს ჯადოსნური ჭამადი რა შეაჭამა, ცირცემ ყველას სათითაოდ დაჰკრა კვერთხი და საღორეში შერეკა, ბედკრულთ ღორის თავები გამოებათ მეყსეულად, ქედზე ჯაგარი დაესხათ და საცოდავი ღრუტუნნი მორთეს“².

მეგობრების საშველად წამოსულ ოდისევსს ჰერმესი შემოხვდება მშველელად, მან ასწავლა თუ როგორ იხსნას თავი ცირცეას

1 ჰომეროსი, ოდისეა „გრძნეული ცირცე“. გვ. 157—175, თბილისი, 1975 წ. ზ. კიკნაძისა და თ. ჩხენკელის თარგმნით.

2 ჰომეროსი, ოდისეა, გვ. 164—165.

ჯადოსნური წამლის ზემოქმედებისაგან, თვით მისცა წამალი ცირცეას წამლის გამაუენებელი, მან (ჰერმესმა):

„მიწიდან რაღაც ბალახი ამოძირკვა... ამბობს ოდისევსი და მისი ნიშანიც ამიხსნა. ფესვი შავი ჰქონდა ამ ბალახს, ყვავილი კი — რძისფერი. ამ ბალახს მოლს უწოდებენ ნეტარი ღმერთები, მათ გარდა არავის ძალუძს მიწიდან მისი ფესვებითურთ ამოგლეჯა“.

ჰერმესის მიერ ნასწავლი „ანტიშხამის“ წყალობით ცირცეამ ვერ „გაჩხიბა“ ოდისევსი — ვერ შეუცვალა ფსიქიკა, ვერ აქცია „ღორად“, პირიქით, ოდისევსმა იმდენი ზეგავლენა მოახდინა ცირცეაზე, რომ მისი მეგობრები იხსნა „ჯადოსნური წამლის“ გავლენისაგან.

ოდისევსის თხოვნით ცირცეამ ჩამოუარა მათ და „რაღაც სხვა ჯადო-წამალი სცხო, უმაღვე დასცვიდათ მათ ჯაგარი და კელავ კაცებრივი სახე შეიმოსეს, ოღონდ უფრო ახალგაზრდები, ახოვანნი და ლამაზები ჩანდნენ“¹. მათ ისევ დაუბრუნდათ ადამიანური ფსიქიკა, თვისებები. გარდა იმისა, რომ აქ მოთხრობილია ფსიქიკაზე, ადამიანის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მოქმედი შხამებისა და ანტიშხამების შესახებ, ინტერესს იწვევს ბალახის ბერძნული სახელი „მოლი“, რომელიც ჰერმესმა მისცა ოდისევსს, ცირცეას „წამლის“ გასაუენებლად.

აკად. ს. ყაუხჩიშვილის მოსაზრებით, იგი ეტიმოლოგიურადაც უნდა უკავშირდებოდეს ქართულ „მოლს“ (ბალახს), „ოდისეას“ მთარგმნელები კი — ზ. კიკნაძე და თ. ჩხენკელი შესაძლებლად მიიჩნევენ ამ გრძნულ ბალახს — მოლს ეტიმოლოგიური კავშირი ჰქონდეს აგრეთვე შ. რუსთაველის „მოლთან“ („მან გრძნულმა მოლი რამე წამოიხსა ზედა ტანსა“).

ცირცეასა და მედეას დედა იყო ჰეკატე, რომელმაც ასწავლა თავის ქალიშვილებს წამალმკეთებლობის ხელოვნება. უთუოდ ადრინდელ წყაროებს ეყრდნობა დ ი ო ნ ი ს ი ო ს ს კ ი ტ ო ბ რ ა ქ ი ო ნ ი (II—I საუკ. ძვ. წ.), როცა წერს თავის „არგონავტების“ I წიგნში: „ამბობენ, რომ (ჰეკატე) მამაცი იყო სამონადირო საქმეებში და რომ მან პირველმა აღმოაჩინა მომაკვდინებელი ფესვები და შხამებით მოაკვდინა საკუთარი მამა, კოლხეთში გაგზავნილი ცოლად გაჰყვა ბიძას — აიეტს, მისგან წარმოიშვნენ კირკე და მედეა. კირკემ, რომელიც მედეაზე უფროსი იყო, ბევრად აჯობა თავის დედას,

¹ ჰომეროსი, ოდისეა, გვ. 169.

ზოგი რამ მისგან შეითვისა, ზოგი რამ კი მრავალი და საზარელი თვითონ აღმოაჩინა...“¹

თითქმის ასეთსავე ცნობას იძლევა დიოდორე სიცოლიელი (I საუკ. ძვ. წ.) თავის „ისტორიულ ბიბლიოთეკაში“: „იგი (ჰეკატე — მ. შ.) დახლოვდა მომაკვდინებელი შხამების შედგენაში და აღმოაჩინა ეგრეთ წოდებული აკონიტონი, ყოველი (შხამების) ძალას სცდიდა იმით, რომ შხამებს უზავებდა საკვებს, რაც უცხოელებს ეძლეოდათ. ასეთ საქმეებში დიდი გამოცდილების მქონემ უწინარეს ყოვლისა საწამლავით მამას მოუსპო სიცოცხლე... დაუკავშირდა და შვა ორი ქალიშვილი კირკე და მედეა... კირკემ ხელი მიჰყო ყოველგვარი წამლების შესწავლასა და აღმოაჩინა ფესვების ნაირნაირი ბუნება და საოცარი ძალა. ცოტა რამ როდი შეითვისა მან დედა ჰეკატესაგან.

მაგრამ, ბევრად უფრო მეტი საკუთარი ბეჯითობის წყალობით აღმოაჩინა და არ დაუტოვა სხვა ვინმე ქალს აღმატების არცერთი შესაძლებლობა წამლის კეთების ცოდნაში“ (გვ. 387).

ჰომეროსის „ოდისეის“ განმარტებებშიც ნახსენებია შხამები, აღსანიშნავია, რომ აქ ავტორები მედეას სადაურობასაც მიუთითებენ, რომ ის კვიტაელია, კვიტაია — კი, პროფ. აკ. ურუშაძის აზრით იგივე ქუთაისია, კოლხეთის უძველესი ქალაქი. „პოლიდამნა — წერს ოდისეას სქოლიატი — საშუალო სქესის სახელია ეპითეტად გამოყენებული და ნიშნავს მრავალთა დამძლევე წამლებს ანდა პოლიდამნა ეგვიპტელი ქალის საკუთარი სახელია, როგორც მეთიმნა. ევფორიონიც ამბობს, გონების ამრევა შხამები, რაოდენიც იცოდა და პოლიდამნამ რაოდენიც კვიტაიელმა შედეამო. ეს ის შხამებია, რომელთა მცოდნე იყო ეგვიპტელი პოლიდამნა და მედეა ქალაქ კვიტაიადან, რომელსაც ლიკოფრონიც მოიხსენიებს“ (იქვე, გვ. 182).

გონების ამრევე შხამებს იხსენიებს აგრეთვე ევფორიან ქალკიდეელი (275 წ. ძვ. წ.) თავის „დიონისეში“: „ასხამდა გონებისათვის მავნე შხამებს, რამდენიც იცოდა პოლიდამნამ და რამდენიც — კვიტაიელმა მედეამ“ (იქვე, გვ. 493).

შხამების მოქმედების სპეციფიკურობას, მათი მოქმედების მრავალფეროვნებას შემდეგში მრავალჯერ წავაწყდებით სხვადასხვა ავტორთა ნაწერებში. საინტერესოა აქ ნახსენები შხამები, როგორც

¹ აკ. ურუშაძე, „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“, გვ. 374.

საგანგებო შხამი „გონებისათვის მავნე“, „გონების აწრევი“, რო-
 ზელსაც, როგორც ჩანს, მომწამვლელი, მომაკვდინებელი თვისება
 კი არა აქვს, არამედ სპეციფიკურად მოქმედებს ცენტრალურ ნერ-
 ვულ სისტემაზე, ადამიანის ფსიქიკაზე და იწვევს ფსიქიკის მოშლას,
 გაუკულმართებას. მედეას დის ცირცეას ზემოხსენებული „ჯადოს-
 ნური წამალიც“, რომელსაც უცხოელების მიმართ იყენებდა იგი,
 ასეთივე მოქმედებისაა, ისიც ადამიანის ფსიქიკაზე ახდენს გავლენ-
 ნას, რადგან იწვევს სამშობლოსადმი სიყვარულის გრძობების და-
 თრგუნვას, სამშობლოს დავიწყებას. სულ სხვა თვისებისაა მედეას
 მიერ კრეონტის მოსაწამლავად გამოყენებული შხამი. მედეაზე არ-
 სებულები ეს უძველესი ცნობაც ჰომეროსის დროინდელ (IX ს. ძვ. წ.)
 წყაროდან მომდინარეობს — კ რ ე ო ფ ი ლ ე ს ა მ ო ს ე ლ ი ს ნ ა-
 წარმოებიდან [ჰომეროსის თანამედროვე პოეტი, მისივე სიძე], რა-
 ზელსაც ძვ. წ. აღ. I საუკ. ალექსანდრიელი გრამატიკოსი და კომენ-
 ტატორი დ ი დ ი მ ო ს ი მოგვითხრობს, რომ კრეოფილე სამოსელი
 „ამბობს: „კორინთოში მცხოვრებმა მედეამ ქალაქის მაშინდელი
 განგებელი კრეონტი საწამლავით მოკლა“ (იქვე გვ. 185). შემდეგი
 საუკუნეების წყაროები უფრო დეტალურად გვიყვებიან კრეონტისა
 და გლაკეას მოწამვლისა და ამ საწამლავის თვისებათა შესახებ,
 თვით ე ვ რ ი ბ ი დ ე ს მედეაში კი იგი ასეა გადმოცემული, იაზონმა
 მედეას უღალატა, მისი ღალატი მეტად სულმდაბლურია, რასაც
 თვითონვე ეუბნება მედეას:

„მეფის ასულის შერთვაზე კარგი
 რა უნდა მექნა, აბა, დაფიქრდი,
 ამაოდ ფიქრობ, თითქოს შემძულდი,
 ვითომ გულისთქმით ვირთავდე ცოლსა,

ცოლი შევირთე, კარგად გვეცხოვრა
 და სიღარიბე არ განგვეცაღა.
 ღარიბს გაუბრბის თვით მეგობაროც“¹.

მედეასაგან შორსაა ასეთი სულმდაბლობა, მან იაზონისადმი
 სიყვარულს შესწირა ბევრი რამ, მისი სიყვარული უმწიკვლოა, უან-
 გაროა. აღსანიშნავია რომ ამ დიალოგში მედეა კოლხეთის კულტუ-
 რას, მის ადამიან-ჩვევებს, კოლხი ადამიანის მაღალ სულს უპირისპი-
 რებს იაზონის სულმდაბლობასა და თვალთმაქცობას: „ბევრ მოკვ-

¹ ვერიპიდე, მედეა, პ. ბერაძის თარგმანი, თბილისი, გვ. 34.

დავთავან მე განვსხვავდები; აქაურ წესებს, ვხედავ, ვერ ვიცნობ. კოლხეთის შვილთ კი ასე გვჩვევია; თუ მქვერმეტყველებს კაცი ბოროტი და სიტყვის ძალით იმართლებს თავსა, სამგზის უმკაცრეს ვადებთ სასჯელსა. ჩემ წინ მოსულხარ აქ და ბობოქრობ ლამაზი სიტყვით, ერთი კითხვა და უმაღ ძირს დავცემ, შენი ჩონგურის სიმების ჯორას“¹.

მედღა გრძნობს, რომ თავისი მაღალი სულით, ადამიანური თვისებებით, რომელიც „კოლხეთის შვილთათვის“ არის ჩვეული, მკვეთრად განსხვავდება ბევრ მოკვდავთაგან, რომლებიც იქაურ, ე. ი. კორინთოს, მცხოვრებთ წარმოადგენენ. ამგვარად, მკურნალობისა და შხამების საიდუმლოებათა ცოდნაც, რითაც კორინთოში ასე თავი ისახელა მედეამ, საერთო მაღალი კოლხური კულტურის ერთ-ერთი და კანონზომიერი გამოვლინებაა და არაა ცალმხრივი, შემთხვევითი. ამიტომაც ათქმევინა ევრიპიდემ იაზონს, მედეას მიმართ: „აქ ელადაში, ყველა ბრძნად გსახავს, შორს გავარდნილა შენი სახელი“², ძირითადად, რასაკვირველია, მკურნალობისა და შხამების საიდუმლოებათა ცოდნით. შურისძიებით გააფთრებული მედეა განიზრახავს შხამები აამოქმედოს თავისი მეტოქის მიმართ: „შვილებს გავატან ძღვნად პატარძალთან ძვირფას სამოსელს და ოქროს გვირგვინს. ისეთი შხამით გავლესე ოქრო, ოდნავ სხეულზე თუ მიიკარა, დაიღუპება ტანჯულ სიკვდილით, და მასთან ყველა ვინც ხელს შეახებს“³, ამ გადაწყვეტილებაში მედეა მტკიცე, ურყევი, მთლიანი პიროვნებაა: „ვერვინ მიწოდებს სუსტს და უღონოს, რადგან სულ სხვაა ბუნება ჩემი: მტრისთვის სასტიკი, მოყვრისათვის კი კეთილმოწყალე, ასეა წესი ამაყი სულის“⁴. მედეა აღწევს საწაღელს, შიკრიკი მას ამცნობს, რომ „ასულს, (გლავკეას — მ. შ.) მეფესაც, ორთავეს ერთად შენმა წამალმა მოუღო ბოლო“⁵, საინტერესოდ არის აღწერილი თვით შხამის, საწამლაგის მოქმედების სურათი. როდესაც მედეას გამოგზავნილი „ოქროს ქსოვილი ტანს მოიზომა, ოქროს გვირგვინიც თავზე მოირგო“, ცოტა ხნის შემდეგ მნახველნი „საზარელი სურათის“ მოწმენი ხდებიან: „უცებ დაედო სახეს მკვდრის ფერი,

1 ევრიპიდე, მედეა. პ. ბერაძის თარგმანი, თბილისი, გვ. 35.

2 იქვე, გვ. 33.

3 იქვე, გვ. 50.

4 იქვე, გვ. 51.

5 იქვე, გვ. 68.

თანაც მუხლები მთლად მოეკვეთა და ძლივსღა მისწვდა დაუცემლად სავარძლის კიდეს... მოადგა თეთრი დორბლი, რომ, სულ მთლად გაფითრდა. წვეთიღა სისხლი არ შეჩენოდა, აქ დედოფალმა კვილი მორთო“¹. მცირე ხნის შემდეგ ეს შხამი ცეცხლად იქცევა—„ოქროს გვირგვინი თავის გარშემო საშინელ კოცონს აგზნებდა. სამოსელი კი, შენმა შეილებმა რომ მოუტანეს, უწვავდა სხეულს, ცეცხლმოდებული ზე წამოიჭრა. უნდოდა თავზე ეტაცა ხელი, ოქროს გვირგვინი რომ მოეგლიჯა, მაგრამ ის ოქროს მტკიცედ ეჭირა, და ცეცხლი უფრო გამძლავრდა ამით“. და „იმ უხილავი საწამლავის აგან შემოფლეთოდა ხორცები ტანზე“². მისაშველებლად მისული მამაც (კრეონტიც) ხდება ამ საწამლავის მსხვერპლი, იგი მიიზიდა საწამლავმა, ზედ მიეკრა ქალიშვილის სხეულს, ადგომას, მოშორებას ლამობს, მაგრამ, „ამაოდ, რაც უფრო იწევს, ხორცი ძვლისაგან მეტად ეცლება“³.

ევრიპიდეს „მედეას“ ჰიპოთეზისში მოკლედ ასეა გადმოცემული ეს ამბავი: კორინთაში, როცა იაზონმა უღალატა მედეას და კრეონტის ასული გლავკეა უნდა შეერთო ცოლად, მედეამ (მადლობის ნიშნად, რომ ზედმეტად ერთი დღით დარჩენის უფლება მისცა) გლავკეას „ბავშვების ხელით საჩუქრად გაუგზავნა სამოაო და ოქროს გვირგვინი, მოირგო თუ არა ესენი, (გლავკეა) დაიღუპა, როცა კრეონტი ქალიშვილს ჩაეხვია, ისიც დაიღუპა“⁴. ევრიპიდეს შემდგომ ავტორებსაც მოჰყავთ გლავკეას მოწამვლის ეს მომენტები: მიტ-ნაკლები სიზუსტითა და სისრულით.

აპოლოდორე თავისი „ბიბლიოთეკის“ I წიგნში წერს: „ისინი (იაზონი და მედეა — მ. შ.) კორინთში მოვიდნენ და ათი წელი ბედნიერად იცხოვრეს, მაგრამ შემდეგ, როცა კორინთოს მეფემ — კრეონტმა ქალიშვილი გლავკეა იაზონზე დანიშნა, იაზონმა მედეა გაუშვა და (გლავკე) შეირთო. მედეამ მოუწოდა იმ ღმერთებს, რომლებზედაც იაზონმა დაიფიცა, მრავალგზის გაჰკიცხა იაზონის უმადურობა და პატარძალს წამლით მოჯადოებული პეპლოსი გაუ-

1 ევრიპიდე, მედეა, პ. ბერაძის თარგმანი, თბილისი, გვ. 71.

2 იქვე, გვ. 72.

3 იქვე.

4 აკ. ურუშაძე, „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“, თბილისი, 1964. გვ. 237.

გზავნა, როგორც კი შეიმოსა პეპლოსით (გლავკე), საშველად მივარდნილ მამასთან ერთად ძლიერი ცეცხლით დაიწვა“¹.

დიოდორე სიცილიელი (I-საუკ. ძვ. წ. აღ.) „ისტორიულ ბიბლიოთეკაში“ ამ ამბის ორ ვარიანტს გადმოგვცემს: „შურისძიების მიზნით მედემ წამლებით სახე შეიცვალა, ღამით სასახლეში შევიდა და შენობას ცეცხლი წაუკიდა, მან იქ დის, კირკეს მიერ ნაპოვნი ფესვით, ისეთი ძალის მქონე, რომ თუ აინთებოდა ძნელადღა ჩაქრებოდა, სასახლეს ხანძარი გაუჩინა, იაზონი მყისვე გამოვარდა გარეთ, გლავკეასა და კრეონტს კი ცეცხლი შემოენთო და დაიღუპნენ“. მაშასადამე, ამ ვარიანტით მედეას შხამს უშუალოდ არ უმოქმედია მათზე, მან მხოლოდ რომელიღაც მცენარის ფესვით ძნელად ჩასაქრობი ცეცხლი გაუჩინა სასახლეს. მაგრამ, დ. სიცილიელი იქვე აგრძელებს: „მწერალთაგან ზოგიერთნი ამბობენ, რომ მედეას შვილებმა პატარძალს მიუტანეს შხამით გაყენილი საჩუქარი: როგორც კი აიღო იგი, ტანზე მოირგო, გლავკეა მაშინვე უბედურების მსხვერპლი გახდა. დასახმარებლად მივარდნილი მამაც, როცა შვილის სხეულს შეეხო, სიცოცხლეს გამოესალმა“².

პლუტარქე (46—120) თავის წიგნში „ალექსანდრე მაკედონელი“ (XX XV) ეკამათებოდა ადრინდელ ავტორებსა და ისტორიკოსებს. მას უბრალოდ ნავთობად მიაჩნია ის „შხამი“, რითაც გლავკეა და კრეონტი დაიღუპნენ. „კაცმა რომ თქვას, ჭეშმარიტებასთან ახლოს არიან ისინი, რომლებიც მითის სიმართლის დასამტკიცებლად ამბობენ: (ნავთობი) იყო მედეას შხამი, რომლითაც მან ტრაგედით ცნობილი გვირგვინი და წამოსასხამი გაყენთა. ცეცხლი თავისთავად არ გასჩენიათ ამ საგნებს: როცა ალი მიუახლოვდა, მოხდა მკვეთრი მიზიდვა და შეუმჩნეველი დაკავშირებო“³.

მაგრამ ეს მოსაზრება პლუტარქეს არ ეკუთვნის, ის ახსენებს სხვა ადრინდელ ავტორებს („ჭეშმარიტებასთან ახლოს არიან ისინი რომლებიც...“). პლუტარქე კი იზიარებს ამ ავტორთა მოსაზრების ისეთ ვარიანტს, რომელთა მიხედვით, მედეამ თითქოს ჩვეულებრივი ნავთი გამოიყენა და არა რაიმე „შხამი“. აქ აღსანიშნავია ისიც, რომ პლუტარქე სხვა მისი „თანამოაზრე“ ადრინდელ ავტორებთან ერთად, რომელთაც იგი იმოწმებს [თუმცა გვარების დაუსახელებ-

1 აკ. ურუშაძე, დასახ. წიგნი. გვ. 366.

2 იქვე, გვ. 405.

3 იქვე, გვ. 445.

ლად], ასახელებს თქმულებას არგონავტებზე, იგი მედეას ამბავს ისტორიულ სინამდვილედ მიიჩნევს და არა მითად, ლეგენდად, რომლის „დასამტკიცებლად“ მედეას შხამს მიიჩნევს „არა ჭაღოსნურ საწამლადად“, არამედ ჩვეულებრივ „ნავთობად“.

უფიქრობთ, უფრო ლოგიკურია და ქვეშარიტებასთან ახლოსაა ნიკანდრე კოლოფონელის (II საუკ. ძვ. წ.) ცნობა. ნიკანდრეს შრომებიდან ცნობილია „ალექსიფარმაკა“ და „თერიაკა“. ჩანს იგი სპეციალურად მუშაობდა ფარმაკოლოგიურ საკითხებზე, კერძოდ, „შხამსაწინააღმდეგო“ საშუალებებსა და თერიაკებზე. ამდენად მისი ცნობები უფრო სანდოა, სარწმუნოა და უფრო მეტად შეიძლება მათზე დაყრდნობა როგორც კომპეტენტურ ავტორზე, იგი წერს თავის „ალექსიფარმაკაში“ (გვ. 249), რომ „თუ ვინმე კოლხ მედეას საძულველ ცეცხლს ერთდღიანს მიიღებს და მით ბაგენი მოუსველდება, მყისვე საშინელი წვა აუვარდება“¹. აქვე სქოლიოში უფრო დეტალურად განმარტავს ავტორი ამ „შხამს“. როგორც ჩანს, იგი საკმაოდ გავრცელებულია სხვა წყაროებთან და ალბათ სხვა ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებითაც (გარდა კრეონტისა და გლავეკას მოწამვლისა), რომელთაც ჩვენამდე ვერ მოაღწიეს. რადგან აქ ამ შხამის სულ სხვადასხვა სახელებია მოცემული: „მედეასი“, „ერთდღიანი“, „ირისი“, „კოლხური“, „ჯარიკული“, და სრულიად ახალი ცნობები მის შესახებ, რაც არგონავტების თქმულების არც ერთ ვარიანტში არ გვხვდება.

„მედეასი“, ანუ „ერთდღიანი“, წამალია მოსამზადებელი“, რომელსაც ეწოდება კოლხური ან ბარბაროსული და რომელსაც ბარბაროსები ნავთსაც ეძახიან. თუ ამით (ტანს) დაიხელება, ან იმ სამოსს ზემოდან რომ ატარებენ, ან სხვა რასმე გაუღენთენ და მზის პირისპირ დადგებიან, ვით ცეცხლისაგან ისე შთაინთქმებიან და მოისპობიან: მწველია, და იმიტომ; როგორც ჩანს, მისი მომზადება მედეამ აღმოაჩინა, ამიტომაც კოლხურ წამალს ეძახიან. ზოგიერთები მას „ირისს“ უწოდებენ, ზოგიერთები — „ფარიკულს“, სხვები კი „ერთდღიანს“, ვინაიდან დალევის დღესვე ჰკლავს. ხარობს მდინარე ჰიპანისთან. აღმოცენდება გარიყრაქზე, შუაღლისათვის კი ჰკნება, ან და იმიტომ ეძახიან ერთდღიანს, რომ მის დამლევთ არ შეუძლიათ მთელ დღეს გასძლონ².

¹ აკ. ურუშაძის, დასახ. წიგნი, გვ. 335.

² იქვე.

მაშასადამე, ეს „მედეას აღმოჩენილი“ წამალი თუ საწამლავი მარტო ნავთი არაა, როგორც პლუტარქე ფიქრობს, მაგრამ არც „ჯადოსნური საწამლავია“. იგი, ჩანს, რომელიღაც მართლაც მცენარის ფესვია (დ. სიცილიელი) ან თვით მცენარე (ფოთლები, ღერო, ყვავილი, ნაყოფი და სხვ.), რომელიც უთუოდ ნავთთან ერთად მზადდებოდა. თვით ნიკანდრე კოლოფონელი ჯერ ამბობს, რომ იგი თითქოს ნავთია, მაგრამ ბოლოს ირკვევა, რომ ის არაა მარტო ნავთი, არამედ ის წამალია მოსამზადებელი“ რომელიღაც მცენარიდან, რომელიც „მდინარის პირას აღმოცენდება ვარიერაჟზე, შუადღისათვის კი ჭკნება“.

ამგვარად, ნიკანდრე კოლოფონელის „ალექსიფარმაკაში“ შემონახულია მეტად საინტერესო ცნობები: სახელი მედეასი, როგორც გარკვეული წამლის, შხამის, საწამლავის აღმომჩენის, ამ „საწამლავის“ თვისებები, მისი სახელწოდების სხვადასხვა ვარიანტები („მედეასი“, „ერთდლიანი“, „კოლხური“, „ირისი“, „ფარიკული“), ამ საწამლავის შემადგენლობა [ნავთი, მცენარე], თვით შემადგენელი მცენარის გავრცელების ადგილი და მისი თვისებები და ა. შ. ეს ნიკანდრე კოლოფონელის ამ ცნობას უაღრესად რეალური, ისტორიული მოვლენის ელფერს აძლევს და დამაჯერებელს ხდის მედეას შხამებისა და შხამსაწინააღმდეგო საშუალებების შესახებ სხვადასხვა ისტორიულ, მხატვრულსა და მითოლოგიურ ქმნილებებში გაბნეულ სხვა ავტორთა ცალკეულ ცნობებსაც.

მედეასეულ საწამლავსა და შხამებს შორის აღსანიშნავია ერთი შხამი, რომელიც საზარელ სიმყრალეს (სუნს) იწვევს, ასეთი შხამის შესახებ აპ. როდოსელის „არგონავტიკის“ I-წიგნის სქოლიოებშია მითითებული. სქოლიატი წერს, რომ: „მედეამ როცა კუნძულს (ლემნოსს — მ. შ.) ჩაუტურა, იჭვენულობის გამო ლემნოსზე საწამლავი გადაისროლა, რამაც ქალებს სიმყრალე შეჰყარაო“¹.

ასეთი მტანჯველი სიმყრალის შხამი, საკუთრივ მედეას შხამების არსენალიდან კი არაა მარტო, როგორც ჩანს, ის საერთოდ კოლხეთში ყოფილა ხალხშიც გავრცელებული, რაზედაც სტრაბონი მიუჯობებს თავისი „გეოგრაფიის“ I-წიგნში: „სვანები (ისრის) წვერებისათვის ხმარობენ საოცარ წამალს, რომელიც მოუწამლავი ისრებით დაჭრილებსაც კი ტანჯავს სუნის გამო“².

¹ ავ. ურუშაძის დასახ. წიგნი.

² იქვე.

ამგვარად, კოლხური საწამლავეები და შხამსაწინააღმდეგო საშუალებები არა მარტო ჰეკატეს, ცირცეასა და მედეას სახელთან არის დაკავშირებული, არამედ ბერძნულ-რომაულ სამყაროში კოლხეთი და იბერია საერთოდ მიჩნეულია ქვეყნად, სადაც მზადდება ისინი. პორაციო (65—8 ძვ. წ.) ხომ იბერიის შესახებ წერს: «Иберия изобилующая ядами», კოლხეთზე კი — «Ты пищишь колхидскими ядами, как печка, где они готовятся»¹.

შხამების, საწამლავეების, სამკურნალო საშუალებების შესწავლა, როგორც ირკვევა, ხდებოდა ხანგრძლივი დაკვირვებებისა და დაინტერესების შედეგად, თვით ადამიანებზე ექსპერიმენტების საშუალებით და არა მხოლოდ ემპირიული გზით მიღებული ცოდნის საშუალებით.

მაშასადამე, წყაროებში ჰეკატე, ცირცეა, მედეა ხშირად იხსენიება, როგორც ამა თუ იმ საშუალების, შხამის აღმოჩენად, დ. სიცილიელი წერს ჰეკატეს შესახებ (მედეას დედა—მ. შ.), რომ „იგი დახელოვნდა მომაკვდინებელი შხამების შედგენაში და აღმოაჩინა ეგრეთწოდებული აკონიტონი. ყოველი შხამის ძალას სცდიდა იმით, რომ შხამს უზავებდა საკვებს, რაც უცხოელებს ეძლეოდათ“².

აღსანიშნავია, რომ თუ კოლხეთი ცნობილია შხამებისა და საწამლავეების შესახებ მოძღვრებით, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ტოქსიკოლოგიით (ჰეკატეს, ცირცეას და მედეას დროისათვის — ძვ. წ. XIII—XII საუკ.), შემდგომ საუკუნეებშიც, როგორც ვნახეთ, ბერძენ და რომაელ ავტორებს კოლხეთი და იბერია მიაჩნიათ ქვეყნად, სადაც განსაკუთრებით განვითარებულია სწავლება შხამებზე, საწამლავეებზე, რამაც შემდგომი განვითარება ჰპოვა, ვფიქრობთ, მითრიდატე პონტოელის ხელში, მისი „მითრიდატემის“ სახით, რომელზედაც შემდეგში, ცალკე გვექნება მსჯელობა.

აღსანიშნავია, რომ ტოქსიკოლოგიის უძველეს ისტორიას რიგი ავტორები დიოსკორიდისა და გალენის სახელთან აკავშირებენ და უგულებელყოფენ მედეას შესახებ არსებულ წყაროებსა და მითრიდატე პონტოელის მოძღვრებას შხამებისა და ანტიშხამების შესახებ. ამ საკითხს ჩვენ კვლავ შევეხებით ქვემო თავში „მითრიდატე პონტოელი და კოლხურ-იბერიული მედიცინა“.

¹ Латишев, Известия древних писателей греческих и латинских о скифии и Кавказе, т. II, стр. 507.

² აკ. ურუშაძე, „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“, თბილისი, 1964, გვ. 387.

ცნობები მედეაზე შემონახულია ბერძნულ-რომაულ წყაროებში თქმულებების, მხატვრული ნაწარმოებების (პიესები, დრამები, ტრაგედიები და სხვა.) სახით, აგრეთვე ისტორიულ და გეოგრაფიულ ტრაქტატებში, როგორც ისტორიული სინამდვილე. მაგრამ თვით მედეას ტრაგიკული ისტორია მეტისმეტად მრავალფეროვანია, ურთიერთსაწინააღმდეგო ვარიანტებად არის წარმოდგენილი. ზოგიერთ ავტორთა მიერ იგი ნახევნებია ბოროტ, ჯადოქარ, დაუნდობელ, ვერაჯ იდამიანად — ძმისა და შეილების მკვლელად. ზოგ ავტორთა მიხედვით კი იგი მშვენიერი კეთილშობილი, გონიერი, უაღრესად ინტელექტუალური ქალია.

ამ საკითხებს სხვადასხვა დროს შეეხნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები და მკვლევარები (პროფ. გ. წერეთელი, აკად. ს. ე. ყაუქჩიშვილი, პროფ. აკ. ურუშაძე, პროფ. ლ. სანიკიძე, პროფ. აკ. გაწერელია). ჩვენ საგანგებოდ გვინდა განვიხილოთ ყველა არსებული წყაროები ერთად თავმოყრილი და მათ ზოგიერთ ახალ ასპექტებს შევეხოთ.

მედეას, როგორც ძმისა და შეილების მკვლელის, ვერაჯი ქალის სახე, ძირითადად, ევრიპიდეს „მედეა“-დან მოდის. ის არის მედეას ასეთი თვისებების პირველადი წყარო.

თუ ევრიპიდესა და იმ ავტორთა მიხედვით (რომელთაც ევრიპიდეს ტრაგედია გამოიყენეს შემდეგში პირველ წყაროდ), მედეამ უღალატა მამას და ეს ღალატი მედეას პიროვნულ თვისებად არა აღიარებული, ადრინდელ ავტორთა მიერ სურათი სულ სხვანაირად არის დახატული.

„ნავპატიკის“ ავტორთან (VIII—VII ს. ძვ. წ.) „მედეა საკუთარი გადაწყვეტილებით კი არ გამოდის (სახლიდან), არამედ კერის ღვთაების მოწოდებით“¹. პინდარეს (532/515—442/433) ცნობითაც, იაზონს, რომელსაც „შხაპუნა წვიმისაგან, პანთერას ტყავის წამოსასხამი იცავდა“ და „ვეჯკაცთა შორის ულამაზესი“ იყო, ჩვეულებრივი სიყვარულით კი არ შეყვარებია მედეა, თითქოს ჯადოსნური ზემოქმედების ძალით მოხდა ეს სიყვარული. აქ სადღაც პინდარეს მხრივ მედეასადმი სიმპათიები იგრძნობა, რაც უფრო აშკარად პინდარეს სქოლიოებში აისახება. იგი ამართლებს მედეას მოქმედებას „ჰიმნს ვუმღერ მედეას,—სწერს იგი,— რომელიც თა-

¹ აკ. ურუშაძე, „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“, თბილისი, 1964. გვ. 198.

ვისი მამის სურვილის წინააღმდეგ გათხოვდა: იგი ბრძენი იყო და მითხოვდა იაზონს, (ეუმლერ) მას, ვინც არგოს მხსნელი და შემწე გახდა: აიეტს ხომ არგონავტების გაქლეტა სურდა“¹.

როცა მედეა კორინთოში ცხოვრობდა იაზონთან ერთად, მას დიდი კეთილშობილება გამოუჩენია კორინთელების მიმართ: „მან იხსნა შიმშილით შევიწროვებული კორინთელები, შესწირა რა მსხვერპლი დემატრეს და ლემნოსელ ნიმფებს“ (იქვე, გვ. 217).

მედეა, სქოლიატის მიხედვით, ძალზე ჰკვიანად და ტაქტიანად იქცევა „აქ იგი შეიყვარა ზეესმა, მაგრამ მედეა ჰერას რისხვას განერიდა და (ზეესს) არ დაემორჩილა, ამის გამო ჰერა მას შეპირდა, რომ შვილებს უკვდავებს გაუხდიდა“ (იქვე).

ჰეროდოტეს მიხედვით (484—425), მედეა ლალატით კი არ გაქცეულა კოლხეთიდან, არამედ მოიტაცეს. ჰეროდოტე წერს თავის „ისტორიაში“ (1—წ. § 2, 3): „არგონავტები გრძელი ხომალდით მიადგნენ აიას — კოლხეთს და მდინარე ფაზისს, შეასრულეს ის საქმენი, რის გულისთვისაც მოვიდნენ და აქედან მეფის ასული მოიტაცეს. კოლხთა მეფემ ელადაში მოციქული გაგზავნა და მოითხოვა პასუხი მოტაცებისათვის და ქალიშვილის დაბრუნება. (ელინებმა) კი უპასუხეს: როგორც თქვენ არ აგეთ ჩვენთან პასუხი არგოსელი იოს მოტაცებისათვის, ისე არც ჩვენ ვაგებთ (პასუხს). თქვენს წინაშე“ (იქვე, გვ. 281).

აიეტი აქ უბრალოდ თხოულობს თავისი მოტაცებული ქალიშვილის დაბრუნებას და არა შურისგებას მისადმი, როგორც მოლალატისადმი, როგორც ეს შემდეგ მხატვრულ ნაწარმოებშია მოცემული.

„არგონავტების თქმულების ევრიპიდემდელ გადმოცემებში არსად არ არის ნათქვამი ის, რომ მედეამ სამშობლოს უღალატა“. (პროფ. აკ. ურუშაძე, იხ. დასახ. წიგნი, გვ. 38).

მედეა უაღრესად კეთილი, მოწყალე, კაცთმოყვარე ადამიანია. დიოდორ სიცილიელის (I ს. ძვ. წ.) გადმოცემითაც: „იგი ხან ხევწნით და ალერსით გამოსთხოვდა მამას სასიკვდილოდ განწირულთა შეწყალებას, ხან კი თვითონ უშეებდა მათ საპყრობილედან და ზრუნავდა განსაცდელში ჩავარ-

¹ პროფ. აკ. ურუშაძე, „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“, თბილისი, 1964 წ. გვ. 216.

დნილთა უშიშროებაზე. საქმეის იყო, რომ აიეტი, ნაწილობრივ საკუთარი შეუბრალებლობის გამო, ნაწილობრივ კი ცოლის, ჰეკატეს შეგონებით იცავდა უცხოელთა მოკვლის ადათს, ვინაიდან მედეა სულ უფრო და უფრო მეტად ეწინააღმდეგებოდა მშობლების ზრახვას, ამბობენ, აიეტმა ექვი მიიტანა ქალიშვილისაგან მოსალოდნელ შეთქმულებაზე და იგი თავისუფალი ზედამხედველობის ქვეშ დააყენა, მაგრამ მედეა გაიქცა და თავი შეათარა ზღვისპირად მდებარე პელიოსის ერთ წმინდა ადგილს“ (იქვე, გვ. 289). როგორც ჩანს, მედეა მამას სერიოზულ „ოპოზიციაში“ უდგას კოლხეთის სამეფოში სიმკაცრის გამო და იბრძვის უცხოელთა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, პატიმართა საპყრობილედან განთავისუფლებაზე, განსაცდელში ჩავარდნილთა დახსნისათვის და სხვ. რისთვისაც იგი საკმაოდ მკაცრ რეპრესიებსაც განიცდის. იმდენად მკაცრს, რომ აუტანელი გამხდარა მისთვის სამეფო ქალაქში ყოფნა და თავისუფალი თავშესაფარი სხვაგან უძებნია. უკვე საბერძნეთში პელიოსის სამფლობელოში მყოფი მედეა თვითონვე უყვება „არგონავტებს“, დიოდორ სიცილიელის თქმით, თავის შესახებ, რომ მას არასოდეს არ გამოუყენებია საწამლაკები და შხამები ადამიანთა დასაღუპად: „მედეამ (თქვა) რომ თან მოაქვს მრავალი საოცარი ძალის წამალი აღმოჩენილი დედის — ჰეკატის და დის — კირკეს შემწეობით, რომ უწინ ეს წამლები არასოდეს არ გამოუყენებია ადამიანთა დასაღუპავად, ახლა კი მათი საშუალებით, ადვილად მიუზღავს სამაგიეროს შურისძიების ღირსთ“ და ა. შ. (იქვე, გვ. 399).

მედეამ და იაზონმა 10 წელიწადი იცხოვრეს კორინთოში. „ამ ხნის განმავლობაში მედეა ქმრისაგან დიდი პატივისცემით სარგებლობდა არა მარტო იმის წყალობით, რომ მშვენიერებით გამოირჩეოდა, არამედ იმიტომაც, რომ გონიერებით და სხვა მრავალი სიკეთით, იყო შემკობილი“ — სწერს კვლავ დიოდორ სიცილიელი.

დ. სიცილიელი ევრიპიდეის შემდგომი ავტორია. მაგრამ, როგორც სჩანს, იგი ევრიპიდეის ტრაგედიის გავლენით არ გადმოსცემს მედეას ამბებს. ეს მან სარწმუნოდ არ მიიჩნია და ადრინდელი ავტორების პირველად წყაროებს დაეყრდნო. ამიტომაც თუ ევრიპიდეის მხატვრულ შემოქმედებაში მედეა ძმისა და შვილების მკვლელი, ცბიერი, ვერაგი ქალია, დ. სიცილიელის ისტორიულ ტრაქტატებში (რაც ყოველთვის უფრო სარწმუნოა) „იგი მშვენიერებით, გონიერებითა და სიკეთითაა შემკობილი“.

თვით ევრიპიდეც თავის ტრაგედიაში მიუხედავად მისადმი (როგორც ქალისადმი) მიზოგენური განწყობილებისა, არა ერთ ადგილას მედეას — „დიად კოლხეთის დედოფალს“ — ბრძენად სახავს, შესავალშივე იგი ძიძას ათქმევინებს:

„თუმც პატივს გცემენ კორინთელები
ვითარცა ბრძენსა, სწორუპოვარსა,
ქალს თავდადებულს ქმარშვილისათვის“.

თვით მედეაც ხომ ამბობს:

„ვაი, ვაიმე, ჩემმა სიბრძნემ და სახელმა ჩემმა
რამდენი ვნება არ მომაყენა“.

იაზონიც მიმართავს მედეას:

„აქ ელადაში, ყველა ბრძნად გასახავს,
შორს გავარდნილა შენი სახელი“. თანაც ამადლის, რომ კოლხეთიდან ელადაში ჩამოიყვანა:

„იქ რომ გეცხოვრა, იმ ქვეყნის კიდეს,
მაშინ შენს სიბრძნეს ვინ შეიტყობდა?“¹.

და აი, ესოდენ ბრძენი და ქმარ-შვილისათვის თავდადებული მედეა იმავე ტრაგედიაში ჰკლავს თავის შვილებს, რაც ისტორიულობის თვალსაზრისით მეტად არაბუნებრივად უღერს.

ძმისა და შვილების მკვლელობას უარყოფენ მთელი რიგი ავტორები, პირველადი ადრინდელი წყაროები.

ფერეკიდე (V ს. ძვ. წ.) თავისი „თეოგონიის“ VII წიგნში (32/72) წერს, რომ აფსირტე (მედეას ძმა—მ. შ.) „მოკლულ იქნა... ზოგიერთთა მიხედვით მედეას მიერ, ზოგიერთთა მიხედვით კი არგონავტების მიერ. რიტორი ლეონი (გადმოგვეცემს), რომ (აფსირტე) კი არ დაუკლავთ, არამედ საწამლავით მოსპესო“².

ოვიდიუსის XII — ეპისტოლეს მიხედვით, რომელიც მითის ადრინდელ ვარიანტებს ემყარება, მედეამ აფსირტე თან წაიყვანა „არგონავტებთან“ ერთად არა მოსაკლავად, ლალატით, არამედ ძმის განსაკუთრებული სიყვარულის გამო — ის ვერ შეეღია მის კოლხეთში დატოვებას. ე. ი. მედეა არც ძმის მკვლელია ადრინდელ წყაროებში.

შვილების მოკვლის ბრალდება კი მხოლოდ და მხოლოდ ევრი-

¹ ევრიპიდე, „მედეა“, თარგმანი პ. ბერაძისა, თბილისი, 1969, გვ. 6, 20, 337.

² ავ. ურუშაძე, „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“, 1964, გვ. 255.

პიდეს ტრაგედიის შემდეგ გავრცელდა ზოგიერთ ავტორთა შორის, ძირითადად კი ავტორთა უმრავლესობა კატეგორიულად უარყოფს მას.

დიდი მოსი — ძვ. წ. I — საუკუნის ადრინდელი გრამატიკოსი და კომენტატორი გადმოგვცემს პომპროსის (X ს. ძვ. წ.) თანამედროვის პოეტის კრეოფილე სამოსელის ნაწარმოების შინაარსს და წერს, რომ „კრეოფილეს შემდეგნაირად ჰქონია... კორინთოში მცხოვრებმა მედეამ ქალაქის მაშინდელი გამგებელი კრეონტი საწამლავით მოკლა, მაგრამ რაკი მისი მეგობრისა და ნათესავების შეეშინდა, ათენში გაიქცა: ვაჟები კი ვინაიდან ბალები იყვნენ და გაყოლა ვერ შეძლეს, აკრეელი ჰერას რომელიც ადრე შვილების უკვდავებას შეჰპირდა მედეას — მ. შ.) საკურთხეველთან გაგზავნა, იმ ვარაუდით, რომ მათი მამა მათ ხსნაზე იზრუნებდა, მაგრამ კრეონტის შინაურებმა ისინი დახოცეს და ხმა გაავრცელეს რომ მედეამ არა მარტო კრეონტი, არამედ საკურთხარი შვილებიც მოკლა“ (იქვე გვ. 185).

მეტად საინტერესოა ევრიპიდეს შემდგომი პერიოდის ძვ. წ. 11 ს. ალექსანდრიელი მწერლის არისტოფანე გრამატიკოსის ცნობა, რომ „მითი“ მედეას მიერ შვილების მოკვლისა არც ერთ სხვა მწერალთან (ე. ი. ევრიპიდეზე ადრინდელთან — მ. შ.) არ მოიპოვება. „მედეამ იაზონისადმი ზიზღის გამო, ვინაიდან მან შეირთო კრეონტის ასული, მოკლა (პატარძალი), კრეონტი და საკურთხარი შვილებიც, მერე მოშორდა იაზონს და დაიწყო ეგეოსთან ცხოვრება. ეს მითი სხვა (მწერალთან) არ მოიპოვება“ (იქვე, გვ. 238).

საოცარ ცნობას იძლევა, თვით ევრიპიდეს (480—406) თანამედროვე მწერალი ჰელანიკე მიტილენელი (480—395 ძვ. წ.). თავის „დევაკლიონიაში“ (133/34) იგი წერს: „ფილოსოფოსებში მეტად გავრცელებულია ერთი ამბავი, რომელსაც პარმენისკეც გადმოგვცემს: ევრიპიდემ თითქოს კორინთელებისაგან ხუთი ტალანტი აიღო და ბავშვების დაკვლა მედეას გადააბრალა. მედეას ბავშვები კი მოკლეს კორინთელებმა, რომლებიც აღშფოთებულები იყვნენ იმით, რომ (მედეას) მეფობა უნდოდა, ვინაიდან კორინთო მისი მამისეული ხვედრი იყო“ (იქვე, გვ. 277).

ძნელია იმის თქმა, ნამდვილად მიიღო თუ არა ეს ქრთამი ევრიპიდემ მედეას ცილისწამებისათვის, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ევრი-

პიღეს თანამედროვეებში იმდენად დაუჭერებელი იყო მედეას მიერ შვილების მკვლევლობის ამბავი და იმდენად აშკარა ყოფილა (უთუ-
ოდ არსებობს პირველადი წყაროები) კორინთელების მიერ მათი მო-
კვლა, რომ ევრიპიდე თვით გამხდარა მათი დაცინვისა და გაკილვის
საგანი სიცრუისა და ისტორიული სინამდვილის გაუკულმართებისა-
თვის.

აპოლოდორე (II ს ძვ. წ.) თავისი „ბიბლიოთეკის“ I —
წიგნში, ყვება რა იაზონის ლალატისა და მედეას შურისძიების ამბავს
კრეონტისა და გლავკეას (იაზონის ახალი საცოლის) მიმართ, ორივე
ვარიანტს გადმოსცემს“... გარდა ამისა (მედეამ) მოკლა შვილები —
მერმეროსი და ფერეტი, რომლებიც იაზონისაგან ჰყავდა, მაგრამ იქვე
ამბობს: „ამბობენ იმასაც, რომ ლტოლვილმა მედეამ ჯერ კიდევ
უსუსური ბავშვები დატოვა, დასვა რა ისინი აკრეელი ჰერას¹ საყურ-
თხეველთან ვითარცა მავედრებელნი: კორინთელებმა წა-
მოყარეს ისინი იქიდან და ერთიანად აკუ-
წეს“.

აპოლოდორე კრიტიკულად მიუღდა წყაროებს და ორივე მოსა-
ზრება გადმოსცა ამ საკითხზე, ერთი ევრიპიდეს ტრაგედიიდან და
მეორე აღრინდელი წყაროებიდან მომდინარე.

დიდია მხატვრული შემოქმედების, დრამის, ტრაგედიის ზეგავ-
ლენის ძალა, მისი გავრცელების დიაპაზონი. ევრიპიდეს ტრაგედია
ხომ გენიალური ქმნილებაა, რომელიც მსოფლიოს უამრავ ენაზე
ითარგმნა, მსოფლიოს უამრავ თეატრებში დაიდგა. ტრაგედიის ძი-
რითადი მოტივი, რომლითაც ის მართლაც გენიალურ ტრაგედიად
იქცა მედეას შურისძიება და ბავშვების მოკვლის ამბავია. ამიტომაც,
სრულიად ბუნებრივია, რომ საუკუნეების განმავლობაში, მტკიცედ
დამკვიდრებულყო კაცობრიობის შემეცნებაში მედეა, როგორც მო-
ლაღატე, ვერაგი, ძმისა და შვილების მკვლელი. მაგრამ ქეშმარიტე-
ბა ყოველთვის თავს იჩენს, საუკუნეების შემდეგაც კი.

პავსანიას (II ს. ახ. წ.) 6 საუკუნით არის დამორებული ევ-
რიპიდეს ეპოქას, ე. ი. 6 საუკუნე ვრცელდებოდა ეს ცილისწამება
მსოფლიოში, ევრიპიდედან-პავსანიამდე, მაგრამ, როგორც მისი
„ელადის აღწერილობის“ II წიგნიდან ირკვევა, ქეშმარიტება დავო-
წყებას მაინც არ მიუცია ჟამთა მსვლელობას, თვით ევრიპიდეს სამ-
შობლოშიც კი. იგი საინტერესო ცნობებს გვაწვდის: „მოედნიდან

¹ პელასგიდი ღმერთქალი, ზევსის მეუღლე.

მეორე (გზით) სიპიონისაკენ მომავალთათვის დასანახავია შემდეგ: გზის მარჯვნივ არის ტაძარი და სპილენძის ქანდაკება აპოლონისა, ხოლო ოდნავ მოშორებით ე. წ. გლავკეას წყარო, როგორც ამბობენ, მასში ჩავარდა გლავკა, ჩათვალა რა ეს წყალი მედეას შხამისაგან განმკურნავ საშუალებად. ამ წყაროს ზემოთ აგებულია ე. წ. ოდონი, მის გვერდით კი ძეგლია მედეას ბავშვებისა. მათი სახელებია: მერმეროსი და ფერეტი. ამბობენ, რომ ისინი კორინთელებმა ჩააქვავეს იმ საჩუქართა გაშო, რომლებიც გადმოცემის თანახმად, მათ გლავკეს მიუტანეს. რაკი სიკვდილი ძალდატანებითი და უსამართლო იყო. იმათი (მედეას ბავშვების) მიზეზით კორინთელებს შვილები ჩვილობაში ეხოცებოდათ, სანამ (ჩაქოლილ) ბავშვებს ღვთისმისნობით ყოველწლიური მსხვერპლშეწირვა არ დაუწესეს. და „აშინელების“ ქანდაკება არ აღმართეს. ეს ქანდაკება ჩვენს დრომდე შემონახული და წარმოდგენს ქალის უსამინელეს სახეს. როცა რომაელებმა კორინთო ააოხრეს და ძველი კორინთელები ამოწყდნენ, ახალმოშენებმა (ჩაქოლილ ბავშვებს) ის მსხვერპლშეწირვები აღარ აღუდგინეს, მათი ბავშვები თმას აღარ იკრეპენ და არც შავ სამოსს ატარებენ“ (იქვე, გვ. 455).

მაშასადამე, კორინთელებს დიდ ცოდვად აწევთ მედეას ტრაგედია, საუკუნეების განმავლობაში ინანიებდნენ ისინი უმანკო ბავშვების ცოდვას, მათ სახელზე ძეგლებიც კი აუგიათ — „ძალდატანებითი და უსამართლოდ“ ჩაქოლილი ბავშვების სახელზე.

ყოველწლიურად მსხვერპლშეწირვა ჰქონიათ საუკუნეების განმავლობაში კორინთელებს, თავიანთი ცოდვების მოსანანიებლად. რა უფლება გვაქვს არ დავუჭეროთ ავტორს, რომელიც თავის ისტორიას, საკუთარი თვალით დანახულ „აღწერილობას“, ტოპონიმიკური, მაშინ არსებული მატერიალური კულტურის ძეგლებით (ქანდაკებებით), საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებულ მაგიურ-რელიგიური რიტუალების აღწერით განამტკიცებს. ყოველივე ეს კი იურიდიული ენით რომ ვთქვათ, სინამდვილის, ჰუმანიტეტის დასაბუთებაა ნივთიერ მტკიცებათა დონეზე.

ევრიპიდეს ქალთა ტიპები განსაკუთრებით მძვინვარე და აგრესიულნი არიან შურისძიების დროს, ევრიპიდემ ათქმევინა ერთ თავის გმირ ქალს „არაფერს ისე სრულყოფილად და დახვეწილად არ

აკეთებენ ქალები, როგორც ბოროტებასო“, ან კიდევ, „ათას იდეალურ ქალს ერთი მახინჯი მამაკაცი სჯობიაო“ (იქვე). ამიტომაც, სი-
ცოცხლეშივე აუმხედრდნენ ევრიპიდეს თურმე ქალები: „წყაროები
დაბეჯითებით გადმოგვცემენ დიდი ტრაგიკოსის სიკვდილის ორ ვა-
რიანტს: ევრიპიდეს ერთ დღეს ქალები დაესივნენ და სულ ნაკუნე-
ბად აქციესო“, ანდა ქალებმა „ცოფიანი ძალები მიუსიეს და დაა-
გლეჯინესო, ერთი სიტყვით, ქალებმა სასტიკად გადაუხადეს მათი ძა-
გების დიდ მესაყვირეს“ (იქვე).

დიოდორე სიცილიელის მოთხრობით, რომელიც ზო-
გიერთ ავტორთა ცნობებს იმეორებს, თითქოს კრეონტის ძეს — ჰი-
პოტეს გამოუწვევია მედეა კვლავ კორინთოში, გაუსამართლებია და
„ბრალდებათაგან“ გაუნთავისუფლებია (გვ. 407). ვფიქრობთ,
ამ მონათხრობშიც კორინთელთა გვიანდელი მონანიება გამოსკვივის
მედეას მიმართ ჩადენილი დანაშაულისა და ცილისწამების საბოდი-
შოდ. საბოლოოდ დიოდორე სიცილიელი კორინთელებთან ერთად ია-
ზონს თვლის მედეას და მისი შვილების ტრაგედიაში დანაშაულებ.
იგი წერს: „შვილებისა და ცოლის ეგზომ აღკვეცილი იაზონი ყვე-
ლამ სამართლიანად დასჯილად მიიჩნია, ამი-
ტომ ვერ აიტანა უბედურება და საკუთარი
ნებით გამოესალმა წუთისოფელს“ (იქვე, გვ. 406):

საინტერესო დაკვირვება აქვს ი. ვ. ოტკუშნიკოვს¹, იგი,
განხილავს რა ათენის საგარეო პოლიტიკას ევრიპიდეს ტრაგედიის
„მედეას“ შექმნის პერიოდში (438—431), ასკვნის, რომ „მედეას სი-
უყეტური განვითარება, თვით მედეას პიროვნების მხატვრული ასა-
ხვა ტრაგედიაში განსაზღვრა ათენისა და კორინთოს მაშინდელმა პო-
ლიტიკურმა ურთიერთობებმა, სამხედრო და დიპლომატიურმა დაძა-
ბულობამ ამ ორ ბერძნულ სახელმწიფოებს შორის“.

431 წელს უნდა დაწყებულიყო ომი ათენსა და კორინთოს
შორის. ათენში სამხედრო პარტია ისწრაფოდა ომისაკენ, მაგრამ მას
ოპოზიციაში ედგა ზოგიერთი ათენელი და მათ შორის, როგორც ირ-
კვევა, თვით ევრიპიდეც. ამ ხანებში დაიწერა და დაიდგა კიდევ
„მედეა“. ევრიპიდე ცდილობს შეანელოს დაძაბულობა ათენსა და
კორინთოს შორის, ამიტომაც თავის ტრაგედიაში მან „მოუხსნა“ კო-
რინთელებს საუკუნოვანი ბრალდება მედეას შვილების მკვლელობი-

¹ იხ. ეურნ. «Вестник древней истории» № 1 (63) М. 1958 г.—«Внеш-
няя политика Афины 438—431 гг. стр. 44—51.

სა და თვით მედეას გადააბრალა იგი. ი. ვ. ოტკუშნიკოვი თვლის, რომ ზემოხსენებული ცნობა ჰელანიკე მიტილენელისა ევრიპიდეს ფულადი ქრთამით მოსყიდვის შესახებ, იმ სამხედრო რეაქციული ძალების მოგონილი ჭორია, რომლებიც ევრიპიდეს თვლიან მათთან ოპოზიციაში მყოფად და მის ტრაგედიას კი „არაპატრიოტულ“ ნაწარმოებად. ი. ვ. ოტკუშნიკოვის დაკვირვებით ევრიპიდეს ტენდენციები კორინთელებისადმი და მისი შემარბიებლობის პოლიტიკა ტრაგედიის სხვა პერსონაჟებშიც მჟღავნდება.

ეგეოსი, ათენის მეფე, რომელიც ტრაგედიის მიხედვით კორინთოში ჩამოვიდა თებეს ტაძარში სალოცავად, „რათა ჰპოვოს სახსარი უშვილობისა“, მედეასთან საუბარში თავს იკავებს კორინთელებისა და მათი მმართველის კრეონტის ძაგებისაგან, მიუხედავად იმისა, რომ მას თანაგრძნობაც უნდა გაეწია მედეასათვის — კრეონტისა და მისი ქალიშვილის მისადმი მოღალატური მოქცევის გამო. ესეც ი. ოტკუშნიკოვის აზრით, გამოწვეულია იმით, რომ ევრიპიდეს არ სურს გამწვავდეს მდგომარეობა ათენსა და კორინთოს შორის.

ტრაგედიაში პირდაპირაა ნათქვამი, რომ ეგეოსი თავს იკავებს მედეას მფარველობისაგან, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ „უხერხულია“ გამოექომავოს მას და ამით „მეგობრები მტრად“ გადაიკიდოს.

საბოლოოდ ევრიპიდემ ეგეოსს მედეა წააყვანიდა ათენში არა იმიტომ, რომ შეეცოდა კორინთოდან გაძევებული და თავშესაფარი მიეცა, არამედ პირადი სარგებლობის მიზნით, რომ „უმკურნალოს უშვილობისა გამო“ (გვ. 46). ამგვარად, თუ ევრიპიდე, ერთი მხრივ, გვეკლინება პროგრესულ, ჰუმანურ მოაზროვნედ ორი ბერძნული სახელმწიფოს, ათენისა და კორინთოს დამოკიდებულების საკითხში, მეორე მხრივ, შეუბრალებელი, ცილისმწამებლური დამოკიდებულება გამოიჩინა ისტორიული მოვლენებისა და თვით მედეას მიმართ — თითქოს სწორედ ამ ორ ქალაქ-სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გაუმჯობესების სასარგებლოდ, მათი დაძაბული სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის შენელების მსხვერპლად. მედეას ისტორიის ასეთი ინტერპრეტაციისათვის თავის ტრაგედიაში ევრიპიდეს ხელს უწყობდა აგრეთვე, როგორც ირკვევა, თავისი პირადი, შინაგანი ფსიქოლოგიური განწყობილებები, საერთოდ ქალების მიმართ და უთუოდ თავისი პიესის მხატვრული, დაძაბული სიუჟეტის, ტრაგიკული პასაჟების შექმნის სურვილი.

აკად. ს. ყაუხჩიშვილი, უკეთებს რა შინაარსობრივ ანალიზს

„მედეას“ და ახასიათებს ტრაგედიის ცალკეულ პერსონაჟებს, წერს: „თანამედროვე ქალებს სძულდათ კიდევ ევრიპიდე, რომელსაც უსაყვედურებდნენ, საზიზღარ ბოროტმოქმედებას ჩაადენინებს ხოლმე ქალსო. ასე მაგალითად, არისტოფანეს კომედიაში „თესმოფორიადესები“ ერთი ქალი უჩივის ევრიპიდეს, იმან ისე გალანძლა და ლაფში ამოსვარა ქალები, რომ ქმრები, თეატრიდან დაბრუნების შემდეგ, ექვით აღსავსენი მივარდებიან ხოლმე თავიანთ ცოლებს და ათასნაირ ბოროტმოქმედებაში სდებენ ბრალსო. ჩვენ არ გვავიწყდება, რომ ასეთი მსჯავრი ევრიპიდეს შემოქმედებაზე მომდინარეობს არისტოფანესაგან, მაგრამ, კომედიის მიერ ასეთი გალაშქრება მოწმობს იმას, თუ როგორ რეალისტურად ესმოდათ თანამედროვე ქალებს ევრიპიდეს მიერ ასახული ტიპები“ (ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია 1—6, თბილისი, 1950 წ., გვ. 343).

ევრიპიდეს მეორე ტრაგედია „იპოლიტე“, რომელიც ოლიმპიადაზე ჰქონდა წარდგენილი, საზოგადოებამ დაუწუნა და დიდი ტრაგიკოსი დამარცხებულად იქნა ცნობილი. საზოგადოებას არ მოეწონა „უსირცხვილო და უნამუსო დედოფლის ასახვა“. ევრიპიდე იძულებული გამხდარა გადაეკეთებინა პიესა, ტრაგედიის მთავარი გმირი ქალი — ფედრა გამოეყვანა „უალრესად ნამუსიან“ ქალად, „კეთილშობილი და მაღალი ზნეობის ადამიანად“, ამის შემდეგ კი 428 წელს ოლიმპიადის მეოთხე წელს ევრიპიდემ პირველი ჯილდო მიიღო. აღსანიშნავია, რომ თვით „მედეაც“ წარდგენილი იყო ოლიმპიადის პირველ წელს, მაგრამ მან მხოლოდ მესამე — უკანასკნელი ადგილი დაისაკუთრა (იქვე, გვ. 339).

ვფიქრობთ, ასეთი ძლიერი ტრაგედიის ეს „მარცხი“ გამოწვეული უნდა იყოს იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც საერთოდ დაიწუნეს „იპოლიტე“ (უსაზღვროდ ბოროტი და შურისმაძიებელი ქალების ასახვა), მაგრამ აქ საზოგადოებამ თუ მაინც დათმო, სულმთლად არ დაიწუნეს და მესამე ჯილდო მაინც გაიმეტეს უთუოდ იმიტომ, რომ მედეა არ იყო ბერძენი, იგი „ბარბაროსთა“ ქვეყნის წარმომადგენელია, რაც ტრაგედიაში არაერთგზის არის მინიშნებული. შურისძიების შემოქმედად უფრო ადვილი იყო მისი დასახელება, ვიდრე ფედრასი — ბერძნის ქალის — ისიც დედოფლის.

„უცხოური წარმომავლობის ადამიანს ბერძნები ქედმაღლურად უყურებდნენ, — სწერს პროფ. აკ. ურუშაძე — და თავიანთი მაღალი კულტურით უპირისპირებდნენ ყველა, სხვა ვითომცდა ბარბაროსულ ტომებს, მართალია, ევრიპიდესთან მედეა ძლიერი და მტკიცე

ხასიათის პიროვნებაა, მაგრამ მისი ვნებები მის გონებაზე უძლიერესია, ამიტომ უსვამს ხაზს ხშირად ევრიპიდე მედეას ბარბაროსულ წარმოშობას, რაც ძლიერ პიროვნებასაც კი შეცდომებისა და ბოროტმოქმედებისაგან მიაქანებს“ (პროფ. აკ. ურუშაძე. დასახ. წიგნი. გვ. 39).

პროფ. აკ. ურუშაძის თქმით, ევრიპიდემ მედეას შურისძიებას შემამძრუნებელი ხასიათი მისცა ძირითადად ტრაგიკული კოლიზიის გამძაფრებისათვის. შეილების დახოცვაც ბერძნულ თქმულებებში საკმაოდ გავრცელებული ყოფილა (აროკის ზიერ იტისის მოკვლა, ჰერაკლეს მიერ შეილების დახოცვა და სხვ.), რამაც უთუოდ გავლენა მოახდინა ევრიპიდეზეც — გამოეყენებინა ეს მოტივი თავის ტრაგედიაში (იქვე, გვ. 38).

პროფ. ლ. სანიციძე, ეყრდნობა რა არსებულ წყაროებს, სწერს: ევრიპიდემ თავისი „მხატვრული კონცეფციის კრედოდ ქალის ბუნების გახსნა აირჩია, ყველა მისი ტრაგედიის მთავარი გმირები ქარიშხლიანი ემოციების მქონე ქალები არიან. მათ არ იციან საზღვარი არც სიყვარულში და არც სიძულვილში“¹.

ამ წყაროებზე პირდაპირი დაყრდნობა და დაბეჭითებით თქმა: რომ მართლა აქციეს ქალებმა „ნაკუწებად“ იგი თუ „ძაღლებს დააგლეჯინეს“ ძნელია, მაგრამ აქედან ერთი რამ ცხადია, მას დიდი სიძულვილი გამოუწვევია თანამედროვეთა შორის თავისი მიზოგენური ტენდენციებისა და მედეასადმი სიძულვილის გამო.

ამგვარად, ევრიპიდეს, თავისი ქვეყნის პოლიტიკურ და პატრიოტულ ვითარებათა გარდა, თავის „ქალთმოძულური“ მიზოგენური განწყობილებებიც ამოძრავებდა, საერთოდ ქალთა და, კერძოდ მედეას, მიმართ, ამიტომაც ასე მხატვრულად, მძაფრ დამაჯერებელ ფერებში გამოიყვანა მედეა მან ძმისა და შეილების მკვლელად.

უაღრესად საინტერესო დაკვირვება მოახდინა პროფ. აკ. გაწერელიამ გენიალური იტალიელი პოეტის დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ ცალკეულ ტერცინებზე („დანტე და პრეისტორიული საქართველო“ — გაზ. „ლიტერატურული საქართველო“ № 21, 22. 5. 1970 წ.).

მართალია, დანტეს პოემა XIII საუკუნის ქმნილებაა და თვით მედეას ეპოქას და ანტიკურ სამყაროს დიდად არის დაშორებული,

¹ იხ. ჟურნ. „საქართველოს ქალი“ № 12, 1968 წ. „ამბავი პირველი ქართველი ქალისა“.

მაგრამ პროფ. აკ. გაწერელია აქ განიხილავს ანტიკური პერიოდის იმ წყაროებსაც (კლავდიუსს, პორაციუსს, ელიანიუსს, პავსანიას, აპროდოსელს პარმენიკეს, პომეროსს, ვირგილიუსს, პუბლიუს ოვიდიუსს, ნაზონს, სენეკს და სხვ.), რომლითაც შეეძლო ესარგებლა გენიალური იტალიელ პოეტს. მეორე მხრივ, მეტად საინტერესოა თვით დანტეს პოზიცია მედეას ცხოვრების ტრაგედიის მიზართ. მან თავისი გენიალური ქვრეტით და დიდი პოეტური ინტუიციით განსაჯა ყოველივე იგი ამართლებს მედეას. სჩანს იგი შეგნებულად ეყრდნობა ევრიპიდზე აღრინდელ წყაროებს და მედეას არ მიიჩნევს ძმისა და შვილების მკვლელად.

ამიტომაც თავის „ღვთაებრივ კომედიაში“ პოეტი მედეას სამოთხეში ათავსებს, იაზონს კი — ჯოჯოხეთში: „დანტე ალიგიერის პასაჟებს ის მნიშვნელობა აქვთ, — წერს პროფ. აკ. გაწერელია — რომ „ისინი მედეას ამართლებენ, უბედურ ქალად მიიჩნევენ მას, ხოლო იაზონი ჯოჯოხეთში ისჯება კოლხელი ქალის წინაშე „შეცოდების ვაშო“. კომედიაში უკუგდებულია ყოველგვარი ცილისწამება მედეაზე... დანტე იაზონისადმი... სასტიკი და უღმობელია. ერთი სიტყვით, კოლხეთის სიმდიდრის წარმტაცებელი ცბიერი, ვერაგი იაზონი ჯოჯოხეთში იტანჯება და აქედან თავის დახსნა მას არ უწყერია: დიდი ფლორენციელის კალამმა სამარადისოდ მოათავსა იგი ინფერნოს ჯურღმულებში“.

თუ მედეას წარმოვიდგენთ არა ისტორიულ პიროვნებად, ევრიპიდეს ტრაგედიის მოგონილ პერსონაჟად და მედეაზე მიწერილ ბოროტებებს, მის მხატვრულ სახეს პიესაში განვიხილავთ წმინდა მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით, მეტად კომპეტენტურ ავტორებს იგი არ მიაჩნიათ მაინც უარყოფით, ბოროტ პერსონაჟად, მთელი მისი პიროვნული ღირსებებისა და შურისძიების მიზეზთა გათვალისწინებითა და შეჯერებით.

პროფ. ს. ყაუხჩიშვილი წერს: „ევრიპიდემ დიდის ოსტატობით დაგვიჩაბა ღრმად — მ გ რ ძ ნ ო ბ ი ა რ ე და ძ ლ ი ე რ ი ნ ე ბ ის ყ ო ფ ის პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა, თითქოს იმისათვის არიან გამოყვანილი თვითმოყვარე ეგოისტი იაზონი, უფერული კრეონტი და უნიათო კორინთელი ქალები, რომ უფრო მკაფიოდ გაჰოჩნდეს შვილების ნაზად მოყვარული და მოღალატე ქმრის უსაზღვროდ მოძულე, მედეას შეუდრეკელი პიროვნება“ (იქვე, გვ. 342), ან კიდევ „მიუხედავად ასეთი მსჯავრისა და მიუხედავად იმისა, რომ ევრიპიდემ საზიზლარი ბოროტმოქმედება ჩაა-

დენინა მედეას, ეს უკანასკნელი მაიხც ჰხიბლავს მაყურებელს თავისი ტანჯული პიროვნების მთლიანობით და ხასიათის სიმტკიცით“ (იქვე, გვ. 343), მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ მედეა ისტორიულ პიროვნებად არის მიჩნეული და ამჟამად არსებული ერის, ქართველი ერის წარმომადგენელია და ამ ერის უძველესი კულტურის რეალური ისტორიის ბრწყინვალე „პერსონაჟია“ და არა მხოლოდ მხატვრული, მითიური პიროვნება, მაშინ აშკარა გახდება იმის აუცილებლობა, რომ მედეაზე არსებულ უამრავ ისტორიულ და მხატვრულ წყაროებში გაირკვეს ის, რა არის ისტორიული და მითიური. ევრიპიდეს გენიალურ ტრაგედიაში იგი, მიუხედავად ჩადენილი საშინელი ბოროტებისა, მაინც აისახა „ღრმად მგრძნობიარე და ძლიერი ნებისყოფის პიროვნებად“, რომელიც თითქოს „ხიბლავს მაყურებელსა და მკითხველს თავისი ტანჯული პიროვნების მთლიანობით და ხასიათის სიმტკიცით“. ვიმეორებთ, ეს მხოლოდ წმინდა მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით, თეატრალური თუ დრამატურგიული ხელოვნების თეორიული პოზიციებიდან, ისტორიაში კი ყველა ქვეყნის და ერის ხალხთა უდიდესი ნაწილის შემეცნებაში იგი მაინც უპირველესად სამშობლოს მოღალატის, ძმისა და შვილების მკვლელის საშინელი ბრალდებით არის აღქმული.

სამკურნალო მანანარეთა მედეას ბაღი

მედეას ზემოხსენებულ სამკურნალო საქმიანობასთან უშუალო კავშირშია სამკურნალო მცენარეთა ბაღის არსებობის საკითხი კოლხეთში, რომელიც ჰეკატეს (მედეას დედისა) და თვით მედეას სახელთან არის დაკავშირებული. როგორც ირკვევა, ისტორიას შემოუნახავს არა მარტო ცნობა ასეთი ბაღის არსებობის შესახებ, არამედ ამ ბაღის ბინადარი მცენარეების სახელწოდებანიც. სამკურნალო მცენარეთა სახელების ასე დიდი რაოდენობით შემონახვა ისტორიულ წყაროებში, მათი სამკურნალო თვისებების აღნიშვნითაც კი მიუთითებს ამ ბაღის რეალობაზე, რომ კოლხეთის ამ უძველეს ბაღს და საერთოდ, მედეასა და არგონავტებზე თქმულებას საბოლოოდ ეცლება ლეგენდურობისა და მითიურობის ბურუსი, თქმულების თანახმად, ფაზისის ნაპირზე მედეას და მის დედას ჰეკატეს ჰქონდათ სამკურნალო მცენარეთა ბაღი, ბაღს თითქოს 9 საუენი სიმაღლის გალავანი ჰქონდა შემოვლებული. შესასვლელ კართან იდგა არტემიდეს

ქანდაკება. გამოჩენილი გერმანელი ისტორიკოსი კურტ შპრენგელი, თავის მსოფლიო მედიცინის ისტორიის 5-ტომიან შრომაში გამოჰყოფს რა ცალკე თავად „უძველესი კოლხური მედიცინა“ (Alteste Colchische Medicin) სხვადასხვა პირველადი წყაროს ჩვენებით და უმთავრესად „ორფიკულ არგონავტიკაზე“ დაყრდნობით, ჩამოთვლის იმ სამკურნალო მცენარეებს, რომლებიც ხარობდნენ მედევას სამკურნალო მცენარეთა ბაღში.

ქართული მედიცინის ისტორიაში მედევას ბალის შესახებ ესოდენ დეტალური ცნობები აქამდე უცნობი იყო. ჩვენ შევეცადეთ ამ სამკურნალო მცენარეების საქართველოში არსებობისა და გავრცელების საკითხი შეგვესწავლა და ამით ერთხელ კიდევ გვეჩვენებინა მედევას ბალის რეალობისა თუ ლეგენდურობის ფაქტი. მაგრამ სანამ ამ მცენარეებს ცალ-ცალკე განვიხილავდეთ, გვინდა შევეხოთ თვით მედევას რეზიდენციის, მისი სასახლისა და თვით ზემოხსენებული ბალის ლოკალიზაციის საკითხს.

მედევას ბალისა და ქალაქების აია-ვა, კუტაისის ლოკალიზაციის საკითხისათვის

ამჟამად თითქოს კოლხეთის უძველესი დედაქალაქი, მედევას ქალაქი, გაიგივებულია „არგონავტიკის“ მიხედვით, პროფ ა. ა. ურუშაძის მიერ „კუტაისთან“ — ქუთაისთან.

საინტერესოა, რომ „ორფიკულ არგონავტიკაში“ (რომელიც ძირითად წყაროს წარმოადგენს მედევას ბალის ბინადარ მცენარეთა აღწერილობისათვის) მისი რუსულად მთარგმნელის მიერ ქუთაისი ნახსენებია „Кутейск“-ად.

თარგმანში ვკითხულობთ: „...Ведьмы были их тайны одной лишь Медее: свершала их чарадейка сама и с нею кутейские девы“ (стр. 90, строчки 906—907). „...Он внял мне,—в кутейскую землю в миг он примчался и все успокоил людей“ (1006—1007 стр. 92)².

მაშასადამე, „ორფიკული არგონავტიკის“ რუსული თარგმანის მიხედვით, ჯერ კიდევ IV—V საუკუნეში თითქოს პირდაპირ არის

¹ Versuch einer pragmatischen Geschichte der Arzneikunder, von Kurt Sprengel, Halle, 1821, т. I, стр. 45 — 55.

² «Орфическая аргонавтика», перев. М. Е. Грабарь-Пассека, «Памятники поздней античной поэзии и прозы» изд. «Наука» Москва, 1964 г.

„ქუთეისი“ ნახსენები მისი იმერული დიალექტითა და წმინდა ქართული დაბოლოებით—„ისით“, რაც თითქოს საბოლოოდ უეჭველ ხდის ქუთაისის აღიარებას კოლხეთის მეფის აიეტისა და მისი ბრძენი ქალიშვილის მედეას სატახტო ქალაქად. მაგრამ მთარგმნელის ასეთი წაკითხვა და თარგმნა („Кутейские девы“ და „в Кутейскую землю“) ქუთაისის თანამედროვე სახელის გათვალისწინებითაა უთუოდ გააზრებული, რადგან ბერძნულ ორიგინალში „ისი“, „ბრუნვის მაჩვენებელი სუფიქსია და არა ქუთაისის ჩვეულებრივი დაბოლოება. გარდა ამისა, ის მხატვრული თარგმანია და ავტორს არც მოეთხოვება სკრუპულოზური სიზუსტე. მაგრამ პროფ. ა. ურუშაძის თარგმნილი ტექსტები, ფრაგმენტები, რომლებიც სპეციალურად მეცნიერული კვლევის მიზნითაა შესრულებული, რასაკვირველია, სანდოა. პროფ. ა. ურუშაძის წაკითხვა „კუტაისი, კუტეისი“ შეიძლება ქუთაისისათვის იდენტურ ფორმად მივიჩნიოთ, რაც სხვა მოტივებთან ერთად უდავოს ხდის ამ საკითხს. მაგრამ ჩვენს სამეცნიერო ისტორიულ ლიტერატურაში გამოჩნდა საწინააღმდეგო მოსაზრებანი. თ. მიქელაძე ახლახან გამოცემულ მონოგრაფიაში¹, იხილავს რა დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ კუტ-ფუძიან ტოპონიმებს, აგრეთვე ურარტუსა და ძვ. აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების დასახლებული პუნქტების სახელებს, რომლებიც თითქოს „თითქმის არ განსხვავდებიან როგორც ანტიკური კუტაია, ისე ქართული ქუთაისის სახელისაგან“, იმ დასკვნამდე მიდის, რომ: „კუტ-ფუძიან სახელთა ასეთმა გავრცელებამ უნდა მოხსნას არგონავტიკის კუტაიის მხოლოდ ქუთაისთან დაკავშირების საკითხი“ რომ — „არც ისე მართივად შეიძლება გადაწყდეს „არგონავტიკის“ კუტაიას და ქუთაისი — ქუთათისის დაკავშირების საკითხი“.

არამც თუ მსგავსფუძიანი სიტყვებისას, არამედ სრულიად ერთგვაროვანი სიტყვა სახელების არსებობის დროსაც არ შეიძლება ასეთი მკვეთრი განაჩენის გამოტანა. განა ცოტაა სრულიად იდენტური სიტყვებიცა და ტოპონიმებიც, რომლებთაც არავითარი ეტიმოლოგიური და სემანტიკური კავშირი არა აქვთ ერთმანეთთან?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ „კუტ-ფუძიანი“ ტოპონიმების არსებობა ქართველურ და ძველადმოსავლურ სამყაროში, მხოლოდ და მხოლოდ გამოდგება „ქუთაისის“ და საერთოდ „კუტ-ფუძიანი“ სახელების ეტიმოლოგიური ძიებისათვის. მათი სიმრავლე შეიძლება მხო-

¹ თ. მიქელაძე, „ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან“, თბილისი, 1974, გვ. 87.

ლოდ იმის მაჩვენებელი იყოს, რომ ორივე სამყაროსათვის ამ სახელის წარმოშობა უკავშირდებოდეს რომელიმე ერთი (საერთო) ლეგენდარული გმირის, თქმულების პერსონაჟის ან ჩვენთვის ამჟამად უცნობი ღვთაების სახელს, მაგრამ, რომ „კუტეისი“ ვეძებოთ არა ქუთაისში, არამედ სადმე ურარტუში ან კვიტიეთში, კვიტამერესა და ლეკუტორაში, ვფიქრობთ, საამისო არავეითარი საფუძველი არა გვაქვს. პირიქით, ასეთი ტოპონიმების არსებობა ასე უხვად იმაზე მტყვევლებს, რომ ეს ტოპონიმი (ქუთაისი) ადგილობრივი წარმოშობისაა და სრულყოფილ ბუნებრივს ხდის იმ მოვლენას, რომ ამ კუთხის დედაქალაქს, ერთ-ერთ მთავარ ქალაქს ქუთაისი რქმეოდა. ჯერ ერთი, კვიტაისის და კუტეისის სახით, ჩვენ გვაქვს „კუტფუძიანი“ სახელის თითქმის იდენტური ფორმა ქუთაისისა. რაც არ შეიძლება ითქვას ლეკუტორასა და კვიტაურაზე, მეორე — არც ერთი დანარჩენი „კუტ-ფუძიანი“ ტოპონიმები სხვა მონაცემებით (გეოგრაფიული, ისტორიული, ლოკალური და სხვ.) არ შეესაბამება უძველესი კოლხეთის დედაქალაქის, აიეტის, მედეას სამეფოს რეზიდენციას. ზემოხსენებული ტოპონიმების მატარებელი ადგილები არც ერთი არაა რიონის სანაპიროზე. როგორ შეიძლება ყურადღების გარეშე დავტოვოთ უძველესი წყაროების ის დაყინებული მითითება, რომ კვიტაია კოლხეთის ქალაქია, რომ „აიას ქალაქია კუტაისი“ (აპ. როდოსელი), რომ ეს „კუტაისი“ მდებარეობს ფაზისის (რიონის) ნაპირზე, რომ „არგონავტები“ თავიანთი „ხომალდით შედის ფაზისში და მდინარეს აპყვება აღმა, ვიღრე არ მიაღწევს აიეტის ციხესიმაგრეს — კუტაისს (აპ. როდოსელი). „ხელმარცხნივ წარმოუდგათ მაღალი კავკასიონი და აიას ქალაქი კუტაისი“ (აპ. როდოსელი), რომ „კუტაია — კოლხეთის ქალაქია, კოლხებს ლაზებიც ჰქვიათ და ცხოვრობენ მეზობლად აბასგებისა“ (თეოპონზე ქიოსელი — 376 ძვ. წ. აღ.), ე. ი. იმ ქვეყნის, მხარის ქალაქია — კუტაია — რომლებიც აბასგების (აფხაზების — მ. შ.) მეზობლად ცხოვრობენ — ეს ხომ ზუსტი განსაზღვრაა მისი ლოკალიზაციისა (შედარებით ურარტული და ძვ. აღმოსავლური კუტ-ფუძიანი ტოპონიმებისა).

ბიზანტიელი მწერალი პროკოფი კესარიელი V—VI სს. ხომ პირდაპირ აიგივებს „კოტაიონს“ — ქუთაისთან, რომელიც „რიონის“ სანაპიროზე მდებარეობს: „წინათ მას „კუტაიონს“ უწოდებდნენ, ახლა კი ლაზები მას ქუთათისს ეძახიანო“. ის არა მარტო ადასტურებს კოტაიონი — ქუთათისის იდენტურობას, არამედ იმის მიზეზსაც კი ასახელებს, თუ რატომაა ფონეტიკური სხვაობა მათ შო-

რის. თურმე ლაზები ბერძნული ენის უცოდინარობის გამო, სიტყვის „სიმწყობრის“ დაუცველობის გამო, კოტიაიონს, რაც ბერძნულ სახელად, ბერძნულ ტრანსკრიპციად არის აღიარებული, მასთან ქუთათისად გამოსთქვამენო. ქუთათისი ხომ ქუთაისის „ქართლის ცხოვრებისეული“ სახელია. აქ დაახლოებით 40-ჯერ არის იგი ამ ფორმით ნახსენები.

აღსანიშნავია, რომ ძველმა ავტორებმა იციან არამც თუ „კუტ-ფუძიანი“ ტოპონიმები, არამედ თვით „კუტაის“ თანამოსახელე ქალაქების არსებობაც. აპ. როდოსელის „არგონავტების“ სქოლიოებში ვკითხულობთ, რომ „კუტაია კოლხეთის ქალაქია. არის სხვა ქალაქიც ევროპისა კვიტაია, თანამოსახელე სკვითის ქალაქისა“¹. ე. ი. ძველმა ავტორებმა იციან თანამოსახელე ქალაქების არსებობაც, მაგრამ ისინი სწორედ ამ დაპირისპირებით ხაზს უსვამენ, რომ არგონავტებთან და მედეასთან დაკავშირებული ქალაქი კოლხური „კუტაია“.

ავტორს სურს, რომ „კუტ-ფუძიანი“ ტოპონიმების სამხრეთ საქართველოში არსებობით „კუტაისი“ და „აია — კოლხეთი“ სამხრეთ საქართველოში და, კერძოდ, კოროხის ხეობაში, გადაიტანოს, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ საერთოდ ჰიპოთეზა „აია — კოლხეთის“ ასეთი გადანაცვლებისათვის საკმაოდ დაუსაბუთებელია. ასეთ დაუსაბუთებელ ჰიპოთეზებზე დაყრდნობით რაიმე დასკვნის გაკეთება კვლავ უსაფუძვლო დასკვნამდე მიგვიყვანს.

არის მეორე გარემოებაც. უ ძ ვ ე ლ ე ს ი ტ რ ა დ ი ც ი ა კ ო ლ ხ ე თ ი ს დ ე დ ა ქ ა ლ ა ქ ს ე ა - ს ა ი გ ი ვ ე ბ ს ნ ო ქ ა ლ ა ქ ე ვ თ ა ნ — ა რ ქ ე ო პ ო ლ ი ს თ ა ნ. სანამ „არგონავტიკა“ ითარგმნებოდა ქართულად პროფ. ა. ურუშაძის მიერ, და სანამ „კუტაის“ შედარება — გაიგივება მოხდებოდა „ქუთაისთან“, სწორედ არქეოპოლისი იყო აღიარებული ქალაქ ეა-დ². ამიტომ ძნელია ამ მეტად საფუძვლიანი და საუკუნეობრივი ტრადიციის ასე ხელაღებით უარყოფა, თითქოს ზემოხსენებული უეჭველი და პირდაპირი მაჩვენებელი წყაროების არსებობის მიუხედავადაც კი. XIX საუკუნის რუსი მოგზაური ა. ნ. მურავიოვი³, პლ. იოსელიანი⁴, დიმიტრი ბაქრა-

¹ აპ. ურუშაძე, „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებებში“, თბილისი, 1964, გვ. 324.

² ი ქ ვ ე.

³ «Грузия и Армения», ч. III. С. Петербург, 1884, стр. 260 — 278.

⁴ Города существовавшие и существующие в Грузии, 1850, г. Тифлис, стр. 55—57.

ძე¹, რაფიელ ერისთავი² და სხვ. ერთხმად აღიარებენ ეა — ნოქალაქევის (არქეოპოლისის) იგივეობას. ამ საკითხის გარშემო ექვი გამოთქვა თ. უორდანიამ³, მაგრამ მისი ექვები არ იყო მოტივირებული რაიმე საფუძვლიანი მოსაზრებებით. ამ საკითხს ჩვენ შევეხეთ ჯერ კიდევ 1961 წ. წერილში „ნოქალაქევისა (არქეოპოლისის) და მისი მინერალური წყლების ისტორიიდან“; სადაც ვწერდით, ზემოხსენებულ ავტორთა „მოსაზრებების სასარგებლოდ ლაპარაკობს ზოგი რამ: 1) „არგონაქტიკაში“ აღწერილია ზღვიდან — ქალაქ ეამდე მგზავრობა გემ „არგოთი“, რაც არ ეწინააღმდეგება შავი ზღვიდან — ნოქალაქევამდე არსებული გზის აღწერილობასა და მანძილს; 2) ნოქალაქევი, როდესაც ქუჯის ციხე-ქალაქად იწოდებოდა და ლაზების დედაქალაქი იყო, მაშინ ბერძნები მას არქეოპოლისს ანუ ძველ ქალაქს უწოდებდნენ („ქართული მატრიანეების ციხე-გოჯი ანუ ლაზების ქრისტიანული დედაქალაქი არქეოპოლისი“), მაშასადამე, ჯერ კიდევ უძველეს დროს ბერძნები მას უძველეს ქალაქად თვლიდნენ და ამ უძველესი ქალაქის ეასთან გაიგივება არ შეიძლება შემთხვევითი იყოს; 3) ამ პრობლემის სასარგებლოდ უაღრესად მნიშვნელოვანია თვით ადგილობრივ ხალხში შემორჩენილი თქმულება, რომელიც საოცრად წააგავს „არგონაქტიკაში“ მოცემულ ზოგიერთ ეპიზოდს, მაგრამ ამავე დროს სრულიად განსხვავებულად და ორიგინალურად არის გადმოცემული, რაც იმისი მანიშნებელი უნდა იყოს, რომ ისინი არა ურთიერთისაგან, არამედ ერთი საერთო წყაროდან გამომდინარეობენ. ეს ქართული თქმულება ვინმე „მოგზაურს“ ჩაუწერია და გაზ. „კოლხიდაში“ (№ 39—1911 წ.) გამოუქვეყნებია: „ძველთა ძველ დროს აქ დიდი ქალაქი იყო და ტეხურიც გემთმავალი ყოფილა, მთელი ეს ადგილი ე. წ. „მარსილის ჭალიდან“ დაწყებული მდ. აბაშამდე — რკინის მესრით ყოფილა შემოღობილი. მეფობდა „კლები“ (კერბთაყვანისმცემელი), სასტიკი და ძლიერი მეფე იყო. ყავდა მებრძოლი ლომები, ვეფხვები, კურო, გველეშაპი და ვერძი. ერთხელ ამ მეფეს ვილაც უცხო მეფის შვილი ეწვია მხლებლებითურთ. მოწვეულს და მეფის ქალს ერთმანეთი შეუყვარდათ. უკანასკნელის დახმარებით მეფის შვილმა მოიტაცა ვერძი და გაექანენ უცხოეთისაკენ. ბერ-

1 «Кавказ в древних памятниках христианства», кн. I. Тифлис.

2 «Путевые записки по мингрелии» — Кавказская археологическая летопись № 3 — 1873.

3 „ივერია“, № 193 — 1900 წ.

ღალს რომ მიუახლოვდნენ (ამ ადგილას ტეხურას პატარა მდინარე ერთვის), ვერძი კინალამ ხელიდან გაუსხლტათ, მეფის შვილმა ვერძი დაკლა, ხორცი წყალში გადაისროლა, ტყავი კი თან წაიღო. ამ ამბის შემდგომ, მეფე მალე გარდაიცვალა. სამი წლის განმავლობაში ციხეში მამალი „მეფობდა“ და ამიტომ ერთხანს კიდევ მტერი ახლო მისვლას ვერ ბედავდა“. თქმულება პირდაპირ მიუთითებს ძველი და დიდი ქალაქის არსებობაზე, ტეხურის გემთმავლობაზე, სასტიკი და ძლიერი მეფის მეფობაზე. დიდი ქალაქი იყო ლეგენდარული ეაც. „არგონავტების“ მიხედვით, ეადან ზღვამდე მდინარეც გემთმავალი იყო და ეას მეფე აიეტი სასტიკი და ძლიერი მეფე იყო. კოლხეთის მეფეს, ორივე თქმულებით, ჰყავდა გველეშაპი ვერძი და ხარები (აღნიშნული თქმულებით კუროები). უცხო სტუმრის მოსვლა და მეფის ასულის სიყვარული, მეფის ასულის გაქცევა სტუმართან ერთად და ვერძის ტყავის წაღება, ეს ხომ „არგონავტიკის“ სიუჟეტის ძირითადი, საკვანძო მომენტებია. ამგვარად, უდავოა ამ თქმულებისა და „არგონავტიკის“ სიუჟეტური ანალოგიურობა, ვფიქრობთ, ეას, ქუჯი ციხე — არქეოპოლის — ნოქალაქევის მიდამოებში ფიქსირებისათვის დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს აქ გავრცელებულ თქმულებებსაც, რასაკვირველია სხვა მოტივებთან შეჯერებით და ახალი დამაჯერებელი ისტორიული ფაქტების გათვალისწინებით“¹.

სოფ. ნოქალაქევიში, ბავშვობის წლები გაატარა მწერალმა შალვა დადიანმა, საქართველოს ისტორიის დიდი მკვლევარისა და განათლებული მოღვაწის ნიკო დადიანის ოჯახში. აი რას წერს შ. დადიანი თავისი მშობლიური სოფლის ბერთემის შესახებ, რომელიც ზემოდან გადაჰყურებს არქეოპოლისის ნანგრევებს:

„ამ მიდამოს ცოტა ზევით ქუჯის ციხის დიდი ნანგრევია, ჭადარა არქეოპოლისი, რომლის კალთებზე ძველად — ოდესმე ყოფილა გაშენებული „ათა“ ქალაქი, და არგონავტები აქ მოსულან მედეას გასატაცებლად². რასაკვირველია, შ. დადიანის ეს ჩანაწერი რაიმე კატეგორიული მტკიცების დოკუმენტად არ გამოდგება, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ ამ ჩანაწერში ფიქსირებულია. უძველესი დროიდან მომდინარე, ხალხში შემორჩენილი თქმულება, რომ „არგონავტები აქ მოსულან მედეას გასატაცებლად“ და, რომ ეს

¹ გაზ. „ავანგარდი“, 1961 წ., № 29, 30, 31.

² შ. დადიანი — „სოფელი ბერთემი“ — აღ. სიგუას წერილიდან „შალვა დადიანთან ერთად“ — ქურნ. „მნათობი“, № 12—1975 წ. გვ. 135.

არის ქალაქი აია-ეა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ტრადიციის თანახმად, ნოქალაქევე-არქეოპოლისის აია-ეად მიიჩნევედა ნიკო და შალვა დადიანების ოჯახი.

გარდა ამ აღრინდელი ჩანაწერებისა, არსებობს ახალი ეთნოგრაფიული მასალები, ახალი ჩანაწერები, ნოქალაქევი — არქეოპოლისში მცხოვრებთა შორის. აქ ახლომდებარე სოფლებში მტკიცედ არის გავრცელებული მედეას შესახებ თქმულების ცალკეული ვარიანტები და ფრაგმენტები, რაც შეუძლებელია ყურადღების გარეშე იქნას დატოვებული¹. ექსპედიციის წევრმა ეკ. ჩიქოვანმა მთქმელ დომენტი გიორგის ძე მალანიასაგან (89 წლის) ჩაიწერა: „არ არის მართალი, რომ წერენ თითქოს ქალაქი ამ მიდამოებში მთის ძირას, დაბლა ყოფილიყოს. ქალაქი იყო ზემოთ—მთაზე, სადაც მეფე იჯდა. დღესაც არის დარჩენილი ნაშთი ციხესიმაგრე ჯიხა, სადაც იჯდა მეფე. იქვეა შემოფარგლული ადგილი, რომელსაც მეფის საზაფხულო დასასვენებელ ადგილს უწოდებენ (მეფის სახელი არ ახსოვს). მეფეს ჰყავდა ოქროს ვერძი, რომელიც დარაჯობდა ამ ქალაქს. ოქროს ვერძი იღვა მალა მთაზე, რომლის თვალები ანათებდა. თვალების სინათლე სწვდებოდა გურიასა და შავ ზღვამდე. იქიდან მტერი ვერ შემოდოდა. ოქროს ვერძი იყო სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთის გუშაგი. ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით იყო პატარა ჯიხა, სადაც გუშაგები საათობით იცვლებოდნენ... მეფეს ყავდა ქალიშვილი მედეა, რომელიც განთქმული იყო თავისი წამლებით. არჩენდა კრილობებს, შეეძლო მკვდრის გაცოცხლება“.

პ. ფ. ზარქუა ყვება რა სხვადასხვა ისტორიულ ამბავსა და ლეგენდას „დედამოკაზე“, „აია“ ქალაქისა და „ოქროს ვერძის“ ამბავს უკავშირებს თავისი სოფლის უძველეს ნანგრევებს, რომელთა შორის შემდეგი ფრაგმენტებია ჩვენი საკითხისათვის საინტერესო: „მურვან ყრუ აიას ქალაქს შემოესია თავისი ჯარით აღმოსავლეთიდან“.

„ეს ადგილი სანაოსნო იყო. მეფეს ჰყავდა ოქროს ვერძი, მას გასატაცებლად ჩამოვიდნენ ბერძნები, მაგრამ ვერ შესძლეს ოქროს ვერძის მოტაცება. ოქროს ვერძი აქვეა დამარხული“², ამბობს იგი და სწამს, რომ გათხრებისას იპოვნიან მას აქვე. მთქმელი გიორგი ჭლამაძეც ამას ამბობს: „ოქროს ვერძზე ძველებიდან გამიგონია,

¹ ქართული მედიცინის ისტორიის განყოფილების 1972 წ. სამეცნიერო ექსპედიციის მასალები, ფ. XI—1972 წ. გვ. 31—34.

² დასახ. ექსპედიციის მასალები, გვ. 82, 84.

რომ მეფეს ჰყავდა იგი (მეფის სახელი არ ახსოვს). მასაც მტკიცედ სჯერა, რომ „ოქროს ვერძი“ აქვეა დამარხული, რომელსაც უსათუოდ იპოვნიან გათხრები რომ წავა. აქვეა უხსოვარი დროიდან დამარხული ოქროს აკვანი¹. რასაკვირველია, ფოლკლორული მასალების პირდაპირ ისტორიულ წყაროდ მიღება შეუძლებელია და რომელიმე კონკრეტული ისტორიული მოვლენის, ფაქტების დამტკიცება, მაგრამ მათ რომ უსათუოდ ანგარიში უნდა გაეწიოს ისტორიულ წყაროებთან შეჯერებით ზოგიერთი ზოგადი საკითხების გადაწყვეტაში, უდავოა. ამ ფოლკლორულ ჩანაწერებში მნიშვნელოვანია, რომ უძველესი გადმოცემებით აია — ქალაქი გაიგივებულია ნოქალაქევ — არქეოპოლისთან, რომ ამ ქალაქთან არის დაკავშირებული მედეას სახელი და „ოქროს ვერძი“, რომ ეს ქალაქი წარმოდგენილია „მეფის საზაფხულო დასასვენებელ ადგილად“. მთქმელები მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, რომ „ოქროს ვერძი“ დამარხულია აქ „ნოქალაქევში“ და ა. შ. ყოველივე ეს კი ეა—აიას, ნოქალაქევ—არქეოპოლისთან გაიგივების სასარგებლოდ ლაპარაკობს. ვფიქრობთ, მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე ადგილობრივ ზეპირსიტყვიერებაში „მედეას ვარდის“ არსებობის ფიქსაცია.

მთქმელ ნატა სანიკიძის (ს. ნოქალაქევი) თქმით, „მედეას ვარდს“ იყენებდა დარიკო გიორგის ასული მაშავა (გარდაიცვალა 1965 წ. 105 წლის ასაკში) მაგრამ, რა დაავადების სამკურნალოდ იყენებდა, ან რომელი მცენარე იყო, არ იცის. ზემოხსენებული მთქმელი დომენტი მალანია იგონებს „მედეას ვარდის“ შესახებ, რომ მას ჭრილობის სამკურნალოდ იყენებდნენ და ეზოში სპეციალურად დარგული ჰქონდათ დგებუაძეების ოჯახში. „მედეას ვარდი ორი ფორმისა იყო, ერთი — აკრელებული იყო წითელ-ყვითელი ზოლებით, მეორე — მუქი ფერის ყვავილით, იზრდებოდა მაღალი, ფოთლები ორივეს ერთნაირი ჰქონდათ“... ექსპედიციის წევრი ბოტანიკოსი ეკ. ჩიქოვანი, რომელიც საგანგებოდ აკვირდებოდა „მედეას ვარდის“ საკითხს, მთქმელთა ჩვენებების მიხედვით, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მედეას ვარდში გულისხმობდნენ ისინი ასკილის ყვავილს (роза дикая, Rosa Canina l.) ზოგი მიუთითებდა კრაზანას (Звереный, Hypericum), ზოგს კი წითელი ვარდი მიაჩნდა მედეას ვარდად. მაგრამ ამ ფოლკლორულ მასალებში მთავარი ის კი არაა, რომელი ვარდია მედეას ვარდი, არამედ ის, რომ საქართველოში ამ, ასე ვთქვათ, მიკრო ეთნოგრაფიულ უბანში არსებობდნენ

¹ ქართული მედიცინის ისტორიის განყოფილების 1972 წ. სამეცნიერო ექსპედიციის მასალები, გვ. 111.

მედვას სახელით მცენარეები, ყვავილები, ვარდები, რასაც ვფიქრობთ, გარკვეული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის საინტერესო საკითხის გადაწყვეტაში, სხვა პოზიტიურ მოტივთა შორის. მაგრამ, როგორც ზემოთ ვნახეთ, ა. ბოდოსელი „არგონავტიკაში“ და სხვა ბერძნულ წყაროებში „კვიტაიას“ ან „კვიტიისის“ ერთგვარი „აღმომჩენის“ შემდეგ, „არგონავტიკაში“ დასახელებული ქალაქი უთუოდ ქუთაისია. მაგრამ რა ვუყოთ, ეა — ნოქალაქევის ვარიანტს?! როგორც ზემოთ ვნახეთ, ამ ვარიანტის ასე ხელალებით უარყოფა შეუძლებელია კვლავ ზემოხსენებულ მოტივთა გამო. ვფიქრობთ, ამ საკითხის გარკვევისათვის მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი გარემოებანი: კოლხეთში — უძველესი დროიდანვე ჩანს ტრადიციულად არის შემორჩენილი, რომ მოსახლეობაში არა მარტო შეძლებულ ან სოციალურად აღზევებულ ფენას, არამედ თვით გლეხობას, რიგით მოსახლეობას, განსაკუთრებით ბარში მცხოვრებლებს საცხოვრებელი სახლ-კარი ჰქონდათ როგორც ბარში, ასევე მთაში. ამას აღნიშნავს და ხაზს უსვამს არქანჯელო ლამბერტი თავის „სამეგრელოში“.

ყოველგვარ მსგავს ყოფით ჩვევებს ყოველთვის აქვს თავისი მიზეზობრივი საფუძვლები. ჩვენ ასეთ საფუძვლად მიგვაჩნია მალარიის უძველესი დროიდან არსებობა კოლხეთში. ბარში მცხოვრებნი სავაზაფხულო სამუშაოების (თესვის) მომთავრების შემდეგ მთაში მიდიოდნენ საცხოვრებლად, მთებში არსებობდნენ ბარის ანალოგიური „გაორებული“ სოფლები. ვფიქრობთ, რომ ამ მალარიისაგან თავდასაცავმა ემპირიულმა „ეპიდსაწინააღმდეგო“ ადგილმონაცვლეობამ¹ იხსნა ხალხი, ჩვენი ერი მალარიული ინფექციით მოსალოდნელი გადაშენებისაგან!

ასეთი სოფლები ამჟამადაც არის ბახმაროს მთებში, სადაც აჭარლები ამოდიან თავიანთი ბარის სოფლებიდან მთელი ოჯახით, პირუტყვით და ა. შ. რასაკვირველია, ასეთი საზაფხულო რეზიდენციები შეძლებულებს, დიდი გვარისა და წარჩინების მქონე პირებს უფრო ჰქონდათ. და, მართლაც, იონა მეუნარგია თავის წიგნში „სა-

¹ აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნეში კაპიტალისტურ ურთიერთობათა დროს, ქალაქების, ქალაქის ტიპის დასახლებათა, კერძო საკუთრების დამკვიდრების, ვაჭართა, ხელოსანთა და მუშათა სოციალური ფენების გაჩენამ, რკინიგზის გაყვანამ და სხვ. გამოიწვია მალარიოგენულად საშიშ ადგილებში მცხოვრებთა დამკვიდრება და ამასთან დაკავშირებით ზემოხსენებული „ეპიდსაწინააღმდეგო ადგილმონაცვლეობის“ შეუძლებლობა, რის გამოც XIX საუკ. მკვეთრად გაძლიერდა მალარიის ეპიდემია და მან მეტად საშიში ხასიათი მიიღო.

მეგრელო დავით დადიანის დროს“, წერდა: „მთავარს ორმოცდაათზე მეტი სასახლე აქვს, რომელთა შორის უმშვენიერესია ზუგდიდის სასახლე, იგი აგებულია საუცხოო ქვისაგან და შესანიშნავია როგორც სიდიდე — სივრცით, ისე ფანჯრების, აივნების და სპარსული მხატვრობის მშვენიერებით. შემდეგ მთავრისა, ყველა დიდებულთ მეტ-ნაკლებ რამდენიმე სასახლე აქვთ და ერთიდან მეორეში გადადიან“. სამეგრელოს მთავრის ძირითადი სასახლეები იყო: ზუგდიდის, გორდის, მურის, სალხინოს და ა. შ. რასაკვირველია, მთავრის სასახლეთა ესოდენ სიმრავლე არ იყო მარტო კლიმატური ფაქტორებით პირობადებული. აქ უთუოდ თავიანთი სამფლობელოს ყველა უბანში, ყველა მხარეში, თავიანთი ხელისუფლების განმტკიცების და მოსახლეობასთან კონტაქტის გაძლიერების მიზნით, სამფლობელოს სხვადასხვა უბნებში, სოფლებში, ქალაქებში შენდებოდა სასახლეები, და თვითელი მათგანი წარმოადგენდა თავადთა და დიდგვაროვან დიდებულთა რეზიდენციას, რომელიც გარკვეულ ადმინისტრაციულ ფუნქციასაც ასრულებდა. დასახლების გარკვეულ უბნებში აღსანიშნავია, რომ კოლხურ ტომთა უძველეს სამეფოშიც ძვ. წ. აღ. VIII საუკ., ფიქრობენ, რომ არსებობდა, გარდა კოლხეთის ქალაქისა, მეორე ქალაქიც „სამეფო რეზიდენციის სახით [ილდამუშა], სადაც მეფისნაცვალი“ იჯდა კოლხეთის მეფისა¹. ცხადია, თუ მთავრებსა და რიგით დიდგვაროვანთ ჰქონდათ რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი თავისი სასახლეებით, კოლხეთის სახელგანთქმულ მეფეს აიეტს, რომელიც მეფის ტიტულთა და ბრწყინვალე შთამომავლობით ჰელიოსის (მზის) შვილად იყო აღიარებული, გამოირჩეოდა მეფეთა შორის და უთუოდ ექნებოდა რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი თავის სამფლობელოში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნოქალაქევი—არქეოპოლისიც კუთაისთან ერთად მედეას და მისი ოჯახის საცხოვრებელი იყო უთუოდ, სამეფო სახლის ერთ-ერთი რეზიდენცია.

ბერძენი ავტორები თვით სამკურნალო მცენარეთა ბაღის არსებობაზე მდ. ფაზისის დაბლობში მიუთითებენ. იგი თითქოს გარს შემოვლებული იყო 9 საყენი სიმაღლის ღობით, შესასვლელთან იდგა არტემიდას ქანდაკება. აღსანიშნავია, რომ დღევანდელი ნოქალაქევის (თვით ციხე-გოჯის) გადასახედი, ტეხურისა და აბაშის (ორივე რიონის შენაკადები) შუამდებარე დიდი ველი, რომელსაც

¹ Г. А. Меликишвили, «Кулха» — в книге «Древний мир», Сборн. статей, М., 1962, стр. 322.

სამხრეთისაკენ, მოშორებით მდ. რიონი საზღვრავს, წარმოადგენს სწორედ დაბლობს. ზემოთ მოყვანილ თქმულებაში „რკინის მესრით შემოღობილი“ ადგილი „მარსელის ქალიდან“ მდ. აბაშამდე, ხომ არ მიგვანიშნებს სამკურნალო მცენარეთა ბაღს თავისი მაღალი ღობით? საინტერესოა ამ თქმულებაში მოცემული ტოპონიმიკაც: „მარსილის ქალა“, ბერღალი. სამწუხაროდ, მეგრული ტოპონიმიკა და საერთოდ ფოლკლორი ჯერ სრულიად შეუსწავლელია, ალბათ. ბევრ საიდუმლოს ინახავს აიეტისა და მედეას კოლხეთის შესახებ მეგრული თქმულებები, ლეგენდები, გადმოცემები.

უკანასკნელ ხანს ეპვი იქნა აგრეთვე შეტანილი აია — ეას საერთოდ ძველი კოლხეთის რომელიმე ქალაქად მიჩნევაში. თითქოს ჰომეროსთან „აია“ — კირკეს სამყოფელი კუნძულია, ჰეროდოტესთან და აპ. როდოსელთან — მთელი კოლხეთის უძველესი სახელწოდება, შემდგომ ავტორებთან კი — „შეცდომით“ ქალაქად არის აღიარებული. ძნელია იმის თქმა, თუ რომელია „შეცდომა“.

რატომ არ შეიძლება ჰომეროსი ცდებოდეს? ან ჰეროდოტე, აპ. როდოსელი და მომდევნო ავტორები სხვა პირველად წყაროებზე დაყრდნობით სამართლიანად მიიჩნევენ აია — ეას — ქალაქად, ყოველ შემთხვევაში ამ მოსაზრებებს მოტივირება სჭირდება.

პროფ. აკ. ურუშაძეს სავესებით სამართლიანად მიაჩნია „კოლხთა ტომების უძველესი და ვრცელი განსახლების გამოძახილად“ ის, რომ „კირკეას აიას კუნძული“ — ჰომეროსის მიერ ეგეოსის ზღვის სანაპიროებზეა ნაჩვენები და საერთოდ კირკეასა და მედეას გარშემო შეთხზული ამბები და კოლხთა მრავალი კვალი ეგეოსის ზღვის რაიონსა და ეტრურიაში უნდა ასახავდეს წინაელინური (პელაზგებისა და ეტრუსკების — მ. შ.) მოსახლეობისა და ინდოევროპული ელემენტების ჰიდრის მერმინდელი ელადისა და იტალიის ტერიტორიაზე¹. მხედველობაში უნდა მივიღოთ აგრეთვე ისიც, რომ ჰომეროსის მიერ „კუნძულ აიაზე“ არსებული ბალახად ნახსენები „მოლი“ და „ასფოდელოსი“ ეტიმოლოგიურად, როგორც პროფ. აკ. ურუშაძე და პ. ბერაძე აღნიშნავენ, „იბერულ-კავკასიურ“ ენებში პოულობენ ახსნას. ვილამოვიციც კირკეას კუნძულს კოლხეთში გულისხმობს. არაფერს ნიშნავს ის, რომ დღეს კოლხეთის სანაპიროების რუკაზე არაა აღნიშნული კუნძული. ჯერ ერთი,

¹ აკ. ურუშაძე. „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“. თბილისი, 1964 წ.

3000—3500 წლის განმავლობაში ადვილი შესაძლებელია და სრულიად ბუნებრივია კოლხეთის ზღვის სანაპიროს რელიეფის მკვეთრი ცვლილებები მომხდარიყო და არსებული კუნძულები გამქრალიყო ან, პირიქით, ხმელეთს შეერთებოდა. ასეთ ცვლილებათა ნიშნები ჩვენს თვალწინ არსებობს დღესაც: ძველი დიოსკურია ზღვის ქვეშაა მოქცეული და ფოთი (ფაზისი) კი რამდენიმე კილომეტრით შეიჭრა ზღვაში. „კუნძული“ ყოველთვის თანამედროვე გეოგრაფიული განმარტებით არ იგულისხმება. „კუნძული“ შესაძლოა პირობითად მდინარეებს შორის, ზღვასა და მდინარეს შორის ან მდინარისა და მის განშტოებას შორის მოქცეულ ხმელეთს უწოდონ. პროფ. აკ. ურუშაძე წერს: „რაც შეეხება იმას, რომ აიას ჰომეროსი კუნძულის სახელით მოიხსენიებს, ეს დაბრკოლებას არ ქმნის. ანტიკურ წყაროებში „კუნძული“ ყოველთვის იმას როდი აღნიშნავს, რასაც ჩვენ დღეს ვგულისხმობთ ამ სიტყვაში, არამედ ისეთ მხარეს, რომელიც ზღვასა და მდინარეთა შორისაა მოქცეული და გასასვლელად ხმელეთის ვიწრო ყელია აქვს“. მაგრამ თავი ვანებოთ ამ ვარაუდებს და მივმართოთ შავ ზღვასთან რიონის შესართავის უშუალო გეომორფოლოგიას, რაც ამ პრობლემის კვლევაში მანამდე გაუმართლებელი დაუკვირვებლობით იყო უგულვებელყოფილი. საქმე ისაა, რომ ფოთთან დღესაც არის არა ერთი, არამედ 3 კუნძული, რომელიც შექმნილია რიონის, მისი განშტოებებისა და ზღვის მიერ: პირველს უწოდებენ „დიდ კუნძულს“, რომელიც მკიდროდ დასახლებულია და დაახლოებით 4 კვ. კილომეტრს მოიცავს; მეორე — „ნიკოლაძის კუნძულის“ სახელითაა ცნობილი. მას ქმნის რიონის სამხრეთი ტოტი ზღვასთან ერთად. მისი ფართობია დაახლოებით 0,21 კვ. კილომეტრი, ჭაობიანი, დაუსახლებელია. მესამე საკმაოდ მოზრდილი კუნძული (1954 წ. მონაცემებით — 1200 მ. X 1050 მ. ფართობზე), რომელსაც ერთი მხრიდან ზღვა აკრავს ორი მხრით, რიონი თავისი განტოტებით, დაუსახლებელია. ეს კუნძული „დიდ კუნძულთან ერთად განიცდის ინტენსიურ ჩამორეცხვასა და კლებას“¹. ცხადია, ბერძენი ავტორები ამ კუნძულებს კონკრეტულად არ ასახელებენ, რადგან რიონის შესართავი მაშინ გაცილებით შორს იყო დღევანდელი სანაპიროდან, მაგრამ ასეთივე კუნძულები იქნებოდა იმ დროისათვის იქ,

¹ А. П. Макария, Причины и возможные меры устранения размыва берега у гор. Поти. Труды географического общества Грузинской ССР, том XII, Тбилиси, 1973, стр. 34—37.

სადაც ფაზისი ზღვას ერთვოდა. ამიტომაც, სრულიად მართალი უნდა იყოს ძვ. წ. აღ. V საუკუნის ავტორი ფერეკიდე, რომელიც ამბობს: „აია კოლხთა დედაქალაქია, მოიხსენიება კუნძულ ფაზისში, სადაც საწმისი იყო“¹. ევსტათი თესალონიკელიც თავის „ოდისეის“ განმარტებებში სტრაბონს იმოწმებს და წერს, რომ „გეოგრაფოსი სტრაბონი ასახელებს ქალაქ აიას ფაზისზე და ამბობს, რომ კოლხეთის ამ აიასთან არის კირკეს კუნძული აიაც“². ა. პ. როდოსელი „არგონავტიკის“ სქოლიოებში იკითხება აგრეთვე ჩვენთვის საინტერესო საკითხის პირდაპირი პასუხი და ვარაუდის დასტური: „ფილოსტეფანე ამბობს, რომ მდინარე ფაზისსაც აქვს მცირე კუნძულები და რომ ქალაქი აია მის კუნძულზე ძევს“³. რაც შეეხება ქალაქ აია—ეას კოლხეთში არსებობის შესახებ ეჭვის შეტანას, მით უმეტეს უსაფუძვლოა. დასაბუთების გარეშე თქმა იმისა, რომ აია-ეა გვიან ბერძნების მიერ შეცდომით ქალაქის სახელწოდებად იქნა აღიარებული, არაა სწორი. ბერძენი და რომაელი ავტორები გარკვევით სწერდნენ ქ. აიას შესახებ ჯერ კიდევ ძვ. წ. აღ. VIII საუკუნეში. ევგელოს კორინთელი თავის „კორინთაკში“ აღნიშნავს „აია კოლხეთის ქალაქია, კორინთიაკი პელპონესის ქალაქია, რომელთაგან ორივეს გამგებლად მწერალი ასახელებს აიეტს“⁴.

ფერეკიდე (ძვ. წ. აღ. V საუკ.) წერს: „აია-კოლხთა დედაქალაქია, მოიხსენიება კუნძული ფაზისში, სადაც საწმისი იყო“ (გვ. 257). „აია კოლხეთის ქალაქია“ გადაწყვეტითა და დაეჭვების გარეშე ამბობენ: ლიკოფრონ ქალკიდელი (ძვ. წ. აღ. III საუკ.) „ალექსანდრას“ სქოლიონებში (გვ. 304), იოანე ცეცე (გვ. 310), ტიმეოსი (352—256), სტრაბონი (ძვ. წ. აღ. 64—ახ. წ. 24) (გვ. 416) ევსტათი თესალონიკელი. (გვ. 183), ა. პ. როდოსელი „არგონავტიკისა“, და ეერიპიდეს „მედეას“ სქოლიატები (გვ. 238, 325, 332) და სხვ.

გვიან სტეფანე ბიზანტიელი (VI—საუკ.) თვითმხილველისა და საკმაო ზუსტი დეტალების ცოდნით აღწერს, რომ „აია — კოლხთა ქალაქია, აიეტის დაფუძნებული, ზღვისაგან მოშორებულია 300 სტადიონით, მას ჩამოუდის ორი მდინარე: ჰიპსოსი და კვანეოსი, რომლებიც ქალაქს ნახევარკუნძულად ქმნის“ (გვ.

1 ა. ურუშაძე. დასახ. წიგნი, გვ. 257.

2 იქვე, გვ. 183.

3 იქვე, გვ. 332.

4 იქვე, გვ. 195.

230). „არგონავტიკის“ ერთ-ერთი სქოლიატი, როგორც ზემოთაც ვახსენეთ, ფილოსტეფანეს იმეორებს. ფილოსტეფანე კი უთუოდ ძკოდნე და თვითმხილველი პირის დამაჯერებლობით ამბობს, რომ „მდინარე ფაზისსაც აქვს მცირე კუნძულები და რომ, ქალაქი აია მის კუნძულზე ძევს“.

მართალია, რიგი ავტორებისათვის ძირითად წყაროს ისევ წინამორბედი ავტორები წარმოადგენენ, მაგრამ შეიმჩნევა აგრეთვე, რომ ზოგიერთი წყარო პირველადია, ავტორისეულია და ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს ავტორს უშუალო კონტაქტი უნდა ჰქონდეს ამ გეოგრაფიულ სამყაროსთან ან სარწმუნო თანადროულ წყაროებთან. ზოგი ავტორი კი კრიტიკულადაც უდგება ადრინდელ ავტორებს და დამაჯერებელი ტონით გვაწვდის ცნობებს. ძირითადად ავტორებს შორის ან წყაროებს შორის არ შეიმჩნევა ასეთი წინააღმდეგობა, მოსაზრებათა შეუთავსებლობა, რაც საბოლოოდ საეჭვოდ განდიდეს საკითხის პოზიტიურ გადაწყვეტას. ზოგიერთ ცნობათა უზუსტობანი, მოსაზრებათა განსხვავებულობანი თავსდება სრულიად ბუნებრივ სუბიექტურ ვარიაციებში, რაც აზრის გამოთქმის, მოსაზრების ჩამოყალიბების სტილისტურ ნაირსახეობაში გამოიხატება მხოლოდ. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე იმას, რომ ავტორები ქალაქ აია — ეას ასახელებენ ადრე: ძვ. წ. აღ. VIII საუკ-ში ევგელოს კორინთელი მიუთითებს, რომ „აია — კოლხეთის ქალაქია“ (გვ. 195), ძვ. წ. აღ. V საუკ-ში კი ფერეკიდე — აია კოლხთა დედაქალაქშია“ (გვ. 257), კვტაია, კვტაისი კი, როგორც „კოლხეთის ქალაქი პირველად მოიხსენიება ელინისტური ხანის III — საუკ. პოეტებთან, ლიკოფრონ ქალკიდელთან, კალიმაქესთან და აპოლონიოს როდოსელთან“¹. ეს, ვფიქრობთ, იმის მაჩვენებელია, რომ „არგონავტების“ ლაშქრობის დროისათვის კოლხეთის ქალაქებს შორის აია (ეა — არქეოპოლისი) უფრო დაწინაურებული იყო ან აიეტის რეზიდენცია იმ დროისათვის იქ იყო. კვტაია შემდეგ, IV—III საუკუნიდან, ჩანს სამეფო ქალაქ-რეზიდენციად. აღსანიშნავია, რომ რიგი ავტორებისა, ერთი და იგივე დროს ასახელებს ორივე ქალაქს: ლიკოფრონ ქალკიდელის (ძვ. წ. III საუკ.) „ალექსანდრას“ სქოლიოებში ვკითხულობთ, რომ „აია — ქალაქი კოლხეთისა“ (გვ. 304—1024), მაგრამ იქვე იგივე სქოლიატი წერს, რომ „კვტაია — კოლხეთის ქალაქი; კოლხები კი ტომი ლიგისტი-

¹ ა. ურუშაძე, დასახ. წიგნი, გვ. 494.

ნების მახლობლად“ (გვ. 304—1312), ასევე იო ა ნ ე ც ე ც ე ს „გან-მარტებაში“ ვკითხულობთ, რომ „აია — კოლხეთის ქალაქი... კოლხეთის ქალაქების აიას და კორინთოს მეფე, ქმარი ილიასი, აეტის ცოლისა“ (გვ. 310—1024). იგივე ავტორი იქვე წერს, რომ „კვტაია კოლხეთის ქალაქია, კოლხები კი როგორც ზემოთ დაწვრილებით ვთქვით, ლაზური ტომია აბასგთა მახლობლად მოსახლე“ (გვ. 310—1312). ასევე ორივე ქალაქი აია და კვტაისი დასახელებულია კოლხეთის ქალაქებად აპ. როდოსელის „არგონავტების“ სქოლიოებში (იხ. გვ. 324, 325). ვფიქრობთ, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ამ ავტორების თანამედროვე კოლხეთში ორივე ქალაქი არსებობდა, როგორც აია — ეა, ისე კვტაისი.

ზოგიერთ ავტორთა გამონათქვამებში შეიმჩნევა, რომ კოლხეთი „ძველად“ რალაც სხვა სახელითა და ქალაქად იყო ცნობილი. მაგალითად, გაუგებრად კი წერს, მაგრამ ვფიქრობთ, ასეთი აზრი ჩანს კ ა ლ ი მ ა ქ ე კ ვ ი რ ი ნ ე ლ ი ს (315—240) „მიზეზების“ შემდეგი ფრაგმენტიდან „კვიტაელებს... მედეას... კოლხებს, მერე, როგორც ახლა თესალიას — ძველად ელადა... კოლხები ჰქვიათ. ა ი ა შ ი მ ო ს ა ხ ლ ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე ე ბ ს, მთელ მხარეს კი კოლხეთი (ეწოდება)“ (გვ. 312), ე. ი. ისე როგორც თესალიას ერქვა ძველად ელადა, თანამედროვე კვტაიელებს და აიაში მოსახლე მოქალაქეებს კოლხები ჰქვიათ.

„არგონავტების“ სქოლიოების ერთი ფრაგმენტიდან ირკვევა აგრეთვე, რომ აია — ძველიდანვე ერქვა, ძველიდანვე იყო (ალბათ განსხვავებით, სხვა ქალაქებისაგან) და იგი ამჟამად კვლავ რჩება ქალაქად: „აია კი ახლაც რჩება“. არგოსი ამბობს, რომ აია სესონქოსის (უძველესი ეგვიპტის მეფე — მ. შ.) დროებიდან მოკიდებული ურყევად რჩება“ (გვ. 332). სიტყვა „ახლაც“ იმას ნიშნავს, რომ ის უძველესი ქალაქია და, თუმცა რომელიღაც სხვა ქალაქი (ალბათ კვტაია) უფრო დაწინაურდა, მაგრამ ის ამჟამადაც რჩება უთუოდ დიდ ქალაქად.

კვლავ მივუბრუნდეთ სტეფანე ბიზანტიელის ცნობას. მისი ცნობით, აია—„ზღვისაგან დაშორებულია 300 სტადიონით“ — 300 სტადიონი უდრის 55,5 კილომეტრს (185—მეტრ. X 300-ზე). მართლაც, თუ მდინარე რიონისა და ტენჯურის კალაპოტის გასწვრივ გაეზომავთ მანძილს სპეციალური კურვიმეტრით, ფოთიდან ნოქალაქევ-არქეოპოლისამდე 66 კილომეტრს მივიღებთ (ქუთაისამდე 130 კილომეტრია). აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ

დღევანდელი ქ. ფოთი (ფაზისი), რომელიც ნელნელა იზრდებოდა ზღვაში რიონის მიერ ჩამოტანილი მასებით, 9—10 კილომეტრით მაინც ხმელეთის სიღრმეში იქნებოდა. ვფიქრობთ, ზღვა აქ უთუოდ ქმნიდა საკმაოდ მოზრდილ ყურეს.

სწორედ ამის გამოძახილი უნდა იყოს ტიმეოსის (352—256 ძვ. წ.) ცნობა, რომ: „პონტოს შიგნითა სანაპიროსთან უჩვენებენ რომელიღაც ბაღებს“. წარმოუდგენელია ზღვის „შიგნითა სანაპირო“, თუ კი მას ყურე არა აქვს. აქაც მივმართოთ ჰიდროტექნიკური და გეოგრაფიული მეცნიერების თანამედროვე მონაცემებს. XIX საუკუნის 60-იან წლებამდე სპეციალისტთა მიერ (პაპაფილოვი, უშაკოვი, შარფანოვი) დადგენილია, რომ ყოველწლიური ზრდა ხმელეთისა რიონის მარცხენა შენაკადთან 8 მეტრს აღწევდა, მარჯვენა ტოტთან კი — 14 მეტრს (1804—1860 წლის მონაცემებით)¹.

სტ. ბიზანტიელის ცნობიდან დაახლოებით 1400 წელი გავიდა. ხმელეთის წლიური საშუალო წანაზარდად 11 მეტრი რომ მივიღოთ, ამ ხნის განმავლობაში ფაზისის ყურე 15 კილომეტრზე უნდა ამოვსებულიყო². ე. ი. ქ. ფაზისი, ანუ ფაზისის ზღვასთან შესართავი, 15 კმ-ზე იქნებოდა ქვეყნის სიღრმეში. მაგრამ, როგორც ვხედავთ, ეს პროცესი ყველგან და ყოველთვის ერთნაირი ინტენსივობით არ ხდებოდა. გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან კი სანაპიროსპირო პროცესი ხდება — სანაპირო ირეცხება და ზღვა თანდათან ფარავს სანაპიროს, ხმელეთი კლებულობს.

ქალაქების აია — ეას და კუტაია — კუტეისის ლოკალიზაციის საკითხის ამდაგვარმა დადგენამ, ვფიქრობთ, გარკვეული შუქი უნდა მოჰფინოს აგრეთვე თვით ქალაქ ფაზისის ლოკალიზაციის პრობლემას.

ამგვარად, სტეფანე ბიზანტიელის ცნობა მანძილის მხრივ ზუსტად ემთხვევა ნოქალაქევ-არქეოპოლისის ლოკალიზაციას და 56 კმ-ს უდრის. (66—10=56). სტ. ბიზანტიელის ცნობის მეორე ნახევარიც საოცრად ემთხვევა სინამდვილეს. იგი წერს „მას (ქ. აია — მ. შ.) ჩამოუდის ორი მდინარე: ჰიპსოსი და კვანეოსი, რომლებიც ქალაქს ნახევარკუნძულად ქმნის“. ნოქალაქევს მართლაც ორი მდინარე ჩამოუდის — მარჯვნივ მდ. ტეხური და მარცხნივ 2—3 კილომეტრის დაშორებით მდ. აბაშა, ისინი მდ. რიონს

¹ А. П. Макацария — დასახ. შრომა, გვ. 37.

² ოსმალების მიერ ფოთში 1578 წელს ზღვის ნაპირზე გაშენებული კოშკი ამჟამად 2—2,5 კილომეტრით არის დაშორებული სანაპიროდან (მ. შ.).

15—20 კმ შემდეგ უერთდებიან, 1—2 კილომეტრით ადრე ერთ მდინარედ გაერთიანებულნი. აღსანიშნავია, რომ მდ. რიონს ეს გაერთიანებული მდინარე მახვილი კუთხით კი არ უერთდება, არამედ რიონის კალაპოტი მას პირდაპირი ხაზით ერთვის და თვით ტეხური — აბაშის შესართავამდე — ეს გაერთიანებული მდინარე — რიონის გაგრძელებად აღიქმება ზღვიდან მომავალი მნახველის მიერ. თვით რიონის ზემო ნაწილი კი აქ მახვილ კუთხეს ქმნის და შენაერთის შთაბეჭდილებას სტოვებს. ამგვარად, მართლაც იქმნება ნახევარკუნძული. უნდა მივიღოთ მხედველობაში ის, რომ მდინარეები მაშინ უსათუოდ წყალუხვნი იქნებოდნენ, რაც თვით ზემოხსენებულ თქმულებაშიც არის ასახული, სადაც ნათქვამია, რომ ტეხური მაშინ „გემთმავალი მდინარე ყოფილა“, რომლის ბოლოს, 15—20 კმ-ზე, აქედანვე მოჩანს ნოქალაქევის ის მთები (გორები), რომელზედაც ამჟამადაც აღმართულია ძველი არქეოპოლისის ნანგრევები. ამ მხრივ ყურადსაღებია ერთი რამ, არქეოპოლისში, თვით გალავნის შიგნით ტეხურის სანაპიროსაკენ, საიდუმლო გვირაბია გაყვანილი, რომელსაც ქალაქის წყლით მომარაგების ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული. გვირაბი საკმაოდ საფუძვლიანი ნაგებობაა თავისი კედლებითა და ჩასასვლელი კიბეებით, გვირაბის ბოლო გადის ტეხურის სანაპიროზე, მაგრამ იგი ამჟამად წყლის დონიდან 2—3 მ-ით მაღლაა. უნდა ვიფიქროთ, რომ მისი გაყვანის დროისათვის გვირაბის ბოლო მდინარის ზედაპირის დაბლა იქნებოდა, რომ გვირაბში გარკვეულ დონეზე წყალი ყოფილიყო მუდმივად. მას რომ წყლით საიდუმლო მომარაგების დანიშნულება არ ჰქონოდა, ჩვეულებრივი ღია ჩასასვლელი გზა გაკეთდებოდა მდინარეზე და არა გვირაბი, ე. ი. თუ გვირაბის ბოლო გასასვლელთან წყლის სანაპირო გზა ღიად იქნებოდა, მაშინ გვირაბის გაყვანაც უაზრობა იყო. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ მდინარის დონეზე გვირაბის გაყვანის დროისათვის უთუოდ ერთი მეტრით მაინც აღემატებოდა გვირაბის გასასვლელის ამჟამინდელ დონეს, რაც იმის მანიშნებელია, რომ მდინარე ტეხურის დონე 3—4 მეტრით მაღალი იყო დღევანდელთან შედარებით.

საკვირველია, რომ ამ ადგილს, სადაც იქმნება ზემოხსენებული კუნძული „თუ ნახევარკუნძული“, შემონახულია ტოპონიმი ისულა, სოფლის სახელად, რაც უთუოდ ლათინურ ინსულას [Insula] — კუნძულს მიგვანიშნებს. ამ „ნახევარკუნძულის“ სიღრმეში, შესართავიდან რამდენიმე კილომეტრზე, მდ. ტეხურასა და

მდ. აბაშის შუა სოფელია სახელად ნოსირი — ხომ არა აქვს ამ ტოპონიმს რაიმე კავშირი ბერძნულ სიტყვასთან ნესოს, ნოსოს, რაც აგრეთვე კუნძულს ნიშნავს?!

გაზ. „კოლხიდაში“ ჩაწერილ ზემოხსენებულ თქმულებაში ხომ აშკარად ნაჩვენებია მდ. ტეხურისა და აბაშის შუამდებარე ქალაქის მესრით შემოღობილად. ამ ადგილს „მარსილის ქალას“ ეძახიანო, რაც ანალოგიურია ბერძენ-რომაელ ავტორთა მიერ არაერთგზის ნახსენებ „არესის“ ან მარსის ქალისა.

ამგვარად, ყოველგვარი მოტივი არსებობს იმისათვის, რომ ნოქალაქევი — არქეოპოლისი მივიჩნიოთ უძველეს ქალაქად აია—ეად. სტეფანე ბიზანტიელის „ეთნიკა“ გეოგრაფიული ლექსიკონია, თვით სტეფანე ბიზანტიელი კი უთუოდ გეოგრაფი, ამიტომ, მისი ცნობები სწორედ გეოგრაფიული ცნების განმარტებაში, რელიეფის აღწერილობასა და მანძილის განსაზღვრაში უფრო მეტად სანდოა, ვიდრე სხვა რომელიმე ავტორის მონაცემები. ყურადსაღებია კიდევ ერთი გარემოება: ჯერ-ჯერობით მხოლოდ არქეოპოლისშია არქეოლოგიურად დადასტურებული ძვ. წ. აღრიცხვის მეორე ათასწლეულში მჭიდრო დასახლების პუნქტის არსებობა. აი რას წერენ არქეოლოგები: „არქეოპოლისის დიდებაზე თუ აქამდე ძირითადად ქვის ხუროთა ნამუშევარი ლაღადებდა, წლევანდელი გათხრებით მოპოვებულია აგრეთვე საკმაოდ მეტყველი არქეოლოგიური მასალა. ამ მასალამ თავისთავად განსაზღვრა ქალაქის არსებობის პერიოდი, მისი საწყისი და ბოლო. თუ არქეოპოლისი ისტორიულ წყაროთა მიხედვით როგორც ქალაქი, დასტურდება მხოლოდ VI საუკუნიდან, არქეოლოგიური მონაპოვარი გაცილებით ადრეულ სურათს გადაგვიშლის. ახალ მონაპოვართა მიხედვით ამ ადგილას მოზრდილი სამოსახლო პუნქტი ყოფილა ჯერ კიდევ ჩვ. წელთაღრიცხვამდე პირველი ათასეულის დასაწყისიდან“¹.

არქეოლოგიური გათხრები არქეოპოლისში ჯერ მხოლოდ დაიწყო. კიდევ ათეული წლებია საჭირო, რომ ბოლომდე გაითხაროს 3 გალავნის შიგნით მოქცეული მატერიალური კულტურის უამრავი ძეგლი, რაც უთუოდ ნათელ შუქს მოჰფენს მედევას დროინდელი კოლხეთის ბევრ დღემდე შეუცნობელ პრობლემას.

¹ პროფ. პ. ზაქარაია, ნ. ლომოური, ვ. ლექვიანიძე, „ეგრისელთა ქვის ქალაქი“ — გაზ. „კომუნისტი“, № 287. 10/XII-1975 წ.

გარდა თვით არქეოპოლისისა, იმ „ნახევარკუნძულზე“, რომელსაც სტ. ბიზანტიელისა და სხვა წყაროების მიხედვით, ქმნის ფაზისი, ტეხური და მდ. აბაშა, ახლანდელი ნოქალაქევის ქვემოთ ნოსირში, ტეხურის პირად წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა კვლავ უჩვენა II ათასწლეულის II ნახევრიდან დასახლების კულტურული კერა, აქ ნაპოვნია საკმაოდ მოზრდილი ხის ნაგებობის ნაშთი, თიხის კურკლები, რომლებიც გამოირჩევიან ფორმით, დახვეწილობითა და სამკაულის სიმრავლით.

ნაპოვნია ქოთნები, კოჭობები, ტოლჩები, ქილები, ძელისაგან ნაკეთები სადგისები, საპრიალებლები, დამუშავებული ირმის რქა, ბრინჯაოს სატევარი, საჭრეთელი და სხვ.

არქეოლოგი დ. ქორიძე, რომელმაც აწარმოა გათხრები, ათარილებს რა მათ, წერს, რომ იგი ეკუთვნის „გვიან ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანას (დაახლოებით ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანები — ძვ. წ. VII საუკუნის მიწურული)... ეს არის საყოველთაოდ ცნობილი ლეგენდარული კოლხეთის ისტორიის ადრეული მონაკვეთი, როგორც ფიქრობენ ამ ეპოქაში მის ადრეულ საფეხურზე, ძვ. წ. II — ათასწლეულის II ნახევარში უნდა მოსულიყვნენ აქ არგონავტები“¹.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისსა და ვანში არქეოლოგიური მასალებით ჯერ-ჯერობით არა ჩანს ძვ. წ. II ათასწლეულში დასახლების რაიმე ნიშნები.

არსებობს კიდევ, სხვა სახის არანაკლებ მნიშვნელოვანი მოტივები.

ცნობილია, რომ შუმერულ-ბაბილონურ მედიცინას ჰყავდა თავისი ღმერთი — ნინაზუ (Бог ниназу — Владыка влага), მისი შვილი იყო ნინგიში და მათი სიმბოლო (ემბლემა) კვერთხზე შემოხვეული გველი (საიდანაც ღებულობს დასაბამს თანამედროვე სამედიცინო ემბლემა). ნინაზუ ითვლებოდა „წყლის მცოდნედ“, მაგრამ ბუნების, სამყაროს ცალკეულ მოვლენებს, სტიქიას, თავთავისი ღმერთები ჰყავდათ. ჩვენთვის უალრესად საინტერესოა, რომ სიბრძნისა და ცოდნის ღმერთს შუმერში — ეა ერქვა. აია, ეა — არაა ბერძნულ-რომაული წარმოშობის სიტყვა, ბერძნულ-რომაული პანთეონი არ იცნობს ასეთ ღვთაებას, იგი შუმერული წარმოშობისაა და ღვთაებათა შუმერულ პანთეონში მას გარკვეული აღ-

¹ დ. ქორიძე, „ნოსირში, ტეხურის პირად“ — გაზ. „ლიტერატ. საქართველო“, № 8, 1971 წ.

გილი უკავია, ამიტომაც უსაფუძვლოა ბერძნულ-რომაულ წყაროებში მისი ძებნა და ამ წყაროების მიხედვით საკითხის გადაწყვეტა. ეა — შუმერულ „დიდ ღვთაებათა სამების“ ერთ-ერთი წევრია: ცის ღმერთია—ანუ მიწის უძლიერესი მეუფე—ენიილი და ცოდნისა და სიბრძნის ღმერთი — ეა. სხვა ღმერთები: სინ (მთვარის), შამაშ (მზის), ალად (ჭექა-ქუხილის), იშთარი (ბუნების მწარმოებლური ძალების, ნაყოფიერების) და სხვ. მეორეხარისხოვანი ღვთაებები იყვნენ. ეა „გილგამეშიანშიც“ აისახა, როგორც დიდი ღმერთი, რომელმაც ურთანაფიშტისა და მის მეუღლეს უკვდავება მიანიჭა წყალდიდობის — (წარღვნის) დროს კაცობრიობისათვის გაწეული სამსახურისათვის. გილგამეში კი აშკარად პოულობს პარალელებს ქართულ ეპოსში „ამირანიანში“¹. ეა ითვლებოდა „წყლის მეუფედ“. ეამ ასწავლა ადამიანებს ყოველგვარი ცოდნა, სიბრძნე—ხელოვნება, მიწათმოქმედება. მაგრამ, ყველაფრის პირველ საფუძვლად „პირველყოფილ ღვთაებრივ სტიქიად“ აღიარებული იყო წყალი. ეას ეს ღვთაებრივი შთაგონებანი ძველ კოლხიდაში, ჩანს, მტკიცედ იყო დამკვიდრებული. ამირანიანის „იგრი-ბატონი“, წყლის სამკურნალო თვისებების ცოდნა, მდინარე ინგირი, თვით ქვეყნის სახელწოდება იგრისი — ეგრისი ყველაზე წყალუბვი თვის აპრილის ძველი ქართული სახელწოდება — იგრიკა, დაკავშირებულნი არიან „წყლის ღვთაებასთან“, ქვეყნის პირველ საწყისად წყლის აღიარებასთან, რაც ყოველივე ღვთაება ეას უკავშირდება, რის გამოც ეა და მისი სახელის მატარებელი ტოპონიმი კოლხიდისათვის უცხო არ უნდა იყოს. იგი ითვლებოდა კერძოდ „ზეთების მცოდნედ“ და, რაც მთავარია, სამკურნალო მცენარეების საიდუმლოების მცოდნედ. პროფ. ო. ლორთქიფანიძე ვანის ნაქალაქარზე კარიბჭესთან აღმართული ქალაქის მფარველი ღვთაების გარჩევასთან დაკავშირებით წერს: რომ ქალაქის შესასვლელთან მფარველი ღვთაების ქანდაკების აღმართვა „დამახასიათებელი იყო ძველი კოლხეთის ქალაქებისათვის“, რომ ეს საერთოდ წესად ჰქონდათ ძველ აღმოსავლეთში მაგრამ, იგი (ქანდაკების აღმართვა) უჩვეულო იყო ბერძნულ-ელენისტური სამყაროსათვის². წყაროები სამკურნალო მცენარეთა ბალის შესასვლელთან არტემიდეს (დიანა) ქანდაკებას მიუ-

1 მ. შენგელია, „გილგამეშიან“ და „ამირანიანის“ ურთიერთობის საკითხისათვის, ეურნ. „მნათობი“, № 9—1969.

2 ო. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1972, გვ. 21.

თითებენ, რადგან ასეთი ტრადიცია იყო აქ. ქალაქის შესასვლელთან მოსალოდნელია ეას ქანდაკება ყოფილიყო აღმართული და ქალაქი მისი მფარველი ღვთაების თანამოსახელე ყოფილიყო.

გამოჩენილი ორიენტალისტი ვ. ი. ავდიევი წერს: „Бог мудрости и знания Эа считался одновременно владыкой водной стихии и в то же время покровителем лечебного искусства, который знал тайну силы воды и передавал эти знания «знающим воду» лекарям... Бога Эа называли «знающим масло» считая, что он определяет тайные судьбы лекарственных растений“¹.

მაშასადამე, სრულიად ბუნებრივი და კანონზომიერია, რომ კოლხიდის ერთ-ერთ ქალაქს ნოქალაქევს — არქეოპოლისს, რომელიც მედევს მეშვეობით საეკიმო ხელოვნების ერთ-ერთ უპირველეს კერად ითვლებოდა, სადაც გავრცელებული იყო თეორია „წყლის ღვთაებრივი სტიქიონის“ შესახებ, რომელსაც სამკურნალო მცენარეების ბალი გააჩნდა, სადაც „სამკურნალო მცენარეთა საილუმოებს“ ირკვევდნენ, რქმეოდა ეა, სიბრძნისა და ცოდნის ღვთაების, განსაკუთრებით სამკურნალო მცენარეების საილუმოების მცოდნისა და ღვთაების სახელი, და მისივე ქანდაკება ყოფილიყო იქვე აღმართული ქალაქის შესასვლელთან.

საგანგებო ყურადღების ღირსია კერძოდ ეა „ზეთების მცოდნე“, რადგან ზეთების ცოდნა მედევს სახელთანაც არის დაკავშირებული. გარდა საერთოდ მცენარეებისა და მათი ნაყოფისაგან დამზადებული ნაირფერი წამლებისა, მედევამ იცოდა იმ მალამოს დამზადება, რითაც იაზონმა დაიზილა ტანი და ცეცხლისაგან უვნებელი გახდა, გასაოცარი „გაბედულება და ძალღონე შეემატა“. პინდარეს (532—442) ცნობით, ეს ჯადოსნური ძალის მომგვრელი წამალი ზეთის ზეთში შეამზადა მედევამ და მისცა იაზონს². პინდარეს სქოლიოებში ხელმეორედ ხაზგასმულია, რომ „მედევამ დაზილა (მალამოთი) იაზონი... მედევამ წამალი შეუერთა ზეთის ზეთს და იაზონს მისცა“ (გვ. 222). აპ. როდოსელის „არგონავტიკაშიც“ მედეა ზეთების მკეთებელი და მცოდნეა — მედევამ, დილით გამოღვიძებულმა, „ცრემლებით დასველებული ლოყები ჩამოიწმინდა და ნექტარივით ტკბილი ზეთით დაიზილა“. თუ ერთ შემთხვევაში ზეთი გამოყენებულია „ძალმომგვრელ“ წამ-

1 В. И. Авдиев, История древнего Востока, 1953, М., стр. 132.

2 პროფ. აკ. ურუშაძე, „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“, თბილისი, 1964, გვ. 215.

ლად „ჯაღოსური“ მიზნებისათვის, სხვა შემთხვევაში „ნექტარი-
ვით ტკბილი ზეთი“ კოსმეტიკური მიზნით გამოიყენება ცრემლები-
საგან დამწვარი ლოყების დასაამებლად. ცნობილი იყო აგრეთვე
ზეთი „მედეას ზეთის“ სახელწოდებით, მას სვიდა იხსენიებს
და განმარტავს თავის „ლექსიკონში“, როგორც მედეას სახელთან
დაკავშირებულ სამკურნალწამლო საშუალებას.

ამგვარად, როგორც სამკურნალო მცენარეთა საიდუმლოების
ცოდნა, ასევე წამალთმკეთებლობა და „ზეთების მცოდნეობა“ და-
კავშირებულია როგორც მედეასთან, ასევე შუმერულ ღვთაება ეას-
თანაც; ორივე კი „კოლხეთის „ლეგენდარულ“ ქალაქ ეასთან. ამ-
გვარად, ეა — შუმერული ღვთაება, ფუნქციურად, სემანტიკუ-
რად დაკავშირებულია ეა — კოლხეთის ქალაქთან, ამიტომ, ვიმეო-
რებთ, სრულიად ბუნებრივი და კანონზომიერია მათი ფონეტიკური
იგივეობაც. ყოველივე ამის გამო, ვფიქრობთ, უსაფუძვლოა დაუკ-
ვება იმაში, რომ კოლხიდის ქალაქს, მედეას ქალაქს, რომლის მი-
დამოებში გაშენებული იყო სამკურნალო მცენარეთა ბაღი, სადაც
კეთდებოდა „ზეთები“ და სხვ. რქმეოდა ქალაქი ეა. საერთოდ შუ-
მერული ღვთაებები, შუმერული სიტყვები, უცხო არაა ქართულ
წარმართულ პანთეონსა და ენაში. ჩვენს ადრინდელ შრომაში¹ თავ-
მოყრილი გვაქვს 40-მდე სამედიცინო-ბიოლოგიური ხასიათის
ტერმინი, ცნებები, წარმოდგენები, რომლებიც დღემდეა გავრცე-
ლებული ქართულ ყოფასა და მეტყველებაში და რომლებიც პა-
რალელს პოულობენ შუმერულ ენასა და სარწმუნოებაში. ამიტო-
მაც ღვთაება ეას ძველ ქართულ სამყაროში ყოფნა, გავრცელება,
სრულებით არაა უჩვეულო მოვლენა.

რაც შეეხება სამკურნალო მცენარეთა ბაღის ლოკალიზაციის
საკითხს, ის, რასაკვირველია, დაკავშირებულია თვით ქალაქის ლო-
კალიზაციის გარკვევასთან. თუ ვადგენთ, რომ ეა — აია უძველესი
კოლხეთის ქალაქია, თვით ბაღის არსებობაც იქვე უნდა ვიგულის-
ხმოთ.

დიოდორსიცილიელი თავისი „ისტორიული ბიბლიო-
თეკის“ 48 თავში წერს, რომ მედეამ „არგონავტები“ ოქროს საწმი-
სისათვის წაიყვანა „არესის ქალაში“. ეს ქალა კი ქალაქს დაშორე-
ბული იყო 70—სტადიონით, რაც დაახლოებით 13 კმ უდრის. უთუოდ
აქვე იყო სამკურნალო მცენარეთა ბაღი, რომელთა ბინადარი მცე-

¹ ქართული სამედიცინო ფოლკლორი და შუმერული ხეთა-სუბარული სამ-
ყარო წიგნში „ეტიუდები მედიცინის ისტორიიდან“, თბილისი, 1963, გვ. 3—15.

ნარეები საკმაო სიზუსტითაა აღწერილი „ორფიკულ არგონავტიკაში“, ეს „არესის ჭალა“ კი ანუ ზემოხსენებული თქმულების „მარსელის ჭალა“ უნდა ვიგულისხმოთ სწორედ ამ „ნახევარკუნძულზე“. მთელი ეს ტერიტორია ნოქალაქეე — არქეოპოლისიდან კუნძულის „წვერამდე“ (აბაშა—ტეხური—რიონის შესართავამდე), 15—20 კმ-ია, სიგანე კი 3-დან 8 კმ-მდე მერყეობს. უნდა აღინიშნოს, რომ თვით სახელი „არესიკ“ ძველადმოსავლური წარმოშობისაა და უთუოდ ეასთან ერთად დამკვიდრდა აბაშა—ტეხურის ქალებში. აკად. ივ. ჯავახიშვილი წერს, რომ „როშერს მრავალი წყაროს მიხედვით გამორკვეული აქვს, რომ შემდეგში მნათობთა ჩვეულებრივ ბერძნულ სახელებად მიჩნეული არესი, პერმესი და სხვ... თავდაპირველად ბერძნულში არ იხმარებოდა და რომ არესის ნამდვილი ბერძნული სახელი იყო „პუროეთს“... არესის, პერმესის, და სხვ. სახელები ბერძნებს აღმოსავლეთიდან „ქალდეველთაგან“ ჰქონდათ შეთვისებული“¹.

ბერძნული წყაროების მიმოხილვას, მსჯელობებს, საკითხებს თუ ერთმანეთთან შევაჯერებთ, შეიძლება შემდეგი დასკვნები გავაკეთოთ: 1. აპ. როდოსელისა და მომდევნო ავტორების მიერ ნახსენები ქალაქი კრტაია, კრტისი, ნამდვილად დღევანდელი ქუთაისია. ე. წ. „კუტ-ფუძიანი“ ტოპონიმების არსებობა ქართველურ და ძველ აღმოსავლურ სამყაროში არ გამოდგება კრტაისი — ქუთაისის იდენტურობის უარსაყოფად. კრტაისი—კრტისი როგორც ფორმით (ფონეტიკურად), ისე გეოგრაფიული, ისტორიული და ლოკალური მონაცემებით შეესაბამება დღევანდელ ქუთაისს.

2. ქუთაისის აღიარება კრტაისად და ძველი კოლხეთის (თუნდაც „არგონავტების“ დროინდელ) ქალაქად არ გამორიცხავს ქალაქ აია — ეას არსებობას. ძვ. წ. აღ. IV—III საუკუნიდან წყაროებში ავტორების მიერ ერთდროულად არის დასახელებული ორივე ქალაქი, ადრინდელ წყაროებში კი ქალაქი — აია. უნდა ვიფიქროთ, რომ „არგონავტების“ დროისათვის (ძვ. წ. აღ. XIII—XII საუკ.) ორივე ქალაქი არსებობს, მაგრამ, ჩანს, პერიოდულად დაწინაურებულია ხან ერთი, ხან მეორე.

3. უსაფუძვლოა ჰომეროსის ცნობის ისეთი ინტერპრეტაცია: თითქოს „აია“ მხოლოდ იტალიის სანაპირო კუნძული იყოს და ყველა დანარჩენი ავტორის მოსაზრება აია — ქალაქის არსებობის შესახებ შეცდომაა.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1960, გვ. 120.

4. გეომორფოლოგიურ მოვლენათა საფუძველზე უძველეს ოლხეთში კუნძულის არსებობა დასაშვებია როგორც შავ ზღვაზე, სე მდ. ფაზისსა და მის შენაკადებს შორის, რაც დასტურდება ის-ორიულადაც და შავი ზღვის სანაპიროსა და ფაზისის თუნდაც ანამეიდროვე რელიეფურ თავისებურებათა მიხედვითაც.

5. ქალაქი აია — ეა ყველა მონაცემით (ისტორიული, გეოგრა-ვიული, ეთნოგრაფიული, ტრადიციული და სხვ.) უნდა იყოს დღე-იანდელი ნოქალაქევი — არქეოპოლისი, რაც ვლინდება აგრეთვე ეა — ქალაქისა და ეა — შუმერული ღვთაების როგორც ფონეტი-ურ, ისე სემანტიკურ იდენტურობაში.

6. სამკურნალო მცენარეთა ბალის ლოკალიზაციაც დაკავშირე-ბულია თვით ქალაქის და, კერძოდ, აია — ეას ლოკალიზაციის სა-კითხთან, რაც, როგორც ვნახეთ, ნოქალაქევი-არქეოპოლისთან არის გაიგივებული.

შედეგად ბალის სამკურნალო მცენარეები

წინა თავში ჩვენ შევეცადეთ აიეტ-მედეას ქალაქების აია-ეასა და კეტისის ლოკალიზაციის საკითხს შევხებოდით, ამ ქალაქთა ლო-კალიზაციის დადგენა თვით ბალის ლოკალიზაციის გარკვევის საშუა-ლებასაც იძლევა, რადგან, ბუნებრივია, ბალი იქვე უნდა ყოფილიყო სარეზიდენციო ქალაქთან ან მის ახლოს, რაზედაც თვით წყაროე-ბიც მიუთითებენ. ჩვენ მთელი რიგი მასალებისა და წყაროების გა-თვალისწინებით იმ დასკვნამდე მივედით, რომ ბალი ქალაქ აია-ეასთან იყო უთუოდ — „არესის ქალაქში“, როგორც დიოდორ სიცილიელი წერს, ქალაქიდან 70 სტადიონის (13 კმ) დაშო-რებით.

ბალის ბინადარი მცენარეების შესახებ საკმაოდ დეტალური ცნობებია შემონახული, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ბალის არ-სებობის რეალურობაზე.

ცნობები, ცალკეული ცნობების და ფრაგმენტების სახით, შე-მონახულია რომაულ წყაროებში, მაგრამ ყველაზე უფრო ვრც-ლად მის შესახებ „ორფიკული არგონავტიკის“ ავტორი გადმოგვ-ცემს. რასაკვირველია, „ორფიკული არგონავტიკის“ დაწერის თარი-ღი საკმაოდ დიდი დროით არის დაშორებული თვით „არგონავტე-ბის“ დროდან, დეტალების ესოდენ დაწვრილებით აღწერა, ამბების

გადმოცემის ერთგვარი რეალისტური მანერა იმაზე მიუთითებს, რომ ავტორს უთუოდ ჰქონია დღემდე მოუღწეველი პირველადი წყაროები, ადრინდელი, თანადართულ ავტორთა ნაწარმოებები. სწორედ „ორფიკულ არგონავტიკაზე“ დაყრდნობით, როგორც წინა თავშიც აღვნიშნეთ, კ. შპრენგელი მედიცინის მსოფლიო ისტორიის თავის 5 ტომიან შრომაში, რომელშიც იგი მსოფლიო მედიცინის ისტორიას „უძველესი კოლხური მედიცინის“ გადმოცემით იწყებს, ასახელებს მედეას სამკურნალო მცენარეთა ბალს და მის მცენარეებს, ლათინური თარგმანით, ამგვარად კ. შპრენგელის მონაცემების საფუძველზე მედეას ბალში შემდეგი მცენარეები ხარობდა:

- | | |
|-----------------------------------|-----------------------------------|
| 1. <i>Laurus nobilis</i> L. | 19. <i>Crocus</i> |
| 2. <i>Cornus mas.</i> L. | 20. <i>Taxus baccata</i> |
| 8. <i>Platanus</i> | 21. <i>phaseolus vulgaris</i> |
| 4. <i>Asphodelus ramosus</i> | 22. <i>Smilax asperu</i> |
| 5. <i>Lathyrus chymenum</i> | 23. <i>Anthemis nobilis</i> |
| 6. <i>Adiantum Capillus</i> | 24. <i>Piretrum parthenium</i> |
| 7. <i>Cyperus rotundus</i> | 25. <i>Marticaria chamomilae</i> |
| 8. <i>Verbena supina</i> | 26. <i>plaucium luteum sm,</i> |
| 9. <i>Anemone coronaria</i> | 27. <i>Malva taurne fortiana</i> |
| 10. <i>Salvia Hovminum</i> | 28. <i>Ferula Opopanax</i> |
| 11. <i>Sisimbrium policeratum</i> | 29. <i>Pastinaca lucida</i> |
| 12. <i>Lavandula stoechas</i> | 30. <i>Echinophora tenuifolia</i> |
| 13. <i>Cyclamen</i> | 31. <i>Valeriana tuberosa</i> |
| 14. <i>Hederae folium Ait</i> | 31. <i>Stelle</i> |
| 15. <i>Paconia officinalis</i> | 33. <i>Micropus erectus</i> |
| 16. <i>Mentha cervina</i> | 34. <i>Corrallina</i> |
| 17. <i>Origanum dictamnus</i> | 35. <i>Teucrium montanum</i> |
| 18. <i>Lepidium sativum</i> | 36. <i>Aconitum.</i> |

რ. დ. კუპცისს ალბათ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით თუ „ორფიკული არგონავტიკის“ თავისებური ინტერპრეტაციით, მედეას ბალის მცენარეთა შემადგენლობაში შეჰყავს კიდევ შემდეგი მცენარეები: 37. *Colchicum*, 38. *Aralea pontica*, 39. *Solanum insecnum*, 40. *Atropa*, 41. *Modragora*.

უკანასკნელი 5 მცენარე კ. შპრენგელს არა აქვს დასახელებული, მაგრამ ჩვენ მაინც შევიტანეთ ისინი [და ცალკე გამოვყავით], ვინაიდან ეს მცენარეები ამჟამადაც გავრცელებულია, კოლხეთისათვის ენდემებს წარმოადგენენ და რომაული წყაროებით კოლხეთში უძველესი დროიდანვე არიან ცნობილნი.

„ორფიკული არგონავტიკის“ ახალ ქართულ თარგმანში¹ ეს სამკურნალო მცენარეები შემდეგი თანმიმდევრობითაა დასახელებული, ძირითადად ბერძნული ტრანსკრიპციით: 1. დაფნა, 2. შინდი, 3. ჭადარი, 4. ასფოდელოსი, 5. კლიმენოსი, 6. სურნელოვანი ადიანტოსი, 7. თრიონი, 8. კიპრონი, 9. არისტერეონი, 10. ანემონი, 11. ჰორმინონი, 12. ირისიმონი, 13. იისფერი კიკლამოსი, 14. სტექასი, 15. პეონია, 16. მრავალტოტა კატერნესი, 17. მანდრაგორა, 18. პოლიონი, 19. მტვრიანი დიკტამონი, 20. კეთილსურნელოვანი კროკოსი, 21. კარდამონი, 22. კემოსი, 23. სმილაქსი, 24. ჭამემელონი. 25. შავი მეკონი, 26. ალკია, 27. პანაკესი, 28. კარპასონი, 29. აკონიტონი, აქვეა მრავალი შხამიანი ბალახი, 30. მუხა.

ნახსენებია კიდევ შემდეგი მცენარეები, რომლებიც აქვე „შემოლობილი ჭალაკის“ გარეთ „წმინდა სამყოფელში“ შესვლამდე გამოიყენეს „არგონავტებმა“ მედეასთან ერთად, წამლის შესარევად თუ „მსხვერპლთშეწირვის“ მაგიური რიტუალისათვის: 31. ღვია, 32. ხმელი კედარი, 33. ეკლიანი კვირინჩხი, 34. მტირალა ტირიფი, 35. ქალკანთოსი, 36. სტრუთიონი, 37. კნეკოსი, 38. სქისტე, 39. უგემური ფსილიონი, 40. წითელი ანჭუსა, 41. ქალკიმონი, 42. ფიჭვი ხმელი.

რამდენად სარწმუნოა ამ მცენარეების არსებობა კოლხეთში? ითვლებიან თუ არა ისინი ამჟამადაც სამკურნალო მცენარეებად როგორც მეცნიერულ, ისე ქართულ-ხალხურ მედიცინაში? რამდენად აქვთ კავშირი ამ მცენარეებს კოლხეთის თანამედროვე ფლორასთან, მათ სახელწოდებებს — ქართულ ენობრივ სამყაროსთან, ეთნოგრაფიულ ყოფასთან? აი ის საკითხები, რომელთა გარკვევა ერთგვარ შუქს მოჰფენს ბალის არსებობის რეალობის დადგენაში. ყოველივე ამის გასარკვევად კი, ვფიქრობთ, აუცილებელია თვითნებულ ამ მცენარეთა ცალ-ცალკე მიმოხილვა²:

1. „არეასის ჭალაკში“ მედეას სამკურნალო მცენარეთა ბალის ბინადართა შორის პირველი ღაშნაპ დასახელებული (*Iaurus nobilis* L. — Лавр благородная), აღსანიშნავია, რომ დაფნის გავრცელების ძირითად ადგილად, მთელი საბჭოთა კავშირისა და ამიერ-

¹ „ორფიკული არგონავტიკა“ — ნ. მელაშვილის თარგმანი, აკ. ურუშაძის რედაქციით, შენიშვნებითა და საძიებლით, თბილისი, 1977 წ.

² ძირითადად ეს მიმოხილვა გაკეთებულია კ. შპრენგელის მონაცემების თანმიმდევრობით (გარდა პირველი სამი დასახელებისა და კუპცისის მიხედვით დამატებული უკანასკნელი 5 — მცენარისა).

კავკასიის მასშტაბით მიჩნეულია სწორედ ძველი კოლხეთის ცენტრალური რაიონები; ს. ე. ზემლინსკი თავის წიგნში „Лекарственные растения СССР» (მედ. გიზ, 1958) სწერს, რომ: «Наибольшее распространение лавр имеет в Западной Грузии в озургетско-зугдидской группе районов, здесь он образует значительные рощи» (გვ. 168).

დაფნის ფოთლებს დიდი გამოყენება აქვთ საერთოდ და განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, როგორც საკაზმი კერძებისა და მწნილებისა, კონსერვებისა და სხვა. ხოლო მისი ნაყოფი გამოიყენება თანამედროვე მედიცინაშიც. დაფნის ნაყოფის შემადგენლობაში შედის 25—39% ცხიმოვანი და 0,8% ეთეროვანი ზეთი. მისი ცხიმოვანი ზეთი ძირითადად შეიცავს ლაურინს ანუ ლაუროსტეარინს. წინათ, როგორც თვით ს. ე. ზემლინსკიც აღნიშნავს, დაფნის ნაყოფი (*Fructus lauri*) და მისგან გამოწვლილი ზეთი (*oleum lauri*) ფართოდ გამოიყენებოდა როგორც მეცნიერულ, ისე ხალხურ მედიცინაში. ქართული მედიცინის ისტორიის განყოფილების სამეცნიერო ექსპედიციების (ხალხური მედიცინისა და სამედიცინო ეთნოგრაფიის შესწავლის მიზნით) ფონდებში უხვად მოიპოვება ჩანაწერები დაფნის ფოთლებისა და ნაყოფის სამკურნალოდ გამოყენების შესახებ.

2. შინდო—(*Cornus mas. L.—Кизил. Дерен*), საბჭოთა კავშირსა და ამიერ-კავკასიაში მისი გავრცელების ძირითად კერად ითვლება ყირიმი და კვლავ კავკასიის შავი ზღვის სანაპიროები (ს. ზემლინსკი). მცენარეს ფართოდ ხმარობენ მედიცინაში, სამკურნალო იყენებენ მის ნაყოფს, ძირებს და ქერქს, ნაყოფს აგრეთვე ხმარობენ როგორც შემკვრელ საშუალებას და ავითამინოზურ დაავადებათა დროს. შინდის ძირებს მიაწერდნენ ორგანიზმის ტონუსის ამაღლებას და ამგზნებ თვისებებს. ქერქისაგან ამზადებდნენ ესენციას, რომელსაც უნიშნავდნენ როგორც ანტიმალარიულ საშუალებას. იგი გამოყენებაშია აგრეთვე გომეოპათიაში. უკანასკნელი გამოკვლევებით მის ფესვებში აღმოჩენილ იქნა კიდევ ახალი ნაერთები: გლუქოზიდ კორნინი, სხვადასხვა შემკვრელი საშუალებები, წითელი პიგმენტები, ვაშლის მჟავა და სხვ.

3. ჭაღარი, ჭანღარი. (*platanus (Гипар, Платан)*, არჩევენ ორი სახისას: დასავლურ ჭაღარს (*Platanus occidentalis—1*, და აღმოსავლურ ჭაღარს (*platanus orientalis L.*). ცნობები სამკურნალო საშუალებად მისი გამოყენების შესახებ მედიცინაში ჩვენთვის ხელ-
9. მ. შენგელია.

მისაწვდომ ლიტერატურაში არ შეგვხვებოდა. არც ქართული ხალხური მედიცინის ზემოხსენებულ ფონდებშია ფიქსირებული მისი გამოყენება.

4. ASPHODELUS RAMOSUS. Asphodeline — ასფოდელო (асфоделина). „ორფეული არგონავტიკის“ მიხედვით, იგი წმინდა მცენარეა, რომელიც ირგვება საფლავებზე და ოცნებათა (სიზმართა) ქვეყანაში იზრდება, სადაც სულელები ცხოვრობენ და მიცვალებულთა ჰაეროვანი სახეებია“. ასფოდელოსი, ასფოდელოსის მდელო ნახსენებია აგრეთვე ჰომეროსთან: რომ „ფენმარდი ეაკიდის სული წაიღო და დიდი ნაბიჯებით ასფოდელოს მდელოსაკენ“¹, როგორც ჩანს, აქ იგი „სულელების“ სამყაროში ხარობს. პროფ. პ. ბერაძე შეეხო „ასფოდელოსის“ ეტიმოლოგიის საკითხს და წერდა, რომ ეს სიტყვა „ინდოევროპული ენობრივი მასალის ნიადაგზე აუხსნელი რჩება, მაგალითად, ბუაზიკის ბერძნული ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში ამ სიტყვის შესახებ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ მისი ეტიმოლოგია ბნელია, უცნობია“².

აღსანიშნავია, რომ ჰომეროსის, ჰესიოდეს და სხვა ბერძენი მწერლების ნაწარმოებებში მოხსენებული მცენარე „ასფოდელოს“ საქართველოშიც გვხვდება, კიდევ მეტიც ერთ-ერთი ბერძნული წყარო ამ მცენარის გავრცელების ადგილად საქართველოს მიიჩნევს, და სწორედ „ასფოდელოსის“ ახლო მონათესავე მცენარეს უწოდებენ ჩვენში, რაქაში „მკვდრის ყვავილს“ და აღმოსავლეთ საქართველოში „შროშანას“. რა მონაცემები გვაქვს სიტყვა „ასფოდელოსის“ ქართულ ნიადაგზე ასახსნელად?!

1. „ასფოდელოს“ და „მკვდრის ყვავილი“ შროშანა, მიცვალებულის კულტს უკავშირდებიან ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, რაც ჰომეროსის „ოდისეაში“ დასტურდება, „ასფოდელო!“ ველი ითვლება ქვესკნელის სამეფოს იმ ადგილად, სადაც მკვდართა სულელები იმყოფებიან. მიცვალებულის კულტთან „შროშანას“ კავშირს მისი რაჭული სახელწოდება „მკვდრის ყვავილი“ გვემოწმება.

2) ქვესკნელის სამეფოს გამგებლად ბერძნული მითოლოგია ჰეკატეს თვლის. ჰეკატე კოლხეთის მეფის, აიეტის მეუღლეა. ქვესკ-

1 აკ. ურუშაძე, „სველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“, გვ. 176.

2 პ. ბერაძე, ფილოლოგიური შენიშვნები, „ლიტ. გაზეთი“, № 26, 29/VI—

ნელის სამეფოში „ასფოდელოს“ ხარობს. ამავე მცენარეს მიეკვალებულთა საფლავზე რგავენ.

3) აქამდე აუხსნელი ეტიმოლოგია სიტყვისა „ასფოდელოს“ შეიძლება აიხსნას ქართული რიცხვითი სახელის ასისა და ფოთოლი — ფოთელის მიხედვით. ამ ახსნას ის გარემოება უჭერს მხარს, რომ ბოტანიკურ ლექსიკონებში ამ მცენარის აღწერისას, პირველ ყოვლისა, აღნიშნულია მისი ხშირფოთლიანობა, როგორც ვიცით, სიტყვა ასი ქართულში მართო ოთხმოცდაცხრამეტის მომდევნო რიცხვს კი არ გულისხმობს, არამედ საერთოდ სიმრავლის აღმნიშვნელ ტერმინად გვევლინება“.

ვფიქრობთ, დამაჯერებელია პროფ. პ. ბერაძის მტკიცება. ასფოდელოსი საკმაოდ გავრცელებული მცენარეა საქართველოში ამაჟამადაც: ქართლში, გარე კახეთში, ჭავჭავთვში, აფხაზეთში და განსაკუთრებით კი შავი ზღვის სანაპიროებზე. იგი *liliaceae*-ს ოჯახს განეკუთვნება, ამ ოჯახის სამი სახეობაა გავრცელებული საქართველოში: 1. *As. dendroides* (Hoffm) g. Woron, 2. *As. taurica* (Pall.), 3. *As. luteae* (L).

მართლაც, სამივე მათგანის აღწერილობაში ხაზგასმულია, რომ „ფოთოლი მრავალრიცხოვანია“, „ღერო უხვად შეფოთლილია“ და ა. შ.

მეტად საინტერესოა, რომ ასფოდელოსის განმარტებას იძლევა სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში, რაც ჩიანს. პროფ. პ. ბერაძეს შეუძმჩნეველი დარჩენია. „ასფოდელოს ნერგსა იტყვის, ასფოდელოს სამოთხესა იტყვის, ასფოდელოს სავსებასა იტყვის, ასფოდელოს სახელი არს მწვანისა, რომლისა სუნი სუნელი და ფერი შვენიერი და ძირი მისი წამალი სარგებელი“. მნიშვნელოვანია, რომ სულხან-საბას განმარტებაშიც მინიშნულია ჰომეროსისა და „ორფიკული არგონავტიკის“ ავტორის მიერ ამ მცენარის დაკავშირება სამოთხესთან, იმ ადგილთან, სადაც „სულეები ცხოვრობენ“. საბას სიტყვები — „ასფოდელოს სამოთხესა იტყვის, ასფოდელოს სავსებასა იტყვის“ — პირდაპირ ემთხვევა უძველესი ბერძნული წყაროების განმარტებებს. მაგრამ ისმის საკითხი, საბა ეყრდნობა კვლავ ზემოხსენებულ ბერძენ ავტორებს თუ ძველ ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული წარმოდგენებიდან, ხალხური გადმოცემებიდან მომდინარეობს მისი განმარტება. თუ ქართული წყაროების მიხედვით მსჯელობს იგი, მაშინ თვით სახელწოდებაც ქართული უნდა მოეცა და არა „ბერძნული ტრანსკრიპციით“. თუ ამ

სიტყვის განმარტების წყარო ბერძნულია ან რომელიმე ძველი ქართული დამწერლობითი ძეგლი, ასეთ შემთხვევაში საბა უთითებს ხოლმე წყაროს. საბაზე ადრინდელ ქართულ დამწერლობით წყაროებშიც არსად არ სჩანს მისი ხსენება და განმარტება. აღსანიშნავია, რომ ნ. ჩუბინაშვილს, რომელსაც საბას ლექსიკონის მიხედვით აქვს გასამარტავი სიტყვები, ასფოდელოსი — გამოტოვებული აქვს, არ იძლევა მის განმარტებას. გარკვევით არ სჩანს აგრეთვე, რით განსხვავდება ურთიერთისაგან საბასეული ასფოდელოსი და „ასფოდელტოა“. საბა მას ასეთ განმარტებას აძლევს: „სახელი არს მწვანილისა“, რომელსაც აქვს „სუნი სუნელი და ფერი შვენიერი“, ამით ვფიქრობთ იგი, მიგვანიშნებს, რომ ის დეკორატიული მცენარეა. დღესაც ასფოდელოსი ბოტანიკურ ლიტერატურაში დეკორატიულ მცენარედ არის მიჩნეული. ყურადსაღებია ისიც, რომ საბას მიხედვით „ასფოდელტოა“-ს ძირი „წამალია სასარგებლო“, რითაც გამართლებულია მისი მოხვედრა მედეას სამკურნალო მცენარეთა ბაღში. მაგრამ თანამედროვე ფარმაკოგნოზიაში, უშუალოდ ეს მცენარე არაა აღიარებული სამკურნალო მცენარედ, სამაგიეროდ შროშანა (*convallaria* და მთის შროშანა (*lilium sroviitsianum*), რომლებიც ასფოდელოსის მონათესავე მცენარეები არიან, გამოიყენებიან როგორც მეცნიერულ, ისე ხალხურ მედიცინაში (მთის შროშანას ძირები — ქვემო სვანეთში, ლეჩხუმში — იგივე მცენარე — თიორშას სახელწოდებით).

5. LATHURUS CHIMENUM (ბერძ. კლიმენოსი). საქართველოში მისი მრავალი სახეობაა გავრცელებული სხვადასხვა სახელწოდებით: **ყანის მატკვარცანა** (*lathyrus aphaca* L.) აქრაჭუჭი (*L. miniatus* M. b.) ბალის არჯაკელი (*L. odoratus* L.), მდელოს მატკვარცანა (*L. pratensis* L.), არჯაკელი (*L. rosens* stev.), ცულისპირა (*L. sativus* l.), თერო (*L. tuberosus* L.). შესაბამისად მათი რუსული სახელწოდებებია: Чина безлистная, чина матовокрасная, душистый горошек, чина луговая, чина розовая, чина обыкновенная (посевная) и чина клубненосная.

ამ მცენარის ერთ-ერთი სახეობა მდელოს მატკვარცანა (*lat. chymenum*) ამჟამადაც იხმარება მედიცინაში, როგორც ამო სა ხ ვ ე ლ ე ბ ე ლ ი ს ა შ უ ა ლ ე ბ ა. იგი საკმაოდ შესწავლილია კლინიკურად, ფარმაკოლოგიურად და მის გამოანაწილებლს არა აქვს არავითარი გვერდითი არასასურველი მოვლენები. მედეას ბაღში

მას აშენებდნენ, რათა გამოეყენებინათ მისი „წვენი სისხლდენის წინააღმდეგ“.

6. ADIANTUM CAPILLUS L. უთუოდ *Adiantum Capillus veneris* L. — (ადიანტოსი) ვენერას თმა, კლდის ქოჩორა (Венериин хвост). მრავალწლიანი სპოროვანი მცენარეა, სპორები გამოაყრის ივლის-აგვისტოში. ის ლამაზი, დეკორატიული მცენარეა, აშენებენ საყვავილეებსა და ორანჟერებში. ველურად იზრდება მთის მდინარეთა ნაპირებზე, ჩანჩქერებთან და სხვ. ადრე იგი გამოეყენებულა იყო მედიცინაში ფარმაცევტული სახელწოდებით „Herba capillorum veneris“. — ზედა სასუნთქი ორგანოების და საერთოდ ლორწოვანი გარსის გაღიზიანებებისა და ანთებების დროს.

7. CUPERUS Rotundus — (თრიონი) *Cyperus rotundus* L. მრგვალი თავნასკვა; ცნობილია მისი სხვადასხვა სახე: პაპირი (*C. alternifolius* L.), ბესენია (*C. aureus* Ten.), წამალწვრილი (*C. badius* D. sf.), მიწის ნუში (*C. isculentus* L.) თავნასკვა-ჩალა (*C. longus* L.), მრგვალი თავნასკვა (*C. Rotundus* L. сыть крушная). მისი სხვადასხვა სახის რუსული სახელწოდებებია შესაბამისად: Эгипетская трава; Сыть золотистая, Сыть темно-каштановая, земляной миндаль, Сыть длинная. ბესენიას სამეგრელოში ეძახიან აგრეთვე დიხაშ თხირს, სანთელას, წამალწვრილას კი — დუას, იგი სამკურნალო მცენარეების თანამედროვე ნომენკლატურაში არსად იხსენება, მაგრამ, რადგან მისი ერთ-ერთი სახეობა იწოდება „წამალწვრილად“ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ის ძველ დროში გამოიყენებოდა, როგორც წამალი „რომლის კეთილსურნელოვანი ბოლქვი (Клушен) მალამოს დასამზადებლად გამოიყენებოდა“ თითქოს მედეას დროს, და ამიტომაც შემორჩა ქართული სახელწოდების ერთ-ერთ სინონიმად.

8. VERBENA SUPINA—(კიპორონი) *Verbena*, ქართული ბოტანიკური ლექსიკონის მიხედვით მის ერთ სახეობას ვერბენა ჰქვია, არსებობს კიდევ *verbena officinalis* L (вербена аптечная), ცოცხანა ანუ ცოცხოზა, მათი სინონიმებია: იმერეთში — შავი ცოცხი, სამაჭრია; კახეთსა და რაჭაში — ცოცხმაგარი; ქიზიყში — ჩადი; ლეჩხუმში — მოზვრიკუდი; გურიაში — ცოცხა-ცოცხა, ცახა-ცახა; ინგილოში — კარაზანა, სამეგრელოში მაქოსალაია, მაწკინტია, ჩე ოქოსალე. იგი მრავალწლიანი ბალახია, იზრდება ნესტიან ადგილებში, ყვავილობს ივლის-აგვისტოში. ვერბენის ყველა ნაწილი შეიცავს შხამიან ნივთიერებას — ვერბენალინს. წინათ მისგან

დამზადებული წამალი ითვლებოდა უნივერსალურ საშუალებად ყველა დაავადებათა მიმართ, განსაკუთრებით საერთო სისუსტის, თავის ტკივილისა და ციების შემთხვევაში. ხალხურ მედიცინაში იგი იხმარებოდა აგრეთვე ბლერისა და საბავშვო დისტროფიების დროს [ბანდნენ მის გამონახარში]. ძველ კოლხეთში მას იყენებდნენ ამულეტებისათვის, როგორც დაავადებათაგან დამცველ წმინდა მცენარეს. აღსანიშნავია, რომ საბერძნეთში იგი ბოლო დრომდე ითვლებოდა ბედნიერების მომტან „წმინდა მცენარედ“.

9. ANEMONA CORONARIA (ანემონი) *Anemona fascicularis* L.—ფრინტა—(Ветреница пучковатая), საერთოდ ცნობილია ანემონას მრავალი სახეობა, ყველა მათგანი უძველესი დროიდან იხმარებოდა როგორც ხალხურ, ასევე მეცნიერულ მედიცინაში, მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ძლიერი შხამის შემცველია. მცენარის ფოთლებს ნარკოტიკული თვისებები აქვს. ხალხურ მედიცინაში იყენებენ როგორც ოფლმდენ საშუალებას: თირკმლებისა და ფილტვების მოქმედების გამაძლიერებელს. იხმარება დამბლების, კუჭის ტკივილის, მენსტრუაციის მოშლის, პოდაგრის, წყალმანკის, ყვიანახველის, ასთმის, რაქიტის და სხვა დროს. ის შეიცავს კამფორას — ანემონოლს, რომლის დაშლის შემდეგ მიიღება ანემონინი. ანემონინი ფხვნილია და ითვლება ტკივილდამაღწეველ, ანტისპაზმატურ საშუალებად. ანემონას სამკურნალო მოქმედების მრავალფეროვნების გამო, წერს ალბათ კ. შპრენგელი, მედებს ბალის მცენარეების განხილვისას, რომ ანემონეს „სამკურნალო ძალას დიოსკორიდე აღიღებდა“.

10. SALVIA HOVMINUM (—ჰორმონინი) ამჟამად საქართველოში ცნობილია *Salvia* —სალბი (Шалфей) და მისი სხვადასხვა სახეც: ბამბიჭულა (*S. Althiopis* L.). ჯავახეთში მას ეძახიან ბამბაჭულას, რუსული სახელწოდებაა—Медвежье ухо, ключ-трава, შალამანდილი *S. Glutinosa* —Шалфей железистый. მისი კუთხური სინონიმებია: წებოვანა (ქართლი), თაფლანა (ფშავი), ქურჩუმელა (იმერეთი, გურია), ფურჩუმელა (აქარა), ფორჩუმალე (ჭანური), ფურჩუმალე, ქურჩანია (სამეგრელო), ფიონცხვილ (სვანეთი), ტყის წებოვანა (ნ. კეცხოველი); სამკურნალო სალბი — *S. officinalis* L. Шалфей лекарственный; ხარისთვალა — *Sclarea* L. —Шалфей мускатный. ბალის სალბი — *S. splendens* L. Шалфей блестящий, шалфей ярко-красный; დაჯირა — *S. Vertici llata* L. Шалфей мутовчатый.

მას ქართლში შავბალახას ეძახიან, კახეთში — დაჯორას, ხეც-

ში — თაჯაის, ერწოში — ტაჯირას, მთიულეთში — ნეხებალახას, რაქაში — ყვანჩალას, ლეჩხუმში — პურშოს, პურშუეს, სვანეთში — პიშვ-ის, სალბის ფოთლებს უძველესი დროიდან იყენებენ. იგი ყველაზე პოპულარული სამკურნალო მცენარეა, რომლის სამკურნალო თვისებებს ძველი ბერძენი პოეტები ლექსებს მიუძღვნინდნენ. ხალხურ მედიცინაში მას დღემდე იყენებენ ნახარშის (ჩაის) სახით გაცივების საწინააღმდეგოდ. პირში გამოსავლებად: ანგინის, ტონზილიტების, სტომატიტებისა და სხვა დროს. მედეას ბალის მცენარეთა განხილვისას მასზე სწერენ, რომ იგი „ღვინოსთან ერთად იხმარებოდა გაბრუებისა და დაძინების მიზნით“.

11. SISIMBRIUM POLICERATUM—(ირისიმონი) *S. irio* და *s. loeselli* l. — Гулявник — TUM—გონგოლა მას ქართლსა, ჯავახეთსა და მესხეთში ეძახიან — ბარბარუკას, ხევში — სამახაის, საცოცხაის, მესხეთში — ცოცხას. ცნობილია აგრეთვე მისი სამკურნალო სახეობები: ღორღორას — სახელწოდებით *S. officinalis* l. Scop. — Гулявник Лекарственный და Жеруха Лекарственая. იგი მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. იზრდება ჭაობებისა და მდინარეების ნაპირებზე. ის შეიცავს ფენილეთილის ზეთს, ფიკოლები მდიდარია ცვიტამინითა და იოდით. კარგ დიეტურ საშუალებად ითვლება სალათის სახით. გამოიყენება სისხლნაკლებობის, სურავანდისა და სხვ. დროს *Sisimbrium policeratum*-ზე კი, რომელიც თითქოს მედეას ბაღში ხარობდა, ნათქვამია, რომ „გამოიყენებოდა, როგორც ანტიშხამი...“.

12. LAVANDULA STOECHAS — (სტექასი — *lavandula* Лаванда ლავანდი — უმთავრესად, ამჟამად, საქართველოში გავრცელებულია *L. spica* D. C.; *L. Vera* D. C. იგივე—*lavanda officinalis* chaix. იგი მრავალწლიანი სურნელოვანი მცენარეა — ყვავილობს ივნის-აგვისტოში. მისი ყვავილებისგან მზადდება მაღალხარისხოვანი ეთეროვანი ზეთი, რომელიც იხმარება საპარფიუმერო წარმოებაში. ზეთი შედგება ლინალილაცეტატისა და თავისუფალი ლინალოიდისგან. იგი ამჟამადაც გამოიყენება აგრეთვე მედიცინაშიც როგორც ანტისეპტიკური საშუალება — სპირტის სახით (*spiritus lavandulae*), შპრენგელის ცნობით, იგი კოლხეთში „გამოიყენებოდა, როგორც კარგი შხამსაწინააღმდეგო საშუალება“.

13. CYCLAMEN (—ციკლამოსი) ყოჩივარდა (Урявка, альпийская фиалка (საქართველოში გავრცელებულია ყოჩივარდას სხვადასხვა სახე: ევროპული ყოჩივარდა (C. europaeum-цикламен европейский), სპარსული ყოჩივარდა (C. Persicum Mill. U. Персидский), და ქართული ყოჩივარდა (C. Vernum sm. ანუ Cyc. Ibericum—stev.—дряква უჩლ. Грузинская). ცნობილია მისი მრავალი კუთხური სინონიმი: რაჭა-ლეჩხუმში — კოჩიოტა, კაწალიკუწალა (მის ყვავილებს ეძახიან მხოლოდ); ზემო იმერეთში — ქორჩიოტა, ქორჩოტა, ქოჩიოტა, კორჩიოტა, კორიატა; ქვემო იმერეთში — გურიაში — კვარაკუნჩხა; აჭარაში — ყიყვის წამალი; ქანურად — კვარშილი, ქაცრა; სამეგრელოში — კარაკუნჩხა, ტყვარჩელია, ტკვარჩელია. აღსანიშნავია, რომ კოლხეთში აქემად: გავრცელებულია სულ 7 სახეობის ყოჩივარდა. ამათ შორის 5 კოლხეთის ენდემია და იგი სხვაგან არსად არ გვხვდება. მრავალწლიანი ბალახია. ყვავილობს სხვადასხვა დროს. სახეობათა უმრავლესობა კი — თებერვალ-მარტში; ნაყოფს იძლევა მაის-ივნისში. კარგი დეკორატიული მცენარეა. ციკლამენის ყველა სახეობა—შხამიან ნივთიერებას შეიცავს, მის ნაყოფში შედის საპონინი ციკლამონი (C₅₆H₉₆O₂₉) და გლუკოზიდი საპონინი, ციკლამირეტინი (C₂₈H₄₆O₄). ისინი იშვიათი შხამების რიცხვს მიეკუთვნებიან, რომლებიც სხვადასხვა ცხოველზე სხვადასხვანაირად მოქმედებენ. დიდი გამოყენება აქვს ხალხურ მედიცინაში. მის ნაყოფს იყენებენ რევმატიზმის, პოდაგრის, თავის ტკივილის, ქალურ და მრ. სხვა დაავადებათა დროს. მედეას ბალის მცენარეთა მიმოხილვისას კ. შპრენგელი წერს, რომ ციკლამენი „ცნობილი იყო, როგორც საშუალება ავიძალის წინააღმდეგ, აგრეთვე გამოიყენებოდა აბორტისა და დათრობისათვის“.

14. HEDERAE FOLIUM AIT.—(კატერნესი) Heaera, ხურო—плющ, საქართველოში ცნობილია მისი შემდეგი სახეები: კავკასიური ხურო—(H. caucasigena rojark.—плющ кавказский), კანადური ხურო—(Menispermum canadens l.—Плющ канадский), კოლხური ხურო—(H. Colchica C. Koch—Плющ колхидский), კახეთში მას ფათალოს ეძახიან, გურიაში — ტრედის სუროს. ჩვეულებრივი ხურო — (H. helix l. —плющ (быкновенный) აგრეთვე წყლის სურო, ცვილის სურო. მარადმწვანე ხვიარა მცენარეა, იზრდება 30 მეტრი, ყვავილობს აგვისტო-სექტემბერში. ნაყოფი ჯერ მწვანეა, შემდეგ შავდება. ფოთლები შეიცავს გლუკოზიდებს: საპონინს, გე-

დერინინოზიტს, კაროტინს. ხალხურ მედიცინაში იყენებენ ფოთლებს, ლორწოვანი გარსის ქრონიკული კატარის, ტუბერკულოზის, რახიტის დროს. აგრეთვე სიდამწვრეებისა და დაჩირქებული ქროლობების დროს ციკლამენტან ერთად, იგი „ცნობილი იყო როგორც საშუალება ავი ძალის წინააღმდეგ, აგრეთვე გამოიყენებოდა აბორტის და დათრობისათვის“.

15. PAEONIA OFFICINALIS (—პეონია) იორდასალამი (ПЕОН. ПИОН) — ცნობილია აგრეთვე მისი სახეობებიც: აფხაზური იორდასალამი (P. Abchasica Musch. — ПЕОН аихазский) და ველის იორდასალამი ანუ ლალა (P. tennifolia L. — ПЕОН узколистный). კავკასიურ იორდასალამს (P. Caucasica) ქართლის იორდასალამს (P. Carthalinica) სულ 45 სახეობას არჩევენ, Peon. Officinalis — მრავალწლიანი ბალახია — ყვავილობს მაისში. P. officin-ყვავილები და ძირები ხალხურ მედიცინაში იხმარებოდა ეპილეფსიის სამკურნალოდ. ხოლო მარტო ძირები პოდაგრის, რევმატიზმის, ხველების და კუჭ-ნაწლავის დაავადებათა წინააღმდეგ. ქიმიურად და ფარმაკოლოგიურად ეს მცენარეები ჯერ კიდევ სრულყოფილად არაა შესწავლილი. მედეას ბალის მცენარეთა მიმომხილველი მასზედ სწერს, რომ იგი „ძირითადად ქალთა დაავადებების სამკურნალოდ“ გამოიყენებოდაო.

16. MENTHÄ CERVINA — პიტნა — Mentha — Мята, საქართველოში პიტნის მრავალი სახეობა არსებობს: ტენცო, ანუ წულის პიტნა (Mentha aquatica-l. — водяная мята) სამეგრელოში ეძახიან ღეჯიში ევალმითას, სვანეთში — მინთოორ; მინთჲ; ტყის პიტნა — (Mentha longifolia L.) კახეთში მას ეძახიან პიტნურას, ქართლში — ცხენის პიტნას, ზემო იმერეთში — ვირიპიტნას, ქვემო იმერეთში — ცხენიპიტნას, აჭარაში — ტენცოს, სამეგრელოში — მვალმითა, ევალმინთა, სვანეთში — მინთვ, მიმთჲ, ტყწრმინთვ. ბალის პიტნა — (M. Piperixa L. Мята перечная) — მეგრულად — პიტინე. ომბალო — Mentha Pulegium L. Мята блошная, луговая გურიაში ეძახიან — უმბალოს, სამეგრელოში — ომბალეს, ომბალოს. საყოველთაოდ ცნობილი მცენარეა. იგი მდიდარია ეთეროვანი პიტნის ზეთით (эфирное мятное масло). ამ ზეთის ძირითადი შემადგენელია მენტოლი (C₁₀H₂₀O), გამოიყენება პიტნის ფოთლები, პიტნის ზეთი და მენტოლი. პიტნის ფოთოლი — იხმარება როგორც კუჭ-ნაწლავის ტკივილის დამყუჩებელი — გამონახარშისა და ნაყენების

სახით. ცნობილია „პიტნის წვეთები“ და სხვ. პ ი ტ ნ ი ს ზ ე თ ი — იხმარება საკონდიტრო და საპარფიუმერიო წარმოებებში (კბილის ფხვნილისა და პასტების სახით). ფართოდ გამოიყენება მედიცინაში მენტოლის ფხვნილის, მენტოლის ვაზელინის და სხვა სახით. მის გამოყენებაზე მედეას ბალის მცენარეების აღმწერი მეტად ძუნწ ცნობას იძლევა „ღერო და ფოთლები გამოიყენებოდა კრილობების სამკურნალოდ“.

მეტად საინტერესოა და საოცარ სურათს იძლევა პიტნის, ამ საყოველთაოდ გავრცელებული, ლათინური სახელწოდების *Mentha*-ს, ეტიმოლოგიური დაკვირვებები. ჯერ კიდევ 1966 წელს სევანეთის ხალხური მედიცინის შემსწავლელი ექსპედიციის ჩანაწერებში პიტნის აღმნიშვნელად ფიქსირებულმა სევანურმა: მინთვ, მინთჷ, მინთო-ორმა მიიქცია ჩვენი ყურადღება ლათინური *Mentha*-ს ეტიმოლოგიაში, სადაც სევანურ მინთჷ-სა და მეგრულ ცვალმინთას გარკვეულ როლს ვაკუთვნებდით. ვეყრდნობოდით რა მათ ფონეტიკურ მსგავსებას, ნაკლებ დამაჯერებლად მიგვაჩნდა სევანურში ამ სახელწოდების ლათინურიდან ან ბერძნულიდან მწიგნობრული გზით დამკვიდრება, რადგან მწიგნობრული გზით ეს ტერმინი უმაღლესი საქართველოს ცენტრალურ, ბარის რაიონებში დამკვიდრდებოდა (რომელსაც უშუალო ლიტერატურულ-კულტურული კონტაქტები ჰქონდა ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან), ვიდრე მთის, შედარებით იზოლირებულ სევანეთში.

ამჟამად, როდესაც მედეას ბალის ბინადარ მცენარეთა შორის *Mentha* საგანგებო დაკვირვების საკითხად იქცა, ახალი ასპექტები, ახალი მოულოდნელი მოტივები გამოისახა.

ამ სიტყვის ლათინურში მოხვედრა, რასაკვირველია, უფრო ბერძნულის გზით იყო მოსალოდნელი და აი, თუ ლათინურში მხოლოდ ფონეტიკური მსგავსებაა (*Mentha*—სევან. მინთჷ, მეგრ. მინთა) ბერძნულში თურქე სრული ფონეტიკური იდენტურობაა *μίνθισ*. მინთ-ოს — სევან. მინთ-ჷ მეგრ. მინთ-ა), რაც უდავოს ხდის მათ ეტიმოლოგიურ ურთიერთკავშირს.

მაგრამ ბერძნულ-რომაულში ამ სიტყვის სწორედ კოლხური წარმომავლობა იქნებ მაინც საკმაოდ არ მიეჩნია ზოგს, რომ კიდევ ახალი უტყუარი მოტივები არ გამოჩენილიყო: პიტნის ზოგიერთ სახეს მეგრულად განსხვავებული სახელები აქვს, მაგ.:

წყლის პიტნას (*Mentha aquatica* L.) მეგრულად ჰქვია ღეჯიშუვალმინთა (ე. ი. ღორის პიტნა), სევანურად იგივე მინთოორ მინთჷ.

მობიტნაოს (*Calamintha clinopodium benth*) მეგრულად ტყარი ევალმინთა (ე. ი. ტყის პიტნა), ამგვარად მეგრულში პიტნის ზოგადი სახელწოდებაა ევალმინთა, რაც პირდაპირი თარგმანით ნიშნავს ყველის პიტნას (წვალი-ყველი). საყოველთაოდ ცნობილია მეგრული პიტნიანი ყველი, რომელიც ეროვნულ კერძთა შორის მეტად გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში.

პიტნის—ევალმინთას ცალკეულმა სახეებმაც კი: ტყარი (ტყის) ევალმინთამ, ლეჯის (ღორის) ევალმინთამ, მთის პიტნასთან ერთად, როგორც სჩანს, ლათინურში პირდაპირ მიიღო შესაბამისად შემდეგი სახელწოდებები: *Calamintha clinopodium benth*; *Calamintha grandiflora* (L.); და *Mentha aquatica* L.

ბერძნულში კატაპიტნას შემორჩენია კალამინთას სახელი—*Καλαμι* — (კალამინთე) — *Καλαμιντ, κοσμάχια μιντα* (*Nepeta cataria* L.).

როგორც ვთქვით სიტყვა ევალმინთას სახით ჩვენ გვაქვს კომპოზიტი ყველისა და პიტნისაგან — ყველპიტნა, ანუ ევალისა და მინთისაგან ნაწარმოები — ევალმინთა, ვფიქრობთ, ბერძნული *μινθის* და *καλαμινθ* ლათინური *Mentha* და *Calaminthe* მხოლოდ და მხოლოდ ტრანსკრიპციული სახეობებია კოლხური მინთა, ევალმინთასი. კომპოზიტში *Cala*-ს არსებობა, რაც უსათუოდ ევალის ტრანსკრიპციაა, უტყუარად მიუთითებს ამ სიტყვა-სახელების კოლხურ წარმომავლობაზე, რადგან ევალი არც ლათინურ და არც ბერძნულ ენაში არაა ყველის აღმნიშვნელი სიტყვა, იგი მხოლოდ მეგრულშია.

ამგვარად, საქმე გვაქვს არა მარტო ფონეტიკურ და სემანტიკურ დამთხვევასთან, არამედ სიტყვის ერთი ენიდან მეორე ენაში გადასვლის აშკარა ფაქტის დადგენასთან, მისი კოლხური წარმომავლობის აუცილებლობასთან ლათინურსა და ბერძნულში.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ბერძნული ლექსიკონი მინთოს-ისა (*μινθოს*) და კალამინთეს (*καλαμινθ*) წყაროებად უძველეს ბერძენ ავტორებს: პლუტარქეს, არისტოფანესსა და არისტოტელეს იმოწმებს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მცენარეთა ეს სახეები უძველესი დროიდან არიან შესულნი ბერძნულ ლექსიკაში.

ამგვარად, მედეას ბალის ბინადარი მცენარე *Mentha* და მისი სახეობები: *Calamintha grandiflora* (L); *Calamintha clinopodium benth*. და *mentha aquatica* L. ბერძნულ-რომაული სამყაროსათვის ცნობილია კოლხური სახელწოდებებით, რაც შესაძლებელს ხდის ვი-

ფიქროთ თვით ამ მცენარის კოლხეთიდან გავრცელებაზე საბერძნეთსა და რომში და არაა გამორიცხული, რომ ამ გავრცელების პირველადი წყარო თქმულება მედეაზე და თვით მედეას ბალი იყოს.

17. **ORIGANUM DIOTAMNUS**—საქართველოში ამჟამადაც გავრცელებულია *Orig. maiorana t.* (მაიორანი) — (Мапоран) და თავშავა (*Orig. vulgare l.* душица, душлянка). მისი სინონიმებია ქართლში — შავბალახა, ხევში — ოსური ჩაი, ლეჩხუმში — თავყვავილა; მესხეთში — ლეილალა, მარნიჭი, მარმიჭი, ზემორაქა — ჩაის პიტნა; აჭარაში — ისახენი, ჩაითი, იგი მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ყვავილობს ივლის-აგვისტოში. იხმარება ხალხურ მედიცინაში კუჭის დაავადებათა სამკურნალოდ. როგორც ტონუსის ამწევი და კატარის საწინააღმდეგო საშუალება. ის შეიცავს ძლიერ სურნელოვან ეთერის ზეთს, რომელშიც შედის ტერპინენი და ტერპინეოლი. სჩანს, ამ მცენარეზე თუ მის სხვა სახეობაზე (*or. dictamnus* — რომელიც ჩვენთვის ხელმისაწვდომ თანამედროვე ლიტერატურაში არაა აღწერილი), მეტად დიდი წარმოდგენა ჰქონიათ იმ დროს. „ორფიკულ არგონავტიკაში“ წერია, რომ იგი მედეას დროს „მშრალი ტეხადი სახით“ გამოიყენებოდა გველისა და სხვა შხამიანი ცხოველების ნაკბენის წინააღმდეგ (ძირითადი საშუალებები იყო) ძალა ამათი იმდენად დიდი იყო, რომ სხეულზე ჩამოკიდებულნი ისინი აძინებდნენ შხამიან ცხოველებს“.

18. **LEPIDIUM SATIVUM**—*L. Sativum L.*—**წიწმატი** (кпещ-салаг) — გურიაში ეძახიან — წიწმარიტას, ჭანურად — ცხუკუბერის, სამეგრელოში — წიწმარტეს, გავრცელებულია აგრეთვე **წიწმატელა**—(*lepidium Campestre l.*) *B. br.* — **клоповник полевой**) კ. შპრენგელის მიხედვით, თითქოს მედეას დროს გამოიყენებოდა „შხამიანი კიების წინააღმდეგ“.

19. **CROCYS** — ვფიქრობთ უნდა იყოს — *crocus sativus L.* — **ნამდვილი შაფრანა** (Шафран) ან **სოსანი**, **შაფრანა** — (*Crocus speciosus M. b.* — (Шафран) великолепный, რომელსაც ჯავახეთში — მამლისთვალას ეძახიან. იგი სურნელოვანი მცენარეა და გამოიყენება გემო-კვების წარმოებაში, როგორც სამკურნალო საშუალება. ფართოდ გამოიყენებოდა წინათ როგორც ტკივილდამაყუჩებელი საშუალება. იგი შეიცავს გლუკოზის 1% ეთერის ზეთს, ორ გლუკოზიდს: კროცინს და პიკროკროცინს და სხვ. „ორფიკული

არგონავტიკის“ მიხედვით, მედეას დროს თითქოს იგი გამოიყენებოდა „ქალთა დაავადებების სამკურნალოდ“.

20. TAXUS BACCATA L. Тисс, нечлной дерево—ურთხელი გავრცელებულია საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. მისი ხალხური სახელწოდებებია: კახეთსა, ფშავსა და ხევსურეთში — უთხოვარი, რაჭა-ლეჩხუმში, იმერეთში, გურიაში — ურთხმელა, ურთხველა, აჭარაში — მადა, ურთხმელა, სატილია, ქართლი — ურთხმელი, სამეგრელო — ურთხელი, სვანეთი — ურთხელ, შაირა. შედის ურთხლისებურთა ოჯახში (Taxaceae), იგი სიმაღლით 20 მეტრამდე იზრდება, მთის ტყიან სარტყელში ზღვის დონიდან 1700 მეტრამდე. ცალკეული ხეების სახით, გავრცელებულია მთელს დასავლეთ საქართველოსა და ქართლ-კახეთში. აფხაზეთსა და აჭარაში გავრცელებულია აგრეთვე მისი ენდემური სახე — Var. Caucasica Fom. მისი მერქანი ძვირფასი საავეჯო მასალაა. მისი ფოთოლი კი შეიცავს სასიკვდილო შხამს — ალკალოიდ ტაქსინს და ეთეროვან ზეთს. „ორფიკული არგონავტიკის“ მიხედვით მედეას მიერ იგი გამოიყენებოდა „როგორც შხამის საწინააღმდეგო საშუალებად“.

21. PHASEOLUS VULGARIS — phas. vulgaris L. sav. фасоль обыкновенная — ჩვეულებრივი ლობიო. გარდა ამისა, ამჟამად საქართველოში ლობიოს შემდეგი სახეებია გავრცელებული: საკადრისა (Phas. angularis Nigt — фасоль угловатая), მაშა-ლობიო (Phas. aureus Boxb. pip.) маш ბრინჯა — ლობიო (Phas. Calcaratus boxb — фасоль рисовая), აღსლობიო — (Phas. Cocineus L. фасоль огненнокрасная) ლიმური ლობიო — (Phas. Lunatus L. — фасоль Лимская). არსებობს მრავალი კუთხური სახეები—სინონიმები. წინათ გამშრალ და ფხვნილად ქცეულ ლობიოს ხმარობდნენ წითელი ქარის სამკურნალოდ (აყრიდნენ). ფარმაკოლოგიური და კლინიკური გამოკვლევებით ლობიოს პარკის გამონახარში და ექსტრაქტები კარგ შედეგს იძლევა შაქრიანი დიაბეტის დროს, იგი 30—40% -ით დასწევს ხოლმე სისხლში შაქრის რაოდენობას. ქართულ ხალხურ მედიცინაში ლობიოს ლებანს აკრავენ ცოფიანის ნაკბენზე, მიაჩნიათ ცოფის შხამის საწინააღმდეგო საშუალებად. „მედეას ბალში“ მოშენებული იყო როგორც „შხამსაწინააღმდეგო საშუალება“.

22. Smilax aspera — smilax excelsa L. — ეკალიქი (Павий) ქართლში ეძახიან პრუწუნას, კახეთში—კანკრას, ღიჭს, ფშავში—ღიჭას, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში—ეკალას, ბურწუმელას, ... გურიაში—

ძიგურას, კურკანტელას, სამეგრელოში — ძევირი, კალია, კალეში ძევირი და სხვ. „მთელ სახელმწიფოში გამოიყენებოდა, როგორც გველის ნაკბენის საწინააღმდეგო და შხამ-საწინააღმდეგო საშუალება“ — შენიშნავს „ორფიკული არგონავტიკის“ ავტორი.

23. ANTHEMIS NOBILIS — Anthemis (Ромашка Рижская) გავრცელებულია მისი სხვა სახეებით: — ირაგა (пупавка) უანის ირაგა — (Anth. Alltissima l. — пуповка высокая) კამანია Anth. Cotula l. — Ромашка Собачья, пупавка вонючая). ქვ. იმერეთში ეძახიან მას ანაგრულას, კამა-კამას, გურიაში — ძალქინძაის, ქამენიას, სამეგრელოში — ქამანია, ქამენიას. იმერული ირაგა Anthemis Woronowi D Sosn. — пупавка Воронова) — რაჭაში ეძახიან — კაკიას გურიაში — კაკირი, იმერეთში — ნინასტარა, ლეჩხუმში — მინასტარე, — წარმოადგენს მრავალწლიან ბალახს, ყვავილობს ივლის-აგვისტოში. სამკურნალოდ გამოიყენება ძალიან ფართოდ მისი გამო-ნახარში პირში გამოსავლებად, ოყნების, აბაზანების, ტლევების და სხვა სახით, შინაგან საშუალებად, როგორც შემკვრელი, ოფლმდენი, აღმგზნები საშუალება, ის შეიცავს 0,5% ეთეროვან ზეთს. ამ ზეთის შემადგენლობაში შედის ტერპენი, აზულენი, იზოვალერიანის სიმ-ქავე და სხვა.

24. PYRETRUM PARTHENIUM — Pyretrum — გვირილა (Ромашка) საქართველოში ამჟამადაც ცნობილია გვირილის მრავალი სახეები, მათ შორის: წითელი გვირილა — Pyretrum roseum M. b. (Ромашка кавказск.) მრავალი კუთხური სახელწოდებებით: დალ-მატური გვირილა (Pyr. Cinerariifolium Trev. — Ромашка долма-тская), სამტატა (Pyr. macrophyllum Willd. — Ромашка круп-нолистная) — საჭარა — (Pyr. Parthenifolium Wild. — Ром. Гваю-лолистная იგივე ბეგოურა (იმერეთი) ასფურცელა — Pyretrum Vulgare (l.) Boiss. (Полевая рябина) და სხვ. ამათ შორის მედეას ბალის ბინადარი უნდა იყოს საჭარა ან კავკასიური გვირი-ლა, რომლისგანაც მზადდება პირეტრინი, ხალხურ მედიცინაში იხმარებოდა ისევე, როგორც ზემოხსენებული Anthemis nobilis.

25. MATRICARIA CHAMOMILAE. სამკურნალო მატრიკარია, სამკურნალო გვირილა, ბაბუნა — (Ромашка аптечная, Р. Лекар-ственная) იგივეა, რაც — Anthemis nobilis — (იხ). „მედეას ბალის“ მცენარეთა მიმომხილველი ამბობს გვირილების სამივე სახეობაზე (Anth. Nobilis, Pyretrum parthnium, Matricaria chamomilae:

„მათი სამკურნალო მოქმედება ცნობილია“, სჩანს იმ დროსაც გვირილის სხვადასხვა სახეები, როგორც სამკურნალო საშუალებები, ფართოდ გამოიყენებოდა და მეტად პოპულარული ყოფილა.

26. *GLAUCIUM LUTEUM SM.* ამჟამად ცნობილია საქართველოში — *Gl. Corniculatum (L.) Curt.* ყაყაჩურა (ყачек) და *Gl. Luteum (flavum)*. ერთი, ორი, ან მრავალწლიანი მცენარეა. ყვავილობს მაის-ივნისში, გამოიყენება სამკურნალოდ მისი ფოთლები, ნაყოფი და თესლი. შეიცავს გლაუციტინს, პროტოპინს და სხვა ალკალოიდებს იზოქინოლინების ჯგუფიდან. გლაუციტინს იყენებენ ხველების დასაწყნარებლად და სულის ხუთვის საწინააღმდეგოდ.

27. *MALVA TOURNE FORTIANA* ამჟამად საქართველოში ცნობილია მალვის შემდეგი სახეები: *Malva (Мальва, зинзибер)* *Malva silvestris L.* და *Malva neglecta Wall.* ცნობილია მისი კუთხური სახელწოდებები: ქართლში — ჩიტაპურა, მესხეთ-ჯავახეთში — კორკოტინა, ხევსურეთში — აბაჯა, ხევში — კორკოტაი, ქვემო იმერეთში — დონგის მხალი; რაჭაში — მალოქა ფხალი; რაჭა-ლეჩხუმსა და იმერეთ-გურიაში — ბოლოქი, მოლოქა, მალოქი; სამეგრელოში — ბოდორია, ბოდერია; სვანეთში — მოლუქ, მილიქ.

ბალახოვანი მცენარეა, ერთი-ორი და მრავალწლიანიც, მას აწებენ როგორც სამკურნალო, საკვებ, ასევე დეკორატიულ მცენარედ. სამკურნალოდ გამოიყენება მისი როგორც ყვავილები, ასევე ფოთლები. მისი ქიმიური შედგენილობაა: მალვინის გლუკოზიდი ($C_{29}H_{43}O_{17}$) და მალვიდინის დილოკოზიდი ($C_{17}H_{23}O_7$), ხალხურ მედიცინაში ახლაც გამოიყენება ყვავილებისა და ფოთლების ნაყენი, როგორც გაციფების, საჭმლის მომნელებელი სისტემის, ანთებითი პროცესის, შეკრულობის და სხვა დაავადებათა სამკურნალოდ. გარეგანად: ბუასილის, სიღამწვრის, კანის დაავადებათა დროს. ის იხმარება აგრეთვე საკვებად, როგორც სალათა.

28. *FERULA OPOPANAX* ამჟამად მისი ორი სახეა გავრცელებული, საკვინაჭი — *Fer. Assafoetida L.* და ქალბანა — *F. galbaniflua boiss.* (ферула Табачночная) საერთოდ *Ferula*-ს ოჯახიდან აღსანიშნავია: *F. Sumbul (Сумбул)* და *Fer. Assafoetida L.* (ферула вонючая), ორივე მცენარე ხალხურ მედიცინაში იხმარება ნევრასთენიის, ასთმის, ისტერიის და სხვა ნერვულ დაავადებათა დროს.

29. *PASTINACA LUCIDA* — საქართველოში ცნობილია — *Pastinaca sativa L.* (Пастернак) ძირითედა. კუთხური სახელწოდ-

დებებია: იმერეთ-ლეჩხუმში და გურიაში—რუსული ნიახური; რაჭაში — ისპი, ისპანი, სპანი, დიდი ნიახური, სამეგრელოში — რუსული სონა.

ერთი ან ორწლიანი მცენარეა, ყვავილობს ზაფხულში, სამკურნალოდ იყენებენ მის ღეროს, ფოთლებს, აგრეთვე ძირსა და ნაყოფს. ნაყოფი შეიცავს 1,5—3,6% ეთერის ზეთს, ფუროკუმარინს და გლიცერიდებს. ხმარობენ მის გამონახარშს როგორც ძალის მომგვრელ საშუალებას და საჭმლის მომნელებელი სისტემის ფუნქციის დაქვეითების დროს, როგორც სპაზმოლიტურ საშუალებას, აგრეთვე როგორც შარდმდენ საშუალებას თირკმლების კენჭოვანი დაავადების დროს.

30. ECHINOPHORA TEHUIFOLIA ეკუთვნის ქოლგოსანთა ოჯახს — umbelliferae, მონაცრისფრო — მწვანე მცენარეა, ხშირი მოკლე გაფარჩხული ბეწვებით მოფენილი. ღერო 30—70 სმ სიმაღლისაა. იზრდება მშრალ ლორღიან ფერდობებზე. გავრცელებულია მთელს საქართველოში, ძირითადად ქართლში. ამჟამად მისი მეცნიერულ თუ ხალხურ მედიცინაში გამოყენების შესახებ ცნობებს ვერ წვაწყდით ჩვენთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურაში.

31. VALERIANA TUBEROSA — Valeriana — კატაბალახა — (Валериана Лекарственная) გავრცელებულია საქართველოში მისი სხვადასხვა სახეობები: სამკურნალო კატაბალახა — Valer. officinalis. 1.

სასტიკიას სახელით ცნობილი — Valer. Tiliifolia N. Troitzky — რომლის კუთხური სახელწოდებებია: ლერწამა, ჭიბონა (აჭარა), „კვარკვან“ (სვანეთი) ერთ-ერთ სახეობას კოლხური ჰქვია — Valeriana Colchica utk, ყველა სახეობა სამკურნალოა, ყვავილობს ივნისივლისში. საყოველთაოდ ცნობილია უძველესი დროიდან მისი სამკურნალო თვისებები. გამოიყენება როგორც ნერვული სისტემის დამაწყნარებელი, სპაზმებისა და უძილობის საშუალება. მისი ფესვები (რომელსაც იყენებენ სამკურნალოდ) შეიცავს ვალერიანის ეთეროვან ზეთს, თავისუფალ ვალერიანის მჟავას, ძმრისა და ჭიანჭველის მჟავას.

32. STELLA — პირდაპირ ამ სახელწოდებით, სამკურნალო მცენარეთა შესახებ არსებულ ლიტერატურაში არაა ცნობილი რომელიმე მცენარე, უნდა იყოს stellaria ანუ stellaria Media (L) сур. — Звездочка — ჟუნჭრუკი — ქართლი, კახეთი — ჯუნჭრუკი, მოხევეურად — წვრ. მხალი, ჩიტისთვალი, ბაწვა, ბაწოწია, კინ-

კა, ურიკა. ხალხურ მედიცინაში გამოყენებულია, როგორც გულის მუშაობის გამაძლიერებელი საშუალება, თირკმლისა და ფილტვების დაავადებათა დროს.

33. MICROPUS ERECTUS — ჩვენთვის ხელმისაწვდომ ბოტანიკურ ლექსიკონებში ამ სახელწოდების მცენარე არ აღმოჩნდა.

34. CORALLINA — ეკუთვნის ზემოხსენებულ იორდასალამისებურთა ოჯახს (Paeoniaceae) და იორდასალამის გვარს (paeonia l.). კავკასიაში იზრდება ამ გვარის 12, ხოლო საქართველოში — 9 სახეობა, ამათგან 7 შეიძლება ენდემურ სახეობად ჩაითვალოს¹. მაგ. „კავკასიის წითელი იორდასალამა“ — *Paenonia Corallina Caucasica* Sch. დამოუკიდებელ სახეობად ითვლება, რომლისგანაც კიდევ ორ დამოუკიდებელ სახეობას გამოჰყოფენ: *Paenonia Corallina Reprechtiana* და *Paenonia Corallina lagodechiana*. მცენარე მაღალია, 50—100 სმ. სიმაღლის, დატოტვილი ფესვებით, მეწამული წითელი ყვავილით, ნაყოფი მოყვითალო-მონაცრისფროა. ამჟამად გავრცელებულია მთელ საქართველოში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს რაიონებში. გავრცელებულია აგრეთვე სახეობა *Paenonia Carthalinia Kezrch.* ცნობილია აფხაზეთის იორდასალამის ალამი, ქართლსა და ქიზიყში იორდასალამს ტყის ყაყაჩოს ეძახიან; კახეთში — გუგულისკაბას, ზემო რაჭაში — გუგულის, ქვემო რაჭაში — ყაყაჩოს. მედიცინაში გამოიყენება მისი ფესვები და ყვავილები. ფესვები — მკირე ღოზებში აძლიერებს საშვილოსნოს კედლის კუნთების ტონუსს, აძლიერებს მენსტრუაციას და შეუძლია გამოიწვიოს აბორტი; აძლიერებს ნაწლავთა პერისტალტიკას. ანტი-სპაზმატური საშუალებაა ყვიანახველისა და ასთმის დროს, ანელებს პოდაგრულ ტკივილებს და სხვ. აღსანიშნავია, რომ ევროპაშიც არის იგი გავრცელებული როგორც სამკურნალო პიონი (*Paenonia officinalis* L. (და თვლიან, რომ ის წარმოშობით „აღმოსავლეთ აზიიდან“ ანუ „სამხრეთ ევროპიდანაა“.

35. TEUCRJUM MONTANUM, ამჟამად საქართველოში ცნობილია — *Teucrium chamaedrus* l. (дубровник) ჭარელა. კახეთში მას ეძახიან მდივანას სურავანდის ბალახს; მესხეთში — ვარდიფერას; ყიზილარს; იმერეთში — ჭარელს; ქიზიყში — ჭრელოს, რაჭაში — მოპიტნაოს; მთიულეთში — სეცხის წამალს. მის მეორე სახეობას ეწოდება—კუტიბალახი *Teucrium Polium* L. (Сед-ник); კუთხური სახელწოდებებია: მესხეთის — მატაური, ჩიტისა-

¹ საქართველოს ფლორა, II, 1973, გვ. 9.

პონა; გარეკახეთში — ბარცმანდუკი, მოჭრილა. მრავალწლიანი მცენარეა, ყვავილობს ივლის-აგვისტოში, ხალხურ მედიცინაში გამოყენებულია როგორც სისხლდენის შემაჩერებელი და ბუასილის სამკურნალო საშუალება. მეცნიერულ მედიცინაში დამტკიცებულია მისი ძლიერი ანტიპარაზიტული (ასკარიდოზი) მოქმედება. თვით მისი სახელწოდება „სურავანდის ბალახი“ და „სიცხის წამალი“ მიუთითებს ხალხურ მედიცინაში მის გამოყენებაზე.

36. ACONITUM — აკონიტუმი, ტილჭირი. (Aconitum — ნოყი) — სუბტროპიკული მცენარეა, მის 60-მდე სახეობას არჩვენ, საქართველოში იზრდება 6 — სახეობა. მათ შორის ენდემური სახეებია: Ac. Caucasicum, Ac. tuscheticum, რომელიც გავრცელებულია მთა-თუშეთში. აკონიტუმის ყველა სახეობა დეკორატიულია. მცენარე ყველა ნაწილში (ფოთოლი, ძირი, ღერო და სხვ.) შეიცავს ძლიერ შხამიან ნივთიერებას აკონიტინს. თივაში შეყოლილი იგი წამლავს საქონელს. აკონიტუმი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, რადგან იგი, ჯერ ერთი, „ორფიკული არგონავტიკის“ მიხედვით, მედეას ბალის მცენარეა, მეორეც — მის „აღმოჩენას“ ბერძნული წყაროები მიაწერენ მედეას დედას ჰეკატეს, დ. სიცილიელი მასზე წერს, რომ „იგი (მედეას დედა — მ. შ.) დახლოვდა მომაკვდინებელი შხამების შედგენაში და აღმოაჩინა ეგრეთწოდებული აკონიტონი“. იგი ექსპერიმენტებს აწარმოებდა ადამიანებზე, „ყოველი შხამის ძალას სცდიდა იმით, რომ (შხამს) უზავებდა საკვებს, რაც უცხოელებს ეძლეოდათ“. ჰეკატემ წამლების კეთების ეს ხელოვნება თავის ქალიშვილებს ცირცეასა და მედეას ასწავლა. მათაც აღმოაჩინეს „ფესვების ნაირნაირი ბუნება და საოცარი ძალა“, მაგრამ ამ შხამიან მცენარეთა შორის საგანგებოდ დასახელებულია აკონიტი. აკონიტი მართლაც ძლიერმოქმედი მრავალწლიანი შხამიანი მცენარეა, მისი გავრცელების ერთ-ერთ კერად კავკასია ითვლება. იყენებდნენ მის ნაყოფს, ფოთლებს, ყვავილებს. მისი უმცირესი დოზები გამოიყენებოდა (ნაყენის სახით) გარეგან სახმარად, როგორც ტკივილდამაღმებელი საშუალება — ნევრალგიებისა და რევმატიზმების დროს. თუ მას მართლაც კოლხიდაში აღმოჩენილად ჩავთვლით, ჩანს მისი გამოყენება აქედან გავრცელებულა მთელს მსოფლიოში, რადგან ს. ი. ზემლინსკი წერს: „Еще в глубокой древности многочисленные виды аконита, распространены почти по всему Шару, были известны своей необыкновенной“

ядовитостью и применялись... народами для приготовления ядов¹.

აკონიტი მომწამვლელად მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, იწვევს კრუნჩხვებს და სუნთქვის ცენტრის დადამბლავენებას. ის იმდენად ძლიერ მოქმედია, რომ არა მარტო შიგნით მიღებით, არამედ მცენარესთან შეხებითაც კი შეიძლება განვითარდეს მოწამვლის ნიშნები. აღსანიშნავია ერთი გარემოება: არსებობს აკონიტის ერთი სახეობა — *Aconitum anthora* L. (Аконит противодный)². როგორც თვით სახელწოდება გვიჩვენებს, ეს აკონიტი შხამსაწინააღმდეგოა და ითვლება სწორედ თვით შხამიანი აკონიტის ანტაგონისტად და აქვს შხამსაწინააღმდეგო მოქმედება. წინათ ხალხურ მედიცინაში იგი გამოიყენებოდა როგორც მალარიისა და პელმინტოზების სამკურნალოდ, აგრეთვე — საერთოდ მოწამვლის დროს. გარკვევით არ სჩანს, მაგრამ შესაძლოა, რომ სიცილიელის ზემოხსენებულ ცნობაში ამ შხამსაწინააღმდეგო აკონიტის „აღმოჩენაზე“ იყოს ლაპარაკი და არა შხამის შემცველ აკონიტზე, ვინაიდან საერთოდ „აღმოსაჩენია“ შხამსაწინააღმდეგო საშუალება (მცენარე), ვიდრე თვით შხამიანი მცენარე, რომელიც თავისთავად ავლენს თავის შხამიან ბუნებას, თუმცა აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ თვით შხამებს, მათ ნაირსახეობებს ავლენდნენ, სწავლობდნენ და ამზადებდნენ მედეა, მისი დედა და და „ჯადოსნური მიზნებისათვის“, უცხოელთა მოსაწამლად, საჭიროების დროს შურისძიებისათვის და სხვა. აღსანიშნავია, რომ აკონიტუმი, როგორც შხამსაწინააღმდეგო საშუალება, შემდგომში მითრიდატე პონტოელის მიერ შეტანილ იქნა თავის მითრიდატიუმის შემადგენლობაში, მაგრამ იგი არა ჩანს, გალენის, ანდრომახოსის და სხვა ავტორთა მიერ მოწოდებულ ნაერთთა შემადგენლობაში, რაც ფაქტიურად მითრიდატიუმის ერთგვარ მოდიფიკაციებს წარმოადგენენ.

37. „ორფიკულ არგონავტიკაში“ ცალკეული მცენარეების ჩამოთვლის შემდეგ ავტორი დასძენს: „აქვეა მრავალი შხამიანი ბალახი“, მაგრამ ცალკ-ცალკე არ ასახელებს მათ.

სხვა ბერძნული წყაროების მიხედვით, ბალახთაგან, რომელსაც მედეა იყენებდა, ცნობილია „პრომეიმეს ბალახი“. აპ. როდოსე-

¹ С. Е. Землинский, Лекарственные растения СССР, Медгиз, 1958, стр. 59.

² იქვე, გვ. 345.

ლის „არგონავტიკაში“ მასზედ სწერია, რომ მედეამ „გაკრიალებული ყუთიდან ჯადოსნური წამალი ამოიღო, რომელიც, ამბობენ, პრემეთეს წამლად იწოდებო... ამ წამლის მცენარე პირველად აღმოცენდა ტანჯული პრომეთეს იმ ზრქული სისხლისაგან, რომელიც გაუმაძლარმა არწივმა კავკასიონის ფერდობებზე დაღვარა. ამ მცენარის ღერო ორ, თითო წყრთის ოდენა შტოდ იყოფა, რომლებზედაც ფერით კორიციოსის ზაფრანის მსგავსი ყვავილია გაშლილი. მიწაში გაშვებული ფესვი კი ახლად გაჭრილ ხორცსა ჰგავს, მისი წვენი მთაში ნაზარდი წიფლის, შავი სითხის ფერისაა“¹. ფსევდოპლუტრჩიკ ახსენებს „პრომეთეს ბალახს“, არგონავტებსა და მედეაზე მოთხრობის დროს: „На Кавказе растёт так называемая Прометеева трава: её как рассказывает Клеант, Медея собирала, растирала и употребляла“. აღსანიშნავია, რომ 1966 წელს სვანეთში ხალხური მედიცინისა და სამედიცინო ეთნოგრაფიის შემსწავლელმა სამეცნიერო ექსპედიციამ, რომელიც ვირსალაძის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქართული მედიცინის ისტორიის განყოფილებამ მოაწყო, ჩაიწერა ხალხურ სამკურნალო საშუალებათა შორის „ამირანული ბალახი“. მაგრამ ბალახი თავისი აღწერილობით არ ჰგავს აბ. როდოსელის მიერ აღწერილ „პრომეთეს ბალახს“. მაგრამ არსებობენ რიგი მოტივებისა, რომლებითაც შესაძლებელი ხდება „ამირანული ბალახის“ დაკავშირება „პრომეთეს ბალახთან“. მთავარი მაინც თვით „ამირანული ბალახის“ არსებობა სვანურ ფოლკლორში, სვანეთი კი — ამირანიანის ყველაზე უძველესი ვარიანტების შემნახველი კუთხეა².

38. COLCHICUM — საქართველოში ორი სახისაა გავრცელებული *Colchicum speciosum* stev. მისი ბოტანიკური სახელწოდებაა: უცუნა. (безвременник великолепный). ლეჩხუმში მას თავნიორას ეძახიან, გურიასა და აჭარაში — სათოვლიას. მეორე სახეა *Colchicum umbrosum* stev. ბოტანიკური ნომენკლატურით მისი ქართული სახელწოდებაა სათოვლია. გურიაში მას მეთოლიას ეძახიან; იმერეთში — მარტოყვავილს; რაჭაში — თოვლის მახარობელს, თოვლის დედას; სამეგრელოში — მათირიას, კარაკუჩხას. მისი ბოლქვები შეიცავს 0,2%, თესლი კი — 0,4—0,7%. ალკალოიდებს — ძირითადად კოლხიციინს. კოლხიციინი ძლიერი შხამია,

¹ აბ. როდოსელი, არგონავტიკა, ავ. ურუშაძის თარგმ., 1948, გვ. 136.

² მ. შენგელია, „ამირანული ბალახი“, გაზ. „სახალხო ჯანმრთელობა“ № 97—1969 წ.

იყენებენ რევმატიზმის, პოდაგრისა და ნევრალგიების წინააღმდეგ მცირე დოზით; მას იყენებენ აგრეთვე ჰომეოპათებიც. სამკურნალო და ტოქსიკურ დოზებს შორის მცირე დიაპაზონის გამო ძალიან შეზღუდულია მისი გამოყენება. Colchicum-ს ახსენებს დიოსკორიდი (ქვ. წ. აღრიცხ. I საუკ.). თავის წიგნში ის წერს: „Колхик“ один пазывают его падешкой, другие диким луком... Родится в паибольшем количестве в Месиии и Колхиде».

დიოსკორიდის განსაზღვრა „კოლხიკისა“ თანამედროვე ბოტანიკური ლიტერატურის მიხედვით, მთლად ზუსტი არ არის, იგი არაა „გარეული ხახვი“ (*Allium kynthicum vved*), თანამედროვე ნომენკლატურით, იგი ზემოხსენებული უცუნაა და სათოვლია, დიოსკორიდი გარკვევით არც იძლევა „კოლხიკუმის“ თავისეულ პირდაპირ განმარტებას, იგი ამბობს, რომ ერთნი მას თითქოს ეძახიან „Падешка“-ს, მეორენი კი „გარეულ ხახვს“. უნდა აღინიშნოს, რომ გარეული ხახვი—лук медвежий—იგივეა რაც Дикий чеснок. „კოლხიკუმის“ არაა თანამედროვე კლასიფიკაციაში, მაგრამ, ორივე ერთა ოჯახის *Iliaceae*-ს — წარმომადგენლები არიან. საინტერესოა, რომ დიოსკორიდი „კოლხიკუმის“ ერთგვარ სინონიმსაც აღნიშნავს „Падешка“-ს სახით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ „კოლხიკუმის“ შხამიანობის შესახებ იცოდნენ, რადგან ის იწვევდა ცხოველისა და ადამიანის მოწამელასა და „დავარდნას“, ამიტომაც შესაძლოა მისი სახელის, (Падешка“-ს) ეტიმოლოგიაც ამ თვისებიდან მიმდინარეობდეს.

39. *ARALEA PONTICA* — უნდა იყოს *Agalia*. ამჟამად საქართველოში ცნობილია ე. წ. ქაღალდის არალია. *Agalia papyrifera* Hook. (аралия бумажная). სამკურნალო მცენარეების შესახებ არსებულ ლიტერატურაში *Ar. pontica* არაა ნახსენები. ცნობილია მხოლოდ *Agalea gasemosa* L. იგი მრავალწლიანი ბალახია. გამოყენებულია ჰომეოპათიურ მედიცინაში ესენციის სახით, როგორც ხველების საწინააღმდეგო საშუალება.

აღსანიშნავია, არალეას სახელი „Pontica“, ე. ი. პონტოური, რაც შავი ზღვის სანაპიროებისათვის მისი ენდემურობის მაჩვენებელია.

40. *SOLANUM JENSENUM* — *Solanum*-ის ჯგუფში შედის პამიდორი, კარტოფილი, ბაღრიჯანი, სამკურნალო მცენარეებზე არსებულ ლიტერატურაში და ქართულ ბოტანიკურ ლექსიკონში *sol. insanum* არაა ნახსენები. ცნობილია მხოლოდ *Solanum dulcamara* L.

(ხებალახა და ხესურაენდა) და *Solanum Nigrum* (ძალყურძენა). ხებალახა შეიცავს გლუკო-ალკალოიდ—სოლანინს და გლუკოზიდ—დულკაპარინს. ხალხურ მედიცინაში მას იყენებდნენ ექსტრაქტებისა და ნახარშების სახით სუნთქვის ორგანოების, კანის დაავადებისა და რევმატიზმების დროს. ამჟამად იყენებენ მხოლოდ ჰომეოპათები, გრიპის, ხველებისა და რევმატიზმების დროს. ძალყურძენაც შეიცავს გლუკოალკალოიდს — სოლანინს, მასაც ჰომეოპათები იყენებდნენ მოწამელისა და კრუნჩხვების დროს.

41. *ATROPA*—*Atropa belladonae* L. სულ საბჭოთა კავშირში 3 სახის ბელადონა არის აღწერილი. მათ შორის ერთი ენდემურია კავკასიისათვის და ცნობილია *Atropa caucasica* Kreyr-ის სახელით. ქართული ბოტანიკური ნომენკლატურით მას შ მ ა გ ა ა ნ უ კ ა ვ კ ა - ს ი უ რ ი ბ ე ლ ა დ ო ნ ა ეწოდება. იგი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია გავრცელებული და ყველგან ცნობილია თავისებური სახელით, რომელიც თვით ამ მცენარის თვისებას ასახავს. ქართლში მას ეძახიან დევსურას, დ ე ვ ს უ რ ა ვ ა ნ დ ა ს, დევცეცხლას; ფშავში — გიჟანას; ერწოში — საგიყებელას, კახეთში — ცოფის ბალახს, რაჭაში — ლემას შავბალახას. მისგან მზადდება საყოველთაოდ ცნობილი პრეპარატები: ატროპინი, ბელადონის წვეთები, ფხვნილები, ბელადონის ექსტრაქტები, ნაყენები ბელადონის ძირისაგან, სუკრადბელი და სხვა. შეიცავს შხამს და მისგან გამოწვეულ მოწამელას შემდეგი ნიშნები ახასიათებს: სიმშრალე პირის ღრუში, გუგების გაგანიერება, მხედველობის სიმახვილის დაცემა, სიწითლე სახეზე, თავის ტკივილი, ბოდვები, ჰალიუცინაციები, სუნთქვისა და პულსაციის რითმულობის დარღვევა, პირღებინება, შარდვის მოშლა და სხვ.

42. *MANDRAGORA*—*Mand. officinalis* millii *Адамов корень*—**მანდრაგორა** — მრავალწლიანი მცენარეა. მისი ძირები, ნაყოფი და თესლი შეიცავს ალკალოიდებს გიოსცინამინსა და სკოპოლამინს; გამოყენებაში იყო უძველესი დროიდან, როგორც ძილმომგვრელი და ტკივილდამაღწმეველი საშუალება. სულხან-საბა ორბელიანი იძლევა მის განმარტებას „მანდრაგორი ბალახია, ვაშლივით მოიბამს, ვინც ჭამს, ძილს მოგვრის“, მეორე ადგილას მის ნაყოფს განმარტავს: „მ ე ლ მ ა ნ დ რ ა გ ო რ ი“ — მელ ბერძნულად ვაშლსა ჰქვიან, ვითარმედ ვაშლი მანდრაგორისა“. მანდრაგორა დღესაც არის გამოყენებული რევმატიზმების, პოდაგრისა და სხვა დაავადებათა დროს, როგორც ტკივილდამაღწმეველი საშუალება.

საინტერესოა ერთი დაკვირვება მცირე სტატისტიკურ მონაცემებზე და მათ ანალიზზე. ა. მაყაშვილის ქართულ ბოტანიკურ ლექსიკონში¹ (გამომც. „საბჭ. საქართველო“, 1961) სულ დაახლოებით 2500-მდე სხვადასხვა სახის, საქართველოში ამჟამად გავრცელებულ, მცენარეთა სახელწოდებებია თავმოყრილი. აქედან 90 მხოლოდ კავკასიური მცენარეებია და ადგილობრივ ენდემურ სახეობებს წარმოდგენენ, მათი სახელწოდებებიც წარმოდგენილია ტოპონიმების მიხედვით (Ibericum, Colchicum, Caucasica, Cachetiana, Pontica, imeretianum და ა. შ.). მცენარეთა ასეთი სახეები საერთო რაოდენობის (2 500) მიმართ 3,6%-ს შეადგენს.

მედეას ბალის მცენარეები ამჟამად ცნობილი — „ორფიკული არგონავტიკითა“ და ბერძნულ-რომაული წყაროებით 42-ია, ამათ შორის ენდემები, რომელთა ცალკეულ სახეობათა თანამედროვე სახელწოდებებს ქართული ენა ან ტოპონიმები უღევს საფუძვლად — 18-ია. ე. ი. 43%.

მაშასადამე, ავტორების მიერ მითითებული მედეას ბალის მცენარეები უმთავრესად ადგილობრივი კოლხურ-იბერიული მცენარეებია.

ცხადია, 3000—3500 წლის წინათ, შემოტანილ მცენარეთა სახეები გაცილებით ნაკლები იქნებოდა. და ამიტომაც მედეას ბალის ენდემურ მცენარეთა ხვედრითი წონა თითქმის 12-ჯერ აღემატება საქართველოში ამჟამად მზარდ მცენარეთა კონცენტრაციას.

ყოველივე ეს ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს მედეას ბალის ისტორიულობაზე და ქმნის მისი რეალურად არსებობის ერთგვარ ნიუანსებს¹.

¹ წიგნი უკვე ჩაშვებული იყო წარმოებაში, როდესაც გამოვიდა ქართულ ენაზე „ორფიკული არგონავტიკა“, ნ. მელაშვილის თარგმანითა და პროფ. აკ. ურუშაძის რედაქციითა და შენიშვნებით. როგორც ირკვევა, კურტ შპრენგელს „ორფიკული არგონავტიკის“ სხვა ვარიანტით უსარგებლია, რადგან შპრენგელის მიერ ჩამოთვლილ მედეასეულ მცენარეებს ხშირად იმისი განმარტებაც ახლავს თუ რისთვის იყენებდა მედეა ამა თუ იმ მცენარეს, ქართულად თარგმნილ „ორფიკული არგონავტიკის“ ზემოხსენებულ ვარიანტს კი ასეთი განმარტებები არა აქვს. სამაგიეროდ აქ დასახელებულია მცენარეები, რომლებიც კ. შპრენგელს არა აქვს. ეს მცენარეები გამოყენებულია ტექსტის მიხედვით, არგონავტების მიერ მედეასთან ერთად სხვადასხვა რიტუალებისათვის საჭირო ნარევების შესამზადებლად, ჯერ კიდევ თვით ბალში შესვლამდე, მის გარეთ, ასეთ მცენარეთა რიცხვი, რომელიც კ. შპრენგელს არა აქვს დასახელებული 15-მდეა. 43. არისტერეონი, 44. კატრენსი მრავალტოტა, 45. კემოსი — Водяник — პირიმზე phelypaca

ამგვარად, „ორფიკულ არგონაეტიკასა“ და სხვა ბერძნულ-რომაულ წყაროებში ნახსენებმა კოლხურ სამკურნალო მცენარეთა ცალკეულმა შესწავლამ, გარდა იმისა, რომ შექმნა ზოგადი, საერთო შთაბეჭდილება მედეას ბალის რეალურობისა და ისტორიულობის შესახებ, მთელ რიგ კონკრეტულ დასკვნებამდეც მიგვიყვანა:

1. დასახელებულ 42 მცენარეთაგან ბევრი (ან მათი სახეობანი) საქართველოსათვის (კოლხეთი, იბერია), კავკასიონისათვის ან შავი ზღვის სანაპიროებისათვის ენდემებად ითვლება: *Hedera caucasi-gena pojark.*; *Cyclamen ibericum* (კახეთში მისი 7-სახეობაა გავრცელებული); *Hedera Colchica*; *Paenonia officin* მისი სახეობით: *Taeon abchasica* აფხაზური იორდასალამა; *Paeon. Cartalinica*; *Corralina* — რომელიც *Paeon. Caucasic*-ს ანუ იორდასალამას სახეობას წარმოადგენს — (*Paeon. Corallina Caucasic*) არსებობს აგრეთვე *Paeon. Coralina lagodechiana*; *Pyretrum* კავკასიური გვირილა.

Aralea Pontica — (პონტოური);

Colchicum

Var. *Caucasica* Fom.

Anthemis nobilis (იმერული ირიგა)

Valeriana Colchica utk.

Aconitum Caucasicum

Aconitum tuscheticum.

ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ მედეას ბალთან დაკავ-

Coccinea (M. b.) 46. ღვია — Можжевельник, *argy juniperus* 47. კედარი — Кедр — *Cedrus* 48. კვირიჩი (ეკლიანი) კვირიჩი — Терновник, *Prunus spinosa* l. 49 — ტირიფი მტირალა, ძეწვა, Ива Плачущая, *salix babylonica* l 50. ქალკანთოსი — უცნობია, მოიხსენიება დიოსკორიდესთან V—14), 51. სტრუთიონი — სამონა, სპანი-ყვავილა — *Saponaria officin*. Мыльный корень 52. ქნეკოსი, ალისარჩული — *Carthamus tinctorius* l. Сафлор 53 სქისტე — Саера — ხახვის ჯიშის მცენარე. 54. ფსილონი-მრავალქარღვა — *plantago psyllium* 55. წითელი ანქუსა-ბალახი-ჯისი ფესვებიდან საღებავი მზადდება. 56. ქალკიშონი-დიოსკორიდიით — ქრიზანთემა — *Хризантема садовая (chrysanthemum indicum* l. 57. ფიკვი — *coona, pinus* 58. მუხა კოლხური — Дуб Гартвиса — *Quercus hartvissiana* stev. ამით შორის: არისტერონი, კატერნესი, ქალკანთოსი, სქისტე და ანქუსა შეგნით, ბალში მზარდ მცენარეებშია ჩამოთვლილი, მაგრამ უცნობნი არიან და ჩვენ არა გვაქვს ისინი ცალ-ცალკე განხილულთა შორის.

ე. ი. მედეას სახელთან თუ მის „ბალთან“ დაკავშირებულ მცენარეთა რიცხვი საკმაოდ გაიზარდა „ორფიკული არგონაეტიკის“ ამ ახალი (ქართულად თარგმნილი) ვარიანტის მეშვეობით.

შორებული და წყაროებში ნაჩვენები ეს მცენარეები უშუალოდ კავკასიასა და კერძოდ, საქართველოს, უკავშირდებიან.

2. მცენარეები: ასფოდელუსი: *Mentha* და მათი სახეობები *Calamintha granifl.* და *Calaminta clinopodium benth.* თავისი სახელწოდებით ქართულ ენობრივ სამყაროს უკავშირდებიან და ეტიმოლოგიურად ქართველურ ენებში პოულობენ ახსნას.

3. 39 დასახელების მცენარე კავკასიური (კერძოდ იბერიული, კოლხური) ფლორის უაღრესად გავრცელებული მცენარეები არიან, მხოლოდ 2 მცენარე — *Stella* და *Micropusercetus*-არ აღმოჩნდა ნახსენები ჩვენთვის ხელმისაწვდომ ბოტანიკურ ლიტერატურაში.

4. 39-ვე მცენარე დღესაც გამოიყენება, როგორც ძეცნიერულ ისე ქართულ ხალხურ მედიცინაში, როგორც სამკურნალო საშუალება სხვადასხვა დაავადებათა საწინააღმდეგოდ.

5. 4 მცენარე — ვერბენა, ურთხელა, ბელადონა და აკონიტუმი (რომლის აღმოჩენასაც თვით მედეას მიაწერენ) საყოველთაოდ ცნობილი შხამებია, 6 მცენარე კი — *Sisimbrium policeratum*; *lavandula stoechas*; *Taxus baccata*; *phaseolus Vulgaris*; *Smilax aspera*; *aconitum manthora L.*-შხამსაწინააღმდეგო ნივთიერებათა შემცველ მცენარეებად ითვლებიან, რაც პირდაპირ ადასტურებს და რეალურს ხდის თქმულების იმ ნაწილს, სადაც მედეა შხამებისა და ანტიშხამების ხელოვანი მკეთებელი იყო.

ყოველივე ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ თქმულება სამკურნალო მცენარეთა მედეას ბალის არსებობის შესახებ ემყარება უაღრესად რეალურ საფუძვლებს. მისი სახით ჩვენ ხელთა გვაქვს მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი სამკურნალო მცენარეთა ბალის საკმაოდ სრული სურათი, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს კოლხურ-იბერიული მედიცინის ღრმა ფესვებზე.

მიტრიდატე კონტოელი და მედიცინა

მიტრიდატეში, მისი გავრცელება და გამოყენება მსოფლიოს
სხვადასხვა ქვეყნის მედიცინაში უძველესი დროიდან XX საუკუნემდე

მიტრიდატეში ანტიკური მსოფლიოს სამკურნალო საშუალებათა შორის ყველაზე პოპულარული იყო და იგი თითქმის XIX საუკუნის ბოლომდე გავრცელებული იყო ევროპასა და აღმოსავლეთის ყველა კულტურულ ქვეყანაში და მიჩნეული იყო უნივერსალურ საშუალებად მოწამვლებისა და შხამების საწინააღმდეგოდ და მთელი რიგ დაავადებათა სამკურნალოდ.

ჯილბერტ ვატსონი (G. Watson), რომელმაც სპეციალური მონოგრაფია¹ მიუძღვნა მიტრიდატეშისა და თერიაკის გავრცელებისა და გამოყენების საკითხებს, წერს, რომ ანტიკური მსოფლიოს ლეგენდარულ საშუალებებს შორის არც ერთს არ ჰქონია ისეთი დიდი და ზანგრძლივი დიდება, როგორც მიტრიდატეშს და თერიაკს. მთელი ორი ათასი წლის განმავლობაში მას ეჭირა მოწინავე ადგილი პრაქტიკულ მედიცინაში. მსოფლიოს ცალკეული კულტურული ქვეყნები და ქალაქები ცნობილი იყვნენ მიტრიდატეშის დამამზადებელ ცენტრებად. ისინი აღიარებული იყვნენ საუკეთესო მიტრიდატეშის მკეთებლებად და სარგებლობდნენ მონოპოლიით. ვენეცია, კონსტანტინოპოლი, კაირო, ინდოეთი და სხვ. პერიოდულად ერთმანეთს ენაცვლებოდნენ საუკეთესო მიტრიდატეშით მსოფლიოს სხვა ქვეყნების მომარაგების საქმეში. მიტრიდატეში ლონდონის ფარმაცოპეიიდან მხოლოდ 1788 წელს იქნა ამოღებული, თუმცა, როგორც ჯ. ვატსონი უენიშნავს, მისი გამოყენება XIX საუკუნემდე გაგრძელდა, გერმანიის ოფიციალურ ფარმაცოპეიაში 1872 წლამდე შედიოდა, საფრანგეთისაში კი — 1884 წლამდე.

„მიტრიდატეშის“ შემქმნელია გამოჩენილი მხედართმთავარი და

¹ G. Watson, *theriac and Mitridatum A study in therapeutics* London, 1966.

მოაზროვნე — მეცნიერი, ძველი მსოფლიოს მედიკოსი, პონტოს სამეფოს სახელოვანი მეფე, მითრიდატე VI—ევპატორი, მითრიდატე პონტოელი.

პონტო პირველად ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნეში ჩამოყალიბდა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, დამოუკიდებელი გეოგრაფიული მცნება. გეოგრაფიულად პონტო მოიცავდა ოლქებს მდინარე ჭოროხიდან მდინარე პართენიონამდე, მცირე აზიის მაღლობების ჩრდილოეთ ნაწილს და მდინარე ეფრატის ზემო დინების მიდამოებს. ანტიკურ წყაროთა ერთობლივი დამოწმებით, ამ ტერიტორიაზე აღრიდანვე ხალიბები, ტიბარენები, კოლხები, მოსინიკები, მაკრონები, დრილები, ტაოხები და სხვა ქართველური ტომები ცხოვრობდნენ. პონტოს სამეფოს მთიანეთი დაბურული იყო გაუვალი ტყეებით, სადაც უხვად მოიპოვებოდა გემთსაშენი და საოჯახო ავეჯისათვის გამოსადეგი ხე-ტყე, ტყეებში მრავლად იყო ბეწვიანი გარეული ცხოველები, და რაც მთავარია, მთები მდიდარი იყო მთამადნეულით, რომლის დამუშავებასა და გამოყენებას აღრიდანვე მისდევდნენ იქ მცხოვრები ქართველური ტომები¹, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში (I ტ., 1958 წ.) გარკვევით არის ნათქვამი, რომ პონტოს სამეფო „შეიქმნა ძვ. წ. IV ს. მცირე აზიაში — ქართველი (მეგრულ-ქანური) და მისი მონათესავე სხვა ტომების მიწა-წყლის ხარჯზე, (გვ. 58), პროფ. გ. გოზალიშვილს თავის მონოგრაფიაში „მითრიდატე პონტოელი“ მიუთითებს მთელი ავტორებს, რომლებიც ეხებიან პონტოს სამეფოს წარმოშობისა და მისი ეთნიკური შემადგენლობის საკითხებს. მათ შორის დ. ხახუტაიშვილის შრომას „შავი ზღვისპირეთის ქართველური ტომები ბერძენ-ლათინ მწერლების ცნობებით (ძვ. წ. VI—ახ. წ. IV ს.)“ სადაც ავტორი წერს, რომ ძველი წელთაღრიცხვის IV—VI საუკუნის მიჯნაზე შავი ზღვის სანაპიროს ქართველური ტომები ერთ პოლიტიკურ გაერთიანებად არის წარმოდგენილი — ესაა პონტოს სამეფო.

...პონტოს სამეფოს ისტორია, იმავე დროს, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს ქართველური ტომების ისტორიაა“ და სხვ. პროფ. გ. გოზალიშვილი დაწვრილებით განიხილავს კაპადოკიისა და პონტოს სამეფოს ეთნიკური შემადგენლობის უაღრესად საინტერესო საკითხებს, მიმოიხილავს ბერძნულ, რომაულ, სპარსულ, თურქულ,

¹ ლ. სანიკიძე, პონტოს სამეფო, საბლიტგამი, 1956, გვ. 10, 11.

ქართულ და მრავალ სხვა პირველად წყაროებს, ამ წყაროთა საფუძველზე გამოჩენილ მეცნიერთა (აკად. ივ. ჯავახიშვილი, აკად. კ. კეკელიძე, აკად. ნ. მარი, აკად. გ. მელიქიშვილი და მრ. სხვ.) მოსაზრებებსა და გამოკვლევებს, რომელთა საფუძველზე მეტად დამაჯერებელსა და ღრმა მეცნიერულ დასკვნებს უკეთებს მონოგრაფიის პირველი ნაწილის დასასრულს:

„...ამგვარად ცხადი ხდება, რომ: 1. იმ ტერიტორიაზე, რომლის აღსანიშნავადაც ძვ. წ. აღ. IV საუკუნეში ჩნდება ახალი ტერმინი „კაპადოკია“ ჯერ ისევ ძვ. წ. აღ. მეორე ათასწლეულში ცხოვრობდნენ ძირითადი ქართველი ტომები: მოსხები, ტაბალები, და ხალდეები — ხალიბები, როგორც ამას უძველესი პირველწყაროები ადასტურებს. 2. ძვ. წ. აღ. VI საუკუნეში სპარსელებმა, რომლებმაც ამ მხარეზე ბატონობა მოიპოვეს, მას უწოდეს კატპადუკა (კაპადოკია) ე. ი. კარგი ცხენების ქვეყანა.

3. ამ ქვეყანამ ასეთი სახელწოდება მიიღო არა იმის გამო, რომ სპარსელებმა აქ დაასახლეს ხალხი, რომელმაც თავისი ეთნიკური სახელწოდება ქვეყანაზეც გაავრცელა, არამედ ამ ტერმინის წარმოქმნის საფუძველი შეიქმნა ამ ქვეყანაში ჩიშიანი ცხენების გოშენება.

4. ძვ. წელთაღ. VI საუკუნიდან მოკიდებული ძველ წყაროებში ცნება კაპადოკიელები აღნიშნავს იმ რაიონის მკვიდრ მოსახლეობას, რომელსაც აღნიშნულ საფუძველზე ეწოდა კაპადოკია, ხოლო ამ მკვიდრ მოსახლეობას აღრევე და შემდეგშიაც ძირითადად მოსხტაბალები, ხალდეები—ხალიბები და სხვა ქართველი ტომები შეადგენდნენ.

5. ზემოაღნიშნული ტომები კაპადოკიად წოდებულ ტერიტორიაზე მოსახლეობენ ძვ. წ. მეორე ათასწლეულიდან მოკიდებული; მათი მოსახლეობა აღწევს შავი ზღვის სანაპირომდე; სადაც მათ მიერ გაშენებული იყო ქალაქები: სინოპე, ამისოსი, კოტიორა, კერასუნტი, ტრაპიზონი და სხვა.

6. ჩამოთვლილ ქალაქებში ადრიდანვე ჩნდება ჯერ ასირიული და მერე ბერძნული მოსახლეობა. ეს მოსული ელემენტი ძირითადად ქალაქებშია თავმოყრილი, და თუმცა ნაწილობრივ, ქვეყნის შიგნითაც ცხოვრობს, მაგრამ სირიელებიც და ბერძნებიც მხოლოდ უმცირესობას წარმოადგენდნენ და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში არაახლოდეს დამოუკიდებელი, რამე მნიშვნელოვანი როლი არ შეესრულებიათ.

7. ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის დროს კაპადოკია და-

მოღუქდებულ სამეფოს წარმოადგენდა, რომელსაც სათაგეში მეფე არიართე ედგა. (კურციუსის მოწმობით).

8. დიადოხთა ბრძოლის დასასრულს ვინმე მითრიდატეს (ალბათ ადგილობრივი შთამომავლობის) მეთაურობით კაპადოკიის ჩრდილოეთ ნაწილში, პონტოს სანაპიროს სამხრეთით, იქმნება ცალკე საჯელმწიფოებრივი ერთეული, რომელსაც პოლიბიოსი ჯერ კიდევ იცნობს ექვსინის კაპადოკიად η καπαδοκία Περιευξείνων, და რომელსაც შემდეგში ეწოდა პონტოს სამეფო.

9. პონტოს სამეფო არის ნაწილი ძველი დიდი ქართული სამყაროსი. მისი მოსახლეობის ძირითად მასას შეადგენენ: მესხეზა, ტაბალ-ტიბარენები (იბერები), ხალდეები, ხალიბები, კოლხები, მოსინეკები და სხვები.

10. პონტოს სამეფოს პირველი მეთაურის მითრიდატეს სპარსული შთამომავლობის შესახებ ვერსია რეალურ სინამდვილეს არ უნდა გადმოსცემდეს, იგი შემდეგში ხელოვნურად არის შეთხზული, გარკვეულ მიზანდასახულობასთან დაკავშირებით.

11. თუნდაც მითრიდატელების სპარსელთაგან შთამომავლობა მართალი იყოს ამ დინასტიის მეთექვსმეტე თაობის წარმომადგენელს მითრიდატე VI სპარსულ სამყაროსთან არავითარი ორგანული კავშირი არ უნდა ჰქონდეს: იგი ქართული სამყაროს ღვიძლი შვილია.

12. ის სამყარო, რომელიც მითრიდატეს მეთაურობით რომის ექსპანსიის წინააღმდეგ გიგანტურ ბრძოლას აწარმოებდა — ქართული იყო. მითრიდატეს მეთაურობით წარმოებული ბრძოლა იყო ქართველი ტომების მიერ უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, საკუთარი თვითარსებობისა და დამოუკიდებლობისათვის წარმოებული სამართლიანი, თავგანწირული, გამირული ბრძოლა, რომლის მნიშვნელობაც ადგილობრივ ჩარჩოებს სცილდებოდა და საერთაშორისო მნიშვნელობას იღებდა.

მითრიდატე პონტოელის დროინდელი პონტოს სამეფოს ძლიერება იყო ფიზიკურ-მატერიალური და კულტურული ძლიერება იმ ქართველი ტომებისა, რომლებიც ამ პოლიტიკური ორგანიზმის სისხლსა და ხორცს წარმოადგენდნენ¹.

ჩვენ არ შევუდგებით თვითიული ამ დასკვნის ცალკეულ განხილვას, მაგრამ შევნიშნავთ, რომ ამ დასკვნების თვითიული მუხლი, ჩვენი აზრით, დამაჯერებლად და დასაბუთებული და გამომდინარეობს პირველადი წყაროების ურთიერთ შეჯერებათა შედეგად, ისტორი-

¹ გ. გოზალიშვილი, მითრიდატე პონტოელი, თბილისი, 1962, გვ. 279.

ული მასალა თვითელი დასკვნისათვის დოკუმენტურ მტკიცებათა დონეზეა გარჩეული, ლოგიკურად გამართლებული და იგი ბუნებრივად თანმიმდევრული ისტორიული მოვლენების ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს.

პონტოს სამეფოს დედაქალაქიც კი, სინოპე, სადაც დაიბადა და აღიზარდა მითრიდატე, ეტიმოლოგიურად ქართულ ენაში პოულობს ახსნას სინ — თურმე ძველ ქართულში წყალია; მდინარეა და ოპე — იგივე უბე ნიშნავს უბეს, უბეს, ე. ი. წყლისუბე, წყლისუბე, რაც თვით ამ ქალაქის ზღვის სანაპიროსთან გეოგრაფიულ მდებარეობას განსაზღვრავს.

საინტერესოა, რომ მითრიდატეს ერთ შვილს მახარე ერქვა, რომელიც ბოსფორის სამეფოს განაგებდა, მახარე — ხომ ისეთი ქართული სიტყვაა (გამახარე), რომელსაც არ სჭირდება განმარტება, მეორე ვაჟიშვილს ფარნაკი ერქვა — კოლხეთის გამგებელი იყო, ფარნა — კოლხეთში საკმაოდ გავრცელებული სახელია დღესაც, ბოლოსართი — კი ჩვეულებრივი ქართული ბოლოსართია, რომელიც საალერსოდ პატარის, პაწაწის, აღმნიშვნელია, ცნობილია, რომ მითრიდატე ბერძნული კულტურის მოტრფიალე იყო. მითრიდატეს კარისკაცები თუ დიდებულები, როგორც ჩანს, ამიტომაც ძირითადად ბერძნულ სახელებს ატარებდნენ, მიუხედავად ამისა, შვილებისათვის მაინც ქართული სახელები შეურქმევია მითრიდატეს, რაც მისი ეროვნული კუთვნილების ერთ-ერთი მაჩვენებელია უთუოდ.

მითრიდატეს მედიცინაში განსწავლულობა განაპირობა მისი ცხოვრების თავისებურებებმა და საკმაოდ ტრაგიკულმა ბავშვობამ და ახალგაზრდობამ.

მითრიდატე V მოკვლის შემდეგ მისი მეუღლე ლაოდიკე (სელევკიდების შთამომავალი) იგდებს ხელში ხელისუფლებას. ამ დროს მითრიდატე (მომავალი — VI — ევპატორი) 11 წლისა იყო. ლაოდიკე ცდილობს ტახტის მომავალი მოცილე შვილი თავიდან მოიშოროს და ცდილობს მის მოწამვლას, მცირეწლოვან მითრიდატეს, ჩანს, სასახლეში მფარველები ჰყავს, 7 წლის განმავლობაში იგი გადამალულია, სადაც სათანადო წვრთნასა და აღზრდას ღებულობს. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ბავშვობიდანვე თავი რომ დაეხსნა დედის ვერაგობისაგან და თავიდან აეცილებინა მოწამვლის საფრთხე, ყოველდღიურად საკმელთან ერთად ღებულობდა საწამლავის საწინააღმდეგო საშუალებას, რამაც საბოლოოდ გამოუმუშავა მას იმუნიტეტი. 20 წლის მითრიდატე პონტოს მეფე გახდა.

მითრიდატე გვევლინება განათლებულ, კეთილშობილ პიროვნებად, რომელსაც კონტაქტები აქვს მაშინდელ მოწინავე კულტურულ სამყაროსთან და თან ცდილობს ეს ბერძნულ-რომაული კულტურა გადმონერგოს და შეურწყოს თავისი ქვეშევრდომი ხალხების უძველეს კულტურასთან. თვით რომაელ ავტორთა და მწერალთა ნაწარმოებებიდან, ცალკეულ ფრაგმენტებს თუ დავაკვირდებით, ზოგიერთი დასკვნის გაკეთების საშუალება გვეძლევა პონტოს სამეფოში მედიცინის განვითარების დონის განსაზღვრისათვის. სამედიცინო შინაარსის იმ წიგნებმა და თხზულებებმა „კიდობნებით“, რომლებიც პომპეოსს ხელთ უგდია მითრიდატეს საკუთნაოებში და რომელიც მისივე ბრძანებით უთარგმნიათ ლათინურ ენაზე, დღემდე ვერ მოაღწიეს (გარდა ზემოხსენებული მითრიდატემის შემადგენლობისა). ამიტომ იძულებული ვართ საერთო ისტორიაში ჩართული ცალკეული ფრაგმენტებით ვისარგებლოთ და ვიმსჯელოთ. აპიანე მოგვითხრობს ერთ-ერთი ბრძოლის ეპიზოდს, როდესაც მითრიდატეს „ნასროლმა ისარმა... თვალი გამოსთხარა...“ იგი სასწრაფოდ გამოიყვანეს ბრძოლის ველიდან...“ მიუხედავად ასეთი მძიმე დაზიანებისა, იგი რამდენიმე დღეში გამოჯანმრთელდა“, ტექსტში ნათქვამია, რომ მას, და უთუოდ მის ჯარს, მუდამ თან ახლდა „აგარები — სკვითების ტომი“ — როგორც დასძენს აპიანე¹. ე. ი. მითრიდატეს ჯარის ნაწილებში ორგანიზებული ყოფილა სამედიცინო დახმარების საქმე. რასაკვირველია, სრულებით გასაკვირი არაა მითრიდატეს ჯარის ორგანიზებულობა და მასში საექიმო დახმარების სისტემის არსებობა, მაგრამ პირდაპირი მაჩვენებელი წყაროს, საბუთის, არსებობას მაინც გარკვეული მნიშვნელობა აქვს. როდესაც მითრიდატე მეორედ დაიჭრა და „ღრმა ჭრილობას მიიღებს ბარძაყში“ მას „მკურნალმა ტიმოთემ სისხლის დენა“ შეუწყვიტა და იქვე ადგილზე გაუწია საექიმო დახმარება, ამ ფრაგმენტში შემონახულია მითრიდატესა და მისი ჯარის ნაწილების მკურნალის ტიმოთეს სახელიც, მას, როგორც აპიანე გადმოგვცემს, მკურნალობდნენ აქვე ბრძოლის ველზე „საგანგებო დოსტაქარნი“, რადგან მითრიდატეს ერთ-ერთი ბრძოლის დროს „ქვა ჰქონდა კოჭში მოხვედრილი და ისარი თვალში შერკმული“ (აპიანე).

პლუტარქეს ცნობიდან² ირკვევა აგრეთვე, რომ პონტოში სცო-

¹ პროფ. გ. გოზალიშვილი, დასახ. წიგნი გვ. 252.

² პლუტარქე, პომპეუსი, გვ. 121. ციტირებულია პროფ. გ. გოზალიშვილის დასაწ. წიგნიდან გვ 253.

დნიათ გვამების შემურვა, მუმიფიკაცია: „როდესაც თავისი ვაჟის ფარნაკის ლალატით სასოწარკვეთილმა მოხუცმა მითრიდატემ, თავი მოიკლა, მან (ფარნაკიმ) გარდაცვლილი მამის გვამი თავისდა სამარცხვინოდ პომპეუსს გაუგზავნა, რადგან გვამის გაშურვის წესებში შეცდომა იყო დაშვებული — სახელდობრ, შემშურველებს დაპვიწყებოდით ამოეღოთ მიცვალებულის თავიდან ტვინი — ...ამიტომ მითრიდატეს გვამის მხილველნი მის ცნობას, მხოლოდ ნაჭრილობევთა წყალობით ახერხებდნენ“. ამგვარად ირკვევა, არა მარტო მუმიფიკაციის არსებობა, არამედ მუმიფიკაციის საკმაოდ მნიშვნელოვანი დეტალიც, რომ პონტოური მუმიფიკაციის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი ყოფილა თავის ქალადან ტვინის ამოღება, ურომლისოდაც გვამი იხრწნებოდა და მიცვალებულის სახე შეუუცნობელი ხდებოდა. ბალზამირების თანამედროვე მეთოდებშიც აუცილებელია ტვინის ამოღება.

მაგრამ, მითრიდატე და მისი დროინდელი პონტოს სამეფო ცნობილია განსაკუთრებით შხამებისა და საწამლავ ნივთიერებათა შესწავლით და შხამსაწინააღმდეგო საშუალებების, ანტიდოტების შექმნითა და გამოყენებით, რაც თავის მხრივ მსოფლიო მედიცინის ისტორიაში ტოქსიკოლოგიის ისტორიის ერთ-ერთ უპირველეს წყაროდ უნდა მივიჩნიოთ, ყველაზე დაწვრილებითსა და სანდო ცნობებს ამ საკითხზე მაინც პლინიუსი გვაწვდის (24—79 წლ.), მის ცნობილ ნაშრომში „Naturalis hystoria“ — იგი მოგვითხრობს: „მითრიდატე, მეფე ოცდამეორი სხვადასხვა ტომისა, აწარმოებდა მართლმსაჯულებას ამდენსავე ენაზე და შეკრებილთ მიჰმართავდა ხოლმე თვითეულ ტომს მის ენაზე“ (წიგნი VIII, გვ. 88)“... მითრიდატე უუდიდესი მისი დროის ყველა მეფეთა შორის, პომპეუსის მიერ დამარცხებული, სიცოცხლეს ყველაზე უფრო ებლაუქებოდა, ვიდრე სხვა რომელიმე მისი წინაპარი, ეს ცნობილია, არა მხოლოდ გადმოცემის გზით, არამედ ფაქტებითაც მტკიცდება. მან ერთმა შემოიღო ყოველდღე მომწამლავი საშუალების სმა, იღებდა რა წინასწარ შხამის საწინააღმდეგო წამალს, რათა გამოუმუშავებული ჩვეულების ძალით, საწამლავი უვნებელი გამხდარიყო. მან პირველმა აღმოაჩინა შხამის საწინააღმდეგო სხვადასხვა საშუალებანი, რომელთაგან ერთს მისი სახელიც კი ეწოდა.

...დანამდვილებით ცნობილია, რომ მითრიდატე მხოლოდ ერთი იყო მოკვდავთა შორის 22 ენაზე მოლაპარაკე, და რომ თავისი 56 წლის მეფობის განმავლობაში მას არ დასჭირებია თარჯიმნის დახ-

მარება მის ქვეშევრდომ ტომთა არცერთ მოსახლესთან საუბრის დროს. ამგვარად, მის მაღალ ხულიერ თვისებასთან ერთად მას გააჩნდა განსაკუთრებული ინტერესი მედიცინის მიმართ და ჰკრებდა რა სხვადასხვა ცოდნას თავის ყველა ქვეშევრდომთაგან, რომელთაც მთელი მსოფლიოს მნიშვნელოვანი ნაწილი ეკირათ დასტოვა თავის საკუქნაოებში ამგვარი თხზულებები კიდობნებით, რომლებშიც მოცემულია შხამისა და მის საწინააღმდეგო საშუალებათა ნიმუშები და მათი მოქმედების აღწერილობა, ხოლო პომპეუსმა, დაეუფლა რა მეფის მთელ ამ საგანძურს, უბრძანა ლიბერტინს ლენეის, ეთარგმნა ყველაფერი ჩვენს ენაზე და ამგვარად, მისმა სახელოვანმა გამარჯვებამ არა ნაკლები სარგებლობა მოუტანა ადამიანის სიცოცხლეს, ვიდრე სახელმწიფოს“¹.

მისი ცხოვრების უკანასკნელი დღეების შესახებ აპიანე გვაწვდის დეტალურ ცნობებს, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო ცნობებსაც ვაწყდებით: „როდესაც რომაელებისაგან საბოლოოდ დამარცხებულ მითრიდატეს არ სურდა ცოცხალი ჩავარდნოდა ხელში რომაელებს, რათა ტრიუმფში სამარცხვინო მონაწილეობის სირცხვილი თავიდან აეცილებინა, — თავის მოკვლის მიზნით, ბლომად მიიღო საწამლაკი, მაგრამ, მის სხეულს რომელსაც შხამის საწინააღმდეგო საშუალება ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჭდარი, ვერაფერი დააკლო.

მითრიდატე იძულებული გახდა თავისი ერთი მხლებლისათვის ებრძანებინა, რათა ამ უკანასკნელს მახვილით მოეკლა იგი“².

დონ კასიუსი (150—235) ოდნავ განსხვავებულ ცნობას იძლევა: იგი წერს: „მითრიდატემ სცადა თავის მოკვლა და წინასწარ დახოცა რა საწამლაკით თავისი ცოლები და დანარჩენი შვილები, დანარჩენი თვითონ დალია, მაგრამ, ვერ მოახერხა თავის მოკვლა ვერც ამითა და ვერც საკუთარი მახვილით: შხამი, თუმცა მომავდინებელი იყო, მაგრამ ვერ იმოქმედა, რადგან მისი სხეული გაკაუჭებული იყო იმით, რომ იგი ყოველდღე იღებდა შხამსაწინააღმდეგო საშუალებას, ხოლო მახვილის დარტყმა სუსტი აღმოჩნდა იმის გამო, რომ მისი მარჯვენა დაუძღურებული იყო მოხუცებულობითაც, განცდილ უბედურებათაგანაც და შხამითაც. მაშ, როდესაც მან ვერ მოახერხა თავის მოკვლა და ძალიან დიდხანს დაუგვიანდა, მას ეცნენ ისინი, ვინც

¹ პლინიუს სეკუნდუს, *naturalis historica*, — წიგნი X კ. ვ. 5 (ეტიოპიური ბუღი, გ. გოზალიშვილის დასახ. წიგნიდან გვ. 254).

² გ. გოზალიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 255.

თავისი შვილის წინააღმდეგ ჰყავდა გაგზავნილი და თავიანთი მახვილებითა და შუბებით დააჩქარეს მისი დაღუპვა. ამგვარად, მითრიდატემ, რომელსაც თავს გადახდა თავისი დიდი ბედობლის მრავალთა უმრავლესი უკუღმართობა, თავისი სიცოცხლეც დაასრულა არაჩვეულებრივი გზით.

ის თავისი სურვილის გარეშე, იძულებული იყო მომკვდარიყო და სცადა რა თვითმკვლელობა, ვერ მოახერხა იგი შეესრულებინა, მაგრამ ნაწილობრივ შხამითა და ნაწილობრივ მახვილით თავის მკვლელი შეიქმნა და იმავე დროს მოკლულ იქნა მტერთაგან¹.

ავღგელიუსის და კლავდიუს გალენის მიხედვით, თითქოს მითრიდატემ საკუთარი მახვილით მოიკლა თავი (და არა მხლებლისა ან შეთქმულთა მახვილით) მაგრამ ჩვენთვის ეს არაა ამჟამად საინტერესო: მთავარი ისაა, რომ ყველა ეს ავტორი თითქმის ერთნაირ ცნობებს იძლევა, შხამებზე და შხამსაწინააღმდეგო საშუალებებზე, მათ მიერ გამომუშავებულ იმუნიტეტზე და ა. შ.

ზემოთხსენებული ავტორების ციტატების ხაზგასმული ადგილებიდან აშკარად ირკვევა, რომ მითრიდატე დიდი ერუდიციის პიროვნება იყო და გააჩნდა განსაკუთრებული ინტერესი მედიცინის მიმართ, რომ ის კრებდა, სწავლობდა თავის ქვეშევრდომ ხალხთა ხალხური მედიცინის ნიმუშებს და ამგვარად შეუქმნია უამრავი თხზულებები. ეს თხზულებები დიდ განძს წარმოადგენდა კაცობრიობისათვის. პომპეოსის პონტოს სამეფოზე სახელოვან გამარჯვებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ყოფილა არა პოლიტიკური დიდება რომის იმპერიისა და მატერიალურ-ტერიტორიალური ნადავლი, არამედ მითრიდატეს სამედიცინო წიგნები, რომლებმაც პლინიუსის თქმით, არა ნაკლები სარგებლობა მოუტანეს „ადამიანის სიცოცხლეს“. ამ ცნობებით დასტურდება, რომ მითრიდატეს შესწავლილი ჰქონდა სხვადასხვა შხამი, მომწამვლელი საშუალება, როგორც სწრაფმომქმედი, ისე სხვადასხვა მოქმედების, რომელთაც ფლობდა იგი და იყენებდა კიდევ საჭირო შემთხვევებში.

მითრიდატეს შემუშავებული ჰქონდა აგრეთვე შხამებისა და შხამსაწინააღმდეგო საშუალებათა სხვადასხვა სახე, ვარიანტი, რომელთაგან ერთ ერთს მისი სახელი ერქვა — მითრიდატემი. ყველაზე საინტერესო მაინც ის არის, რომ მას გამომუშავებული ჰქონდა

¹ დიონ კასიუსი, „Hystoria Romana“ წიგნი XXXVII. გვ. 13. (ციტირებულია გ. გოზალიშვილის დასახ. წიგნიდან, გვ. 389.

ორგანიზმში იმუნიტეტის შექმნის მეთოდი, რომელიც საკუთარ თავზე გამოსცადა და როგორც ზემოხსენებული ცნობებიდან ირკვევა, საბოლოოდ კიდევ გამოუმუშავებია საკუთარ ორგანიზმში საკმაოდ ძლიერი იმუნიტეტი. ყოველივე ამან მითრიდატეს სიკვდილის შემდეგ დიდი გავრცელება ჰპოვა რომის იმპერიაში, დასავლეთ ევროპასა და მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით მისმა მითრიდატუმმა. ჩვენ შევისწავლეთ მითრიდატუმის გამოყენებისა და გავრცელების საკითხები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა წყაროზე და განსაკუთრებით ზემოხსენებულ ჯილბერტ ვატსონის მონოგრაფიის საფუძველზე.

ამგვარად, პონტოდან რომში, როგორც ჯ. ვატსონი აღნიშნავს, პომპეოსის სხვა ნადავლთან ერთად მითრიდატეს დიდძალი სამედიცინო წიგნები იქნა გატანილი. პომპეოსს წინადადება მიუცია თავისი მწიგნობრისათვის — დენაუსისათვის გადაეთარგმნა ეს წიგნები ლათინურ ენაზე, მაგრამ დენაუსის თარგმანმა სამწუხაროდ ვერ მოაღწია ჩვენამდე. იმ ანტიდოტის შესახებ, რომელიც მითრიდატიუმის სახელით არის ცნობილი პლინიუსი ამბობს: „მითრიდატემ თვითონ დამოუკიდებლად შეადგინა გეგმა, რომლის მიხედვით მას უნდა მიეღო ყოველდღიურად შხამი [მას შემდეგ რაც მიიღო წამალი], რომ გამოემუშავებინა თავის ორგანიზმში იმუნიტეტი, ორგანიზმის უბრალო მიჩვევის გზით. მან პირველმა აღმოაჩინა სხვადასხვაგვარი ანტიდოტები რომელთაგან ერთერთს ეწოდა მისი სახელი. მან მოაწოდა აგრეთვე ანტიდოტებში შეერიათ პონტოსიხვის სისხლი, რადგან ისიხი იკვებებოდნენ შხამიანი ნივთიერებებით“. პლინიუსის მოსაზრებით, მითრიდატეს სამედიცინო წიგნებმა და კერძოდ, მისმა მითრიდატუმმა, „დიდი გავლენა მოახდინეს რომაულ მედიცინაზე“.

გალენი წერს, რომ მითრიდატეს ჰქონდა ლტოლვა შეესწავლა, გამოეცადა, ყველა სამკურნალო საშუალების ფარული მოქმედება, შხამების გამანეიტრალებელი თვისებები, გამოეცადა ისინი ბოროტმოქმედებზე ან თვით სიკვდილმისჯილებზე. მითრიდატემ ამით მიაღწია, რომ დაედგინა მთელი რიგი განსაკუთრებული ეფექტური საშუალებების სპეციფიკური მოქმედება ცალკეულ მოწამვლებზე და შხამებზე, მაგალითად თუ როგორ მოქმედებდა ესა თუ ის სამკურ-

ნალო საშუალება შესაძლებელია ობობას ნაკბენზე, მეორენი — მორიელის ნაკბენზე გველის ნაკბენზე და ა. შ. იკვლევდა აგრეთვე ზოგიერთი მომწამვლელ ნივთიერებათა გამანეიტრალებელ საშუალებებს, მაგალითად აკონიტუმის, მოლიუსკის და ა. შ.¹

შხამების და ანტიშხამების გარდა მითრიდატემ შექმნა მთელი რიგი სამკურნალწამლო საშუალებები სხვადასხვა თერაპიული დაავადებების სამკურნალოდ.

პლინიუსის ჩანაწერების მიხედვით გალენი აღწერს ზოგიერთ დეტალს და ამბობს, რომ პომპეოსის მიერ მითრიდატეს სამეფო სასახლის გაძარცვის შედეგად მიღებულ ნადავლთა შორის იყო რვეული, სადაც თვით მითრიდატეს ხელით იყო თურმე ჩაწერილი ერთი ასეთი რეცეპტი შხამსაწინააღმდეგო ანტიდოტისა: ორი გამშრალი ბერძნული კაკალი, 2 ლვინის ნაყოფი [ყურძენი?!] 20 ცალი ტევანის [თუ მარიაშაკმელას] ფოთოლი დანაყო და მოაყარო მარილი. ჯ. ვატსონის შენიშვნით, ეს საკმაოდ ღარიბი შემადგენლობის შენაერთია, მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, რომ მითრიდატეს ის უთუოდ ხალხური მედიცინიდან განაგონი ჰქონდა ჩაწერილი. მითრიდატეს სამეფო წიგნთსაცავში, გალენის მოწმობით, იყო სამკურნალო მცენარეების შესახებ დეტალური ინფორმაციების შემცველი წიგნები, რომლებიც შეაგროვა მითრიდატემ თავის ქვეშევრდომთა შორის. სამკურნალო მცენარეზე მოცემულ თვითეულ ინფორმაციას თან ახლდა მითრიდატეს შენიშვნები თვითეულის მოქმედებისა და სამკურნალო თვისებების შესახებ. პლინიუსის მიხედვით, რომის მედიცინაში სამკურნალო მცენარეები ნაკლებად იყო გამოყენებული მითრიდატემდე, ე. ი. იმის შემდეგ, რაც ლენიუსმა თარგმნა მითრიდატეს წიგნები, მხოლოდ ამის შემდეგ მიექცა განსაკუთრებული ყურადღება რომაელი ექიმების მიერ სამკურნალო მცენარეების გამოყენებას.

თუ რა ენაზე იყო დაწერილი მითრიდატეს წიგნები, არაა გარკვეული, რომელიმე პონტოს სამეფოში შემავალ ხალხთა ენაზე თუ ბერძნულზე ჯერ კიდევ დაუდგენელია. თარგმნა უნდა მომხდარიყო ძვ. წ. აღ. 62-წლის შემდეგ, რადგან გამარჯვებული პომპეუსი ამ წელს დაბრუნდა პონტოდან, თან ჩამოიტანა მითრიდატეს წიგნები, ჯ. ვატსონი მითრიდატეზე ხატოვნად ამბობს, რომ „სიცოცხლეში

¹) Gilbert Watson. *Theriak and mithridatium a study in Therapeutics*, London, 1966.

იგი მუდმივი ეკალი იყო რომის იმპერიის სახელმწიფო მოღვაწეთა და მხედართმთავართა ტანზე. მკვდარი კი დიდ სტიმულს იძლეოდა სამედიცინო გამოკვლევებისათვის, ბერძენი ექიმების საშუალებით, მსოფლიოში თავის დამპყრობთა შორის“.

მითრიდატე პონტოელი, როგორც იმ დროის სამხედრო სტრატეგთა, ისე მეცნიერთა, ისტორიკოსთა, მწერალთა მიერ აღიარებულია ბრწყინვალე ინტელექტის, დიდი ერუდიციის პიროვნებად, პოლიგლოტად, რომელიც 25-მდე ენას ფლობდა, პლინიუსი, ამბობს, რომ ის ამ მხრივ „ერთადერთი იყო“.

პონტო და საერთოდ აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი კოლხეთთან ერთად, უძველესი დროიდანვე მდიდარი იყო მცენარეებითა და, კერძოდ, სამკურნალო მცენარეებით, რაც ხელს უწყობდა მითრიდატეს განებორციელებინა თავისი დიდი სურვილი და შეექმნა ახალ-ახალი სამკურნალო საშუალებები და ანტიდოტები. ახალი აღმოჩენებისა და ექსპერიმენტების გარშემო იგი, ჩანს, თავის მოსაზრებებს უზიარებდა რომის იმპერიის პირველ ექიმს ბიტინიანის, გამოჩენილ რომაელ ექიმს (წარმოშობით ბერძენს) ასკლეპიადს, ჯ. ვატსონი ამის შესახებ წერს:

«В Понте произрастали в обилии лекарственные травы, и Митридат упорно занимался их изучением. Враждебные отношения с Римом не мешали ему обращаться с Асклепиадом бигинянци-ом, бывшим тогда первым врачом Римской империи».

პომპეის უნახავს ასკლეპიადის ტრაქტატები მიწერილი მითრიდატეს მიმართ, რომელიც პლინიუსის დრომდე შემონახულა, საიდანაც ირკვევა, რომ მითრიდატე დაბეჯითებით იწვევდა ასკლეპიადეს პონტოში. მაგრამ ასკლეპიადე სჯერდებოდა მხოლოდ ინსტრუქციების, ახსნა-განმარტებათა, ბარათებისა და ტრაქტატების გაგზავნით მითრიდატესათვის საინტერესო საკითხებზე. დადასტურებულია აგრეთვე, რომ მითრიდატეს ურთიერთობა ჰქონდა წერილობითი მიწერ-მოწერის სახით ეგვიპტის მმართველებთან (ზაფირთან და სხვ.) სამედიცინო-სამეცნიერო საკითხებზე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მითრიდატე პონტოელი სამეცნიერო მუშაობას დიდი მასშტაბით ეწეოდა, დიდი იყო მისი ინტერესებისა და ურთიერთობის დიაპაზონი. როგორც ცნობილია, მითრიდატიუმის საფუძველზე ევროპაში შეიქმნა მთელი რიგი ახალი შემადგენლობის ნაერთები, მათ შორის ცნობილია ანდრომაქოსის ნაერთი. ანდრომაქოსი ცხოვრობდა მითრიდატედან დაახლოებით 100 წლის შემდეგ, იყო იპპერა-

ტორი ნერონის ლეიბეჟიმი. მან შეადგინა ნაერთი „გალენის“ სახელწოდებით, მაგრამ „გალენის“ შექმნის საფუძველს წარმოადგენდა თვით მითრიდატეს ანტიდოტი“ (ვატსონი). მაგრამ, მასში სათანადო ცვლილებები შეიტანა ანდრომახოსმა.

მთელი რიგი ბალახები შეტანილია ორივე ვარიანტში, მაგრამ დამატებული აქვს კიდევ 16 ბალახი. „გალენში“ გადიდებულია ოპიუმის რაოდენობა. დამატებულია ლემნის მიწა, კალცინირებული თაფლი, ბიტუმი, „გალენის“ შემადგენლობაში დიდი რაოდენობითაა ზღვის ხახვი, რომელიც საერთოდ არ არის მითრიდატიუმში. „გალენში“ შედის აგრეთვე შხამიანი გველი, მითრიდატიუმში კი — ხელიკი.

თავდაპირველად მითრიდატიუმში მხოლოდ 37—54 ინგრედიენტს შეიცავდა, მაგრამ, თანდათან იცვლებოდა მათი რაოდენობა, თვით მითრიდატეს ხელშიც კი. მისსავე სიცოცხლეში, ჩანს, არსებობდა რამდენიმე ვარიანტი.

„მითრიდატიუმისა“ და „გალენის“ შემადგენელი ინგრედიენტები თავიანთი მოქმედების მიხედვით 4 ჯგუფად იყოფოდა: გამახურებელნი, გამაგრებელნი, გამაშრობელნი და ნოტიონი, დაყოფის ეს პრინციპი ჰუმორალური — პათოლოგიის საფუძველზეა დამყარებული; ქართულ კარაბადინებში იგი აღინიშნება, როგორც მხურვალე, გრილი, ნედლი და ხმელი, სიმხურვალის შემქმნელად აღიარებულია ცეცხლი, სიგრილისა — ჰაერი, სინედლისა — წყალი და სიხმელისა — მიწა. ორგანიზმში მათი წონასწორობა ჯანმრთელობაა, მათი წონასწორობის დარღვევა — პათოლოგია, ავადმყოფობა. არსებობს კიდევ ამ კომპონენტთა გარევის სხვა ვარიანტები: 1) მხურვალე და ნედლი (მეტია ცეცხლი და წყალი) 2) მხურვალე და ცხელი (მეტია ცეცხლი და მიწა) 3) გრილი და ნედლი (მეტია ჰაერი და წყალი). 4) გრილი და ხმელი (მეტია ჰაერი და მიწა). ამ 4 კომპონენტის გარევის სხვა ვარიანტებსა და ფორმებს იხილავენ კიდევ ქართულ სამკურნალო ძეგლთა ავტორები.

გალენი მითრიდატიუმისა და თერიაკის ინგრედიენტთა მოქმედებებში არჩევს ხარისხებს, მაგალითად, მხურვალე მოქმედების წამლებს 4 ხარისხი აქვთ: 1) ოდნავ შესაგრძნობი, 2) აშკარად გამოხატული შეგრძნების, 3) ძლიერი და 4) მოუთმენელი [დამწველი] ასევე მშრალი, გრილი და ნედლი თვისებების მქონე წამლებისა და მითრიდატიუმისა და თერიაკის თვითოეული ინგრედიენტის თვისებებიც განსაზღვრული იყო მათი ავტორების მიერ, მაგალითად ყაყაზო

(ოპი) ითვლებოდა მე-4 ხარისხის [ე. ი. უძლიერეს] გამაგრილებელ საშუალებად, ამიტომ საჭირო იყო მისი გამანეიტრალებელი ინგრედიენტი (მხურვალე), რომ შეამსუბუქოს მისი ძლიერი გამაგრილებელი თვისება. გველის ხორცი ძლიერი ხმელი თვისებისაა და საშუალოდ მხურვალე, თაზვის ყვერიც მხურვალეა და ხმელი და ა. შ. ამ ავტორთა წარმოდგენით, შხამი აგრილებს ორგანიზმს, არღვევს მასში სითხეების (სისხლი, ლორწო, შავი და ყვითელი ნალექი) წონასწორობას და აქვეითებს ორგანიზმის დამცველ ძალებს და იმ ნივთიერებების მიღება, რომლებიც ორგანიზმში იწვევენ სიმხურვალესა და სიმშრალეს, ხელს უწყობენ ორგანიზმის გამოჯანმრთელებასა და წონასწორობის შენარჩუნების პროფილაქტიკას. ასეთი თეორიული დასაბუთება აქვს ანტილოტთა შედგენას, ამგვარად, მითრიდატიუმის ძირითადი საფუძველი ჰუმორალურ-პათოლოგიური თეორიაა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მითრიდატე პონტოელი თავისი ქვეყნის ხალხურ მედიცინას ათავსებდა იმდროინდელ კლასიკურ „მეცნიერულ მედიცინასთან“.

ჯ. ვატსონის მოჰყავს რომაელი მწერლის კორნელი ცელსის [I—საუკ. დასაწ. ახ. წ.] შრომიდან მითრიდატიუმის შემადგენლობის ნუსხა, მასში 34 — ინგრედიენტი. ჩვენ შევეცადეთ მისი ქართულ-ლათინურ — რუსული შესატყვისები დაგვეძებნა, მაგრამ 10-მდე დასახელების ნივთიერება თანამედროვე ბოტანიკურსა და ფარმაციოლოგიურ ლექსიკონებში ვერ მოიძებნა თავიანთი შესატყვისებით და ჭერჭერობით კვლავ გაურკვეველი რჩება, როგორც ზემოთ ვნახეთ, პლინიუსი მითრიდატიუმის შემადგენლობას 54 ინგრედიენტით საზღვრავს კორნელი ცელსის აქ მოყვანილ „მითრიდატუმში“ კი 36 ინგრედიენტი (იხ. ცხრილი 1).

საინტერესოა, რომ, როგორც ზემოთ ვთქვით, ანტილოტები და სხვა შხამსაწინააღმდეგო ნაერთების შედგენა და მათი სხვადასხვა ვარიანტის მომზადება ერთგვარ მოდად იქცა ადრეული და შუასაუკუნეების მედიკოსთა შორის. აქვე მოგვეყავს ჯ. ვატსონის მიერ თავის მონოგრაფიაში მოთავსებული 6 სხვადასხვა სახის ანტილოტის შემადგენლობა (იხ. ცხრილი 2). აქედან ჩანს, რომ ინგრედიენტების ერთგვარობის მიუხედავად, მცირეოდენ დოზებში განსხვავება უფლებას აძლევდა ავტორს საკუთარი მოდიფიკაციის შემადგენლობად (ანტილოტად) აღეარებინა იგი. მაგალითად, საკუთრივ მითრიდატეს ანტილოტის (ალბათ, მისი მოკლე ვარიანტი) და ანტიპატერისა და კლეოფანტის ანტილოტი, შემადგენლობით არაფრით არ განსხვავ-

№1	მთარიატეუმის შემადგენ- ლობის დასახელება ჯ. კატ- სონის — ინგლისური (ქ. ტულ- სის მიხედვით)		ლატინურად	რუსულად	კართულად	დოზა
	2	3				
1	Costmary	<i>Pyrothrum Vulgare</i> L.	Дикая Рябина	სფერეკლა		1,66
2	Sweet flag	<i>Acorus calamus</i> L.	Аир. Ирный корень	კოთხეჯი		20 გრ. 24 გრ.
3	<i>Malabothrum leaves</i>					
4	<i>Hypericum Gum</i>	<i>Hypericum Gum</i>	Зверобой Сыо.га	კრანხა ფისი		8 გრ. 8 გრ.
5	<i>Saxapenum</i>	—	—	—		8 გრ.
6	<i>Asafo juice</i>	<i>Asacia</i>	Сок акаши			8 გრ.
7	<i>Ilyrian iris</i>	<i>Iris</i>	Ирис, Косатик	ბაზახი		8
8	<i>Cardamon</i>	<i>Elettaria cardamo- num</i> Mat.	Кордамон	კაქულა (ილი, პილი)		8
9	<i>Anise</i>	<i>Anisum Vulgare gaertn.</i>	Анис	ანისული		12
10	<i>Gallic nard</i>	<i>Nardostachus jat. d. C.</i>	Галеский нарл. Валериана ииедическая	ნარი		16
11	<i>Gentian root</i>	<i>Gentiana</i>	Горечавке (корень)	ნაღველა, შხამა, ასისთავა		16
12	<i>dreid rose leaves</i>	<i>Rosa</i>	роза (листья розовые сушеные)	ვარი (ვარდის შურალი ფოთლები)		16
13	<i>Poppy tears</i>	<i>Papaver</i>	Мак	ყაყაჩი		17
14	<i>Parsley</i>	<i>Petroselinum crisp.</i>	Петрушка	ოხჩახეში		17

1	2	3	4	5	6
16	Cassie	Cassia acutisolia del	Кассия остролистная	სინამპის ხე	20,66
17	Soxifrage	Saxifrage	Камнеломка	ქვატეხია, ფიჭვი	20,66
18	darnel	Lolium temulentum l.	Плевел опьяняющий	ღვარძლი	20,66
19	long popper	Capsicum annuum l.	Перец стручковый	წიწკა, კიბობი, წითელი კიბობი	20,66
20	Styrax	—	—	—	21
21	Castoreum	Sacci Castorei	Бобровая струя	თახვის ყუვი	24
22	Frankincense	—	Госветлий смолоносная	—	21
23	Hypocistis juico	—	—	—	24
24	Myrrh	—	Мирра	—	24
25	Oporonax	—	Опониак	—	24
26	Flowers of round rush	Juncus	Ситник	ქლი	24,26
27	Turpentine resin	Impatiens nolitangere l.	Бальзамовая смола Бальзамин	უკდრისა, ტყის იხა, ღულის იხა.	24,26
28	Galbanum	Ferula galbaniflua boiss.	Ферула галбаноносная	ქალბანა	21,66
29	Cretan carrot seeds	Daucus carota l.	Семена критское мар-ковн	ფერისტეკალა	24,66
30	Nard	—	Нард, Вальериана индийская	ნარდი	25
31	Orobalsam	—	Опобальзам	—	25

1	2	3	4	5	6
32	Shepherd's purse	Capsella bursa-pastoris (L) Medic.	Пастушья сумка	წიწმბატურა	25
33	Rhubarbroot	Rheum	Ренень (корень ренення)	რკეანდო	28
34	Saffron	Crocus sativus. L.	Шафран	ზაფრანა	29
35	Ginger	Zingiber offic. Rose	Имбир Имбир	კუპი, ჯანჯაფილი, ზანჯაფილი	29
36	Cinnamon	Cinnamomum Zeylanicum Breyh	Корицное дерево	ღარიჩინის ხე	29

ინგრედენტის დასახელება	საკუთრე მითრიდატის ანტიდოტი	ანტიპატერის და კლეოფანტის	დამოკატის	ხელიის (Lisard)	„ასიანი“ („Hundred“)	„შედარებელი“ (comparable)
1	2	3	4	5	6	7
თახვის ყვერი	6	6	8	6	6	12
ლოზარდი (ხელიის)	2 $\frac{1}{3}$	6	2 $\frac{1}{2}$	2	3	6
იმბიოი (კოქა, ზანჯაფილი)	7	7 $\frac{1}{2}$	10	6 $\frac{1}{3}$	3	15
ღარიჩინის ხე	7	7	10	6 $\frac{1}{3}$	7	13
კასია, სინემაქის ხე	5	5	7	5 $\frac{1}{3}$	5 $\frac{1}{3}$	16
ყაყაჩოს (წვენია, თესლი)	4	4*	5**	5 $\frac{1}{3}$ *	6**	8
ბალზამის ფისი	6	6	8	6 $\frac{1}{3}$	2	14

დებიან, ისინი 7 ერთგვარი ინგრედენტისაგან შედგებიან, განსხვავება მხოლოდ ხელიის (Лизард, Ящерица) და ზანჯაფილის დოზებშია, მითრიდატისაში — ის 2 $\frac{1}{3}$; ანტიპატერისა და კლეოფანტისაში 6, ზანჯაფილი პირველში — 7, მეორეში — 7 $\frac{1}{2}$. მიუხედავად ასეთი მცირეოდენი და მხოლოდ რაოდენობრივი განსხვავებისა, ძვ. წ. I საუკ. ავტორების ანტიპატერისა და კლეოფანტის ეს „მოდიფიცირებული“ ანტიდოტი მათი სახელით იწოდებიან.

აღსანიშნავია რომ კოლხეთში მედევს დროიდან აღინიშნება არა მარტო შხამსაწინააღმდეგო საშუალებათა (ანტიდოტთა) აღმო-

1 „ხელიის“, „ასიანი“ და „შედარებელი“ (Ящерица, Сотня, несравненный), ჩანს, ამ სახელებით იყო ცნობილი მითრიდატის ანტიდოტის ეს ვარიანტები.

ხმარებში იყო აგრეთვე სხვადასხვა სახის მოკლე თერიაკები და ანტიდოტები, მკვლელობა, მარცხ ავრელიუსი და გალენი იყენებდნენ ერთ მარტივ ანტიდოტს გერასის მიერ მოწოდებულს, მის შემადგენლობაში მხოლოდ 4 ნივთიერება იყო.

* — ყაყაჩოს წვენი.

** — ყაყაჩოს თესლი.

ჩენა, არამედ თვით შხამების, მომწამვლელ საშუალებათა გამოვლი-
ნება და მათი ბუნების შესწავლა. ჯერ ერთი, ეს საჭირო იყო მო-
წამვლათა მკურნალობისათვის ანტიშხამის გამოსამუშავებლად და,
მეორე თვით შხამებიც არანაკლებ საჭიროებას წარმოადგენდა ძველ
მსოფლიოში. იმდროინდელი საზოგადოების სოციალური თავისებუ-
რებანი, კლასობრივი და პოლიტიკური, ლეგალური თუ არალეგა-
ლური ბრძოლები მეტად საჭირო საგნად აქცევდა ეფექტური,
სწრაფმოქმედი, კონსპირაციული მოქმედებისათვის ხელსაყრელი
შხამების არსებობას. ვფიქრობთ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვი-
ტყვიით, რომ ზოგჯერ, ეფექტურ მომწამვლელ საშუალებას არსე-
ბობა განსაზღვრავდა ერთ-ერთი მოპირდაპირე მხარის თუ ოპოზიციის
გამარჯვებასა თუ დამარცხებას. ამიტომაც არის, რომ მედღეზე არ-
სებული თქმულების მიხედვით, როგორც ზემოთ ითქვა, თვით შხა-
მების გამოცდა და მათზე დაკვირვება წარმოებდა ადამიანებზე,
მედეას მამის აიეტის სასახლეში, რასაც წინ აღუდგა მედეა, ამას,
როგორც თქმულებიდან ჩანს, სერიოზული კონფლიქტი გამოუწვე-
ვია მამასა და შვილს შორის, მედეას მიუტოვებია კიდეც განრისხე-
ბული მამის სამეფო სახლი და სადღაც კუნძულზე დაუწყია ცალკე
ცხოვრება.

თუ თვით მითრიდატეს ცხოვრებას დავაკვირდებით, მას ყო-
ყოველთვის მზად ჰქონდა არა მარტო ანტიშხამები, არამედ თვით
შხამებიც.

შხამების გამოყენება პოლიტიკური და პირადი ბრძოლებისათ-
ვის, ინტრიგებისათვის იმდენად გახშირდა და იმდენი ტრაგიკულ
შემთხვევათა და სიტუაციების შემქმნელი შეიქნა, რომ რომის იმ-
პერატორმა სულამ ძვ. წ. 80-იან წლებში სპეციალური კანონი გა-
მოსცა: „მკვლელთა წინააღმდეგ...“, მათ წინააღმდეგ, ვინც ქმნის
(აყეთებს) ჰყიდის, ყიდულობს და ინახავს შხამებს, ან იყენებს მათ
ბოროტი მიზნებისათვის“ (ჯ. ვატსონი). ამავე დროს შემოიღეს
სასახლის ექიმის ახალი დამატებითი თანამდებობა სიახლეე-
ბის (შხამებისა და ანტიშხამების ძირითადად) დარგში და
რაც საინტერესოა პრეგუსტატორის პროფესიის და-
წესება. პრეგუსტატორად ინიშნებოდა მონა. მისი ვალდებუ-
ლება იყო ყოველდღიურად წინასწარ გაესინჯა მისი ბატონისათვის
განკუთვნილი საჭმელ-სასმელი, რომ დაედგინათ იყო თუ არა საკ-
ვებში შხამი, მომწამვლელი ნივთიერება. პრეგუსტატორები ჰყავ-
დათ სპარსეთისა და საბერძნეთის მეფეებს, ასეთი იონა ჰყოლია

ალექსანდრე მაკედონელს და ავგუსტს, იმპერატორ კლავდიუსს კი ორი პრეგუსტატორი ჰყოლია, ერთერთი მათგანი მოსყიდული აღმოჩნდა შემდეგში ოპოზიციური ბანაკის მიერ.

სასახლის ეს სიახლენი გადაიღო მდიდარი არისტოკრატიული წრის წარმომადგენლობამ და სულ მალე პრეგუსტატორთა ერთგვარი „ამქარი“ (კლასი, „გილდია“) შეიქმნა თავიანთი თანამდებობებითა და განსაზღვრული შტატებით. 3-ძირითადი სახის მომწამვლელი ნივთიერებები (შხამები) გამოიყენებოდა, როგორც ჯ. ვატსონი აღნიშნავს :

1. შხამები: ნელ-ნელა მოქმედი, რომელთაც ძირითადად ურევდნენ საკვებში მცირე დოზით და თანდათან აზიანებდნენ ტვინის უჯრედებს.

2. შხამები — ისევ ნელა მოქმედი, მაგრამ გათვალისწინებული მთელი ორგანიზმის მოსაწამლავად.

3. სწრაფმოქმედი შხამები, რომლებიც სწრაფად, ძალიან მოკლე დროში იწვევდნენ მსხვერპლის სიკვდილს.

პრეგუსტატორთა თანამდებობის დაწესება არაა გასაკვირი, მომწამვლელ ნივთიერებათა ვერაგული გამოყენების ასეთი მასიურობისა და თვით მომწამვლელ ქალთა სპეციალური პროფესიის შემოღების ეპოქაში. რომში სახელგანთქმული „მომწამვლელი“ იყო ცნობილი ლ უ კ უ ს ტ ა. ტაციტის თქმით, იგი „დიდიხნის განმავლობაში იყო დესპოტიზმის იარაღი“. ის აგრიპინეს ჰყავდა დაქირავებული რომ იმპერატორი კლავდიუსი მოეწამლათ. შემდეგ თვით ნერონმა იქირავა (აიყვანა მომწამვლელის თანამდებობაზე), რომ აგრიპინეს შვილი ბრიტ:ნიკა მოეწამლა. ნერონმა ლუკუსტას სპეციალური ლაბორატორია მოუწყო თვით მისი სასახლის აპარტამენტების გვერდით.

მითრიდატე პონტოელის მსგავსად ანტიდოტებისა და „თერიაკების“ მიღება დაიწყეს რომის იმპერატორებმაც. გალენი წერს: „რომ ის ამზადებდა იმპერატორისათვის ანტიდოტს და იმპერატორი ლებულობდა მას ყოველდღე დიდი რაოდენობის თაფლთან ერთად“.

თერიაკი და მითრიდატუმი VIII—IX საუკუნეებიდან თითქმის დავიწყებას მიეცა, მაგრამ იტალიურ რენესანსთან ერთად განახლდა მისდამი ინტერესი. იმართებოდა კამათი, დისკუსიები მითრიდატიუმისა და თერიაკის ცალკეულ ინგრედიენტთა გარშემო.

პირველი ნაბეჭდი წიგნი შხამების შესახებ გამოვიდა 1521

წელს და მას შემდეგ უამრავი წიგნი იბეჭდებოდა ამ საკითხებზე, რომელთა საფუძველი მითრიდატუმის და მათი აღრინდელი „მოდოლიფიკაციები“ იყო. იტალიელი ექიმები მითრიდატუმის, თერიაკისა და საკუთარი ნაერთების კომბინაციით ქმნიდნენ ახალ ანტიდოტებს, მაგრამ ფარმაცევტები მათ ისე აზავებდნენ, როგორსაც ინგრედირენტებს შოულობდნენ. გახშირდა ფალსიფიკაცია, ერთი ნაერთის მეორით შეცვლა, რაც იწვევდა ექიმთა და ფარმაცევტთა შორის დავასა და მტრობას. ამიტომ, საბოლოოდ ექიმებმა და ქალაქის მესვეურებმა მტკიცე კონტროლი დააწესეს მათს დამზადებაზე.

საშუალო საუკუნეებში ევროპის მთელი რიგი ქალაქები ანტიდოტთა დამზადების ცენტრებად იქცნენ, ისინი გახდნენ კომერციის საგანი, ქალაქების ფინანსიური და ეკონომიური აყვავების წყაროდ. ასეთი ქალაქები იყვნენ: ვენეცია, მილანი, გენუა, პადუა, ბოლონია, კაირო და სხვ. ამ ქალაქების საერთაშორისო კონკურენცია უზრუნველყოფდა პრეპარატის ნამდვილი შემადგენლობის შენარჩუნებას და სიწმინდეს. XV საუკუნის ბოლოს და XVI საუკუნეს, რენესანსის ეპოქას, ჯ. ვატსონი ასე ახასიათებს: „ქვეყნების მორალური სახე მეტად სამწუხარო მდგომარეობაში იყო, სახელგანთქმული ფერწერული, სკულპტურული და არქიტექტურული ძეგლების შექმნასთან ერთად ქვეყნად სუფევდა უპრინციპობა, ღალატი, კორუფცია. როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში გავრცელებული იყო მომწამვლელთა საშინლად გულცივი მეთოდები“.

ერთ-ერთმა „მომწამვლელმა“ სახელად ფრანცისკანციმ იკისრა ვენეციის მმართველთა (წ-ა მარკის მონასტრის ათთა საბჭოს) წინაშე, რომ იგი მოწამლავდა იმპერატორ მაქსიმილიანეს, თურქეთის სულთანს, ესპანეთის მეფესა და რომის პაპს, თუ ყოველწლიურად მისცემდნენ პენსიას 1 500 დუკატის რაოდენობით. მთელი ევროპა სასოწარკვეთილებით იყო მოცული შხამებისა და მოწამვლის შიშით, ამასთან დაკავშირებით დიდი მოთხოვნილება იყო ანტიდოტებისადმი მითრიდატუმისა და თერიაკის მიმართ.

ვენეციაში მზადდებოდა გალენის თერიაკი — „ვენეციური ბადაგის“ სახელწოდებით, რომელსაც დიდი გასავალი ჰქონდა თითქმის XVIII საუკ. ბოლომდე, და საბოლოოდ, დასჯაბნა თავისი კონკურენტი გენუა. ფარმაცევტებს აქ თვითონ მოჰყავდათ სამკურნალო მცენარეები და ბალახები, მოაშენეს შხამიანი გველები, რომ ებრძოლათ ფალსიფიკაციის წინააღმდეგ, ჯერ კიდევ 1172 წლის და შემდეგ 1258 წლის მკაცრი კანონმდებლობის ძალით მათი დამზადება

ხდებოდა ქალაქის მუნიციპალიტეტისა და მთავრობის სხვა ჩინოვნიკების წარმომადგენელთა თანდასწრებით.

თერიაკის დამამზადებლად დაიშვებოდა საუკეთესო ფარმაცევტი, რომელთაც „ტრიაკანტს“ ეძახდნენ. გერმანიაშიც XVI საუკუნიდან ცნობილი იყო თერიაკისადმი მიძღვნილი ორთვიანი ღღესასწაული—ნიურნბერგში. 1667 წელს ჰააგაში დაწესებული იყო თერიაკის ინსპექტორის სპეციალური თანამდებობა.

მე-16 საუკუნეში პარიზში გახშირდა მოწამვლები, პარიზელთა ერთადერთი იმედი მითრიდატუმის და თერიაკი იყო. 1628 წლიდან აქ მითრიდატუმისა და თერიაკის დამზადება დაიწყო ექიმპროფესორთა მეთვალყურეობით. ლუდოვიკო XIV დროს (1643—1714) ძალიან გახშირდა მასობრივი მოწამვლები, ცნობილი იყვნენ სახელგანთქმულ „მომწამვლელთა“ გვარები: მადამ დე ბრინვიე და მადამ დე ვუაზენ. 1683 წელს შედგა მითრიდატუმისა და თერიაკის დიდი რაოდენობით დამზადების გრანდიოზული ცერემონია. მეფის სასახლის აფთიაქარმა ცერემონიაზე გამოიყვანა 58 ღუჯინი, ე. ი. 696 შხამიანი გველი, როგორც ანტიდოტა ერთი მთავარი ინგრედიენტი. ასეთივე მდგომარეობა იყო აღმოსავლეთის ქვეყნებში. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ქ. კაირო.

საინტერესო ისტორია აქვს მითრიდატუმის გავრცელებასა და გამოყენებას ინგლისში. როგორც ჯ. ვატსონი წერს, მათი დამზადების დროს ინგლისში არ ჰქონია ადგილი ცერემონიებსა და რიტუალებს, როგორც ეს დასავლეთისა და აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყნებში იყო. მაგალითად, 1518 წელს სამეფო სამედიცინო სკოლის ჩამოყალიბების დღიდან მის დამზადებაზე კონტროლი დაეკისრა ამ სკოლას. შემდეგ მეფე იაკობ პირველის მიერ საერთო კონტროლისათვის შეიქმნა კომისია, რომლის ხელმძღვანელობა დაეკისრა ცნობილ ფილოსოფოსსა და მეცნიერს ფრანსის ბეკონს.

ჯ. ვატსონი ამბობს, რომ საშუალო საუკუნეების ინგლისური პირველადი წყაროები უჩვენებენ, რომ თავიდანვე თერიაკი და მითრიდატუმი ინგლისში სარგებლობდა დიდი პოპულარობით როგორც თავისი საერთო თერაპიული თვისებებით, ასევე თავისი ეფექტურობით მოწამვლებისა და შხამიან ცხოველთა ნაკბენის შემთხვევაში“.

ჯ. ვატსონის თქმით, რენესანსის ეპოქაში იტალიური სულისკვეთება, შეიქრა მთელს ევროპულ სახელმწიფოებში და მათ შორის ინგლისში; გახშირდა მოწამვლები, შხამების დამამზადებლები, შხა-

მები და მოწამვლები ერთგვარ მოღად იქცა ინგლისში. მოწამვლას „იტალიურ ბოროტებას“ უწოდებენ, რის გამოც პარლამენტი იძულებული იყო სასტიკი სასჯელი დაეწესებინა მომწამვლელთა მიმართ. დაწესდა სიკვდილით დასჯა (ცხელ წყალში მოხარშვა) — მოქალაქეთა თანდასწრებით, ასე იქნა დასჯილი ვინმე მარგარეტ ლევი, რომელმაც თურმე 3 ოჯახი მოწამლა.

თვით ელისაბედ I მუღმიევი შიშის ქვეშ იყო, ორჯერ სცადეს მისი მოწამვლა: 1594 წ. ბეკდის საშუალებით, და მეორედ იმავე წელს უნაგირის დასაჯდომებზე დაყრილი საწამლავეით, მაგრამ ორივე ცდა „მომწამვლელისა“ უშედეგოდ დამთავრდა, ელისაბედი მთელი 25 წლის განმავლობაში ლებულობდა პროფლაქტიკურ ანტიდოტს. ინგლისში როგორც სამეცნიერო წრეებში ისე ხალხში, საზოგადოებაში, დიდი რეზონანსით სარგებლობდა მითრიდატუმი:

„ისეთი წამლები, როგორც ბადაგი და მითრიდატუმიცა ხელს უშლიან, რომ შხამმა გაჟონოს გულში“.

„მითრიდატმა მოიგონა შესანიშნავი ანტიდოტი სამეფო მითრიდატუმი“. თერიაკი და მითრიდატუმი ცნობილი იყო არა მარტო როგორც შხამსაწინააღმდეგო საშუალებად, არამედ, როგორც სხვადასხვა დაავადებათა სამკურნალო წამლები.

საინტერესოა, რომ 1628 წლის აფთიაქართა საზოგადოების წლიურ ანგარიშში შემონახულია „ინგლისში წარმოებული ანტიდოტების რაოდენობა, ამ წელს წარმოებულ იქნა მითრიდატუმი — 1501 ფუნტი (676 კგ); ანდრომახის თერიაკი — 108 ფუნტი (49 კგ); დიოსკარდიუმი — 727 ფუნტი (125 კგ); *theriace landinensis* — 692 — (312 კგ)“. ამ ციფრებიდან ჩანს, რომ მათ ფართოდ იყენებდნენ ინგლისში. ინგლისში ფარმაცოლოგები ახდენდნენ მითრიდატუმსა და მის მოდიფიკაციებზე დაკვირვებებს, 1649 წ. ნიკოლას კულპეპერი, რომელმაც ინგლისურ ენაზე შეადგინა ფარმაცოპეა, საკმაოდ დიდ შეფასებას აძლევს მითრიდატუმს, ის წერს რომ „მითრიდატუმი ეფექტურია, როგორც შხამსაწინააღმდეგო საშუალება და სპობს ყველა მუხანათურ, ვერაგული მედიკამენტების მავნე მოქმედებას“. მას მოჰყავს დაავადებათა მთელი სია, რომლებზეც მითრიდატუმი სამკურნალო ზეგავლენას ახდენს.

ცნობილი იყო აგრეთვე მითრიდატუმის მარტივი ფორმა, რომელიც თითქოს, პლინიუსის ცნობით, პომპეუსს ჩავარდნია ხელში: 24 ლინის ნაყოფი; 24 ბერძნული კაკლის გული (αρρα) 2 — „горь-

ტი რუტი“ და ნახევარი უნცია მარილი. საჭირო იყო მათი შერევა და მიღება დილით, უზმოზე. იგი იწვევდა ოფლიანობას, ბავშვებისა და ინვალიდებისათვის გათვალისწინებული იყო მცირე დოზები. ხაზგასმულია, რომ ეს იაფი იყო — 16 პენსი ღირდა და ხელმისაწვდომი იყო მოსახლეობის ღარიბი ფენისათვის. სრულყოფილი მითრიდატუმი და სხვადასხვა რთული თერიაკი ძალიან ძვირი ღირდა და მასზე ხელი მიუწვდებოდათ მდიდრებს, ვაჭრებსა და მემამულეებს. ინგლისში 1677 წელს გამოვიდა ფარმაკოპეის III — გამოცემა. მისი ავტორი იყო ვილიამ სალმონო (William Salmon), მედიკი, პროფესორი. მითრიდატუმის შესახებ ისიც წერს: „მითრიდატუმი კურნავს და იცავს ორგანიზმს ჰერის შეყრისაგან და ყველა სხვა ინფექციურ დაავადებათაგან, ინახავს ჯანმრთელობას, თრგუნავს მელანქოლიას, კურნავს შხამიან ცხოველთა ნაკბენისაგან, აგრეთვე, რაც, საკვირველია, კურნავს კიბოს, პელაგრას და სხვა დაავადებებს გაცივებისა და მელანქოლიურ განწყობილებებისაგან გამოწვეულთ“.

განსაკუთრებული დიდი ინტერესი და გამოყენება ხვდა წილად თურმე მითრიდატუმს. ძველი მედიცინის აღდგენის პერიოდში — რენესანსის ეპოქაში — ამავე დროს გახშირდა კრიტიკული მიდგომა მისი ინგრედიენტების მიმართ. ინგლისელმა ექიმმა ვილიამ გებერდენმა 1745 წელს გამოსცა წიგნი „ანტითერიაკი, ესეი მითრიდატიუმსა და თერიაკზე“, როგორც ჯ. ვატსონი ამბობს, მოკლე (სულ — 19 გვერდი), მაგრამ შინაარსიანი მონოგრაფია, რომელიც მიმართული იყო მითრიდატუმსა და მათი ვარიანტებისა და მოდიფიკაციების წინააღმდეგ, იგი გადაჭრით უარყოფს მითრიდატუმისათვის მიწერილ თვისებებს, სამკურნალო ეფექტს, როგორც ანტიდოტისა და სამკურნალო საშუალებისა, ვ. გებერდენი თერიაკს (გალენს) „რეფორმირებულ მითრიდატუმს“ უწოდებს. იგი თვლის, რომ ეს პრეპარატი, რომელიც მიღებულია „უნივერსალურ პრეპარატად, ყოველგვარი შხამებისა და ავთვისებიან დაავადებათა არა მარტო განსაკურნებლად, არამედ მომავალ დაავადებათაგან დამცველად... ამჟამად საექვოა მიჩნეულ იქნას იგი ჩამოთვლილი მიზნებისათვის გამოსაყენებლად“. მიუხედავად ამისა, ინგლისში იგი საბოლოოდ ფარმაკოპეიდან ამოღებულ იქნა მხოლოდ 1788 წელს. ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში კი 1844 წლამდე შექონდათ კვლავ.

„გალენი“ გერმანულ ფარმაკოპეიაში 1872 წლამდე იყო, ფრანგულში — 1884 წლამდე.

მითრიდატუმი საკმაოდ გავრცელებული ჩანს შუა საუკუნეების ქართულ სამკურნალო ძეგლებშიც: „წიგნი სააქიმოა“-ში (XII საუკ.) რამდენჯერმე გამოყენებულია „მითრიდატოსის მაჯუნი“, „მითრიდატოსის თერიაყი“ სხვადასხვა დაავადებათა მკურნალობაში, ლ. კოტეტიშვილი განმარტებაში წერს: რომ იგი „უცნობია“. მაგრამ, ჩვენ ვფიქრობთ ექვი არაა, რომ ის სწორედ მითრიდატუმი, მითრიდატეს „მაჯუნი“ თუ „თერიაყი“.

ხოჯაყოფილს იგი გამოყენებული აქვს ეპილეფსიის, კუჭის დაავადებისა, გველის ნაკბენისა და ილეუსის დროს. ეპილეფსია აღწერილია „მტერთა დაცემამას“ სახელწოდებით (გვ. 88) აქ ნაჩვენებია მკურნალობის სხვადასხვა მეთოდი, სხვადასხვა წამალი: „მაჯუნი ნაჯალი“, „თირიაყი — ოთხწამალი“ და სხვ. მაგრამ, თუ „შეიგნეს რომელ მანკი ძნელი არს“, მაშინ ურჩევენ „მათრედიტოსისა თირიაყის“, რომლის სარგებლიანობაზე დარწმუნებულია ავტორი — „იხმაროს დია ერგებისო“, დასძენს. „მათრედიტოსის თირიაყი“, ანუ მაჯუნი გამოყენებულია აგრეთვე სტომაქის დაავადების დროს“ (გვ. 173, 188), ილეუსის დროს (გვ. 206) განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პათოლოგიური მდგომარეობა გამოწვეულია მომწამვლელი „წამალთაგან“ „რააცა მკვლელთა წამალთაგან იყოს რომელ ეჭამოს, იგი არს რომელ პირველ არწყიოს და მაშინ თირიაყი მათრედიტოსისა ქამოს“ ამ შემთხვევაში აქ გამოყენებულია უშუალოდ როგორც ანტიდოტი, შხამასწინააღმდეგო საშუალება. სტომაქის დაავადებისა და ილეუსის დროსაც უთუოდ ზოგადი ინტოქსიკაციის საწინააღმდეგოდ იხმარება.

გველნაკბენის დროს იგი გამოყენებულია როგორც სპეციფიკური საშუალება, „კურნება გუელცემულისას“ პირველად საშუალებად აღიარებულია „დიდი თირიაყი ანუ უპანისა მაჯუნი ანუ მათრედიტოსი“ (გვ. 294). მაგრამ „წიგნი სააქიმოაში“ არსად არ არის თვით მითრიდატუმის შემადგენლობა მოცემული. ეს, ვფიქრობთ, გამოწვეულია იმით, რომ მითრიდატუმი საკმაოდ ცნობილი და გავრცელებული წამალი იყო მაშინ საქართველოში, რომელიც, უთუოდ წინასწარ შემზადებული (თავისი რთული შემადგენლობით), გამოიყენებოდა პრაქტიკაში. მისი შემადგენელი წამლების შოვნა, გამოცნობა და შემზადება ჩვეულებრივი მომხმარებლისათვის, ავადმყოფისათვის ძნელი ან შეუძლებელი იყო, ამიტომაც „წიგნი სააქიმოაში“ იგი დასახელებულია არა მთელი მისი შემადგენლობით, არამედ წინასწარ შემზადებულ ერთ რთულ წამლად. მაგ-

რამ, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნში“, როგორც ძირითადად ფარმაკოლოგიური ხასიათის ძეგლში, იგი მოცემულია თავისი შემადგენლობით. აქ ის 46 სხვადასხვა სამკურნალო ნივთიერების ნაერთად არის წარმოდგენილი. ჯილბერტ ვატსონის წიგნში, როგორც ვნახეთ, ჩამოთვლილია მითრიდატიუმის 35 შემადგენელი ნივთიერება.

ზაზას წიგნში მოყვანილი აქვს მითრიდატიუმი, როგორც მას თვით ზაზა უწოდებს, „მათროდიტოსის მაჯუნი“, ერთ-ერთი ქვეთავი ზაზას დასათაურებული აქვს „ნიშანი მაჯუნისა რ ჩ ე უ ლ ი ს ა, რომელ არს ს ა ჩ ი ნ ო წამალი მათრიდიტოსი“. ე. ი. ავტორი მას „ამკობს“ „რჩეული“ და „საჩინო“ წამლის ეპითეტით, მისი შემადგენლობა ასეთია:

მური არაბი	— 10 დრაჰმა —	Gummi Arabicum
ქათირა	— „ „ —	Gummi tragacanti
ზაურანა	— „ „ —	Crocus sativus Al. I.
ღარიკონი	— „ „ —	Agaricum
ზანჯაბილი	— „ „ —	Ringiber officiu Rose.
კილამონი	— 10 დრაჰმა —	Cinanomum reylanium
სუმბული ტიბი	— 8 დრაჰმა —	Ferula sumbul. Hyacinthus.
გუნდრუკი	— „ „ —	Stirax bensionii-საგან ladanum album.
ათხრისა ძირი	— „ „ —	Calamus aromaticus.
ღუნალ ბალასანი	— „ „ —	უცნობია. სხ. ბალასანი—balsamum.
ასტობოდისი	— „ „ —	Lavanda vera dec.
ზოფერა	— „ „ —	სასლოი — Heracheum spondileum I.
ქუშტიბარი	— „ „ —	Lilium Mastagon.
ქალბანა	— „ „ —	Galbanum.
გომიზი ნაეუისა	— „ „ —	Gummi arabicum?
ღირაფილფილი	— „ „ —	Piper longum I.
თახუის ყუერი	— „ „ —	Sacci castorei
აფიონი კასტიდოსის (რომელ არა ვაციის წუერი)	— „ „ —	Opium—წენი მცენარისა Papaver somniferum I. ზაზაში.
კუქუმბრა ბერძნული	— „ „ —	„აფთიმონი კქეიან“—Epithimum
უდალ ბალასანი	— „ „ —	სხ. ღუნალ ბალასანი
ბუტმის გომიზი	— „ „ —	Pistacia terebinthus — ბუტმის ხიდან გამონადენი ფისი.
სადა ჯეჰაინდი	— „ „ —	ინდური ნარდი, ინდური ვალერიანი—Nardostachus jatamansu d. c.
სალიხა	— 7 დრაჰმა —	Cinnamomum — ღარიჩინი.
პილპილი თეთრი	— „ „ —	Piper album
პილპილი შავი	— „ „ —	Piper nigrum I.

აქალილ მელიქი	— „ „ —	Melilotus alba lam. et officin. ძიძო „რომელ არს სული“
ფილიონი	— „ „ —	
ნიორი ველური	— „ „ —	Allium rotundum I. ყანის ნიორი ДИ- КИЙ ЧЕШОК იხ. ასკოდარონი (ბერ- ძნულად)
ღოკო	— „ „ —	Saserpitium Hispidum M. b. ველური სტაფილო (შაყაყელი „ქილაკოლა“)
ბალასნის თესლი და წამალი	— „ „ —	(რომელსა ჰქვან კოფიონი)
მუციკუელი	— „ „ —	ილოეს ფისი, Aloes I.-ს—წებო. ფისი
სუმბული ბერძელი	— 5 ღრამი—	Ferula sumbul hook. Hyacinthus.
მასტაე ბერძელი	— „ „ —	Rosina Mastix I. — კევი.
გომიზი არაბი	— „ „ —	Gummi arabicum—არაბული გომიზი.
ფატრასალიონი (ველუ- რისა ნიახურისა თესლი)	— „ „ —	ველური ნიახურის (Ranunculus repens I.) — თესლი.
კურღმანაი (ქარვა გარეული)	— „ „ —	
კამას თესლი	— „ „ —	Anethum graveolens I. — ს თესლი.
ვირდი წითელი	— „ „ —	Rosa I.
ჯანტიანე ბერძელი	— „ „ —	Gentiana lutea I. gentaurium um- belboitum მეუნარე ასისტავა. glid ანუ Erythraea centaurium I.
ლოაკიხ მანონი „რო- მელ არს ბასბასაი“	— „ „ —	Myristica fragrans Hoult-ს ნაყოფის ქერტი „ჯავახს ქერტი“.
ანისონი	— 4,5 ღრამი—	Anisum I. ანისული.
მოთანმტიკონი (რომელ არს ფარიკონი, ზარისძირა, Helleborus)		
სიკანკურისა მუცლის სკუი და თირკმელნი	— 4,5 ღრამი—	ვირანი — ხელიკის მავვარ ცხოველთა ჯგუფს ეკუთვხის.
ასარონი	— 3 ღრამი—	Asarum ibericum stov. ხარისხლიქა, (кошметий Грзушникий) ბერძელი სუმფულა.
ფიო	— 3 ღრამი—	ბაბუაწვერა, ბაბუასაგძალა — Leontodon taraxacum s. taraxacum officinale.
ტენა ხმელი	— 2 ღრამი—	„ქარბა“, Buta graveolens I. 1).

1 ცალკეულ ინგრედიენტთა ლათინური შესატყვისები სავარაუდოა და სი-
ზუსტის პრეტენზია არა აქვთ, რადგან ისინი, გამოიყენებოდა რა ადრეულ საუ-
კუნეებში თავიანთი ძველი სახელებითა და ტერმინებით, ბევრმა მათგანმა თა-
ნამედროვე ლექსიკონებსა და ცნობარებში ვერ ჰპოვა ასახვა. ისინი კიდევ შოი-
თხოვენ შემდგომ დაზუსტებასა და შესწავლას.

როგორც ჩანს, ზაზასეული „მათროდიტოსის მაჯუნი“ თავისი შემადგენლობით განსხვავდება კორნელიუს ცელსის მიერ მოყვანილი მითრიდატიუმისაგან, მაგრამ მთელი რიგი ინგრედიენტებით ანალოგიური არიან. ჩანს, მასში ზაზამ დამატებით შეიტანა შემდგომი ავტორების მიერ სხვადასხვა ვარიანტში შეტანილი ნივთიერებები.

ჩვენ ასე დაწვრილებით იმიტომ მოვიყვანეთ ჯ. ვატსონის მონოგრაფიიდან და ქართულ სამკურნალო ძეგლებიდან მთელი რიგი ცნობები მითრიდატიუმის შესახებ, რომ გვეჩვენებინა ის დიდი რეზონანსი, რაც მან გამოიწვია მთელს მსოფლიოში. გვეჩვენებინა ის დიდი როლი, რაც მან შეასრულა მსოფლიოს მთელი რიგი სახელმწიფოების პოლიტიკურ ცხოვრებაში, კაცობრიობის სულიერი და მორალური სამყაროს ჩამოყალიბებაში, კლასობრივი და საზოგადოებრივი ბრძოლების ფონზე და ბოლოს, რაც მთავარია, სამედიცინო აზროვნებისა და, კერძოდ, ფარმაკოლოგიის განვითარებაში...

მითრიდატე აონატოელი და კოლხურ-იბერიული მედიცინა

მითრიდატე პონტოელის და მისი მითრიდატიუმის მთელი ეს ისტორია ჩვენთვის საინტერესოა უძველეს კოლხურ-იბერულ მედიცინასთან მისი ურთიერთობის თვალსაზრისით. როგორც ზემოთ გაიჩვენა, პონტოს სამეფო ძირითადად დასახლებული იყო ქართველური ტომებით: მესხებით, ტაბალ ტიბარენებით (იბერებით), ხალდეებით, ხალიბებით, კოლხებით, მოსინიკებით და სხვ. და თვით მითრიდატე ერთ-ერთი ადგილობრივი ტომის წარმომადგენელი იყო. ცნობილი რომ არ იყოს ეს ეროვნული ერთგვარობა, მაშინ მხედველობაში იქნებოდა მისაღები ის ტერიტორიული გეოგრაფიული სიახლოვე, რაც საკუთრივ კოლხეთსა და პონტოს სამეფოს სხვა სამთავროებს შორის არსებობდა, რაც კულტურული სიახლოვისა და ურთიერთგავლენის ერთ-ერთი უპირველესი პირობაა. საკუთრივ პონტო ჰოროხის ხეობიდან იწყებოდა, ამ ხეობამდე კი კოლხეთის სამეფო იყო. მაგრამ, მითრიდატეს დროს კოლხეთის სამეფო თვით პონტოს სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა მთელი 51 წლის განმავლობაში და ამ სამეფოს ცალკე სამთავროდ ითვლებოდა, რომლის გამგებელი მითრიდატეს შვილი ფარნაკი იყო.

ელ. ხინთიბიძე, წიგნში „ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი“ ეხება რა კაპადოკიასა და პონტოს მცხოვრებ-

თა ქართულ სამყაროსთან დამოკიდებულების საკითხს აღწერს: „როგორც ჩანს, არგონაეტების მითი და ძველი კოლხეთის დიდება ეროვნული თვითშეგნების საყრდენი ყოფილა ჯერ კიდევ IV საუკუნეში, პონტოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველურ ხალხებში. რომ ეს ტომები ძველი კოლხეთის (არგონაეტების, მედეას დროინდელ — მ. შ.) მემკვიდრედ თვლიდნენ თავს, ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ II—III საუკუნეების შემდეგ გაძლიერებულ ლაზთა მეფეებს დიდი კოლხეთის მემკვიდრეებად მიაჩნდათ საკუთარი თავი“.

ამგვარად, ჯერ კიდევ ადრინდელ საუკუნეებში (IV საუკ.) და მის შემდეგაც პონტოს ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველები ამყობდნენ თავიანთი კოლხური ჩამომავლობითა და თქმულება არგონაეტებზე მათი „ეროვნული თვითშეგნების საყრდენი ყოფილა“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არგონაეტების თქმულება თავის *Cura mediana*-თი, სწავლებით შხამებისა და ანტიშხამების შესახებ, საერთო ყოფილა, როგორც პონტოელთა, ასევე კოლხეთის მცხოვრებთათვის. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, პონტოს სამეფოსა და კოლხეთის უძველესი კულტურის გავლენა, მათი ურთიერთობა და ერთიანობა. მართლაც, კოლხეთის ისტორიაში, ტოპონიმიკაში, ეთნოგრაფიასა და ფოლკლორში არ იგრძნობა, რომ კოლხეთის პონტოს სამეფოს შემადგენლობაში ყოფნა უცხო სახელმწიფოთა დაპყრობითი ომების შედეგი ყოფილიყოს, არ იგრძნობა, რომ კოლხეთში უცხო ხალხებს ებატონოს. კოლხეთის პონტოს სამეფოსთან გაერთიანება მართალია მითრიდატეს მხრივ იძულებითი აქტი იყო, მაგრამ, ვფიქრობთ; ამ აქტს მაინც ეროვნული ერთიანობა ედო საფუძვლად. აქ უთუოდ ისეთივე მოვლენასთან გვქონდა საქმე, როგორც საშუალო საუკუნეების საქართველოში ფეოდალური სამთავროებისა და ცალკეული სამეფოების გაერთიანებისა და კვლავ განცალკევების ხშირი მონაცვლეობა (ქართლ-კახეთი, სამეგრელო და იმერეთის სამეფო, რაჭა და იმერეთის სამეფო, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს განცალკევება თუ გაერთიანება და ა. შ.).

პონტოს სამეფოსთან ერთგვარი „ნათესაური“ (ეროვნულის გაგებით) კავშირის გამოვლინება უნდა იყოს ის, რომ ქართლის შემდგომ მეფეებს მითრიდატეები ერქვათ სახელად. მითრიდატე I

(37—41); მითრიდატე II (70-იანი წლები, არმაზის ბილინგვამი); მითრიდატე III (119—135); მითრიდატე (მირდატი) და ა. შ.

ასეთ გეოგრაფიულ, ადმინისტრაციულ და ეროვნულ-ეთნოგრაფიულ ერთიანობას, ბუნებრივია, როგორც ზემოთ ვთქვით, მოეცა კულტურული და იმ დროისათვის „მეცნიერული“ ურთიერთობა-ერთიანობაც, და ის ერთგვაროვანი კულტურის და აზროვნების სახით გამოვლენილიყო ძველი მსოფლიოს ისტორიაში.

ჩვენ ვფიქრობთ ეს ასეც მოხდა უძველესი კოლხურ-იბერული მედიცინისა და პონტოს სამეფოს ურთიერთობაში. მაგრამ ვარაუდები საკმარისი არაა, არსებობენ თუ არა საამისო კონკრეტული მოტივები თვით სამედიცინო-კულტურული ურთიერთობის ხაზით? ვფიქრობთ მითრიდატეს სამედიცინო ცოდნა მის ქვეშევრდომ ხალხთაგან აქვს მიღებული. ამას თვით რომაული მწერლები და ისტორიკოსები მიუთითებენ. მითრიდატეს დედას, ლაოდიკეას სურდა თავისი 11 წლის ტახტის მემკვიდრე ვაჟიშვილის სიკვდილი, რომ თვითონ დაუფლებოდა ტახტს, მაგრამ, მითრიდატეს თავისი მფარველები და მომხრეები ჰყავდა, რომელთაც იხსნეს იგი დედის ვერაგობისაგან და მცირეწლოვანი მემკვიდრე გადამალეს, მთელი 7 წელიწადი იგი ქალაქსა და მეფის სასახლეს მოშორებული ხალხში იზრდებოდა. უთუოდ სადღაც მთაგორიან მიუვალ ადგილას, სადაც უშუალო კონტაქტში იმყოფებოდა ბუნებასთან, ხალხთან, ხალხურ სიბრძნესთან, როგორც ტახტის მომავალი მემკვიდრე მისი სიცოცხლისათვის მზრუნველები ალბათ, მისი გონებრივი აღზრდისათვისაც ზრუნავდნენ.

როგორც აღვნიშნეთ პლინიუსი თავის წიგნში ხაზს უსვამს, რომ „მას მალალ სულიერ ღირსებასთან ერთად გააჩნია განსაკუთრებული ინტერესი მედიცინის მიმართ და ჰკრებდა რა სხვადასხვა ცოდნას თავის ყველა ქვეშევრდომთაგან, რომელთაც მთელი მსოფლიოს მნიშვნელოვანი ნაწილი ეჭირათ, და სტოვა თავის საკუჭნაოებში ამგვარი თხზულებები კიდობნებით, რომლებშიც მოცემულია შესამისა და მის საწინააღმდეგო საშუალებათანი-მუშები და მათი მოქმედების აღწერილობა“. ცხადია, აქ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ სამედიცინო ცოდნა, განათლება, რომელიც გააჩნია მითრიდატე პონტოელს და რითაც მან დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიოში სამედიცინო ბიოლოგიური აზროვნების განვითარებაზე, თავის ქვეშევრდომ ხალხთაგან ჰქონდა

ნასწავლი. სხვა მხრივ შეუძლებელია, რადგან იგი 11 წლის ასაკიდან ღებულობდა შხამსაწინააღმდეგო საშუალებებს და იმუშაებდა იმუნიტეტს. პროფ. გ. გოზალიშვილიც აღნიშნავს, რომ „მითრიდატე ადრიდანვე მიაჩვიეს იმას, რომ მოწამელის საფრთხის თავიდან აცილების მიზნით არავითარი საზრდო არ ჩაეშვა პირში, თუ მას საწამლაის საწინააღმდეგო საშუალებით არ შეაზავებდა“¹.

შავიზღვისპირეთის აღმოსავლეთ რაიონებში, და, კერძოდ, პონტოს სამეფოში შემავალ ხალხთა შორის სამედიცინო კულტურის კერად, გარდა კოლხეთ-იბერიისა, სხვა არცერთი ქვეყანა და ხალხი არაა ცნობილი იმ დროისათვის.

კ. შპრენგელი თავისი მეცნიერული ინტუიციით თუ არსებულ წყაროთა შეჯერებით იმ დასკვნამდე მიდის, რომ პონტოს სამეფოს მედიცინა, მითრიდატეს მედიცინა, უშუალო ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს ძველი კოლხურ-იბერული მედიცინისა. იგი წერს „ამ მცენარეებით (ლაპარაკია მედეას ბაღის სამკურნალო მცენარეებზე მ. შ.) ახდენდა სასწაულებს მმართველის ოჯახი კოლხეთში, ფართოდ გამოიყენებოდა აგრეთვე მცენარეული ანტიშხამები, რომელსაც უფრო გვიან მითრიდატეც კი ხმარობდა“².

როგორც ვხედავთ, კ. შპრენგელს აქ გაიგივებული აქვს ის „მცენარეული ანტიშხამები“ იმ საშუალებებთან, რომელსაც „უფრო გვიან მითრიდატეც კი ხმარობდა“.

მედეას სამკურნალო მცენარეების, მისი შხამებისა და ანტიშხამების, და საერთოდ *Curia Mediana*-ს შესახებ, როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ, თუ მთელმა იმდროინდელმა ცივილიზებულმა მსოფლიომ იცოდა, და მედეადან მოყოლებული მთელი ათეული საუკუნეების შემდეგაც ბერძენი და რომაელი ავტორები გვაწვდიან ცალკეულ ცნობებს, რასაკვირველია, პონტოს სამეფოსა და კოლხეთ-იბერიაში, ამ ქართველურ ტომთა სამყაროში, უფრო დაწვრილებითი ცნობები იქნებოდა გავრცელებული.

დიოდარ სიცილიელის ცნობით, რომელიც ჩვენს მიერ მრავალჯერ არის დამოწმებული ადრე გამოკვლევებში, კოლხეთის მეფის მეუღლემ ჰეკატემ ჯერ კიდევ ქალიშვილობაში „შეიძინა ღრმა ცოდნა შხამების შედგენაში. თვითონ აღმოაჩინა ბაია (*aconitum*),

¹ გ. გოზალიშვილი დასახ. წიგნი გვ. 246.

² *Versuch einer pragmatischen geschichte der Arzneykunde*—Halle, 1821, გვ. 46.

გამოხცადა შხამების მოქმედება, აძლევდა რა მათ საქმელთან ერთად უცხოელებს. მას გამოცდილება დაუგროვდა ამ ხელოვნებაში“. შემდეგში მისმა ქალიშვილმა ცირცეამ „მთელი სიცოცხლე შესწირა შხამების შესწავლას, აღმოაჩინა სხვადასხვა მცენარეთა ფესვები და მათი საკვირველი თვისებები. მართალია, დედა ჰეკატემ ასწავლა მას ბევრი საიდუმლოება ამ ნაერთებისა, მაგრამ თვით მან თავისი შრომისმოყვარეობის მეოხებით გააქეთა ბევრი აღმოჩენა, იმდენად მნიშვნელოვანი, რომ არავის უთმობდა პირველობას ამ მცენიერებაში“. მედეას კი — დედამ და დამ ასწავლეს „ყველა შხამის თვისებები“, რასაც ის იყენებდა არა ადამიანთა საწნოდ, არამედ ყოველთვის ცდილობდა „გადაერჩინა სიკვდილისაგან თვით ყველა უცხოელიც კი“.

მოყვანილი ადგილები ყველა იმ საქმიანობას ასახავენ, რასაც შემდგომში მითრიდატე ეწეოდა და რაც მისი მეოხებით მთელს ცივილიზებულ მსოფლიოში გავრცელდა — შხამების შედგენის ღრმა ცოდნა, შხამების მოქმედების გამოცდა, საქმელთან ერთად შხამების მიღება, შხამების თვისებათა შესწავლისადმი დაუცხრომელი ლტოლვა, მცენარეთა ფესვების აღმოჩენა და მათ საკვირველ თვისებათა შესწავლა, ადამიანებზე მათი გამოყენება და ა. შ. დ. სიცილიელის „არგონავტიკის“ ეს ფრაგმენტი ბევრად წინ უსწრებს მითრიდატე პონტოელის ცხოვრებისა და მეფობის წლებს და თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მითრიდატე პონტოელი იყო დიდად განსწავლული თაყვანისმცემელი, ბერძნული კულტურისა და მწერლობისა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი უთუოდ იცნობდა დ. სიცილიელის ამ ცნობას და საერთოდ კოლხურ-იბერიულ წყაროებს, რომლებიც განხილული გვაქვს ადრინდელ გამოკვლევებსა და წინათავეებში. ამიტომაც არ შეიძლება ამ ცნობებს გავლენა არ მოეხდინა მითრიდატეზე და მედიცინით ესოდენ დაინტერესებულ პიროვნებას. ყურადღების გარეშე დაეტოვებინა იმ მოძღვრებისა და სწავლების პირველადი კერა, რომელიც შემდეგში თვითონ განავითარა და საუკუნეების განმავლობაში ათეულობით მეცნიერთა თაობები აზიარა.

ცალკე გვინდა შევჩერდეთ ამ ურთიერთობის ერთ შეტად საინტერესო დეტალზე. ჩვენ შევისწავლეთ რა მედეას ბალის სამკურნალო მცენარეები „ორფიკული არგონავტიკისა“ და ცალკეული ბერძნულ-რომაული წყაროების საფუძველზე, დავადგინეთ 58-მდე მცენარე, რომელიც ხარობდა მედეას ბალში ან საერთოდ აკუთვნებდნენ კოლხეთის ფლორას.

მედეას დროიდან მოყოლებული შემდგომ საუკუნეებშიც, თვით მითრიდატეს დროსაც კოლხიდა და იბერია კვლავ ითვლება სამკურნალო მცენარეებით მდიდარ ქვეყანად, მათი სამკურნალო თვისებათა შესწავლის კერად. დიოსკორიდი (I საუკ.) პორაციო (65—8 ძვ. წ. აღ.) პლინიუსი (29—79 წ. ძვ. წ. აღ.) ფსევდო პლუტარქი, პლუტარქი (46—126 ახ. წ. აღ.), კლავდიუსი (395 წ. ძვ. წ. აღ.) მიუთითებენ სხვადასხვა ხის წვენების და ყველა იმ მომავლდინებელი მცენარის მოქმედებაზე, „რომლებიც მხოლოდ იზრდებიან შხამიანი მცენარეებით უხვ კავკასიაში“, პორაციო ახსენებს თავის თანამედროვე კოლხეთსა და იბერიას, „კოლხურსა“ და „იბერიულ“ შხამებს. ყველა ზემოხსენებული პიროვნებები ქრონოლოგიურად ან მითრიდატეზე ოდნავ ადრე ცხოვრობდნენ, ან მისი თანამედროვენი იყვნენ, ან მის მომდევნო წლებში მოღვაწეობდნენ, ეს კი იმის მაუწყებელია, რომ არა მარტო მედეას დროს, მითრიდატეს დროსაც კოლხეთი და იბერია კვლავ ითვლებოდა სამკურნალო მცენარეების გავრცელებისა და გამოყენების გამორჩეულ კერად და ცხადია, ის „ქვეშევრდომი“ ტომები, რომელთაგანაც სწავლობდა მითრიდატე მათ გამოყენებას, უსათუოდ კოლხები და იბერები იყვნენ.

კვლავ გავიხსენოთ გალენის სიტყვები, რომ მითრიდატეს წიგნები „სამკურნალო მცენარეების შესახებ დეტალური ინფორმაციის შემცველი იყვნენ“, რომ თითოეულ „სამკურნალო მცენარეზე მოცემულ ინფორმაციას თან ახლდა მითრიდატეს შენიშვნები მათი მოქმედებისა და სამკურნალო თვისებების შესახებ“.

პლინიუსის მოწმობითაც, მითრიდატემდე სამკურნალო მცენარეები საერთოდ ნაკლებად იყო გამოყენებული რომაელ ექიმთა მიერ. პლინიუსის თქმით, რომაულ მედიცინაში სამკურნალო მცენარეებს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მითრიდატეს წიგნების თარგმნის შემდეგ. პლინიუსი, რომელიც ასე დაწვრილებით გადმოგვცემს მითრიდატე პონტოელის ამბებს თავის „Hystoria Naturalis“-ში იძლევა ცნობებს საერთოდ სამკურნალო მცენარეების შესახებ კოლხიდასა და იბერიაში: რომ „ყველაზე საუკეთესო ფესვი ზამბახისა იზრდება კოლხეთში, მდ. ფაზისთან“, რომ იბერიაში იზრდება კამა და „მისგან ამზადდებიან ყველაზე საუკეთესო წვენი იბერიაში“, აქვე აღწერილია ამ სამკურნალო საშუალებების მოქმედებისა და მისი დამზადების ტექნოლოგიური პროცესები. აქედან გამომდინარე პლინიუსის ცნობა, რომ მითრიდატეს ცოდნა-გამოცდილება თავის ქვეშევრდომ ხალხთაგან მიეღოს, რეალურია და, რომ

ეს ხალხები კოლხები და იბერებია, რადგან პლინიუსი პონტოს სამეფოს ქვეშევრდომთაგან სხვა ტომებს არავის ასახელებს, რომლებიც სამკურნალო მცენარეებით, შხამებით ან ანტიშხამებით იყოს ცნობილი.

პორაციოს თქმით „იბერია შხამებით უხვი ქვეყანაა“. კოლხეთი „ღუმელია, სადაც კოლხური შხამები მზადდება“ და სხვ. და ეს ყველაფერი არა მარტო მედეასდროინდელ კოლხეთზე, არამედ თვით მითრიდატეს დროის კოლხეთსა და იბერიაზე არის ნათქვამი.

ამგვარად, კვლავ იკვრება დამაკავშირებელი ძაფები, კვანძები: მედეას სამკურნალო მცენარეთა ბალი, კოლხურ-იბერიული სამკურნალო მცენარეები, შხამებითა და ანტიშხამებით, ერთი მხრივ, და მითრიდატე პონტოელი თავის მოძღვრებით შხამებისა და ანტიშხამების შესახებ — მეორე მხრივ.

მედეას ბალის სამკურნალო მცენარეთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს *aconitum* — აკონიტუმი — ტილჭირი. საქართველოში ამ მცენარის ენდემური სახეები არსებობენ: *aconitum Caucasicum* და *aconitum tnscheticum*.

მის აღმოჩენასა და შესწავლას მედეას დედას ჰეკატეს სახელს უკავშირებს დიოდორ სიცილიელი: „აღმოჩინა ეგრეთწოდებულმა აკონიტონი“ და ამით თითქოს იგი აწარმოებდა ექსპერიმენტებს ადამიანებზე და სხვ. აღსანიშნავია, რომ აკონიტი შედის იმ რთული ანტიდოტის შემადგენლობაში, რომელმაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, ასე დიდი რეზონანსით მოიარა საუკუნეების განმავლობაში მთელი მსოფლიო და რომელსაც მითრიდატეში ერქვა. აღსანიშნავია, რომ აკონიტი არ შედის მითრიდატეუმის არც ერთ იმ ვარიანტში, რომელიც შემდეგში შეიქმნა საბერძნეთსა, რომსა და ევროპის სხვა სახელმწიფოებში, აკონიტი მხოლოდ თვით მითრიდატეს რეცეპტში, მითრიდატეუმის შემადგენლობაში შედიოდა. გალენი მითრიდატეუმის შესახებ წერს: „მითრიდატემ გამოიყენა ანტიდოტები სხვადასხვა ცხოველური შხამის (ობობა, მორიელი, შხამიანი გველი) და საერთოდ შხამების (აკონიტის, მოლუსკის და სხ.) წინააღმდეგ, ის მათ ურევდა ერთიმეორეს და ამგვარად შეიქმნა ერთი ანტიდოტი ყველ შხამების წინააღმდეგ“.

საინტერესოა, რატომ არ შეიტანეს სხვა ანტიდოტების ევროპელმა ავტორებმა ეს საკმარად გახმაურებული მცენარე თავიანთ რე-

ცებტში? აკონიტუმი სუბტროპიკული მცენარეა და ამჟამად იგი საქ-
მოდ გავრცელებულია ევროპაშიც. საქართველოში მისი ნ-მდე სა-
ხეობაა ცნობილი და მათ შორის, ორი როგორც ვთქვით, ენდემურია.
შესაძლოა, იმ დროს ეს მცენარე მხოლოდ კავკასიაში ყოფილიყო და
აქედან შემდეგში გავრცელებულიყო სხვა ქვეყნებში.

ასევე შეიძლება ითქვას მითრიდატუმის კიდევ ერთ ინგრედი-
ენტზე — *Opopanax*-ზე, რომელიც საქმოდ დიდი დოზით შედიო-
და ამ ნაერთის შემადგენლობაში (24 გრამი), არც ის გვხვდება სხვა
(არა მითრიდატეს) ანტიდოტებში, მაშინ როდესაც იგი მედებს სამ-
კურნალო მცენარეთა ბალის მცენარეა—*Ferula Opopanax*—საქარ-
თველოში ამჟამადაც მისი ორი სახეობაა გავრცელებული და იხმა-
რება ხალხურ მედიცინაში ნევრასტენიის, ასთმის, ისტერიისა და
სხვა ნერვულ დაავადებათა წინააღმდეგ.

საინტერესოა თვით სიტყვის *Opopanax*-ს — ეტიმოლოგია:
panax ლათინური ენის განმარტებით ლექსიკონში გაიგივებულა.
panacea-სთან („ყოვლისმკურნალი“), *opo* — სიტყვის წინასართია
და ნაყოფს, წვენს, ხეს, შხამს ნიშნავს, მაგალითად *Opobalsamus*—
ბალზამის ხეა, ბალზამის ხის ნაყოფი, ამგვარად *Opopanax* — უნდა
ნიშნავდეს „ყოვლისმკურნალს, უნივერსალურ მოქმედ ნაყოფს,
შხამს, წვენს, რომელიმე მცენარისას ვფიქრობთ, *Ferula opopa-*
nax — უნდა გავიგოთ, როგორც ყოვლის მკურნალი, უნივერსალუ-
რი, მოქმედი წვენი, შხამი, მცენარის — ფერულასი.

მედებს ბალის მცენარეთა შორის დასახელებულია *Ferula opo-*
panax, კორნელი ცელსის მითრიდატუმში კი მხოლოდ *Opopanax*—
რაც, ვფიქრობთ, შემოკლების მიზნითაა ასე ნახმარი, ან კორნელი
ცელსის ამ სახეობის მცენარეთა საერთო სახელწოდებად აქვს მიჩ-
ნეული იგი.

მედებს ბალის სამკურნალო მცენარეთაგან მითრიდატუმის შე-
მადგენლობაშია კიდევ *Crocus Sativus* — ზაფრანა და სხვ.

პლინიუსი წერს, „ყველაზე საუკეთესო ფესვი ზამბახისა (*Κασα-*
τნიკ-ისა) ხარობს კოლხეთში მდინარე ფაზისის ნაპირებზე“.

მითრიდატუმის ნაერთის მეორე ინგრედიენტი კი არის სწორედ
acorus Calamus (*Ирвый корень*) კოთხოჯი, მაგრამ, თანამედროვე
ქართული ბოტანიკური ლექსიკონის მიხედვით *Κασατნიკი* ზამბახია
და არა კოთხოჯი. თუ პლინიუსის ზემოხსენებულ ცნობაში ზამბახია
ნაგულისხმევი, ისიც შედის მითრიდატუმის შემადგენლობაში მე-8
ინგრედიენტად. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ზამბახის მრავალსა-

ზეობაა ცნობილი, რომლებიც საქართველოს ენდემებად ითვლებიან. ამჟამად ჩვენში ცნობილია ქართლის ზამბახი (*Jris carthaginaia* Fom.) ქართული ზამბახი (*Jris Ibericum* Hoffm) ჭანური ზამბახი (*Iris lasiaca* Alb.) მაგრამ მნიშვნელოვანია მაინც ის, რომ მითრიდატუმის შემადგენლობაში (მე-4 შენაერთი) შედის კრაზანა (*Hypericum — звереній*), რომელიც ნოქალაქევის (ყოფ. არქეოპოლისის — ეას) მცხოვრებთა შორის ცნობილია მედეას ვარდის სახელწოდებით.

ამგვარად მედეას ბალის ამ მცენარეთა სახით მითრიდატუმის შემადგენლობაში ჩვენ გვაქვს ამ ორი სხვადასხვა ეპოქის და ტერიტორიულად ოდნავ დაშორებული, მაგრამ ერთიანი სამედიცინო-კულტურული კერის დამაკავშირებელი ძაფები, რომლებიც სხვა ზემოხსენებულ მოტივებთან ერთად მითრიდატე პონტოელის სახელთან დაკავშირებულ მოძღვრებას (ძირითადად ტოქსიკოლოგიის საკითხებზე) უძველესი კოლხურ-იბერიული მედიცინის ფარგლებში აქცევს — გვამების ბალზამირება, მაბალზამირებელ საშუალებათა ჭიმია და მათი საიდუმლოების ცოდნა ძველი მსოფლიოს დაწინაურებული ქვეყნების, ცივილიზაციის გზაზე შემდგარი ერების ხედური იყო. „არგონავტიკაში“ შემონახული ერთი ზემოხსენებული ცნობა გვაფიქრებინებს, რომ მედეას დროს კოლხეთში სცოდნიათ ბალზამირება. მედეა „მიჩევეული იყო ღამღამობით ტაძრის მახლობლად გვამების და წამლისათვის გამოსადეგ მცენარეთა ირგვლივ ხეტი-აღს“¹.

ცხადია, გვამებისათვის საჭირო და გვამებისათვის გამოსადეგი მცენარე რაღაც მაბალზამირებელი საშუალებაა, მედეა უთუოდ იცნობდა გვამებისათვის (მათი ბალზამირებისათვის) საჭირო მცენარეებს. ამ მცენარეების შესახებ პონტოს სამეფოშიც სცოდნიათ მითრიდატეს დროს, რადგან, როგორც ზემოთ შევეხეთ, მითრიდატეს ბალზამირებული გვამი რომში იქნა გაგზავნილი (თუმცა შეცდომით თავის ქალიდან ტვინის ამოღების გარეშე).

ამგვარად, ამ მხრივაც ერთგვარი დამთხვევაა კოლხურისა და პონტოური კულტურის ურთიერთობაში.

აღსანიშნავია ერთი ფაქტი, სამწუხაროდ, მსოფლიო მედიცინის ისტორიის სახელმძღვანელოებში, ცნობარებსა და ენციკლოპედიებში მთელი ეს ისტორია, საიდანაც დასაბამს ლებულობს თანამედრო-

¹ აბ. როდოსელი, არგონავტიკა 1948, გვ. 154.

ვე ტოქსიკოლოგია, არა სწორად არის წარმოდგენილი, უფრო სწორად უგულებელყოფილია. БМЖ-ის 1963 წლის მეორე გამოცემაში სიტყვა Токсикология-ს განმარტებაში კვითხულობთ: «Первые попытки описания действия ядовитых веществ связаны с именем Диоскорида (I в. н. э.), который помимо знаменитой «de materia Medica» написал книгу об отравлениях—«Alexipharmaca» — Гален предложил (2 в. н. э.) первую классификацию различных ядов. Согласно которой различались охлаждающие, согревающие и вызывающие гниение яды, причем в качестве противоядий рекомендовались вещества противоположного действия» (стр. 298).

უნდა ითქვას, რომ დიოსკორიდს ქრონოლოგიურად მბოლო საუკუნით უსწრებს მითრიდატე პონტოელი და 10—11 საუკუნით Cura Mediana — თავიანთ შხამებითა და ანტიშხამებით. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ გალენს დაწვრილებით ჰქონდა შესწავლილი პლინიუსის ჩანაწერები და მითრიდატეს რეცეპტები, რომლებიც პომპეოსმა პონტოდან რომში ჩამოტანილი სამედიცინო წიგნებიდან ამოიწერა, მათ შორის თვით მითრიდატეში და საერთოდ შხამების გამანეიტრალებელი საშუალებები. ვატსონს მოჰყავს გალენის სიტყვები ამის შესახებ და წერს: „მას (მითრიდატეს — მ. შ.) ჰქონდა დაუოკებელი სწრაფვა შეესწავლა ყველა სამკურნალწამლო საშუალებათა ფარული მოქმედება, შხამების გასანეიტრალებელი თვისებები, აუენებდა რა ამისათვის ცდებს იმ დამნაშავეებზე, რომელთაც სიკვდილი ჰქონდათ მისჯილი“.

ამგვარად, თ ვ ი თ გა ლ ე ნ ი ს შ რ ო მ ე ბ შ ი ხ ა ზ გა ს მ უ ლ ი ა მ ი თ რ ი დ ა ტ ე ს პ რ ი ო რ ი ტ ე ტ ი, ჩვენ წინა თავში („შხამები, საწამლაკები, ტოქსიკოლოგიის საწყისებთან“) დაწვრილებით შევეხეთ ამ საკითხს და ვნახეთ, რომ დიოსკორიდზე გაცილებით ადრე ცხოვრობდა ახ. წ. აღ. I საუკ. ნიკანდრე კოლოფონელი (ძვ. წ. აღ. II საუკ.) მის „ალექსიფარმაკაში“, საკმაოდ დაწვრილებითი ცნობებია კოლხურ—იბერული, კერძოდ, მედეას სახელთან დაკავშირებული შხამებისა და შხამსაწინააღმდეგო საშუალებათა შესწავლისა და გამოყენების შესახებ, ამიტომ არც დიოსკორიდითა და არც გალენით არ შეიძლება ტოქსიკოლოგიის ისტორიის საწყისების განსაზღვრა, მისი საწყისები საკმაოდ შორეულ წარსულშია, კოლხურ—იბერულ მედიცინაში Cura Mediana-ს სახით და შემდეგ მითრიდატე პონტოელის სამედიცინო საქმიანობაში.

ამგვარად, მითრიდატუმის გავრცელებისა და მისი გამოყენებას მთელი ამ 2000-წლიანი ისტორიის მოკლე მიმოხილვით და ისტორიული ფაქტების, პირველადი წყაროების, ძველ ბერძენ და რომაელ ავტორთა, თანამედროვე გამოჩენილ ზეცნიერთა მოსაზრებების ურთიერთ შეჯერების საფუძველზე შეიძლება შემდეგი დასკვნები გავაკეთოთ:

1. მითრიდატუმი, რომლის შემქმნელია მითრიდატე პონტოელი, (მითრიდატე VI ევპატორი) ძვ. წ. აღ. I — საუკუნიდან, რომში მითრიდატეს სამედიცინო წიგნებისა და მითრიდატუმის რეცეპტის გატანის მომენტიდან, გავრცელდა მთელს ევროპასა და აღმოსავლეთის ქვეყნებში.

2. მითრიდატუმთან ერთად გავრცელდა თვით შხამებისა და მომწამლელ ნივთიერებათა დამზადება.

3. შხამებისა და მომწამლელ ნივთიერებათა დამზადებამ და გავრცელებამ ძლიერი ბიძგი მისცა მედიცინისა და, კერძოდ ფარმაცოლოგიის (ტოქსიკოლოგიის), შემდგომ განვითარებას. I — საუკუნიდან მოყოლებული თითქმის XX — საუკუნემდე მითრიდატუმი შესწავლისა და მრავალგვარი ექსპერიმენტის საგანი იყო. იქმნებოდა მისი მრავალი ვარიანტი და აღიარებული იყო, როგორც უნივერსალურ შხამსაწინააღმდეგო, ასევე სამკურნალო საშუალებად, მთელი რიგი თერაპიულ და ინფექციურ დაავადებათა დროს.

4. ტოქსიკოლოგიის ისტორიას, ანუ მოძღვრებას, შხამებისა და შხამსაწინააღმდეგო საშუალებათა შესახებ მედიცინის ისტორიის სახელმძღვანელოებში, ცნობარებსა და ენციკლოპედიებში ცალკეული ავტორები უკავშირებენ დიოსკორიდის და გალენის სახელს, რაც არაა სწორი. შხამებისა და შხამსაწინააღმდეგო საშუალებათა შესახებ მოძღვრების საყოველთაოდ გავრცელება დაკავშირებულია მითრიდატე პონტოელის სახელთან, რაც ხაზგასმულია თვით დიოსკორიდისა და გალენის შრომებში.

5. მითრიდატე პონტოელის სახელთან არის აგრეთვე დაკავშირებული ადამიანის ბუნების ისეთი საიდუმლოების გამოცნობა, როგორც იმუნიტეტი.

6. ირკვევა, რომ სამკურნალო მცენარეების, შხამებისა და შხამსაწინააღმდეგო საშუალებათა შესახებ, იმუნიტეტის შესახებ, მითრიდატე პონტოელის მოძღვრებათა საფუძველს წარმოადგენს უძველესი კოლხურ-იბერიული მედიცინა, კერძოდ, იგი დაკავშირე-

ბულია მედეას სახელთან, იმ სამედიცინო იდეებთან და საქმიანობასთან, რომელიც ცნობილია *Curat Mediana*-ს სახელწოდებით.

7. მითრიდატუმის შემადგენლობის ცალკეული ინგრედიენტი (*aconitum, opopanax* — და სხვ.), შხამების თვისებათა შესწავლა, გვამების ბალზამირების ცოდნა და სხვ. დასაბამს პოულობენ მედეასა და მისი ოჯახიდან, რომლებიც ცნობილი არიან როგორც *aconitum*-ს აღმომჩენნი, შხამების თვისებათა პირველი შემსწავლენი, ადამიანებზე ექსპერიმენტის გზით, ბალზამირებისათვის საჭირო მცენარეების მცოდნენი და სხვ.

8. ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს ვაღიაროთ, რომ მითრიდატეს სახელთან დაკავშირებული მოძღვრებანი, მედიცინის ზემოხსენებულ საკითხებზე, წარმოდგენენ უძველესი კოლხურ-იბერიული მედიცინის გამოვლინებას, მის ერთგვარ აღორძინებას საუკუნეების შემდეგ, ამდენად მითრიდატეს სახელთან დაკავშირებული ეს ამბები უნდა განვიხილოთ, როგორც უძველესი კოლხურ-იბერიული მედიცინის განვითარების ერთ-ერთი მომდევნო ეტაპი.

9. როგორც გარკვეულია, პონტოს სამეფოს ძირითად მოსახლეობას ეთნიკურად ძველი ქართველური ტომები წარმოდგენენ, მითრიდატე კი მთელ რიგ მეცნიერთა გამოკვლევებით, ადგილობრივ ტომთა წარმომადგენელი იყო. ამ მოსაზრებებს სრულიად ბუნებრივსა და კანონზომიერს ხდის ჩვენი მასალები და ზემოხსენებული დასკვნები. რადგან ასეთი აშკარა ურთიერთობა და ერთგვაროვანი სამედიცინო კულტურის არსებობა პონტოსა და კოლხეთ-იბერიის შორის მოსალოდნელია უთუოდ ეთნიკური ერთგვარობისა და სიახლოვის შემთხვევაში.

ქოლხურ-იგარიული მედიცინის ადგილი მსოფლიო მედიცინის ისტორიაში

მედიცინის ისტორია საერთოდ ერთ-ერთი უძველესი მეცნიერებაა, როგორც სამეცნიერო-კვლევითი საგანი, ასევე როგორც სასწავლო დისციპლინა. ჯერ კიდევ ჰიპოკრატეს (V—IV საუკ. ძვ. წ.) ჰქონდა სამედიცინო-ისტორიული ხასიათის შრომები. ცნობილია მისი „ძველი მედიცინის შესახებ“ ე. წ. ჰიპოკრატეს კრებულიდან. არისტოტელეს (384—322 ძვ. წ. აღ.) მოწაფემ მემნონმა შეადგინა „მედიცინის ისტორია“. შუა საუკუნეების შრომებიდან ცნობილია არაბი ექიმის ოსეიბოს (1204—1269) წიგნი „ცხოვრება ექიმთა“, სადაც 400-მდე ექიმის ცხოვრებაა აღწერილი. გირშას მიერ შედგენილი იყო გერმანულ ენაზე „ყველა დროის და ხალხების გამოჩენილ ექიმთა ბიოგრაფიული ლექსიკონი“ და ა. შ.

მსოფლიო მედიცინის ისტორია, მთლიანი სისტემატური და თანმიმდევრული ისტორიის სახით ჩნდება XVIII საუკუნიდან, XIX საუკუნეში უკვე მრავალი მეცნიერი, ავტორი დაინტერესდა მსოფლიო მედიცინის ისტორიით, როგორც ევროპაში, ასევე რუსეთში, მათ შორის აღსანიშნავია: კ. შპრენგელი, მ. ნეიბურგერი ტ. I—II—III — (1902—1906), მეიჯორი (1954), რ. დიუმენილი (1950) და ა. შ.

XIX საუკ. დასაწყისიდანვე რუსულ ენაზე ითარგმნა ძირითადად ფრანგულიდან და გერმანულიდან მსოფლიო მედიცინის ისტორიის სახელმძღვანელოები, ა. გ. გეკერის (1809), ნ. ლებედევის (1827), ს. კოვნერის (1878—1888), ლ. მენიეს (1826), დიწერა ბ. სპასკის (1956), ფ. ბოროდულისის (1954, 1956) მონოგრაფიები. განსაკუთრებით პოპულარობით სარგებლობდა რუსულ ენაზე თარგმნილი ტ. მეიერ-შტეინგისა და კ. ზუდპოფის — „მედიცინის ისტორია“ (1926).

ამჟამად, სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში სახელმძღვანელოდ გამოყენებულია პროფ. ბ. მულტანოვსკის „მედიცინის ის-

ტორია“, ავტორთა კოლექტივის მიერ შედგენილი და პროფ. ბ. პეტროვის რედაქტორობით გამოცემული „მედიცინის ისტორია“.

მედიცინის ისტორიის ზემოხსენებულ ტომებში, ცალკეულ მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებში მედიცინის განვითარების ძირითადი ეტაპები პერიოდიზაციის თვალსაზრისით განხილულია სხვადასხვა პრინციპით. ავტორების ერთი ჯგუფი ეყრდნობა დიდ პოლიტიკურ მოვლენებს ან კულტურის ისტორიის ცალკეულ ეტაპს, [კ. შპრენგელი, კოენერი, ბაასი], მეორე ჯგუფი [პუშმანი, მეიერ-შტეინეგი და ზუდჰოფი და სხვ.] დიდი ქრონოლოგიური ეპოქების ზოგად სქემებს (უძველესი ხანა, შუასაუკუნეები, ახალი ისტორია და ა. შ.), მესამე ჯგუფი [ლარემბერგი, გეკერი, ნ. ლებედევი და სხვ.] — გამოჩენილ მედიკთა მოღვაწეობას სხვადასხვა მიმართულებათა აღმოცენებას ან დიდ აღმოჩენათა თარიღებს და სხვ.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდი, ძვ. წ. აღ. II და I ათასწლეული, ხსენებულ ავტორებს სხვადასხვაგვარად აქვთ გადმოცემული, მაგრამ ძირითადად მაინც თანამედროვე სახელმძღვანელოებსა და სასწავლო პროგრამებში მეიერ-შტეინეგისა და ზუდჰოფის პერიოდიზაცია დამკვიდრდა, ამ ავტორებს ასეთი თანმიმდევრობითა აქვთ გადმოცემული ეპოქის ეს მონაკვეთი¹. I. პირველყოფილი მედიცინა, უძველესი კლასიკური ხანისა და ძვ. აღმოსავლეთის მედიცინა. 1. პირველყოფილი მედიცინა. 2. მესოპოტამიის მედიცინა. 3. ეგვიპტის მედიცინა. 4. მედიცინა საბერძნეთში. 5. მედიცინა რომში. II. შუა საუკუნეებისა და აღორძინების ეპოქის მედიცინა და ა. შ.

ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიაში მოცემულია ასე: I. ისტორიამდელი მედიცინა. II. ინდოეთი. III. ჩინეთი, იაპონია, ტიბეტი. IV. ეგვიპტე, V. საბერძნეთი, VI. ალექსანდრიის სკოლა, VII. რომი და ა. შ.

გ. ზიგერისტის პერიოდიზაციით: I. პირველყოფილი მედიცინის სათავეები, II. ეგვიპტისა და ბაბილონის მედიცინა, III. ბერძნული მედიცინის სათავეები, IV. ჰიპოკრატეს მედიცინა, V. ბერძნული მედიცინა ალექსანდრიასა და რომში და ა. შ.

რუსი საბჭოთა ავტორების წიგნებსა და პროგრამებში ძირითადად პერიოდიზაცია (ბ. მულტანოვსკი, ბ. პეტროვი, ი. ლისიცინი, ფ. ბოროდულინი და სხვა). მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის პრინციპებზე დაფუძნებული, იგი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების მიხედვითაა გადმოცემული, მაგრამ, სრულიად

¹ История Медицины, под ред. Б. Д. Петрова, т. I, М., 1954.

სამართლიანად თვით გარკვეული საზოგადოებრივი ფორმაციის შიგნით, დაცულია როგორც ქრონოლოგიური, ასევე გეოგრაფიული პრინციპები: მაგალითად — I. სამედიცინო საქმიანობის წარმოშობა პირველყოფილ ადამიანთა საზოგადოებაში. II. მედიცინა მონათმფლობელურ საზოგადოებაში. 1. მედიცინა ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში, 2. მედიცინა ძველ საბერძნეთში, 3. მედიცინა ძველ რომში და ა. შ.¹

ასევეა მსოფლიო მედიცინის უძველესი პერიოდი, გადმოცემული ბ. მულტანოესკის წიგნში, БМЭ-ში და სხვ. როგორც ვხედავთ, „უძველესი კოლხურ-იბერიული მედიცინა“ თანამედროვე მსოფლიოს არც ერთ სახელმძღვანელოსა და მონოგრაფიაში, თანმიმდევრული ისტორიის დიდ ტომეულებში, ცნობარებსა და ენციკლოპედიებში, როგორც ძველსა, ისე ახალში, არსად არაა. მაშინ როდესაც, როგორც წინა თავებში ვნახეთ, კოლხურ-იბერიულმა მედიცინამ მთელი ეტაპები შექმნა სამედიცინო-ბიოლოგიური აზროვნების განვითარებაში, მას იცნობენ ცალკეული ბერძენი და რომაელი ავტორები, მან თავისი გავლენა მოახდინა მედიცინის განვითარების მომდევნო ეტაპებსა და სხვა ხალხების სამედიცინო კულტურაზე.

რატომ არ ფიგურირებს ის როგორც მსოფლიო მედიცინის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა?

შევეცდებით გავცეთ პასუხი ამ კითხვაზე, მსოფლიო მედიცინის სრული და თანმიმდევრული ისტორია ერთ-ერთმა პირველმა მოგვაწოდა გერმანელმა მკვლევარმა კურტ შპრენგელმა თავის 5-ტომიან წიგნებში, რომელიც არაერთხელ ვახსენეთ წინა თავებში. 1792 წელს გამოვიდა ამ ხუთტომეულის პირველი წიგნი. შპრენგელი კურტ პოლიკარპ იოახიმ (1766—1833) იყო გამოჩენილი გერმანელი ექიმი, ბოტანიკოსი და მედიცინის ისტორიკოსი, მან პირველმა გადმოგვცა კაცობრიობის მთელი სამედიცინო-ბიოლოგიური აზროვნებისა და საექიმო პრაქტიკული საქმიანობის ისტორია, ფართოდ გააზრებული, საერთო „პოლიტიკური ისტორიისა და საკაცობრიო კულტურის“ ისტორიის გათვალისწინებით (ს. კონერი), მან მედიცინის ისტორიის თავის პერიოდიზაციას პირველმა დაუდო საფუძვლად მსოფლიოს დიდი პოლიტიკური მოვლენები, საერთო კულტურის განვითარების ძირითადი ეტაპები და უძველესი ცენტრები, როგორც მედიცინის განვითარების დონესთან უშუალო კავშირსა და დამოკიდებულებაში მყოფთან, შპრენგელის ისტორია.

¹ История Медицины, под ред. Б. Д. Петрова, т. I, М., 1954.

დამყარებული იყო აშკარა ფაქტიურ მასალებზე, ისტორიულ წყაროებზე, რაც ხაზგასმულია მისი შრომის სახელწოდებაშიც „მედიცინის პრაგმატიული ისტორია“. პრაგმატიზმი კი, როგორც ცნობილია, ისეთი მიმართულებაა ისტორიულ მეცნიერებაში, რომელიც წინა პლანზე აყენებს ფაქტებს, ნამდვილად არსებულ ისტორიულ ამბებს, მოვლენებს. მიუხედავად იმისა, რომ კ. შპრენგელი თავისთავს თვლის პრაგმატისტად ცალკეული ქვეყნებისა და ხალხების მედიცინის ისტორიის გადმოცემაში, იგი სცილდება მხოლოდ ფაქტებისა და ამბების პრაგმატისტებისათვის დამახასიათებელ მექანიკურ გადმოცემას და ერთ-ერთი პირველთაგანია მედიცინის ისტორიკოსთა შორის და პრაგმატისტ-ისტორიკოსთა შორის, რომელმაც ფაქტები, ისტორიული მოვლენები დაუკავშირა საერთო კულტურას, კაცობრიობის პოლიტიკურ ისტორიას. და პირველმა, საკმაოდ ზუსტი, რელიეფური სურათი მოხაზა მსოფლიო მედიცინის ისტორიისა და არსებული ისტორიული ფაქტებისადმი ობიექტური მიდგომისა და ანალიზის შედეგია, რომ ამ 5-ტომიანი მსოფლიო მედიცინის ისტორიის პირველ თავს უწოდა „Altste Colchische Medicin“, აქ იგი, მხოლოდ გაკვრით, მაგრამ მაინც ეხება კოლხეთის მეფის აიეტისა და მისი ჩეულლის ჰეკატეს, შვილების: მედეასა და ცირცეას საქმიანობას სამკურნალო მცენარეების, შხამებისა და ანტიშხამების შესწავლის საქმეში, სამკურნალო მცენარეთა მედეას ბალის მცენარეებს, მათ სამკურნალო თვისებებს, ეხება პრომეთესა და კავკასიის ურთიერთობის საკითხს, მათ დაკავშირებას მედიცინასთან, პონტოსა და, კერძოდ, მითრიდატეს კავშირს უძველეს კოლხურ მედიცინასთან და სხვ. მაგრამ ამის შემდეგ, XIX საუკუნის ავტორების წიგნებსა და მონოგრაფიებში უკვე ამ „უძველესი კოლხური მედიცინის“ ხსენებაც აღარ არის. საქმე ისაა, რომ XIX საუკუნეში მოხდა დიდი არქეოლოგიური აღმოჩენები, თუ ბერძენ და რომაელ ავტორებს და საერთოდ დასავლეთ ევროპას ძველი აღმოსავლეთის კულტურის შესახებ წარმოდგენა ჰქონდათ მხოლოდ თქმულებების, გადმოცემების, ლეგენდებისა და ზღაპრების მიხედვით, XIX საუკუნეში ეს ლეგენდები და ზღაპრები ისტორიულ სინამდვილედ იქცა არქეოლოგიური აღმოჩენების შედეგად. 1822 წელს ფრანსუა შამპოლიონის მიერ ამოკითხულმა ეგვიპტურმა იეროგლიფებმა და 1857 წელს აღმოჩენილმა და გაშიფრულმა ლურსმულმა ტექსტებმა საფუძველი ჩაუყარეს ეგვიპტოლოგიასა და ასირიოლოგიას. ჰამურაბის კანონთა და ასურბანიფალის ბიბლიოთეკის თიხის ფირფიტების

ამოკითხვამ შუქი მოჰფინა მესოპოტამიური კულტურისა და, კერძოდ, შუმერულ-ბაბილონური მედიცინის ისტორიას. ამ აღმოჩენებმა ისტორიულ სინამდვილედ აქციეს მანამდე ლეგენდების სახით მოღწეული გადმოცემები და ცნობები, ისე როგორც, ჰენრიხ შლიმანის ბრწყინვალე არქეოლოგიურმა გათხრებმა ტროაში, მიცენსა და ტირინთში, ისტორიულად აქციეს „ილიადასა“ და „ოდისეაში“ მოცხრობილი ამბები.

ამ უდიდესმა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა, ასე ვთქვათ, წაღვეს, დაჩრდილეს მანამდე მხოლოდ ტრადიციით, თქმულებებისა და ლეგენდების საფუძველზე ისტორიულ სინამდვილედ აღიარებული, თუ მიჩნეული ამბები. მაგრამ შემდეგში ამან მეორე უკიდურესობამდე მიიყვანა ისტორიული წყაროების ინტერპრეტაციის საქმე. უკვე უგულვებელყოფილ იქნა გადმოცემები და ლეგენდები, ფოლკლორული მასალები და ზეპირსიტყვიერება, რომელიც არქეოლოგიური გათხრებით არ არის დადასტურებული. ვფიქრობთ, ასეთი ბედი ეწვია „არგონავტებზე“ და მედიაზე არსებულ თქმულებებსაც.

აი, ამ მიზეზებით გაჰქრა, ვფიქრობთ, მედიცინის მსოფლიო ისტორიაში Cura Mediana-ზე არსებული შესანიშნავი ფურცლები.

მაგრამ მედიაზე ხომ მართო ლეგენდები და მხატვრული ქანძრვები არ არსებობენ?! კოლხიდასა და აიეტის ოჯახზე, მედეასა და ცირცეაზე ისტორიკოსებიც მოგვითხრობენ, გეოგრაფები და მოგზაურები აგვიწერენ მათ როგორც ისტორიულ სინამდვილეს და სხვ.

XIX საუკ. კოლხიდაში არქეოლოგიური გათხრები არავის უწარმოებია, მაგრამ ჩვენს საუკუნეში თანამედროვე კოლხეთში წარმოებულნი გათხრები, რაც ჯერ კიდევ მხოლოდ დასაწყისია, უკვე დიდ მასალას იძლევიან მედიაზე არსებულ თქმულებათა რეალობის დასადასტურებლად.

შესაძლოა სხვა მიზეზებმაც ითამაშეს როლი, ცნობილია, რომ XIX ს-ში დასავლეთ ევროპის ისტორიოგრაფიაში წარმოიშვა ახალი ტენდენცია, ახალი მიმართულება ევროპოცენტრიზმის სახით. ამ მიმართულების წარმომადგენელი ევროპელი ისტორიკოსები ცდილობდნენ მიეჩქმალათ აღმოსავლეთის ქვეყნებს კულტურა, განსაკუთრებით „კოცხალი“ მცირე ერების კულტურული წარსული, და წინა პლანზე წამოეწიათ ევროპული კულტურა. უარყოფდნენ აღმოსავლური კულტურის გავლენას მათზე და სხვ. უთუოდ ისტორიოგრაფიაში არსებულმა ამ ტენდენციებმაც გავლენა იქონია, რომ მსოფლიო მედიცინის ისტორიის სახელმძღვანელოებში

კ. შპრენგელის შემდეგ შექმნილ მონოგრაფიებში, უკვე აღარ არის *Alteste Colchische Medicin* — ცალკე თავად გამოყოფილი როგორც უძველესი სამედიცინო კულტურის კერა.

ამგვარად, ძველი კოლხურ-იბერიული მედიცინა, სანამ ის შესწავლილი იქნებოდა და სისტემაში მოყვანილი თანამედროვე ისტორიოგრაფიული მეცნიერების საფუძველზე, აცდენილ იქნა კვლევისა და სისტემატიზაციის სწორი გზიდან, ზემოხსენებულ მიზეზთა გამო, ამიტომ რგი დღემდე ვერ „ჩავარდა“ მსოფლიო მედიცინის თანმიმდევრულ ისტორიაში, მისი ცალკეული ეპიზოდები კი სწორედ მათი არასისტემატიზების გამო სხვადასხვა ავტორთა მიერ, სულ სხვადასხვა ინტერპრეტირების საგანი ხდება. რიგი თანამედროვე ავტორები ვერ ნახულობენ მისთვის ადგილს, რომ არაფერი ვთქვათ მსოფლიო მედიცინის ზოგად ისტორიებსა და სახელმძღვანელოებზე, ცალკეულ გამოკვლევებსა და სტატიებშიც ჩანს აშკარა გაუგებრობანი და არასწორი ორიენტირება ამ საკითხის მიმართ. ჩვენი საუკუნის 50-იან წლებში სამედიცინო ჟურნალებში გამოქვეყნდა რამდენიმე სტატია „სკვითური მედიცინის“ შესახებ, კერძოდ, ნ. ღუმკამ დაბეჭდა სტატია «О скифской медицине» 1956 წელს ჟურნალ «Советское здравоохранение»-ში, ამ წერილში ღუმკა წერს: Пелагоний, ветеринарный врач, живший во второй половине IV в. н. э. (как и Аммиан Марцелин), пишет, что греческие и римские врачи пользовались для изготовления лекарств такими понтийскими, т. е. скифскими травами, как понтийский абсиптий, понтийский ирный корень и понтийская шандра»¹.

ე. ი. ნ. ღუმკა აქ აიგივებს „პონტოურსა“ და სკვითურს. რასაკვირველია, მათი გაიგივება შეუძლებელია, პონტოურის ქვეშ იგულისხმება ძირითადად „პონტოს სამეფოს“ ტერიტორია და არა „სკვითების ქვეყანა“, რომელიც გაცილებით უფრო ჩრდილოეთით, შავი ზღვის ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთ ნაპირებზე იყო და არა სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირებზე.

საბჭოთა ისტორიულ ენციკლოპედიაში გარკვევით არის ნათქვამი და განსაზღვრული ის ტერიტორია, სადაც სკვითები ცხოვრობდნენ: «Скифия—название северного причерноморья в 7—1 вв. до н. э. в сочинениях античных писателей, территория север-

¹ Н. С. Думка, О скифской медицине, журн. «Советское здравоохранение» № 5 1956 г. стр. 57.

ნოგო პრიჩერნომორჲა ზაპიმალი სთჲი მჲჲუდჲ უსთჲიმი დუპაჲ ი დონა, ვკლუჩაჲ სთჲპოჲი კრჲმ ი ლესოსთჲპნჲი რ-იჲი სჲჲჲრნოგო პრიჩერნომორჲა»¹.

ბ. დუმკას მიერ ციტირებული ავტორები ვეტერინარი პელაგონი და ამიან მარცელანი ახ. წ. აღ. IV საუკუნეში ცხოვრობდნენ, ამ დროისათვის უკვე კარგა ხნის (საუკუნეებით ადრე) დამკვიდრებული და გამოკვეთილი იყო ლიტერატურულ წყაროებში, რომ პონტოს ქვეშ გეოგრაფიულად იგულისხმება ყოფილი პონტოს სამეფოა და მისი მიმდებარე ხალხებისა და ქვეყნების ტერიტორიები: კოლხები, მოსინიკები, ხალიბები, ტიბარენები და ა. შ. და არა სკვითების ქვეყანა. ბ. დუმკა ამავე წერილში წერს მედეას შესახებაც: «Там, в Колхиде, а по более поздним легендам, в Крыму, жила мифическая чародейка и колдунья, а в действительности знаменитый врач, первая женщина-врач на наших землях — Медея и хотя древняя мифология паделила ее демоическими силами, с которыми не мог справиться даже сам Зевс, Медея прекрасно лечила и несла благо царюду, Медея знаток пародной медицины, прежде всего растительного мира, фармаколог и токсиколог, а вместе с тем и врач терапевт... Если имена Медей, Абариса и других скифских врачей носят полностью легендарный характер, то о других скифских врачах имеются более достоверные исторические данные...».

მოსაზრებები, რომელთაც ბ. დუმკას წერილის ეს ფრაგმენტი შეიცავს, იმსახურებს საკმაოდ პრინციპულ შენიშვნებს. მსოფლიო ლიტერატურაში, მათ შორის რუსულში, ძველ ბერძნულსა და რომაულში, ქართულში ცნობილია, რომ მედეა კოლხიდელია და არა სკვითი, არასოდეს ჰომეროსის დროიდან მოყოლებული, დღემდე ეპიკიც არავის გამოუთქვამს არც ისტორიულსა და არც მხატვრულ ლიტერატურაში, რომ მედეა იყოს რომელიმე სხვა ერის წარმომადგენელი და არა კოლხი. ბ. დუმკამ თავისი მოსაზრება მედეას სკვითური ჩამომავლობის შესახებ, უფრო გარკვევით ჩამოაყალიბა მეცნიერების ისტორიკოსთა XIII მსოფლიო კონგრესზე, რომელიც შედგა მოსკოვში 1971 წელს, იგი წერს: „Овидий сообщает, что колхидская царица Медея, первый известный нам по имени врач-женщина на землях восточной Европы привезла из Ски-

¹ Советская историческая энциклопедия, М., 1965 г. стр. 953.

ში ვ გრეციო ღვითოს, ნო ვმესტე ს ტემ ლეხნოე რასტენიე ნკოპიტ, ჭო ვ კოლხიდე ბელ სვიაჷენნი ღუჷსოკ მედეი, გდე დოსი ლეკარსტენნიე ნ ღვითუტე რასტენიე, ჭო ტაკიე ჯე ლეკარსტენნიე ოგორდი იმსლო მესტოე ნასელენიე ნ ჭო სკიფსკაი პოლნიე ნ დრუგიე ლეკარსტენნიე რასტენიე იზ კოლხიდი პროიკალი ვ გრესკუი ნ რიმსკუი მედიცინუ. იზ ნეკოტორუხ ვსკაზივანიუ ოვიდიუ მოჷნო პრედპოლოჷტი, ჭო სკიფსკიე ჯენიჷნი ნამაზივალსუ რაზნიუ სვადობუმი, ჭოტუი პრედუპრედიტუ პროსტუდუ ნ დრუგიე ჯაბოლვანიე, ა ტაკჷე ვ კოსმეტიკსკიუ ჷელუხ»¹.

ოოგორკ ჩანს, დუმკამ კარგად იცის, რომ მედეა კოლხეთის მეფის ასულია, რომ მას კოლხეთში ჰქონდა სამკურნალო და შხაპიანი მცენარეების ბაღი, რომ კოლხეთიდან მისი საშუალებით ეს მცენარეები ვრცელდებოდა ბერძნულ და რომაულ მედიცინაში, მაგრამ იგი აიგივეებს ერთმანეთთან კოლხეთსა და „სკიფიას“, რომ თითქოს ეს „სკვითური აბზინდა (ავშანი)“ (!) იყო, რაც კოლხეთიდან ვრცელდებოდა, და „სკვითი ქალები“ (!) იყვნენ, რომლებიც სამკურნალო და კოსმეტიკურ საშუალებებს იყენებდნენ მედეას სახით და ა. შ.

ავტორი მედეაზე წერს აგრეთვე, რომ ის ცხოვრობდა ყირიმში, თითქოს მოგვიანო ლეგენდების თანახმად, ამით ავტორი კიდევ ერთხელ ამჟღავნებს თავის ტენდენციას, რომ მედეას კოლხური ჩამომავლობა ეჭვის ქვეშ დააყენოს. ჩვენ არ ვიცნობთ ჭერ-ჭერობით ლეგენდას, რომლის თანახმადაც, მედეა ყირიმის მცხოვრებად იყოს აღიარებული.

„მედეას „სკვითურ მედიცინასთან“ არავითარი კავშირი არა აქვს, სკვიტები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში გამოჩნდნენ ძვ. წ. VIII—VII საუკ. მედეა და მის სახელთან დაკავშირებული ზემონსენებული Cura Mediana კი 4—5 საუკუნით წინ უსწრებს საერთოდ სკვიტების გამოჩენას მსოფლიო ისტორიის არენაზე. მართალია, VIII—VII საუკუნეში სკვიტები გამოჩნდნენ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთსა და კავკასიის ჩრდილოეთის სტეპებზე, მაგრამ ძველი საქართველოს ტერიტორიამდე ან შავი ზღვის სამხრეთსა და აღმოსავლეთ საზღვრებამდე მათ არასოდეს არ მოუღწევიათ. მართა-

¹ Материалы XIII международного конгресса по истории наук изд. «Наука» Москва, 1971 г., секция 9. «Овидий как источник истории отечественной медицины, античной эпохи» стр. 90.

ლია, ძვ. წ. VIII—VII საუკ. ჩრდილოეთიდან შემოსულმა მომთაბარე ურდოებმა, შეარყიეს ძველი კოლხეთის ძლიერება, მაგრამ ისინი კიმერიელები იყვნენ და არა სკვითები. სკვითები (ბერძნ. skythia) საერთო სახელწოდებაა ირანულ ენაზე მოლაპარაკე მომთაბარე ტომებისა, რომლებიც შავი ზღვის ჩრდილოეთის სანაპირო ველებზე გამოჩნდნენ ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნიდან და მათ არავითარი კავშირი — ეროვნული თუ კულტურული გენეზისის თვალსაზრისით არა აქვთ კოლხურ ტომებთან. ამგვარად, არც ეროვნული კუთვნილების თვალსაზრისით, არც მედეასა და სკვითების საქმიანობის¹ ქრონოლოგიური ჩარჩოებით, ვიმეორებთ მედეას არავითარი კავშირი არა აქვს არც სკვითებთან, არც „სკვითურ მედიცინასთან“, იგი, როგორც წინა თავებში აშკარად ვნახეთ უძველესი კოლხურ-იბერიული მედიცინის წარმომადგენელია.

ასევე შეიძლება ითქვას მითრიდატე პონტოელის შესახებ. ნ. დუმკას ზემოხსენებულ შრომაში მითრიდატე პონტოელზე ვკითხულობთ: «В первом столетии до нашей эры в Северном Причерноморье царствовал упомянутый уже нами боспорский царь Митридат VI Евпатор — один из знаменитых фармакологов и п токсикологов древнего Мира. Центром его деятельности был город Пантикапей—Иерчь. Митридат крупный врач, автор ряда трудов в области Медицины»¹.

ავტორი მართალია, რომ ის იყო ძველი მსოფლიოს სახელგანთქმული ფარმაკოლოგი და ტოქსიკოლოგი, მაგრამ ვერ დავეთანხმებით იმაში, რომ მითრიდატე მეფობდა ბოსფორში — ქერჩში და სხვ. მართალია, მითრიდატე VI — ევპატორის მფლობელობაში შედიოდა ბოსფორის სამეფო. და მის მეფედ, უფრო სწორად, გამგებლად იყო მისი შვილი სახელად მახარი [რაც, როგორც ზემოთ ვთქვით, ქართული სიტყვაა და ნიშნავს радость, радуи] და არა თვით მითრიდატე, გარდა ამისა, ქერჩი არასოდეს არ ყოფილა მითრიდატეს სამეფოს ცენტრი. მის სამეფოს ერქვა, როგორც წინა თავებიდან აშკარად ჩანს, პონტოს სამეფო და მისი ადმინისტრაციული ცენტრი, მეფის (მითრიდატეს) სარეზიდენციო ქალაქი იყო სინოპე — რომელიც სამხრეთ შავიზღვისპირეთში მდებარეობს და არა ჩრდილოეთში. აქაც აშკარად ჩანს ავტორის ტენდენცია მითრიდატე და მისი სამეფო ცენტრი ჩრდილოეთ შავი-

¹ Журн. «Советское здравоохранение» № 5 — 1956 г., стр. 58—59.

ზღვისპირეთში მოაქციოს და ამით მისი სამედიცინო საქმიანობა სკევითურ მედიცინას დაუკავშიროს.

შენიშვნას იმსახურებს აგრეთვე ნ. ღუმკას შემდეგი სტრიქონი: «Кроме лекарственных растений, скифам был известен тоже ряд ядовитых растений, среди которых первое место принадлежит акониту»¹.

აკონიტის „აღმომჩენად“, როგორც წინა თავებში ვნახეთ, ბერძენი და რომაელი ავტორების ცნობებით, მედეას დედა ჰეკატე ითვლება. აკონიტს, უთუოდ ავტორი, სწორედ ამიტომ უკავშირებს სკევითებს, მაგრამ რადგან მედეა და მისი მშობლები აიეტი და ჰეკატე არ არიან სკევითები, ამიტომ არც აკონიტია სკევითური, როდესაც აკონიტი ხარობდა სამკურნალო მცენარეთა მედეას კოლხურ ბაღში, მაშინ სკევითების ხსენებაც არ იყო მსოფლიო ისტორიაში.

სკევითურ მედიცინასთან აქვს გაიგივებული მითრიდატე პონტოელის საექიმო საქმიანობა ნ. ღუმკას მომდევნო ავტორსაც. პროფ. ა. ნიკიტინს იგი თავის სტატიაში «Истоки русской медицины» წერს: «Врачевание пужно было скифскому народу и поэтому постоянно развпвалось. Увеличивалось число лечебных средств их применение. Особое место среди искателей и испытателей лечебных трав занимал беспорский царь Митридат VI Евпатор, который делал опасные эксперименты над самим собой...»² и т. д.².

ცხადია, პროფ. ა. ნიკიტინი ამ სიტყვებით იზიარებს ნ. ღუმკას მოსაზრებას მითრიდატისეული და სკევითური მედიცინის იგივეობის შესახებ, რაც როგორც ზემოთ ვთქვით, ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული.

ამგვარად, კოლხურ-იბერიული მედიცინის ერთ-ერთ ამსახველ ძირითად წყაროს წარმოადგენს Cura Mediana-ს და მითრიდატე პონტოელის გარშემო არსებული ისტორიული წყაროები, რაც ჩვენ გარკვეული გვაქვს წინა თავში და ცდა Cura Mediana და პონტოს სამეფოს მედიცინა დაუკავშირონ „სკევითურ მედიცინას“ ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია და წარმოადგენს სრულ გაუგებრობას.

თუ გავითვალისწინებთ „ამირანიანში“ შემონახულ ცნობებს

¹ Журн. «Советское здравоохранение», № 5 — 1956 г. стр. 68.

² Проф. А. Ф. Никитин, «Истоки русской медицины», журн. «Советская медицина» № 9, 1957 г., стр. 129.

„თრიალეთის ბრწყინვალე კულტურის არქეოლოგიურ მასალებს“, Cura Mediana-ს, ქართულ სამედიცინო ეთნოგრაფიასა და ფოლკლორში შემონახულ უძველესი კულტურის გადმონაშთებს: სამედიცინო-ბიოლოგიური ხასიათის ტერმინების, წარმოდგენებისა და მაგიურ-რელიგიური რიტუალების სახით, რითაც ისინი შუამერულ კულტურას უკავშირდებიან, ცხადი ხდება უძველესი კოლხურ-იბერიული მედიცინის ადგილი მსოფლიო მედიცინის ისტორიაში, მისი, როგორც განვითარების დონის, ასევე ქრონოლოგიური თანმიმდევრობის მხრივ.

ამგვარად, კოლხურ-იბერიული მედიცინა წარმოადგენს რა უძველესი სამედიცინო კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერას, მან თავისი ადგილი უნდა დაიჭიროს მსოფლიო მედიცინის თანმიმდევრულ ისტორიაში მესოპოტამური და ეგვიპტური კულტურის შემდეგ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

I.	კოლხურ-იბერიული სამყარო II-ათასწლეულის შუა საუკუნეებში	5
II.	ამირანიანი და კოლხურ-იბერიული მედიცინა	22
III.	Cura Mediana	50
	სამკურნალო საშუალებები	50
	მკურნალობა	66
	კოსმეტიკა	67
	გაახალგაზრდავების იდეა	69
	სისხლის გადასხმა	74
	შხამები, საწამლაეები, ტოქსიკოლოგიის საწყისებთან	79
	მედეა გონიერებითა და სიკეთით შემკობილი	90
	მედეას სამკურნალო მცენარეთა ბაღი	102
	მედეას ბალის და ქალაქების აია-ეა, კვიტეისის ლოკალიზაციის სა- კითხისათვის	103
	მედეას ბალის სამკურნალო მცენარეები	126
IV.	მითრიდატე პონტოელი და მედიცინა	154
	მითრიდატეში, მისი გამოყენება და გავრცელება მსოფლიოს სხვადა- სხვა ქვეყნების მედიცინაში უძვ. დროიდან — XX-საუკ.-მდე	154
	მითრიდატე პონტოელი და უძველესი კოლხურ-იბერიული მედიცინა	181
V.	კოლხურ-იბერიული მედიცინის ადგილი მსოფლიო მედიცინის ის- ტორიაში	193

რედაქტორი ე. ფალიანი
მხატვარი ვ. გიორგობიანი
მხატვრული რედაქტორი ნ. ლაფანი
ტექნიკური რედაქტორი ნ. ქავთარაძე
კორექტორი ნ. სარჯველაძე
გამომშვები დ. იამანიძე

ს. ბ. № 1336.

გადაეცა წარმოებას 20/XI-78 წ. ხელმოწერილია დასაბუქლად 12/IV-79 წ.

საბუქლი ქალაქი № 1. 60X84¹/₁₆. პირობ. ნაბუქლი თაბახი 12.09.

სააღრ. საგამომც. თაბახი 10.68.

უე 05963. ტირაჟი 5000. შეკვ. № 1168.

ფასი

რბილ გარეკანში 1 მან. 60 კაპ.

მაგარ ყლაში 1 მან. 90 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამსახკომი. თბილისის № 4 სტამბა

380060, მედქალაქის II კორპ.

Тбилисская типография № 4 «Госкомиздата»

Грузинской ССР. Тбилиси 380060. Медгородок II корп.